

გია ლილუაშვილი

**უმჯობესებული კანუნიკმგებლობის
საზოგადოება**

თეორია და პრაქტიკა

თბილისი
2005

რეცენზენტები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ბესარიონ ზოიძე

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
გია ქირია

კომპიუტერული

უზრუნველყოფა: ლია მოსემვილი

ყველა უფლება დაცულია

© გია ლილუაშვილი

© „ჯისიაი“

ISBN 99940-0-184-1

წინათქმა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არამართო საქართველოში არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საკმაოდ გავრცელებულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს. მისი ასეთი გავრცელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ის რომ კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს არა ამ საზოგადოების დამფუძნებლები (პარტნიორები), არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

ამ ფორმამ საქართველოშიც ფართოდ მოიკიდა ფეხი. ასეთ გავრცელებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ შპს-ის კანონით დადგენილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა არ არის ძალიან მაღალი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების საქმიანობის პრაქტიკამ უკვე ბევრი ისეთი საინტერესო კითხვა დასვა იურისტების წინაშე, რომლებიც საჭიროებენ სამართლებრივად დასაბუთებულ, ნათლად გასაგებად ჩამოყალიბებულ პასუხებს. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარმა, აგრეთვე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივ პრობლემებზე დაწერილმა ცალკეულმა ნაშრომებმა¹ უდიდესი დახმარება გაუწია არა მხოლოდ ქართველ მეწარმეებს, არამედ აგრეთვე მეცნიერ და პრაქტიკოს იურისტებსაც. ამასთან ერთად, მეწარმეთა წინაშე პრაქტიკა წამოჭრის ახალ და ახალ საკითხებს, რომელთა სამართლებრივი ასპექტების გაშუქება დაეხმარება მათ ამ პრობლემების გადაჭრაში.

¹ რ. მიგრიაული, შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები, თბ. 2004წ. შ. ჯანხოთელი, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი კითხვებსა და პასუხებში, თბ. 2003 წ. ქ. ქოქრაშვილი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაცია, საქართველოს უზენაესი სასამართლო, გ. "მართლმსაჯულების მაგნი". №1, 1998 წ. და ა.შ.

ამ ნაშრომში დასმული საკითხები გააშუქებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიღწევების გამოყენებით, აგრეთვე საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

დიდი მადლობა მინდა მოვახსენო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თ. წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კერძო სამართლის განყოფილების თანამშრომლებს, მათ შორის მის გამგეს პროფ. ბესარიონ ზოიძეს და გია ქირიას, რომლებიც გაეცნენ ამ ნაშრომს და მომცეს უაღრესად სასარგებლო რჩევები.

მადლობა მინდა გადავუხადო იურისტს ქალბატონ შორენა ჯანხოთელს, რომელმაც დაწერილებით გაეცნო ნაშრომს და მოგვცა სასარგებლო რჩევები.

ნაშრომის საბოლოოდ ჩამოყალიბებაში დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს სამოსამართლო სწავლების ცენტრში უცხოელ იურისტებთან ერთად ქართველ მოსამართლეებთან ჩატარებულ სემინარებზე გამართულმა დისკუსიებმაც.

ნაშრომი გათვალისწინებულია მოსამართლეებისათვის, ადვოკატებისათვის, მეწარმეებისათვის, სტუდენტებისათვის და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც იურიდიული პირი	11
§1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება და იურიდიული ბუნება	11
1) განსაზღვრული მიზანი	13
2) საკუთარი ქონება	14
3) ორგანიზებული წარმონაქმნი	18
4) თავისი ქონებით დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა	20
5) საკუთარი სახელით უფლება-მოვალეობების შექმნა, გარიგების დადება და სასამართლოში გამოსვლა მოსარჩელედ და მოპასუხედ	21
§2. შპს-ის ფილიალი (წარმომადგენლობა)	24
§3. შპს-ის საფირმო სახელი	32
§4. შპს, როგორც მეწარმე სუბიექტი	39
ა) საწარმოს იურიდიული ბუნება მეწარმეთა შესახებ კანონთან მიმართებაში	41
ბ) მეწარმისათვის დამახასიათებელი კონკრეტული ნიშნები	44
1. მართლზომიერება	45
ა) სახელმწიფო ლიცენზია და სამეწარმეო საქმიანობა	46
ბ) სამოქალაქო სამართლებრივი შედეგები	46
გ) პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის	48
დ) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა	50

2. არაერთჯერადობა	50
3. მოგების მიზანი	51
4. დამოუკიდებლობა	53
5. ორგანიზებულობა	53
თავი II. შპს-ს დაფუძნება	55
§1. დამფუძნებლის, პარტნიორის და მონაწილის იურიდიული დახასიათება	55
§2. ფიზიკური პირი, როგორც შპს-ს დამფუძნებელი	57
§3. იურიდიული პირი, როგორც შპს-ს დამფუძნებელი	65
ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი	65
ბ) კერძო სამართლის იურიდიული პირი	69
§4. სახელმწიფო, როგორც შპს-ის დამფუძნებელი	72
თავი III. შპს-ს რეგისტრაცია	75
§1. სამეწარმეო რეგისტრაციის არსი და მნიშვნელობა	75
§2. სამეწარმეო რეესტრის ცნება და მნიშვნელობა	82
§3. სამეწარმეო რეესტრის მწარმოებელი ორგანო	85
§4. სამეწარმეო რეესტრის საჯაროობა	93
§5. სამეწარმეო რეესტრში შპს-ს რეგისტრაციის დროს დაშვებული შეცდომები და მათი ანალიზი	95
თავი IV. შპს-ს რეგისტრაციისათვის წარსადგენი დოკუმენტები და მათი იურიდიული მნიშვნელობა	103
§1. წესდება და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა	103
§2. განცხადება	111
§3. ხელმოწერის ნიმუში	113
§4. საწესდებო კაპიტალში შესრულებული შესატანის შესახებ წარსადგენი საბუთი	117

თავი V. შპს, როგორც კაპიტალური გაერთიანების	
მქონე საზოგადოება	121
§1. საწესდებო კაპიტალის არსი და მნიშვნელობა	121
§2. შესატანი საწესდებო კაპიტალში	124
ა) ფულადი შენატანი შპს-ს საწესდებო კაპიტალში	124
ბ) ნივთის შეტანა შპს-ს საწესდებო კაპიტალში	126
გ) უფლებისა და მოთხოვნის შეტანა საწესდებო	
კაპიტალში	131
§3. დამფუძნებელთა მიერ წესდებით გათვალისწინებული	
შესატანის შეუტანლობის შედეგები	136
§4. შესატანის დაბრუნების წესი და საფუძვლები	139
თავი VI. შპს-ს მართვისა და კონტროლის ორგანოები.	
საკონსულტაციო საბჭო	143
§1. პარტნიორთა კრება, როგორც მართვის	
უმაღლესი ორგანო	143
§2. სამეთვალყურეო საბჭო	160
ა) სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა	160
ბ) სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარების	
ფორმა და წესი	175
გ) სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები	
და კომპენტენცია	178
დ) სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით	
განხორციელებული საქმიანობები	181
§3. დირექტორატი	191
ა) დირექტორის ცნება	191
ბ) დირექტორის მოადგილე	195
გ) ხელმძღვანელობითი საქმიანობა	197
დ) დირექტორი, როგორც წარმომადგენელი	204
ე) დირექტორისთვის კონკურენციის აკრძალვა	208

თავი VII. პარტნიორთა უფლებები და მოვალებები	212
§1. წილის გასხვისება და შეძენა	212
§2. წილის მემკვიდრეობით გადაცემა	219
§3. მეწარმეთა შესახებ კანონიდან გამომდინარე პარტნიორთა ძირითადი უფლებები	224
§4. მეწარმეთა შესახებ კანონიდან გამომდინარე პარტნიორთა ძირითადი მოვალებები	226
§5. მეუღლეთა უფლებები საზოგადოებაში წილთან დაკავშირებით	227
§6. პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის წესი და საფუძვლები	231
 თავი VIII. საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია	 238
§1. საზოგადოების რეორგანიზაცია	238
§2. საზოგადოების ლიკვიდაცია	248

თავი I. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც იურიდიული პირი

§ 1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება და იურიდიული ბუნება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნის იდეა ისტორიულად პირველად გერმანულ იურისტებს გაუჩნდათ. მათ ეს იდეა ჩამოაყალიბეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მეწარმეებმა დაიწყეს, ერთი მხრივ, სააქციო კომპანიების მოქნილობაზე, ხოლო მეორე მხრივ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებების (Offene Handelsgesellschaft) გავრცელების შეზღუდვაზე ლაპარაკი. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც სამეწარმეო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, პირველად დაიბადა გერმანიაში, კერძოდ, 1892 წლის 20 აპრილს რაიხსტაგმა მიიღო კანონი „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ“ (Gesellschaft mit Beschränkter Haftung).

დასახელებული საზოგადოება თავისი ბუნებით იმდენად მოქნილი და სრულყოფილი იყო მეწარმეებისათვის, რომ მან სწრაფი გავრცელება იწყო გერმანიაში, ავსტრიაში და შემდეგ სამოქალაქო სამართლის სისტემის სხვა ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში და საქართველოში¹. დღეს იგი მსოფლიოს 90-ზე მეტ ქვეყანაში არსებობს², მათ შორის საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებშიც.

სამოქალაქო სამართლის სისტემის ყველა ქვეყანაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, ანუ როგორც მას შემოკლებით ეძახიან – შპს-ს, იურიდიული პირის სტატუსი ქონდა მინიჭებული. ეს სტატუსი მისი ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო და არის დღესაც. დაახლოებით ასეთივე სტატუსით სარგებლობს შეზღუდული

¹ ჯერ კიდევ 1923 წლის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსმა ცალკე თავის სახით გამოყო ამხანაგობა, რომელშიც შედიოდნენ: მარტივი ამხანაგობა, სრული ამხანაგობა, ნლობის ამხანაგობა, ამხანაგობა შეზღუდული პასუხისმგებლობით და სააქციო საზოგადოება.

Основы немецкого торгового и хозяйственного право – Москва, 1995. Ст. 38.

პასუხისმგებლობის საზოგადოება საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებშიც. მაგალითად, დილავერის შტატის კანონის 18-303 მუხლით, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია (Limited Liability Company) მესამე პირების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით და არა დამფუძნებლების ქონებით.³ ასეთივე სტრუქტურს ითვალისწინებს სხვა შტატების შესაბამისი კანონებიც.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ძირითადი მარეგულირებელი ნორმები ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, გერმანიაში ცალკე კანონის სახით არსებობს, ზოგან კი, მაგალითად, საფრანგეთში სავაჭრო კოდექსშია მოთავსებული⁴.

საქართველოში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, რომელიც 1994 წლის 28 ოქტომბერს მიიღო საქართველოს პარლამენტმა. ამავე დღეს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე. ამ დადგენილების 1-ლი პუნქტით განისაზღვრა, რომ კანონი „მეწარმეთა შესახებ“ ამოქმედებულიყო 1995 წლის 1-ლი მარტიდან.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს ის, რომ იგი არის იურიდიული პირი. საქართველოშიც, მსგავსად სამოქალაქო სამართლის სისტემის სხვა ქვეყნებისა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მიენიჭა იურიდიული პირის სტატუსი, კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 2.6 მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის იურიდიული პირი.

თუ რა არის იურიდიული პირი და რა ნიშნებით ხასიათდება იგი, ძირითადად განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლით. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა

³ Selected corporation and Partnership statutes, rules and Forms, St. Paul, Minn., 1994.

С. Жамси, Л. Плаур – Торговое право. М. 1993 г. Ст. 75.

და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

იურიდიული პირის აღნიშნული განმარტება არის ზოგადი განმარტება, რომელიც ძირითადად მოიცავს ისეთ ნიშნებს, რომლებიც დამახასიათებელია კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის, მათ შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვისაც.

ამრიგად, შპს-ს, როგორც იურიდიულ პირს, სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლიდან გამომდინარე, ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. განსაზღვრული მიზანი;
2. საკუთარი ქონება;
3. ორგანიზებული წარმონაქმნი;
4. თავისი ქონებით დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა;
5. საკუთარი სახელით უფლება-მოვალეობების შექმნა, გარიგებების დადება და სასამართლოში გამოსვლა მოსარჩელედ ან მოპასუხედ.

განვიხილოთ შპს-ის დამახასიათებელი თითოეული ეს ნიშან-თვისება:

1. განსაზღვრული მიზანი

ნებისმიერი სახის იურიდიულ თუ არაიურიდიულ პირს, მაგალითად, ინდივიდუალურ საწარმოს ან არარეგისტრირებულ კავშირს, ახასიათებს განსაზღვრული მიზანი. ჩვენს შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია იურიდიული პირის – შპს-ის მიზანზე. მეწარმეთა შესახებ კანონის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სამეწარმეო ორგანიზაციას აქვს ორი სახის მიზანი, კერძოდ მოგების მიზანი და განსაზღვრული მიზანი.

საწარმოს საქმიანობის უმთავრესი მიზანია მიიღოს მოგება. მოგება შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, მაგალითად ფულის სახით ან არაფულადი შემოსავლის სახით.

მოგება განსაზღვრული მიზნის მიღწევის შედეგად მიიღება. განსაზღვრული მიზანი გამოიხატება საწარმოს კონკრეტულ საქმიანობაში, მაგალითად, ტანსაცმლის კერვა, უალკოჰოლო სასმელების დამზადება და რეალიზაცია და ა.შ.

საწარმოს განსაზღვრული მიზანი ანუ რა საქმიანობის რა სახე უნდა განახორციელოს საწარმომ, აისახება წესდებაში. თუმცა არ არის აუცილებელი საქმიანობის ყველა სახე წესდებაში დაფიქსირდეს. მთავარია, რომ საქმიანობის მიზანი კანონის ფარგლებში⁵ თავსდებოდეს.

2. საკუთარი ქონება

ცნება „ქონება“ ძალიან ფართო შინაარსისაა. თანახმად სამოქალაქო კოდექსის 147-ე და 148-ე მუხლებისა, იგი მოიცავს უძრავ და მოძრავ ნივთებს და აგრეთვე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც.

ამვე კოდექსის 149-ე მუხლის მიხედვით, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგანან მიწაზე.

როგორც მოცემული განმარტებიდან ირკვევა, უძრავი ნივთი არის მიწის ნაკვეთი და ის საგანი რომელიც მყარად არის დაკავშირებული მასთან, კერძოდ, მცენარეები, შენობები, საცურაო თუ სხვა სახის აუზები, რომლებიც მიწაშია ჩასმული, ელექტროგადამცემი ხაზები, რომლებიც მიწასთან არიან დაკავშირებული, წყლის ან ქარის წისქვილი, წიაღისეული და ა.შ.

რაც შეეხება მოძრავ ნივთს, მის განმარტებას კანონი არ იძლევა, ამიტომ იგი შეიძლება ასე განვმარტოთ: ყველა ნივთი რომელიც მყარად არ არის დაკავშირებული მიწასთან, არის მოძრავი.

რაც შეეხება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, მის განმარტებას გვაძლევს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლი, კერძოდ, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე.

არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს სხვაგვარად უწოდებენ „უსხეულო ნივთებსაც“. მაგალითად, ამერიკის სანივთო სამართალში მას უწოდებენ Intangible property⁵.

⁵ F. William McCarty, John W. Bagby, The legal environment of business, Bur Ridge, Boston, Sydney; 1993, P.180.

როგორც დასახელებული მუხლის შინაარსიდან ჩანს, არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს მიეკუთვნებიან ის უფლებები და მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება სხვას გადაეცეს ან გამიზნულია იმისათვის, რომ უფლების ან მოთხოვნის მფლობელმა მიიღოს რაიმე მატერიალური სარგებელი, ანდა უფლებისა და მოთხოვნის მფლობელს მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე.

ამ მუხლის მეტი თვალსაჩინოებისათვის, კერძოდ, უფლებასთან და მოთხოვნასთან დაკავშირებით, მოვიყვან რამდენიმე პატარა მაგალითს: შპს-მ, როგორც დამოუკიდებელმა არსებამ (პირმა), შეიძლება იჯარით აიღოს მიწის ნაკვეთი. დაუშვათ შპს „კასპმა“ დაღო იჯარის ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან – ვახტანგ ფირანიშვილთან. ამ ხელშეკრულების საფუძველზე შპს „კასპმა“ ხუთი წლის ვადით იჯარით აიღო 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. ამრიგად, შპს „კასპმა“ მოიპოვა უფლება (არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ერთ-ერთი სახე), დაამუშაოს 1 ჰექტარი მიწა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნისათვის.

იჯარის მსგავსად შპს-ს ასევე შეიძლება ჰქონდეს ქირავნობის უფლება, საავტორო უფლება და ა.შ.

რაც შეეხება „მოთხოვნას“ – შპს-ს შეიძლება ჰქონდეს მსესხებლისგან სესხის დაბრუნების ან სხვა სახის მოთხოვნა, მაგალითად, შპს-მ დაღო ნარდობის ხელშეკრულება სააქციო საზოგადოება „ავეჯს“ და შეუკვეთა წიგნების კარადა. თანხა წინასწარ გადაიხადა. შპს-ს შეუძლია მოსთხოვოს სააქციო საზოგადოება „ავეჯს“ წიგნების კარადის გადმოცემა ან ხელშეკრულების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურება და ა.შ.

რაც შეეხება არამატერიალური ქონებრივი სიკეთის – უფლების და მოთხოვნის სხვა პირზე გადაცემას, აქაც შეიძლება ერთი მაგალითი მოვიყვანოთ, შპს „ტურისტმა“ სესხის ხელშეკრულებით სამი თვით ისესხა 5000 ლარი და ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე სააქციო საზოგადოება „ავეჯს“ დასამზადებლად შეუკვეთა 5000 ლარის ღირებულების საოფისე ავეჯი. სამი თვის თავზე შპს „ტურისტმა“ ჩათვალა, რომ იგი სესხს ვერ დააბრუნებდა და ამიტომ 5000 ლარის დასამზადებელი საოფისე ავეჯის მოთხოვნა დაუთმო გამსესხებელს, რომელიც დათანხმდა 5000 ლარის ნაცვლად მიიღოს იმავე რაოდენობის და დასახელების ავეჯი.

კანონი როდესაც უთითებს, რომ „არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს“, ეს იმას ნიშნავს, რომ შპს-ს შეიძლება ჰქონდეს ისეთი უფლება ან მოთხოვნა, რომელსაც სხვას ვერ გადასცემს ან მისი გადაცემა იყოს შეზღუდული, მაგალითად, თუ შპს-ს სახელზე არის მშენებლობის ნებართვა გაცემული იგი ამ ნებართვას ვერ გაასხვისებს ე.ი. სხვას ვერ დაუთმობს სახლის აშენების უფლებას. მოიჯარე ანუ პირი, რომელმაც იჯარით აიღო მიწის ნაკვეთი, იგი სხვა პირს ვერ გადასცემს იჯარის უფლებას თუ ამის შესახებ წინასწარ არ შეუთახმდა მეიჯარეს ანუ იჯარით აღებული ნივთის მესაკუთრეს. ეს მოსაზრება ემყარება სამოქალაქო კოდექსის 587-ე მუხლის პირველ ნაწილს, კერძოდ, მოიჯარეს არ აქვს ქვეიჯარის უფლება მეიჯარის თანხმობის გარეშე.

ამრიგად, მოიჯარეს აქვს უფლება, გადასცეს ქვეიჯარით ნივთი, მაგრამ ეს უფლება შეზღუდულია, რადგან მისი გადაცემა მეიჯარის თანხმობაზე არის დამოკიდებული. ასეთი თანხმობის აუცილებლობა იქიდან გამომდინარეობს, რომ მეიჯარეს შეიძლება მომავალ ქვემოიჯარესთან ჰქონდეს კონფლიქტი რაიმე საკითხთან დაკავშირებით ან არ ენდობა მას და ა.შ. ამიტომ, თუ ვინ იქნება „ჩემი“ ნივთის მოიჯარე ანუ ვის სარგებლობაში იქნება იგი, რა თქმა უნდა, ნივთის მესაკუთრისთვის აქვს მნიშვნელობა.

ამიტომაც, თუ ქვეიჯარით გადაცემისას აუცილებელია მეიჯარის თანხმობა, მაშინ ასეთივე თანხმობა აუცილებელი იქნება მოიჯარის მხრიდან იჯარის უფლების გასხვისებისას.

მეორე მაგალითი: სხვა პარტნიორებთან ერთად შპს „მშენებელმა“ დააფუძნა ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. შპს „მშენებლის“ წილი საწესდებო კაპიტალში არის 30%. მას აქვს უფლება, თავისი წილის ნაწილი გაასხვისოს, მაგრამ ეს უფლება მეწარმეთა შესახებ კანონის 46.5 მუხლის თანახმად, შეზღუდულია, კერძოდ, წილის ნაწილობრივი გასხვისება შესაძლოა მხოლოდ საზოგადოების ნებართვით.

როგორც ზემოთ გაკეთებული ანალიზი გვიჩვენებს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას აქვს საკუთარი ქონება, რომელიც გამოიხატება მოძრავ და უძრავ ნივთებში და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეში – უფლებებში და მოთხოვნებში.

სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, საკუთრება მოიცავს სამ მნიშვნელოვან ელემენტს: მფლობელობას, სარგებლობასა და განკარგვას. ამრიგად, შპს იმ შემთხვევაში იქნება მესაკუთრე, თუ მას შეუძლია გამოიყენოს სამივე ელემენტი, განსაკუთრებით კი განკარგვის უფლება.

თუ შპს-ს იჯარით აქვს აღებული ნივთი, დაქირავებული აქვს ან კიდევ ათხოვეს რაიმე ნივთი, მას არა აქვს უფლება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, რომ ეს ნივთი გაასხვისოს. გასხვისებაში იგულისხმება ნივთის სხვის საკუთრებაში გადაცემა. სხვის საკუთრებაში გადაცემა კი ხდება გაყიდვით, გაჩუქებით, გაცვლით და ა.შ.

იმის კითხვა, როგორ გავიგოთ რა ქონება აქვს შპს-ს საკუთრებაში?
ამის გაგება შეიძლება მისი ბალანსის და საჯარო რეესტრის შემოწმებით.

არ შეიძლება, შპს-ს საჯარო რეესტრში ქონდეს რეგისტრირებული უძრავი ნივთი და არ ქონდეს გატარებული, დაფიქსირებული ბალანსზე, მაგრამ შეიძლება ბალანსზე ქონდეს დაფიქსირებული, მაგრამ არ ქონდეს რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. იქ ისევე სხვის სახელზე იყოს რეგისტრირებული უძრავი ნივთი. ასეთ შემთხვევაში რა თქმა უნდა, უძრავი ნივთი სამოქალაქო კოდექსის 183.1 მუხლიდან გამომდინარე, არ ჩაითვლება შპს-ს საკუთრებად.

რა მნიშვნელობა აქვს იმის გაგებას და დაზუსტებას, თუ რა ქონების მესაკუთრეა შპს?

ამ საკითხის გარკვევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება კრედიტორებისთვის, რადგანაც მათ ზიანის ანაზღაურების მიზნით შეუძლიათ მოითხოვონ შპს-ის იმ ქონების გაყიდვა, რომლის მესაკუთრეც იგი არის. თუკი კრედიტორები შეცდომით გაყიდვიან იმ ნივთს, რომლის მესაკუთრეც არ იყო მათი მოვალე – შპს, მაშინ ისინი სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის თანახმად, ვალდებული არიან, დაუბრუნონ ნივთი უფლებამოსილ პირს. მაგალითად, შპს-ს იჯარით ჰქონდა მიწის ნაკვეთი აღებული ანდა გასესხებული თანხა მსესხებლის გირაოთი იყო უზრუნველყოფილი – არც ერთი ნივთი შპს-ის საკუთრებას არ წარმოადგენს და ამდენად, შპს-ის კრედიტორები ასეთ ნივთებს ვერ მიიღებენ საკუთრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამავე კოდექსის 172-ე

მუხლის თანახმად: „მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება“. მაგრამ კრედიტორებს შეუძლიათ საკუთრებაში მიიღონ იჯარაზე ან გირავნობაზე უფლება, ანუ გახდებიან მოიჯარენი ან მოგირავნენი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ზოგჯერ შპს-ს საკუთრებას ქონების მხოლოდ ბალანსზე დაფიქსირება არ წარმოშობს, რამდენადაც ბალანსში აისახება არამარტო შპს-ის საკუთრებაში არსებული ქონება, არამედ ნებისმიერი სხვა ქონება, რომელსაც იგი კანონიერად ფლობს.

კრედიტორმა ან სასამართლომაც უნდა გაითვალისწინოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მოთხოვნა, კერძოდ, „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში..“

ამავე კოდექსის 311-ე მუხლით, „... რეესტრში შეიტანება უძრავ ნივთებზე საკუთრების და სხვა სანივთო უფლებები.“

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლებმა (პარტნიორებმა) უნდა გაითვალისწინონ ის მომენტი, რომ მათ, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა პირს, მათ შორის სახელმწიფო ორგანიზაციასაც, არ აქვს უფლება, შექმნას შპს იურიდიული პირის გარეშე, ამასთან, შპს აუცილებლად უნდა იყოს რაიმე ქონების მესაკუთრე. საწესდებო კაპიტალში არსებული შენატანიც კი უკვე შპს-ის საკუთრებას წარმოადგენს, რა თქმა უნდა, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლისა და სატრანსპორტო საშუალებებზე საკუთრების უფლების გადაცემის წესების გათვალისწინებით.

3. ორგანიზებული წარმონაქმნი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ორგანიზებული წარმონაქმნი“ შპს-ის, როგორც იურიდიული პირის დამახასიათებელ ერთ-ერთი აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს.

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ცნება „ორგანიზებული წარმონაქმნი“ ზოგადია ყველა კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის.

დასახელებული ნიშანი, თავის მხრივ, რამდენიმე ელემენტს მოცავს, რომელთა ერთობლიობა ანიჭებს წარმონაქმს ორგანიზებულობის ხასიათს.

როგორია ეს ელემენტები?

პირველი – ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

ორგანიზებული წარმონაქმნი საქართველოში არსებულ, დაკანონებულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში უნდა თავსდებოდეს. მაგალითად, ვერ შევქმნით დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დღეს რუსეთში მოქმედებს, რადგანაც იგი ჩვენი კანონით არ არის გათვალისწინებული.

ჩვენს შემთხვევაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება უკვე არის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

მეორე – ორგანიზებული წარმონაქმნის მართვის შიდა სტრუქტურა.

როდესაც პირი დააფუძნებს საზოგადოებას ქართული კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, მან იმაზეც უნდა იზრუნოს, რომ ამ წარმონაქმნმა იმუშაოს, იმოქმედოს. ამისათვის კი მას სჭირდება მართვის ორგანოები. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან დაკავშირებით მართვის ორი ძირითადი ორგანო ფუნქციონირებს, ეს არის მართვის უმაღლესი ორგანო – პარტნიორთა კრება და აღმასრულებელი ორგანო – დირექტორატი - დირექტორი.

გარდა მართვის ორგანოებისა, შპს-ს შეიძლება ჰყავდეს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სავალდებულოც არის რომ ჰყავდეს, სამეთვალყურეო საბჭო.

შპს-ის მართვის შიდა სტრუქტურასთან დაკავშირებულია ბუღალტერიაც, რომელიც, როგორც ყოველთვის, დღესაც იურიდიული პირის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს.

მესამე – ორგანიზებული წარმონაქმნის რეგისტრაცია.

როდესაც ვამბობთ, რომ იურიდიული პირი ორგანიზებული წარმონაქმნია, ავტომატურად ვგულისხმობთ ამ წარმონაქმნის სპეციალურ სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციას.

ჩვენს შემთხვევაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, წარმოიშობა მხოლოდ სასამართლოში რეგისტრაციის შემდეგ. ამიტომაც არის რომ, თუ კერძო სამართლის ორგანიზებული წარმონაქმნი შესაბამის სახელმწიფო რეესტრში არ გატარდება, ის იურიდიული პირის სახით ვერ იარსებებს, ვერ მოიპოვებს იურიდიული პირის სტატუსს.

იმისათვის, რომ ორგანიზებული წარმონაქმნი შეიქმნას როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და მის მიმართ გამოყე-

ნებული იქნეს მეწარმეთა შესახებ კანონის ნორმები, იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სამეწარმეო რეესტრში უნდა გატარდეს რეგისტრაციაში. ამას მოითხოვს მეწარმეთა შესახებ კანონის 2.5 მუხლი: „... საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან“.

ამავე კანონის 4.1 მუხლის თანახმად კი, საწარმოს რეგისტრაციას (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი) ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით.

4. თავისი ქონებით დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა

როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირს, სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლიდან გამოძღინარე აქვს საკუთარი ქონება. რადგანაც შპს-ს აქვს საკუთარი ქონება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მისი ქონება გამოცალკევებულია ყველა სხვა პირის ქონებისგან, მათ შორის მისი დამფუძნებლების ქონებისგანაც. რაზან შპს ქონების მესაკუთრეა, იგი მხოლოდ საკუთარი ქონებით აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე.

შპს-ის, როგორც იურიდიული პირის ეს თვისება, კერძოდ, რომ საკუთარი ქონებით აგოს პასუხი, არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლით არის განმტკიცებული, არამედ აგრეთვე მეწარმეთა შესახებ კანონის 44-ე მუხლითაც, რომლის თანახმადაც, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე, გარდა 3.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

აქვე მოკლედ ვიტყვი, რომ 3.4 მუხლი ძირითადად ითვალისწინებს შემდეგს: შპს-ის პარტნიორი შესატანის საბოლოო შეტანამდე, საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მის მიერ შეუტანელი შესატანის ოდენობითაც.

იმის კითხვა, როგორ მოიქცეს კრედიტორი, თუკი საზოგადოების ქონება არ არის საკმარისი მისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად?

მაგალითად, შპს „წიგნმა“ აიღო სესხი 30 000 ლარის ოდენობით. საზოგადოების, ანუ მსესხებლის ქონება, საწესდებო კაპიტალის ჩართვით, შეადგენდა 25 000 ლარს. კრედიტორმა ვერ დაიბრუნა საზოგადოებისგან სესხი, ამიტომ სასამართლოს მეშვეობით მან მიიღო საზოგადოების ქონების გაყიდვით მხოლოდ 25 000 ლარი.

კრედიტორი იზარალებს 5 000 ლარს. მას არა აქვს უფლება, საზოგადოების დამფუძნებლებს პირადი ქონებიდან მოსთხოვოს 5000 ლარის ანაზღაურება. ამის შესახებ პირდაპირ უთითებს ამავე კანონის 44-ე მუხლი, კერძოდ, საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე.

ამრიგად, სანამ კრედიტორი სესხს გასცემდეს, მანამ მან უნდა შეამოწმოს მოვალის ქონებრივი მდგომარეობა. ეს შეიძლება გაკეთდეს სასამართლოში საწესდებო კაპიტალის შემოწმებით და მოვალესთან შეთანხმებით იმის შესახებ, რომ მისგან მიიღოს მისი ქონებრივი მდგომარეობის აღმნიშვნელი რაიმე დოკუმენტი.

5. საკუთარი სახელით უფლება-მოვალეობების შექმნა, გარიგებების დადება და სასამართლოში გამოსვლა მოსარჩელედ და მოპასუხედ

იურიდიულ პირს, ანუ ჩვენს შემთხვევაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, აქვს საკუთარი სახელი, რომლის მეშვეობითაც იგი იძენს უფლებებს და კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს (ხელშეკრულებებს) და ა.შ.

ეს ნიშანთვისება იმაზეც მიუთითებს, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის არ არის საკმარისი, ქონდეს მხოლოდ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

საკუთარი სახელი – ეს არის ორგანიზებული წარმონაქმნის ინდივიდუალიზება, რის წყალობითაც იგი გამოიყოფა სხვა იურიდიული პირებისგან. ეს იმდენად მნიშვნელოვანი ნიშანია, რომ სასამართლო ან იუსტიციის სამინისტრო ორგანიზებულ წარმონაქმნს, თუკი მას უნდა, რომ ჰქონდეს იურიდიული პირის სტატუსი, სახელის გარეშე რეესტრში არ გაატარებს.

საკუთარი სახელის არსებობის მნიშვნელობაზე მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, მსგავსი სახელის მქონე იურიდიული პირი გაატაროს რეესტრში თუ მათ ერთნაირი ორგანიზაციული ფორმაც აქვთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთნაირი სახელის არსებობა ძალიან დიდ გაუგებრობას გამოიწვევს სავაჭრო თუ სამოქალაქო ურთიერთობებში. მაგალითად, არ შეიძლება იყოს ორი ან მეტი შპს, რომელთა სახელიც იქნება, დაეუშვათ „თბილისი“.

სახელმწიფო რეესტრში ერთნაირი სახელის მქონე იურიდიული პირის გატარების აკრძალვას კანონი არ შეიცავს, მაგრამ იგი გამომდინარეობს მეწარმეთა შესახებ კანონის 6.7 მუხლიდან, კერძოდ, საფირმო სახელწოდებას დაერთება დამატებები, თუ ეს საჭიროა სხვა ფირმებისგან განსასხვავებლად.

ამიტომ დამფუძნებლებმა, სანამ სახელს დაარქმევდნენ მათ მიერ დაფუძნებულ ორგანიზებულ წარმონაქმნს, რომელიც ჯერ კიდევ რეესტრაციამდე არ გატარებულა და ამდენად, არ მიუღია იურიდიული პირის სტატუსი, უნდა გაარკვიონ, არსებობს თუ არა მსგავსი სახელის მქონე იურიდიული პირი. ამის გარკვევა მათ შეუძლიათ როგორც სასამართლოში, ასევე სტატისტიკის დეპარტამენტშიც.

უფრო დაწვრილებით, აღნიშნულ საკითხზე ანუ საფირმო სახელზე, ცალკე, სპეციალურ პარაგრაფში გვექნება საუბარი (თავი 1. §3).

შპს-ს უფლება აქვს, დადოს გარიგებებიც. აქ ძირითადად მოიაზრება როგორც ცალმხრივი გარიგებები, მაგალითად, საზოგადოების სახელით განცხადების დაწერა (როგორც ცალმხრივი ნების გამოვლენა), ასევე ორმხრივი გარიგებები – ხელშეკრულებები, მაგალითად, ნასყიდობის, ქირავნობის, ლიზინგის ხელშეკრულება და მრავალმხრივი გარიგებებიც, მაგალითად, ახალი საზოგადოების დაფუძნების დროს, სხვა დამფუძნებლებთან ერთად წესდებაზე ხელის მოწერა ანუ იურიდიული პირის დაფუძნება რამდენიმე პარტნიორთან ერთად.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც დამოუკიდებელი არსება (პირი), სარგებლობს იმ უფლებებითაც, რომ დაიცვას საკუთარი ინტერესები სასამართლოში და არა მხოლოდ სასამართლოში, არამედ აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებშიც.

ამ მიზნით იგი განცხადებაში ან სარჩელში ყოველთვის უთითებს თავის ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას, სახელსა და მისამართს.

ისმის კითხვა: ვინ ლაპარაკობს საზოგადოების სახელით?

შპს-ს სახელით ძირითადად მოქმედებს მისი დირექტორი. სიტყვას „ძირითადად“ იმიტომ ვიყენებ, რომ კანონით გათვალისწინებულ გამო-
ნაკლის შემთხვევაში მისი სახელით შეიძლება გამოვიდეს სამეთვალყურეო
საბჭოც ან სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა პირი.
მაგალითად, მეწარმეთა შესახებ კანონის 48-ე მუხლი, რომელიც ეხება
შპს-ის რეგულირებას, გარკვეულ შემთხვევაში ითვალისწინებს სამეთვალ-
ყურეო საბჭოს შექმნასაც. თუ შპს-ში შეიქმნება სამეთვალყურეო
საბჭო, მაშინ მის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ამავე კანონის
55-ე მუხლი ანუ ნორმები რაც დადგენილია სააქციო საზოგადოების
სამეთვალყურეო საბჭოსათვის და არა კოოპერატივის სამეთვალყურეო
საბჭოსათვის. ამის შესასახებ პირდაპირ მიუთითებს დასახელებული
48-ე მუხლის ბოლო წინადადება. კანონის 55.8 მუხლის „ზ“ პუნქტის
თანახმად კი, სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, დირექტორებთან
გარიგებების შესრულებისას წარმოადგინოს საზოგადოება; აგრეთვე
საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების სახელით მათ წი-
ნააღმდეგ (იგულისხმება დირექტორი) წარმართოს სამართლებრივი
დავა.

შპს-ს შეიძლება ჰყავდეს პროკურისტიც, რომელსაც შეუძლია ასევე
იმოქმედოს საზოგადოების სახელით პროკურის ფარგლებში.

შპს შეიძლება იყოს მოსარჩელე, შეიძლება იყოს მოპასუხეც. თუკი
ეს საზოგადოება ვინმეს წინაშე რაიმე ვალდებულებას არ შეასრულებს,
სარჩელს აღძრავენ არა მისი დამფუძნებლების წინააღმდეგ, არამედ
უშუალოდ საზოგადოების წინააღმდეგ, რადგანაც იგი არის იურიდიული
პირი. ამის შესახებ მითითებულია, აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო
საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის პირველ ნაწილში, კერძოდ, სასა-
მართლო საქმის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების გან-
ცხადებით. მხარეებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური
და იურიდიული პირები.

რადგანაც მოპასუხეც მხარეს წარმოადგენს, ამიტომ სასამართლოში
მოპასუხედ შეიძლება გამოვიდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის სა-
ზოგადოებაც.

სარჩელში უნდა მიეთითოს მოპასუხის ორგანიზაციულ-სამართლებ-
რივი ფორმა, სახელი და მისამართი: იგულისხმება მხოლოდ ის მისამართი,

რომელიც შპს-ს სამეწარმეო რეესტრში აქვს რეგისტრირებული. აგრეთვე, საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა პირობები.

და ბოლოს, მინდა ავლნიშნო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი რაც დამახასიათებელია შპს-ისთვის, როგორც იურიდიული პირისთვის, კერძოდ, ამ საზოგადოებას, იქიდან გამომდინარე, რომ იგი დამოუკიდებელ არსებად არის მიჩნეული, შეუძლია დაარსოს კერძო სამართლის სხვა იურიდიული პირი, მაგალითად, შპს-ს შეუძლია დააფუძნოს ისევე შპს, სააქციო საზოგადოება ან კომანდიტური საზოგადოება, რომელშიც იგი გამოვა კომანდიტის სტატუსით, აგრეთვე კოოპერატივი, კავშირი და ფონდიც.

§ 2. შპს-ის ფილიალი (წარმომადგენლობა)

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-16 მუხლის 1-ლი წინადადებით საწარმოს შეუძლია დაარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ.

როგორც ვხედავთ, შპს-ს შეუძლია დაარსოს ფილიალი. მართალია, კანონის მე-16 მუხლი არაფერს ამბობს წარმომადგენლობის დაარსების შესახებ, მაგრამ, როდესაც ვლაპარაკობთ ფილიალზე, იქვე ყოველთვის მოვიაზრებთ წარმომადგენლობასაც. მით უმეტეს, რომ სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლი განმარტავს იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) ცნებასაც.

რა არის ფილიალი და რა არის წარმომადგენლობა? არის თუ არა მათ შორის განსხვავება?

სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლიდან გამომდინარე, ფილიალი არის განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფლის გარეთ და სრულად ან ნაწილობრივ ახორციელებს მის ფუნქციებს.

წარმომადგენლობაც იურიდიული პირის ქვედანაყოფია, რომელიც ასევე მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფლის გარეთ და სრულად ან ნაწილობრივ წარმოადგენს მას მესამე პირების წინაშე. /

ამრიგად, განსხვავება თვალში საცემია, კერძოდ, ფილიალი ახორციელებს იურიდიული პირის ფუნქციას, მაგალითად, თუ შპს უშვებს

უალკოჰოლო სასმელს თბილისში, მისი ფილიალი ბათუმშიც უშვებს უალკოჰოლო სასმელს ან ამზადებს სხვაგვარ პროდუქციას. ერთი სიტყვით ფილიალი ქმნის პროდუქტს. ხოლო წარმომადგენლობა, იურიდიული პირის სახელით დებს გარიგებებს მესამე პირების წინაშე და ამის მეშვეობით ყიდის პროდუქციას, რომელიც შეიქმნა უშუალოდ იურიდიული პირის მისამართზე ან მის ფილიალში. არც ფილიალი და არც წარმომადგენლობა არ არის იურიდიული პირი. ამის შესახებ პირდაპირ უთითებს როგორც სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლი, ასევე ამავე კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილი, კერძოდ, ფილიალი (წარმომადგენლობა) არ არის იურიდიული პირი.

ეს ასე იყო ისტორიულად და როგორც ჩანს ასე იქნება მომავალშიც. უნდა ჰქონდეს თუ არა ფილიალს (წარმომადგენლობას) წესდება? თუ ჩვენ გავაანალიზებთ სამოქალაქო კანონმდებლობას, აგრეთვე, საზოგადოების შექმნის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, დავინახავთ, რომ წესდება მხოლოდ იურიდიული პირისთვის არის დამახასიათებელი, ხოლო სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის, მაგალითად, ფილიალისთვის კი დებულება. ამის შესახებ პირდაპირ უთითებს 28-ე მუხლის მე-2 ნაწილიც, კერძოდ, ფილიალი (წარმომადგენლობა) საქმიანობას ეწევა დამფუძნებლის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

როგორ უნდა მოხდეს შპს-ის ფილიალის და წარმომადგენლობის რეგისტრაცია საქართველოში?

შპს-ის დირექტორი ფილიალის შექმნის შესახებ განცხადებით აცნობებს იმ სასამართლოს, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა შპს. ეს სასამართლო მეწარმეთა შესახებ კანონის მე-16 მუხლიდან გამომდინარე, რეგისტრაციისათვის საბუთებს უგზავნის იმ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც უნდა შეიქმნას ფილიალი.

კანონი არ უთითებს, თუ რამდენ ხანში უნდა გადაუგზავნოს სასამართლომ მეორე სასამართლოს სარეგისტრაციო საბუთები, მაგრამ

⁶ ზოგჯერ ფილიალის შესახებ ამბობენ სიტყვა „დაფუძნებას“, რაც არასწორი ტერმინია. დაფუძნება უკავშირდება მხოლოდ იურიდიულ პირს, ამიტომაც იყენებენ სიტყვა „დამფუძნებელს“, მაგალითად, შპს დააფუძნეს. სამოქალაქო კანონმდებლობაშიც ფილიალთან დაკავშირებით ვერსად შევხვდებით სიტყვა „დაფუძნებას“, ფილიალის მიმართ იყენებენ ტერმინ „შექმნას“ ან „დაარსებას“.

იგულისხმება გადაგზავნის გონივრული ვადა. მაგალითად, თუ მიიღებს საბუთებს ორშაბათს, უნდა გადაგზავნოს სამშაბათს ან ოთხშაბათს მაინც, მით უმეტეს, რომ ფოსტით გაგზავნაშიც დრო იკარგება. თუ საბუთებს მიიღებს პარასკევს, მაშინ ორშაბათამდე სასამართლო ვერ გააგზავნის.

შეიძლება თუ არა სასამართლოში წარდგენილი ფილიალის სარეგისტრაციო საბუთები თავად შპს-ის წარმომადგენელმა მიიტანოს იმ სასამართლოში, სადაც ფილიალი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში? ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელი უნდა იყოს. ამით ჩვენ სასამართლოსაც დაეხმარებით და დროც შეიძლება მოვიგოთ, ოღონდ, შპს-ის წარმომადგენელმა სასამართლოს კანცელარიაში უნდა დააფიქსიროს მის მიერ საბუთების წაღების და ჩაბარების ფაქტი.

რამდენ ხანში უნდა მოახდინოს ფილიალის რეგისტრაცია სასამართლომ?

არც ამის შესახებ უთითებს მეწარმეთა შესახებ კანონი, მაგრამ გამოყენებული უნდა იქნეს საწარმოს რეგისტრაციის ვადა, კერძოდ, 5 დღე იმ მომენტიდან, როდესაც ფილიალის მარეგისტრირებელმა სასამართლომ მიიღო საბუთები რეგისტრაციისათვის.

ფილიალს შეიძლება ჰყავდეს დირექტორიც, ამიტომ საჭირო იქნება, მისი ხელმოწერის ნიმუშის გაკეთებაც. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, რომელ ნოტარიუსთან გაკეთდება ხელმოწერის ნიმუში. ეს ნიმუში დარჩება ფილიალის მარეგისტრირებელ სასამართლოში.

რა საბუთები უნდა იქნეს წარდგენილი ფილიალის რეგისტრაციისათვის?

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-16 მუხლიდან გამომდინარე, ეს საბუთებია:

- ა) შპს-ის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება ფილიალის შექმნის შესახებ, მაგრამ თუ მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭო, მაშინ დირექტორს დასჭირდება არა პარტნიორთა კრების, არამედ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა; (მეწ. შეს. კანონის 55.9. „ვ“ პუნქტი).
- ბ) ფილიალის საქმიანობის მოკლე აღწერა;
- გ) შპს-ის წესდების ასლი;

- დ) დირექტორის გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე;
- ე) შპს-ის რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობა;
- ვ) ფილიალის დირექტორის ხელმოწერის ნიმუში;
- ზ) შპს-ის დირექტორის ხელმოწერის ნიმუში;⁷

ყველა დოკუმენტი ნოტარიალურად უნდა იყოს გაფორმებული.

ასეთივე წესი გამოიყენება მაშინაც, როდესაც უცხოეთის საწარმო მოისურვებს საქართველოში ფილიალის შექმნას. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის, რომ ზოგ ქვეყანაში შეიძლება არ იყოს საჭირო ხელმოწერის ნიმუშის დატოვება, ამიტომ ხელმოწერის ნიმუშის ასლს ვერ მოვთხოვთ უცხოეთის საწარმოს დირექტორს, მაგრამ საქართველოში არსებული ფილიალის დირექტორის ხელმოწერის ნიმუშის დატოვება კი სასამართლოში სავალდებულოა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საწარმოს ხელმძღვანელი რეგისტრაციისათვის წარადგენს მინდობილობას ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე. ხელმძღვანელობის უფლებამოსილების ფარგლების თაობაზე მითითებული უნდა იყოს ფილიალის დებულებაში ან ზოგადად მაინც, ფილიალის დირექტორთან დადებულ ხელშეკრულებაში. თუ ფილიალის დირექტორი გადააჭარბებს უფლებამოსილების ფარგლებს მაშინ მის მიერ დადებული გარიგებები შეიძლება გახდეს ბათილი. ამიტომ ხელშეკრულების მეორე მხარემ უნდა იცოდეს ფილიალის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ფარგლები.

იქედან გამომდინარე, რომ ფილიალი შპს-ის ქვედანაყოფია, ანუ სტრუქტურული ერთეულია, ფილიალის დირექტორს არ აქვს უფლება, ფილიალის სახელით დააფუძნოს საწარმო ან გაასხვისოს ფილიალის უძრავი ნივთები. აქვე განვიხილავ ერთ პრაქტიკულ მაგალითს, რომელიც ვფიქრობ საინტერესო იქნება მკითხველისთვის.

1996 წელს A-მ მიიყიდა საქონელი B-ს, რომელსაც თანხა – 10000 ლარი, უნდა გადაეხადა 1997 წლის სექტემბერში. B-მ თანხა სექტემბერში ვერ გადაიხადა. 1999 წელს დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის

⁷ ლ. ჭანტურია და თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მესამე გამოცემა, 2003 წ., გვ. 210.

საზოგადოება. B რომელიც იყო კოოპერატივი, ფილიალის სახით შეუერთდა საზოგადოებას.

2001 წელს ფილიალმა 10000 ლარი გადასახადიდან კრედიტორ – A-ს გადაუხადა 3000 ლარი. 2002 წლის მაისში A-მ სარჩელი შეიტანა შპს-ს წინააღმდეგ და მოითხოვა დარჩენილი თანხის გადახდა. სარჩელში მიუთითებდა, რომ ფილიალის მიერ თანხის ნაწილის გადახდა სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ნიშნავდა შპს-ის მხრიდან ვალის აღიარებას.

შპს-ის დირექტორი აღნიშნავდა, რომ მან არაფერი იცოდა ფილიალის მხრიდან თანხის გადახდის თაობაზე, და რომ ფილიალს არ ქონდა უფლება მისი თანხმობის გარეშე გაეცა თანხა.

კითხვა: ქონდა თუ არა უფლება ფილიალს საზოგადოების ხელმძღვანელისთვის შეტყობინებისა და თანხმობის გარეშე გადაეცა თანხა სხვა პირისათვის?

ამ კითხვაზე, რომ პასუხი გავცეთ საჭიროა ჯერ ფილიალის არსი გავარკვიოთ.

სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლიდან გამომდინარე ფილიალი არის იურიდიული პირის, ჩვენს შემთხვევაში შპს-ის ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს ტერიტორიულად სხვა ადგილას. ამდენად, ფილიალი საზოგადოების ქონების ნაწილია, რომელსაც გარკვეული სახის მცირე ავტონომია აქვს, კერძოდ, აქვს ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში, ყავს დირექტორი და ბუღალტერი. მიუხედავად ამისა, ფილიალი არ არის საწარმო, საკორპორაციო სამართლის მიხედვით, ანუ არ არის დამოუკიდებელი სუბიექტი. იგი ტერიტორიულად სხვა ადგილას წარმოადგენს საზოგადოებას. ანუ რასაც მიუთითებს საზოგადოება იმას აკეთებს. ამიტომ თუ ფილიალი საზოგადოების მითითებებს ასრულებს, მისი ერთ-ერთი ქვედანაყოფია, მისი ქონების ნაწილია, მას ემორჩილება, მაშინ რა უფლება აქვს ფილიალს საზოგადოების ქონება მის დაუკითხავად სხვას გადასცეს. მართალია, ფილიალამდე როგორც იურიდიულ პირს, კოოპერატივს ქონდა ვალი, მაგრამ შემდეგ მისი უფლებები და ვალდებულებები გადავიდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, ამიტომ შპს არის პასუხისმგებელი მესამე პირების წინაშე და არა მისი ფილიალი.

ამიტომაც ფილიალს არ ქონდა უფლება გადაეხადა თანხა A-სთვის. თუ ჩვენ უფლებას მივცემთ ფილიალს საზოგადოებისგან თანხმობის გარეშე კრედიტორს გადასცეს ქონება, ამან შეიძლება უმძიმეს დღეში ჩააყენოს საზოგადოება. მაგალითად, თბილისში დაფუძნდა შპს, რომლის საწესდებო კაპიტალი არის მხოლოდ 2000 ლარი. კახეთში შპს შეიძინა ღვინის ქარხანა და მიწის ნაკვეთი. ამ ქონების საფუძველზე მან შექმნა ფილიალი. ფილიალის დირექტორმა შპს-ის გაკოტრების მიზნით კრედიტორთან გააფორმა ისეთი შინაარსის ხელშეკრულება, რომელსაც ვერ შეასრულებდა. ვალდებულების შეუსრულებლობისათვის საზოგადოების ხელმძღვანელების დაუკითხავად მან კრედიტორს გადასცა ქონება – ღვინის ქარხანა და მიწის ნაკვეთი. რა თქმა უნდა შპს აღმოჩნდება უმძიმეს მდგომარეობაში. ამიტომ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარეც ფილიალს არ შეიძლება მივცეთ უფლება საზოგადოების თანხმობის გარეშე კრედიტორს გადასცეს ქონება. ხოლო მის მიერ გადაცემული ქონება, თუ თანხმობა არ არის საზოგადოებიდან, არ უნდა ჩაითვალოს ვალის აღიარებად.

შესაძლებელია რომ ფილიალს დებულებით ან რეორგანიზაციის (გარდაქმნის, მიერთების და ა.შ.) ხელშეკრულებით ქონდეს უფლება გაისტუმროს მის მიერ „გადმოტანილი“ ვალი, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მსგავსი თანხმობა არ ყოფილა.

მე აღარ შეევეხები ხანდაზმულობის ვალის გასვლა არ გასვლის საკითხს, ავლნიშნავ მხოლოდ ერთს, რომ რადგანაც B-ს თანხა უნდა გადაეცა A-სთვის 1997 წლის ოქტომბერში, ამიტომ გამოყენებული უნდა იქნეს ძველი, იმ დროს მოქმედი სამოქალაქო კოდექსიც, რადგანაც, ახალი სამოქალაქო კოდექსის 1507 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე, ამ კოდექსის ნორმები გამოიყენება 1997 წლის 25 ნოემბრიდან წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების მიმართ.

ავლნიშნულიდან გამომდინარე, რადგანაც ოქტომბერში უნდა გადაეცა თანხა, ამიტომ მოთხოვნის უფლება წარმოიშვა ახალი კოდექსის ამოქმედებამდე ანუ 1997 წლის 25 ნოემბრამდე.

ფილიალს არც იმის უფლება აქვს, სათაო საზოგადოებასთან, შპს-სთან დადოს რაიმე სახის სავაჭრო ხელშეკრულება. ფილიალის ქონება შპს-ის ქონებას წარმოადგენს. ამიტომ შპს-ს ყოველთვის შეუძლია

ფილიალიდან რაიმე ნივთი გამოიყენოს ან გაასხვისოს. ფილიალს შეიძლება ქონდეს თავისი ანგარიში ბანკში და ჰყავდეს ბუღალტერი.

ფილიალის დირექტორს ევალება აგრეთვე, შეასრულოს საზოგადოების უმაღლესი ორგანოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებები და დირექტორის მითითებები.

რადგანაც ფილიალი საზოგადოების ქონების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, საზოგადოებას უფლება აქვს თავისი კრედიტორები დააკმაყოფილოს ფილიალის ქონებით.

საერთო კრებას უფლება აქვს სამეურნეო წლის ბოლოს განიხილოს ფილიალის დირექტორის წლიური ანგარიში. ასევე შესაძლებელია, რომ საზოგადოების დირექტორმა თავის წლიურ ანგარიშში მიუთითოს ფილიალის დირექტორის ანგარიშის შესახებაც.

აქვს თუ არა უფლება ფილიალის დირექტორს საზოგადოებასთან შეთანხმების გარეშე იპოთეკით ან გირაოთი დატვირთოს ფილიალის სარეგებლობაში არსებული ნივთები?

მეწარმეთა შესახებ კანონის 47.3 მუხლის „თ“ პუნქტით სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფისათვის საჭიროა პარტნიორთა კრების თანხმობა. აქედან გამომდინარე, ფილიალის დირექტორსაც ესაჭიროება მათი თანხმობა. ასეთივე წესი მოქმედებს თუ შპს ყავს სამეთვალყურეო საბჭო.

პრაქტიკაში ზოგჯერ სვამენ კითხვას – თუ ფილიალმა არ შეასრულა ხელშეკრულება ან სხვა სახით მიაყენა ზიანი მესამე პირს, სად უნდა იქნეს შეტანილი სარჩელი, ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით არსებულ სასამართლოში თუ საწარმოს – შპს-ის იურიდიული მისამართის მიხედვით არსებულ სასამართლოში?

ეს კითხვა ზოგჯერ უცხოეთის საწარმოსაც უკავშირდება, რომელიც თავად მდებარეობს სხვა ქვეყანაში, ხოლო ფილიალი აქვს საქართველოში. ასეთ შემთხვევაში სარჩელი შეტანილი შეიძლება იქნეს ფილიალის იურიდიული მისამართის მიხედვით არსებულ სასამართლოში, რადგანაც ფილიალი ეს არის საწარმოს ნაწილი. მაგრამ ვფიქრობ, რომ სარჩელის ასლი უნდა გაეგზავნოს საწარმოს ხელმძღვანელს.

უნდა ითარგმნოს თუ არა სარჩელი მოპასუხის ენაზე?

სარჩელსა და თანდართულ დოკუმენტებს უნდა დაერთოს თარგმანი იმ ენაზე, რომელ ქვეყანაშიც მოპასუხეს ეგზავნება სარჩელი. აღნიშნული

დასკვნა კეთდება კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მე-10 მუხლის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე. დასახელებული მუხლებით, პირს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა დაენიშნება თარჯიმანი. ამ წესის მიზანია, მხარემ მიიღოს და გადასცეს ინფორმაცია იმ ენაზე, რა ენასაც იგი ფლობს. აქედან გამომდინარე, მოპასუხებამც უნდა მიიღოს ინფორმაცია (სარჩელი და თანდართული დოკუმენტები) იმ ენაზე, რომელიც მან იცის.

დოკუმენტის თარგმნას ითვალისწინებს აგრეთვე 1954 წლის 1 მარტის ჰააგის კონვენციაც სამოქალაქო საპროცესო საკითხებთან დაკავშირებით.

შეუძლია თუ არა ფილიალმა გახსნას თავისი ანგარიში?

ამ კითხვაზე პასუხს ვეძღვეს 2004 წლის 17 მარტის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №51 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საქართველოს საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი: ფილიალებს ანგარიში გაეხსნებათ სათაო საწარმოს შუამდგომლობით.

რა საბუთები უნდა წარადგინოს ფილიალმა ანგარიშის გასახსნელად?

ამავე ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით, ფილიალი ანგარიშის გასახსნელად ბანკში წარადგენს:

- ა) სათაო საწარმოს განცხადებას ანგარიშის გახსნის თაობაზე;
- ბ) ფილიალის ხელმძღვანელის ხელწერის ნიმუშს დამოწმებულს სანოტარო წესით;
- გ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერს სასამართლოდან;
- დ) ფილიალის საქმიანობის მოკლე აღწერას;
- ე) ცნობას საგადასახადო ორგანოდან გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე აყვანის შესახებ.

სათაო საწარმოს უფლება აქვს, შეწყვიტონ შუამდგომლობა ან გააუქმონ ადრე გაცემული ნებართვა და გასცენ ბრძანება ანგარიშის დახურვის შესახებ.

§ 3. შპს-ის საფირმო სახელი

საფირმო სახელი რეგულირდება მეწარმეთა შესახებ კანონის მე-6 მუხლით, კერძოდ, ამ მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საფირმო სახელწოდება ანუ ფირმა, არის სახელი, რომლითაც საქმიანობს საწარმო.

ამრიგად, სახელი სამოქალაქო ურთიერთობებში საწარმოს, ანუ ჩვენს შემთხვევაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინდივიდუალიზების ისეთივე საშუალებაა, როგორც ადამიანისათვის სახელი და გვარი.

იქიდან გამომდინარე, რომ ფირმა ეს არის სახელი, ამიტომ არ შეიძლება „ფირმა“ გავაიგივოთ საზოგადოებასთან, როგორც ეს გამოიყენებოდა 1995 წლამდე, მაგალითად, ხშირად ამბობდნენ, „მე გახსნილი მაქვს ფირმა“ ანდა „ფირმაში ვმუშაობ“, ასევე გაუმართლებელია სიტყვები „ფირმის ეკონომიკა“ და ა.შ. ასეთი ფორმულირება არასწორია და ამასვე აღნიშნავენ ქართველი მეცნიერ იურისტებიც⁸.

როგორი სახელი შეიძლება გამოვიყენოთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიმართ?

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს მეწარმეთა შესახებ კანონის 6.5 მუხლი, კერძოდ, „პარტნიორის სახელის გამოყენების შესაძლებლობის გარდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს შეუძლიათ საფირმო სახელწოდება შეარჩიონ მათი საქმიანობის საგნის მიხედვით ან ეს სახელწოდება შეიძლება იყოს ფანტაზიის ნაყოფი“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კანონი სახელის შერჩევის სამ შესაძლებლობას გვაძლევს, კერძოდ:

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შეეკიბლია დავარქვათ დამფუძნებლის – პარტნიორის ან პარტნიორების სახელი, მაგალითად, „ალეკო ბექელაძე“ ანდა „ალეკო ბექელაძე და კომპანია“;

2. სახელი შეიძლება შეირჩეს საქმიანობის საგნის მიხედვით, როგორიც არის „აღვოკატი“, „კახური ღვინო“, „თონის პური“ და ა.შ;

3. საზოგადოების სახელწოდება შეიძლება იყოს ფანტაზიის ნაყოფი, მაგალითად „ცისარტყელა“, „დევი“ და ა.შ.

⁸ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი. 2003 წ., გვ. 98;

დ. მამუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი. 2001 წ.

ამ სამი ვარიანტიდან შეიძლება პარტნიორებმა შეარჩიონ ერთ-ერთი ვარიანტი, მაგრამ არ უნდა დაგეგვიწყდეს ასევე კანონის მოთხოვნა, რომ „... ყველა შემთხვევაში იგი უნდა შეიტყვედეს აღნიშნავს „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ ან „შპს“, რომელიც შეიძლება წერტილებითაც გამოიყოს – შ.პ.ს.“

სახელის საბოლოო სურათი ასეთი იქნება „ცისარტყელა“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ანდა „შპს ცისარტყელა“.

საფირმო სახელწოდების შერჩევასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული როგორც პარტნიორების, ასევე სასამართლოს მიერაც. ეს შეზღუდვები მდგომარეობს შემდეგში:

პირველი – მეწარმეთა შესახებ კანონის 6.6 მუხლის თანახმად, საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ანდა გამოიწვიოს შეცდომა ან გაუგებრობა საწარმოს ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის, ანდა პარტნიორთა ურთიერთობების გამო.

როგორც ვხედავთ, ეს მუხლი რამდენიმე წესზე მიგვითითებს, რომლებიც მკაცრად უნდა იქნეს დაცული, კერძოდ:

წესი პირველი – საფირმო სახელწოდებას არ უნდა დაერთოს ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი.

წესი მეორე – საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შეცდომა ან გაუგებრობა საწარმოს ფორმის თუ საქმიანობის მოცულობის, ანდა პარტნიორთა ურთიერთობების გამო. მაგალითად, არ შეიძლება ასეთი სახელის გამოყენება – „სს თბილისი შპს“. აღნიშნული სახელი რა თქმა უნდა დააბნევს მესამე პირს იმ მხრივ, რომ ვერ გაიგებს, საზოგადოება სააქციო არის თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის.

არ შეიძლება ისეთი სახელის გამოყენება, რომელიც მხოლოდ სპეციალურ ორგანიზაციას უნდა ერქვას, მაგალითად, არ შეიძლება სახელწოდებაში იყოს „ბირჟა“, „სასაქონლო ბირჟა“⁹ ან „საფონდო

⁹ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 102.

ბირჟა“ ანდა „ბანკი“¹⁰ თუ ორგანიზაციები არ ახორციელებენ საბირჟო ან საბანკო საქმიანობას.

არ მიგვაჩნია სწორად ისეთი სახელის გამოყენება, რაც დამახასიათებელია მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, მაგალითად, სახელწოდებაში არ უნდა ჩაერთოს „სამინისტრო“, „მერია“, ნოტარიუსი და ა.შ.

გარდა კანონით ზემოთ აღნიშნული შეზღუდვებისა, დამფუძნებლები უნდა მოერიდნენ ისეთი სახელწოდებების გამოყენებასაც, რაც ქართული და საერთოდ, მსოფლიო კულტურის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს, მაგალითად, არ მიგვაჩნია სწორად სამეწარმეო ორგანიზაციას დავარქვათ „დავით აღმაშენებელი“ ან სხვა რომელიმე მეფის სახელი, ანდა „შოთა რუსთაველი“. ასევე არ შეიძლება სახელწოდებაში ჩართულ იქნეს სიტყვა „ეკლესია“, „მონასტერი“ და ა.შ.

აღნიშნული აკრძალვა გამოძინარეობს არა მხოლოდ მეწარმეთა შესახებ კანონის არსიდან და მიზნიდან, არამედ აგრეთვე ზნეობის ნორმებიდანაც, მით უმეტეს, რომ სამოქალაქო კოდექსი, რომელიც სამოქალაქო ურთიერთობებს არეგულირებს, უთითებს ორ მნიშვნელოვან წესზე, რომელიც ზემოდ დასახელებულ მაგალითებს ესადაგება, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი აღნიშნავს:

„სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.“ ე.ი. ჩვენს შემთხვევაში იგი შეიძლება ასე განვმარტოთ: სახელის დარქმევის უფლება კი გაქვს, მაგრამ სახელი კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზნეობის ნორმას, ანუ არ უნდა გამოიყენო ისეთი სახელი, რომელიც ქართული და საერთოდ, მსოფლიო ცივილიზაციის საკუთრებაა.

სამოქალაქო კოდექსის შემდეგი მუხლიც ფაქტობრივად ამას უთითებს, კერძოდ, 54-ე მუხლში აღნიშნულია: „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.“

იურისტებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ გარიგება ნების გამოვლენაა, რომელიც შეიძლება იყოს ცალმხრივი, ორმხრივი და მრავ-

¹⁰ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 102.

ვალმხრივიც. თუ ერთი პირი აფუძნებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და სახელსაც ის არქმევს, მაშინ ეს ცალმხრივი ნების გამოვლენაა ანუ ცალმხრივი გარიგებაა, ხოლო თუ ორი ან მეტი აფუძნებს შპს-ს და არქმევს სახელს, მაშინ, შესაბამისად, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა იქნება.

ამიტომ, თუ შპს-ისთვის დარქმეული სახელი ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმას იგი უნდა გაბათილდეს, ანუ გაუქმდეს.

დამფუძნებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ არა სახელით, არამედ მათი საქმიანობით, ხარისხით, კეთილსინდისიერებით და ადამიანებთან დამოკიდებულებით იმარჯვებენ კონკურენციაში და იმკვიდრებენ ადგილს ბაზარზე.

სახელთან დაკავშირებით მიიღო ერთ პრაქტიკულ მაგალითსაც შევეხო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დააფუძნა ნინო ბერიძემ. „ბერიძე“ იყო ქმრის გვარი. ნინომ თავის მიერ დაფუძნებულ შპს-ს ასევე უწოდა „შპს ნინო ბერიძე“. გარკვეული დროის შემდეგ ნინო ბერიძე ქმართან განქორწინდა.

ქმარმა მოითხოვა მისგან შპს-ის სახელწოდებაში გვარის შეცვლა. არადა, შპს „ნინო ბერიძე“ თავისი სახელით უკვე დაიმკვიდრა ადგილი ბაზარზე.

ისმის კითხვა: უნდა შეცვალოს თუ არა ნინო ბერიძემ გვარი შპს-ს სახელწოდებაში?

ამ კითხვაზე რომ პასუხი გავცეთ უნდა გავანალიზოთ მეწარმეთა შესახებ კანონის 6.5 მუხლი, რომელიც უფლებას იძლევა, რომ სახელწოდებაში გამოყენებული იყოს ა) პარტნიორთა სახელი (სახელი კი სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, მოიცავს სახელსაც და გვარსაც). ბ) საქმიანობის საგანი, ანდა გ) ფანტაზიის ნაყოფი.

თუ ნინო ბერიძე, რომელიც პარტნიორია, განქორწინების შემდეგ უარს იტყვის ქმრის გვარის დატოვებაზე და დაუბრუნდება ქორწინებამდე გვარს, მაგალითად, გაგუას, მაშინ მას შეუძლია დაეყრდნოს უფლებას – ისარგებლოს გამოგონილი სახელით ან ფსევდონიმით. აღნიშნული უფლება არ უკავშირდება „პარტნიორთა სახელს“, რადგანაც მასში მოიაზრება მხოლოდ სამოქალაქო სახელი, ე.ი. სახელი, რომელსაც იგი იყენებს ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმოწერისას პირადობის მოწმობის მიხედვით.

აღნიშნული უფლება შეიძლება ასევე დაუკავშირდეს „ფანტაზიის ნაყოფსაც“, რომელშიც შეიძლება მოვიაზროთ მოგონილი სახელიც და ამიტომ მას შეუძლია დაიტოვოს სახელი „ნინო ბერიძე“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ანალოგიურადაა გადაწყვეტილი ეს საკითხი ფრანგულ სამართალშიც¹¹.

ახლა დაუვშვათ, რომ ერთ-ერთმა პარტნიორმა შეიცვალა სახელი, რომელიც დაფიქსირებული იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდებაში, მაგალითად, „გიორგი აბულაძე და კომპანია შპს“. გიორგი აბულაძემ შეიცვალა გვარი და გახდა ჩხეიძე, უნდა შეიცვალოს თუ არა შპს-ის სახელწოდებაშიც გვარი?

ჩვენი კანონმდებლობა ამ საკითხს არ აწესრიგებს.

თუ ავიღებთ ჩვენს კანონთან დაახლოებულ გერმანულ სამართალს მისი სავაჭრო დებულების 21-ე მუხლით, „თუ ფიზიკური პირის შეცვლის გარეშე იცვლება იმ მფლობელის სახელი ან მონაწილის სახელი, რომელიც ასახულია ფირმაში, ძველი სახელი შეიძლება იქნეს გამოყენებული.“

ამრიგად, შპს-ის სახელწოდება და დამფუძნებლის სამოქალაქო სახელი განსხვავებული მოვლენებია. სახელი კონკურენტ საწარმოებს შორის გამოყოფის, ინდივიდუალიზების საშუალებაა, მისი მიზანი არ არის მისი დამფუძნებლის სახელის ჩვენება, თუ ეს თავად დამფუძნებელს არ სურს, ამიტომაც, ვფიქრობ, რომ მსგავსად გერმანული წესისა, თავისუფლად შეიძლება ჩვენთანაც ძველი სახელით იმუშაოს შპს-მ ანუ ჩვენს მაგალითში შეიძლება, რომ შპს-ის სახელი „გიორგი აბულაძე და კომპანია“ დარჩეს უცვლელად.

ზოგ შემთხვევაში ხდება ისეთი ფაქტიც, რომ დამფუძნებლის ან დამფუძნებლების სურვილი დაარქვან გარკვეული სახელი შპს-ს, ემთხვევა უკვე სხვის მიერ დაფუძნებული და მოქმედი შპს-ის სახელს. მაგალითად, დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს შპს-ს დაარქვან მათი საყვარელი ქალაქის – ქუთაისის სახელი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთი სახელით უკვე მოქმედებს შპს, ამიტომ დამფუძნებლებს მაშინვე უნდებოდათ კითხვა – შეიძლება თუ არა, რომ მათ დაარქვან შპს-ს სახელად „ქუთაისი“?

¹¹ С. Жамен, Л. Лакур, Торговое право. М. 1993. ст. 43-45.

საქმე ისაა, რომ, გარდა კანონით აკრძალვისა, კეთილსინდისიერი კონკურენციის ინტერესებიდან გამომდინარე თავად არ უნდა იყვნენ დაინტერესებული სხვა მსგავსი საზოგადოების სახელწოდება გამოიყენონ. მაგალითად, უკვე არსებული შპს „ქუთაისი“ ბაზარზე მომხმარებლისთვის ცნობილი საზოგადოება გახდა და შეიძლება იგივე სახელის მქონე ახლად შექმნილმა შპს „ქუთაისმა“ არაკეთილსინდისიერი კონკურენცია გაუწიოს უკვე არსებულ შპს „ქუთაისს“, გარდა ამისა, შეიძლება თავად დაიმკვიდროს ადგილი ბაზარზე, მაშინ კი უკვე იმავე სახელის მქონე ადრე არსებული საზოგადოება მათთვის გახდება ხელისშემშლელი.

ალბათ ამ კეთილსინდისიერების პრინციპსაც ითვალისწინებდა კანონმდებელი, როდესაც მეწარმეთა შესახებ კანონის 6.7 მუხლში აღნიშნა „საფირმო სახელწოდებას დაერთება დამატებები, თუ ეს საჭიროა სხვა ფირმებისგან განსასხვავებლად“.

ამდენად, დამფუძნებლებმა სახელის დარქმევაზე ჯერ უნდა გააკვირონ სასამართლოში ან სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაც თავს იყრის ყველა რეგისტრირებული საზოგადოებების მონაცემები, ზომ არ არსებობს უკვე იმ სახელის მქონე საზოგადოება, რომლის დარქმევასაც ისინი აპირებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტნიორებმა უნდა იცოდნენ, რომ მსგავსი სახელის დარქმევა ნიშნავს კანონის 5.3 მუხლით გათვალისწინებულ „არასწორი მონაცემების“ წარდგენას, რომელიც, თუ საზოგადოებას ზარალი მიადგა, იწვევს პარტნიორების ან ღირექტორის მხრიდან სოლიდარულ პასუხისმგებლობას, ანუ ვალდებული არიან, ზარალი აუნაზღაურონ საზოგადოებას.

გარდა ამისა, უკვე მოქმედ საზოგადოებას შეუძლია, მატერიალური და მორალური ზიანი მოსთხოვოს იმ საზოგადოებას, რომელიც მის სახელს იყენებს და ამით მისი ნაწარმის ღირებულებას ბაზარზე ამცირებს ან სახელს უტეხს.

ამიტომაც, თუ დამფუძნებლები შეიტყობენ, რომ უკვე არსებობს მსგავსი სახელი „ქუთაისი“, მათ შეუძლიათ, უკანასკნელ შემთხვევაში, ამ სახელს გაუკეთონ დამატება და ისე გამოიყენონ, მაგალითად, დაარქვან „ქუთაისი 2005“.

მეწარმეთა შესახებ კანონის 6.8 მუხლი ერთ საინტერესო წესს შეიცავს: „საწარმოს შემქმნის შეუძლია გამოიყენოს ადრინდელი საფირმო სახელწოდება სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების

დართვით ან უამისოდ, თუკი ადრინდელი მფლობელი, მისი მემკვიდრე ან საზოგადოების კანონიერი წარმომადგენლები თანახმანი არიან.“

საერთოდ ეს მუხლი ძირითადად საინტერესოა ინდივიდუალური მემკვიდრისათვის, სოლიდალური პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის და კომანდიტური საზოგადოებისათვის, მაგრამ ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს იგი სხვა ფორმის საზოგადოებების მიმართაც, მათ შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიმართაც.

რით არის საინტერესო ეს მუხლი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის?

როგორც ზემოთ დასახელებული 6.5 მუხლიდან ირკვევა, შპს-ის სახელი შეიძლება იყოს პარტნიორთა სახელი, საქმიანობის საგანი, ანდა ფანტაზიის ნაყოფი.

თუ სახელად გამოყენებულია პარტნიორთა სახელი, ამ საზოგადოების სხვისთვის გადაცემის, ანუ მასში სხვა პარტნიორების შემოსვლის შემდეგ ძველი პარტნიორების სახელი შეიძლება დარჩეს, თუ ამაზე თანხმობას განაცხადებენ ის ყოფილი პარტნიორები, რომელთა სახელებიც საზოგადოების სახელად იყო გამოყენებული. მაგალითად, შპს დააფუძნეს ცნობილმა იურისტებმა და დაარქვეს თავიანთი სახელები „შპს ბახტაძე და კილასონია—ადვოკატები“. ამ საზოგადოების პარტნიორები მომავალში შეიცვალნენ, კერძოდ, ამ საზოგადოების პარტნიორები გახდნენ ნაკლებად ცნობილი იურისტები. თუკი ბახტაძე და კილასონია თანახმანი იქნებიან, ახლად შემოსულ პარტნიორებს შეუძლიათ იმუშაონ ძველი სახელწოდების მქონე საზოგადოებაში. თუმცა აქვე ისმის კითხვა, ზომ არ იქნება მცდელობა, სახელის გამოყენებით, მოტყუებით მოიზიდონ ის კლიენტები, რომლებსაც უნდათ ბახტაძისგან და კილასონიისგან მიიღონ იურიდიული დახმარება?

ვფიქრობ, რომ არა, რადგანაც პარტნიორს შეუძლია ნებისმიერი გვარი გამოიყენოს სახელად, რომელიც შეიძლება დაემთხვეს ან არ დაემთხვეს ცნობილი პიროვნების გვარს. მაგრამ, თუ სახელი და გვარი გამოიყენა, რომელიც ემთხვევა იმ სფეროში მომუშავე სახელსა და გვარს, მაშინ საზოგადოებამ შეიძლება განაცხადოს, რომ გვარი და სახელი მათ მიერ არის შექმნილი და არავითარი კავშირი არ აქვს იმ დარგში მომუშავე ცნობილ პირთან.

გარდა ამისა ცხოვრებაშიც არის შემთხვევები, როდესაც რამდენიმე პირს ერთნაირი სახელი და გვარი აქვთ, რომელთაგანაც ერთს მოსახლეობა იცნობს, ხოლო მეორეს არა. ამასთან, კონკრეტულ შემთხვევაში ასეთ საზოგადოებასთან დადებული გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, როგორც შეცდომით დადებული გარიგება.

✓ § 4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც მეწარმე სუბიექტი

„მეწარმეთა შესახებ“ კანონმა, განსხვავებით მანამდე არსებული 1991 წლის ოქტომბრის კანონისგან „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“, შეცვალა არა მხოლოდ მთელი რიგი წესები და პრინციპები არამედ, აგრეთვე დაამკვიდრა მეწარმის სრულიად განსხვავებული ცნებაც. რაში ვლინდება ეს სხვაობა? ეს სხვაობა ჩანს ამავე კანონის შესაბამისი მუხლებიდან, კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ კანონის მე-2 მუხლის თანახმად: „მეწარმე შეიძლება იყოს: საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი და უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც დამოუკიდებლად წარმართავს თავის სამეურნეო საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით“.

როგორც ვხედავთ, ძველი კანონი მეწარმედ თვლიდა ფიზიკურ პირს და არა სამეწარმეო ორგანიზაციას, მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც ამავე კანონის მე-11 მუხლით, ერთ-ერთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენდა.

დასახელებული კანონი გადატვირთული იყო მეწარმის უფლებამოვალეობებით, საქმიანობის შეზღუდვებით, პასუხისმგებლობით და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ნაკლისა, იგი იყო პირველი კანონი, რომელმაც ახლად შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოში, სახელმწიფოებრივი გეგმური მეურნეობიდან გადმოსულ ადამიანებს შეუქმნა ვაჭრობის და წარმოების თავისუფლად განვითარების იურიდიული საფუძვლები.

როგორც აღრე აღვნიშნე, 1995 წლის 1 მარტიდან ძალაში შევიდა სრულიად განსხვავებული წესების, პრინციპებისა და ცნებათა განსა-

ზღვრების მქონე ახალი კანონი, რომელმაც გაითვალისწინა როგორც კონტინენტური ევროპის ქვეყნებში დამკვიდრებული ნორმები, ასევე ქართველი და უცხოელი წამყვანი სპეციალისტების შეხედულებებიც. ყოველივე ამის ფონზე საქართველოში დამკვიდრდა “მეწარმის” განსხვავებული განსაზღვრება, კერძოდ, მეწარმედ საქართველოში მიჩნეულია მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი ფორმის მქონე ორგანიზებული საზოგადოება.

ასეთ მითითებას კანონი პირდაპირ არ შეიცავს, მაგრამ კანონის მთელი რიგი ნორმების ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ ასეთი დასკვნა. მეტი თვალსაჩინოებისათვის მიზანშეწონილია მოკლედ გაეანალიზოთ მეწარმეთა შესახებ კანონის ზოგიერთი ნორმა.

ამ კანონის 1.1 მუხლის პირველივე წინადადება აღნიშნავს: ეს კანონი აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს.

დასახელებული წესი გვეუბნება, რომ სამეწარმეო საქმიანობას ჰყავს მონაწილე, ანუ სუბიექტი, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს, ანუ მოეწყოს კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციული ფორმით.

ამრიგად, მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით მოწყობილი წარმონაქმნი მიიღებს სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობას.

რა ითვლება სამეწარმეო საქმიანობად?

დასახელებული მუხლის მეორე წინადადება განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის არსს, კერძოდ, „სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლ-ზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ზორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად“.

ამავე კანონის 2.1 მუხლი მიუთითებს სამართლებრივად თუ როგორ უნდა იქნეს ორგანიზებული ის პირი, რომელიც განახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, კერძოდ, „საწარმოთა ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმებია: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდალური პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) ან კოოპერატივი“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობს კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმით

მოწყობილი წარმონაქმნი – საწარმო (მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება). რადგანაც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს ორგანიზაციული ფორმით მოწყობილი საზოგადოება (ჩვენს შემთხვევაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება), ამიტომაც იგი უნდა მივიჩნიოთ მეწარმედ.

მეწარმეები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: იურიდიულ პირებად და არაიურიდიულ პირად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი. მეორე ჯგუფს კი მიეკუთვნება მხოლოდ ინდივიდუალური საწარმო.

ა) საწარმოს იურიდიული ბუნება მეწარმეთა შესახებ კანონთან მიმართებაში

თუ გავანალიზებთ 2.1 მუხლს, დაინახავთ, რომ ტერმინები „საწარმო“ და „მეწარმე“ – თითქმის ერთი და იგივე შინაარსს მოიცავს, მაგალითად, კანონის 2.1 მუხლი იწყება ასე: საწარმოთა ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმებია. . . ამრიგად, საწარმოში მოიაზრება ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმები, როგორც არის ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და ა.შ.

აქედან გამომდინარე, სამართლის სუბიექტია მეწარმე, რომელშიც საკორპორაციო სამართალი მოიაზრებს ასევე საწარმოსაც.

ის, რომ საწარმო სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტია, გამომდინარეობს აგრეთვე კანონის 2.5 მუხლიდან, რომლის თანახმად, „საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა. საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.“

ამ მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, თუ საწარმო გატარდება რეგისტრაციაში, იგი ხდება ამ კანონით დადგენილ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი. ასევე, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გატარდება რეგისტრაციაში, იგი ხდება ამ კანონით დადგენილ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, ანუ მეწარმე.

ძნელია იმის თქმა, რომ საწარმო და მეწარმე იდენტური ცნებებია, მაგრამ ისინი რომ ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული, ამის უარყოფაც არ შეიძლება.

საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე დგას და რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ის არის, თუ რას ნიშნავს „საწარმო“.

სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდე უნდა აღვნიშნო, რომ საკორპორაციო სამართალში ორგანიზაციული ფორმის მიმართ ძირითადად, როგორც შედარებით უფრო ფართო შინაარსის მქონე, გამოიყენება ტერმინი „საწარმო“.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც იურისტი ან სხვა სპეციალისტი იტყვის, რომ მან დააფუძნა საწარმო, მეორე მხარისთვის უკვე გასაგები ხდება, რომ მან დააფუძნა ერთ-ერთი სამეწარმეო ორგანიზაციული ფორმა. მაგრამ თუ იტყვის, რომ მან დააფუძნა დაწესებულება ან ე.წ. კომერციული ფირმა და ა.შ. უკვე გაუგებარი ხდება, თუ რას გულისხმობს დამფუძნებელი.

ამიტომ საჭიროა, ზუსტად იქნას გამოყენებული ის ტერმინი, რომელსაც კანონი იყენებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იურიდიული ტერმინების აღრევას ექნება ადგილი.

ახლა, უშუალოდ საწარმოს არსის შესახებ.

საერთოდ, ტერმინი „საწარმო“ ფართოდ გამოიყენება არა მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ კანონში, არამედ სხვა კანონებშიც, მაგალითად, საგადასახადო კოდექსში, შრომის სამართალში და ა.შ.

ტერმინი „საწარმო“ მოიცავს იმ ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მქონე საზოგადოებას, რომელიც მონაწილეობს სამეურნეო, სავაჭრო ბრუნვაში. მასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ „საწარმო“ ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური კატეგორია.

საზღვარგარეთის ქვეყნების, ძირითადად კი იმ ქვეყნებში, სადაც რომანულგერმანული სამართლია დამკვიდრებული, აგრეთვე ეკონომიკურ ლიტერატურაში, წამოყენებულია განსხვავებული განსაზღვრებები საწარმოს შესახებ. ზოგი თვლის, რომ ეს არის სამეურნეო საქმიანობის საწყისი, მეორე ნაწილი თვლის, რომ ეს არის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი, მესამე ნაწილი კი თვლის, რომ საწარმო არის ეკონომიკური

ერთიანობა, რომელშიც სამეურნეო საქმიანობისათვის ერთიანდება და კოორდინირდება ადამიანური და მატერიალური ფაქტორები¹² და ა.შ.

გერმანელი მეცნიერი, იურისტი ლ. ენნექტერუსი აღნიშნავდა, რომ საწარმო ეს არის ნივთების, უფლებებისა და ფაქტობრივი ურთიერთობების (შესაძლებლობა, კეთილი ნება) ერთიანობა, რომელიც უფლებათა სუბიექტის (მეწარმის) მეშვეობით დაკავშირებულია ორგანიზაციული ერთიანობით¹³.

საქართველოში კი დამკვიდრდა აზრი, რომელშიც ჩაქსოვილია ყველა ის შეხედულება, რომელიც გავრცელებულია კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, კერძოდ, „საწარმო არის პირთა და ქონების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ერთიანობა. საწარმოს მიეკუთვნება ასევე საწარმოსა და მუშა-მოსამსახურეთა საქმიანობაც. გარდა ამისა მას განეკუთვნება არამატერიალური ფასეულობანი, ფაქტობრივი ურთიერთობანი, საწარმოო საიდუმლოებანი. საწარმოს ცნება მოიცავს ასევე მატერიალურ ფასეულობებსა (მაგალითად, მიწის ნაკვეთები, ძირითადი საშუალებები, ქარხნები, ფაბრიკები, ავტომანქანები, საქონელი, ფული და ა.შ.) და უფლებებს (კერძოდ, მოთხოვნები, პატენტები, სასაქონლო ნიშნები და ა.შ.), აგრეთვე ვალდებულებებს“¹⁴.

კონტინენტური ევროპის იურისტები ცდილობენ გაარკვიონ საწარმო სამართლის სუბიექტია თუ ობიექტი, თუ შეიძლება ერთიც იყოს და მეორეც? ტრადიციული შეხედულებით, საწარმო ეს არის კერძო სამართლის ობიექტი¹⁵. თუმცა ზოგ შემთხვევაში იგი მიჩნეულია აგრეთვე როგორც სუბიექტიც და ეს კარგად ჩანს ჩვენს კანონშიც, კერძოდ, 2.5 მუხლის თანახმად, „საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან“. ამრიგად, ჩვენმა კანონმა იგი აღიარა სუბიექტადაც. ევროპაში გავრცელებული აზრის საფუძველზე, საწარმო ვალდებულია, აწარმოოს დამოუკიდებელი ბუღალტრული აღრიცხვა, რომელშიც აისახება მისი ქონების მდგომარეობა და საწარმოს

¹² H. Truchy – Cours d'economie politique – 1934. T.1 – P.4

¹³ Л. Зинкшерус, Курс Германского гражданского права – М. 1950. T.1/2. ст.67

¹⁴ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 12-13

¹⁵ М.И. Кулагин, Предпринимательство и право: опыт запада. – М. 1992. ст. 43.

მიერ განხორციელებული ოპერაციები. საწარმოს უფლება აქვს, ჰქონდეს დამოუკიდებელი საფირმო სახელი, ამასთან, საწარმო შეიძლება იყოს ნასყიდობის, იჯარის და ა.შ. საგანი. ასევე, შეიძლება იგი გადავიდეს მემკვიდრეობითაც¹⁶.

აღნიშნული ადასტურებს იმ შეხედულებას, რომ საწარმო შეიძლება იყოს ურთიერთობის ობიექტიც.

საწარმოს არსის შესახებ შეიძლება კიდევ მეტი ვისაუბროთ, მაგრამ იგი ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, მთავარია, რომ ჩვენ მოკლედ, მაგრამ, მაინც, დავინახეთ საწარმოს ძირითადი არსი, რომელიც უკავშირდება საკორპორაციო სამართალს და არა სხვა დარგს, მაგალითად, საგადასახადო სამართალს, სადაც შეიძლება მას სხვა განმარტება და მნიშვნელობა ჰქონდეს. მაგალითად, საგადასახადო კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, საწარმოდ ითვლება შემდეგი წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილი არიან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები;

ბ) უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციები, კომპანიები, ფირმები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა იურიდიული პირის სტატუსი, აგრეთვე უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება;

გ) გაერთიანებები, ამხანაგობები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილით საწარმოს არ განეკუთვნება ინდივიდუალური საწარმო.

ბ) მეწარმისათვის დამახასიათებელი კონკრეტული ნიშნები

მართალია, შპს-ს ახასიათებს იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნები, რომლებიც უკვე განვიხილეთ პირველ პარაგრაფში, მაგრამ მას ასევე ახასიათებს მეწარმისათვის განმსაზღვრელი

¹⁶ М.И. Кулагин, *იქვე*, ст. 44.

კონკრეტული ნიშნებიც, კერძოდ, კანონის 1.1. მუხლიდან გამომდინარე ეს ნიშნებია:

1. მართლზომიერება;
2. არაერთჯერადობა;
3. მოგების მიზანი;
4. დამოუკიდებლობა;
5. ორგანიზებულობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ დასახელებული ნიშნების ერთობლიობა უკავშირდება მეწარმეს, რადგან, ამ ნიშნებიდან თუნდაც ერთ-ერთი რომ არ იყოს გათვალისწინებული, მაშინ მეწარმის საქმიანობა არ ჩაითვლება სამეწარმეო საქმიანობად.

მოკლედ განვიხილავ თითოეულ მათგანს.

1. მართლზომიერება

მართლზომიერების არსი იმაში მდგომარეობს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შეუძლია განაზოცრიელოს ნებისმიერი ისეთი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, საერთაშორისო შეთანხმებებს, საერთაშორისო კონვენციებს, საქართველოს კანონებს და კანონქვემდებარე აქტებს, აგრეთვე ზნეობის ნორმებს.

კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობის განზოცრიელების უფლება საზოგადოებას ენიჭება სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, რომელიც უთითებს, რომ, „*სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განაზოცრიელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება*“.

სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილე კი არის როგორც ფიზიკური პირი, ასევე იურიდიული პირი, მათ შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილიდან, რომლის თანახმად „*კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ*“.

ა) სახელმწიფო ლიცენზია და სამეწარმეო საქმიანობა

კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება ზოგ შემთხვევაში შეიძლება შეზღუდული იყოს, კერძოდ, საზოგადოებას ამა თუ იმ საქმიანობისათვის შეიძლება დასჭირდეს სახელმწიფო ლიცენზია. მაგალითად, „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-ნ მუხლის „ე“ პუნქტიდან გამომდინარე, საპროექტო-სამშენებლო საქმიანობისათვის ლიცენზიას გასცემს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოების საქმიანობა ჩაითვლება მართლზომიერად, თუ მას აქვს ლიცენზია იმ საქმიანობისათვის რომელსაც კანონი ითვალისწინებს.

ისმის კითხვა – *თუ საზოგადოება ლიცენზიის გარეშე ახორციელებს საქმიანობას, რა შედეგები მოჰყვება მას?* შედეგი იქნება, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი, ასევე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, აგრეთვე, შეიძლება დადგეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ხელმძღვანელი პირების მიმართ.

როგორი იქნება კონკრეტული შედეგი სამართლის თითოეულ დარგთან მიმართებაში?

ბ) სამოქალაქო სამართლებრივი შედეგი

სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „*კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პირივნების ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნაძღვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით.*“

აქედან გამომდინარე, ხელშეკრულება, რომელიც დადო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ, მაგალითად, სახლის აშენებისათვის, არ იქნება იურიდიული ძალის მქონე თუ მან არ აიღო ლიცენზია საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროდან. ლიცენზიის აღების მოთხოვნა გამომდინარეობს სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ კანონის მე-ნ მუხლის „ე“ ქვეპუნქტიდან.

თუკი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მინც დადებს ხელშეკრულებას, მაშინ ასეთ ხელშეკრულებას მოელის სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, კერძოდ, „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს“.

ამრიგად, ხელშეკრულება გაბათილდება. ხელშეკრულების გაბათილების შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 976-991-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ისმის ერთი მეტად საინტერესო კითხვა, რომელიც საავტრო ურთიერთობებში არაერთგზის წარმოიშვა, – როგორ უნდა შეფასდეს ხელშეკრულება, რომელიც ლიცენზიის არსებობამდე დაიდო?

ასე მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თიხამ“ 2002 წლის 1 იანვარს ერთი წლით დადო ხელშეკრულება სააქციო საზოგადოება „ფვაილთან“ თიხის პატარა ქოთნების დამზადების შესახებ. მეექვსე თვეს, ანუ ივნისში, მიიღეს კანონი, რომელიც მოითხოვდა თიხის ნაწარმის დამზადებისათვის ლიცენზიების გაცემას.

ნოემბერში სააქციო საზოგადოებამ შეიტანა სარჩელი სასამართლოში და მოითხოვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან ხელშეკრულების შეწყვეტა. მან ერთ-ერთ მოტივად მიუთითა ის, რომ შპს „თიხას“ არ ჰქონდა აღებული ლიცენზია თიხის ნაწარმის დამზადებისათვის.

შეიძლება თუ არა სასამართლომ დააკმაყოფილოს მოსარჩელე?

ვფიქრობ, რომ შეიძლება, რადგანაც სახელმწიფოს მისთვის არ მიუცია ნებართვა აღნიშნული საქმიანობისათვის, რის გამოც მისი საქმიანობა ითვლება უკანონოდ. ამიტომაც მოსარჩელეს, იქიდან გამომდინარე, რომ მოპასუხე ეწევა უკანონო მოქმედებას, შეუძლია შეწყვიტოს მასთან ხელშეკრულება. მაგრამ მოსარჩელე ასევე ვალდებულია, ლიცენზიის მიღების შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე განხორციელებული მოქმედებისათვის შპს „თიხას“ აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო.

ამრიგად, სამოქალაქო სამართალში ლიცენზიის უქონლობა გამოიწვევს ხელშეკრულების ბათილობას ან შეწყვეტას. ბათილობის საკითხი დადგება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დაიდო ისე, რომ მხარეს არ

აუღია სახელმწიფოსგან ლიცენზია, მაგრამ, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ მიღებულ იქნა კანონი და მისი მოთხოვნა არ შესრულდა, მაშინ მხარეს უფლება უნდა ჰქონდეს, მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა.

გ) პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დაევშავთ, შპს „თიხამ“ დაიწყო თიხის ქოთნების დამზადება იმ დროს, როდესაც უკვე ძალაში იყო შესული თიხის ნაწარმის დამზადებაზე ლიცენზიების გაცემის კანონი, მაგრამ შპს-ს არ ჰქონდა აღებული აღნიშნული ლიცენზია. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებელი იქნება საზოგადოების დირექტორი და არა პარტნიორი ან სხვა თანამშრომელი, რადგანაც დირექტორი მოქმედებს საზოგადოების სახელით, იგი არის მისი წარმომადგენელი და მოვალეა, საზოგადოების საქმიანობა შეუსაბამოს კანონს. მას ევალება სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესების შესრულება. ამასთან დაკავშირებით, მოვიყვან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-15 მუხლს:

„თანამდებობის პირებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის რომელიც დაკავშირებულია მმართველობის წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, ბუნების, მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის სფეროში დადგენილი წესებისა და სხვა იმ წესების დაუცველობისათვის, რომელთა შესრულებაც მათი სამსახურებრივი მოვალეობაა“.

ამრიგად, როგორც მოცემული მუხლიდან ჩანს, დირექტორმა, როგორც თანამდებობის პირმა, უნდა დაიცვას წესი, კერძოდ, მისი სამსახურებრივი მოვალეობა იყო, კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, საზოგადოების სახელით აელო ლიცენზია.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დადგება, მიუხედავად იმისა, დირექტორმა განზრახ არ აიღო ლიცენზია თუ გაუფრთხილებლობით.

ამავე კოდექსის მე-11 და მე-12 მუხლებით განსაზღვრულია თუ რა იგულისხმება „განზრახვაში“ და „გაუფრთხილებლობაში“, კერძოდ, მუხლი მე-11 – *ადმინისტრაციული სამართალდარღვევა განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედება ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მანერე შედეგებს და სურდა ისინი ან შეგნებულად უშვებდა მათ.*

ამავე კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, *ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მისი*

ჩამდენი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მაგნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა ისინი.

ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებ გაუფრთხილებლობაზე, რომელიც შედარებით უფრო გარვეცელებულია სამეწარმეო ურთიერთობებში.

მე-12 მუხლი გაუფრთხილებლობას უკავშირებს ორ ფაქტორს, კერძოდ: პირველი – თუ მისი ჩამდენი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მაგნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას.

მეორე – არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა ისინი.

მაშასადამე, თუ ღირექტორი ხარ და ხელმძღვანელობ საწარმოს, მზად უნდა იყო რომ არ დადგეს სახელმწიფოსათვის, საზოგადოებისათვის მაგნე შედეგი. გავრცელებული ფრაზით თავის მართლება, „მე კანონი არ ვიცოდი და ამიტომ მომივიდა ეს შეცდომა“ არ არის გამამართლებელი. ამის შესახებ პირდაპირ უთითებს, აგრეთვე სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილიც: „კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი“.

აღნიშნული ფორმულირება უკავშირდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ „გაუფრთხილებლობის“ ინსტიტუტსაც.

ამის შემდეგ ისმის კითხვა: რა სახის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს საზოგადოების ღირექტორს?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 164-მუხლი, კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობის წესის დარღვევა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე, აგრეთვე აკრძალული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ან უნებართვით ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას) საჭიროებს, გამოიწვევს დაჯარიმებას 400 – დან 500 ლარამდე.

ამრიგად, დასახელებული თანხით დაჯარიმდება საზოგადოების დირექტორი.

დ) სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა

სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე ანდა ლიცენზირების პირობის დარღვევით სამეწარმეო საქმიანობისათვის ასევე გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, *სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის ან სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე ანდა ლიცენზირების პირობის დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, — ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით, ვადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.*

ამავე მუხლის მე-2 ნაწილით: *იგივე ქმედება, ჩადენილი*

ა) *ჯგუფურად;*

ბ) *არაერთგ ზის;*

გ) *ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით ხუთ წლამდე.*

ამრიგად, პირველი ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დგება, თუ სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაციის გარეშე მოქმედებამ, ლიცენზიის გარეშე მოქმედებამ ან ლიცენზირების პირობის დარღვევით განხორციელებულმა მოქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ანდა დასახელებულ ქმედებებს ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

მეორე ნაწილი კი უფრო ამძიმებს პასუხისმგებლობას, თუ ზემოთ დასახელებული ქმედებები განხორციელდა ჯგუფურად, არაერთგ ზის და იმ პირის მიერ, რომელიც უკვე იყო მსჯავრდებული ამავე 192-ე მუხლით.

2. არაერთგერადობა

როგორც თავად ტერმინი მიგვანიშნებს, შპს – ის საქმიანობა უნდა იყოს სისტემატური, ე.ი. საზოგადოებამ საქმიანობა ერთხელ არ უნდა განახორციელოს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „არაერთგერადობა“ მხოლოდ მოქმედებების მრავალგერადობას არ გულისხმობს. მოვიყვან ასეთ მაგალითს: შპს „მთაწმინდამ“ საზღვარგარეთიდან შემოიტანა

100 000 ლარის საქონელი, ხოლო სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ ხუთჯერ შემოიტანა საქონელი, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 20 000 ლარი.

როგორ მოვიქცეთ, შპს „მთაწმინდას“, რომელიც სავაჭრო ბრუნვაში დიდ თანხებს იყენებს ჩატარებული სამუშაო არ ჩაუთვალთ სამეწარმეო საქმიანობად? რა თქმა უნდა მისი ქმედება სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში თავსდება, რადგან ჯერ ერთი, იმ თანხის ოდენობა შეიძლება სხვა საზოგადოებამ ორი წლის მუშაობითაც ვერ დააგროვოს და მეორეც, მისი მიზანი მიმართულია საქონელი გაყიდოს მომხმარებელზე და ნახოს მოგება.

ამდენად, ტერმინი „არაერთჯერადობა“ ფართო შინაარსით უნდა გავიგოთ, ვიდრე ამას სიტყვა-სიტყვითი განმარტება გვკარნახობს.

იქიდან გამომდინარე, რომ „არაერთჯერადობა“ მეწარმეობის აუცილებელი ნიშანია, ამიტომ სასამართლომ მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

მაგალითად, სამმა პირმა დააფუძნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. რეგისტრაციიდან ერთი კვირის შემდეგ საზოგადოებამ ჰუმანიტარული დახმარების მიზნით საზღვარგარეთიდან შემოიტანა კვების პროდუქტი. საზოგადოებამ თუნდაც სამჯერ რომ განახორციელოს ასეთი ქმედება, მისი საქმიანობა მაინც არ უნდა ჩაითვალოს სამეწარმეო საქმიანობად, იმ მარტივი მიზეზით, რომ შემოტანილ საქონელს ჰუმანიტარული დახმარების მიზანი აქვს და არა მოგების.

არაერთჯერადობა არ გულისხმობს აგრეთვე ერთგვაროვანი მოქმედებების განხორციელებასაც. მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თონის პური“ მხოლოდ პურს აცხობს. რა თქმა უნდა, მისი საქმიანობა უნდა ჩაითვალოს სამეწარმეო საქმიანობად, რადგანაც გამომცხვარ პურს ყიდის და ნახულობს მოგებას.

3. მოგების მიზანი

საერთოდ, მეწარმეობას, ვაჭრობას საფუძვლად უდევს პრინციპი, ფულმა ფული უნდა მოიგოს. ამ პრინციპს ახორციელებს როგორც ფიზიკური პირი, მაგალითად, ინდივიდუალური მეწარმე, ასევე კომერციული იურიდიული პირი. სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოგება შეიძლება ნახოს არასამეწარმეო იური-

დიულმა პირმაც, მაგალითად, კავშირმა, რომელსაც უფლება აქვს, განა-
ხორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ატარებს დამხმარე
ხასიათს და ემსახურება საერთო მიზანს.

მოგება შეიძლება სხვადასხვა გზით განხორციელდეს, კერძოდ, ნას-
ყიდობით, ოჯარით, თანხის გასესხებით, აქციების შექენით და ა.შ. მთავარია,
ყოველი ეს საქმიანობა თავსდებოდეს მართლზომიერების ფარგლებში.

აქვს თუ არა მნიშვნელობა მოგების უშუალოდ, ფიზიკურად მიღებას?
ამ კითხვაზე მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარში გამოთქმულია
მოსაზრება, რომ „გადამწყვეტია მოგების მიღების სურვილი. ფაქტობ-
რივად და რეალურად მიიღო თუ არა მეწარმემ მოგება, პრაქტიკულ
როლს არ თამაშობს“¹⁷. მართლაც და დაეუშვათ, რომ შპს-მ გადაიხადა
50000 ლარი, მაგრამ ვერ მიიღო საქონელი იმის გამო, რომ საქონელი
დაზიანდა, განადგურდა ან სხვა მიზეზით ვერ მიაღწია მყიდველამდე,
რომელსაც ასევე უნდა გაეყიდა იგი მომხმარებელზე და მიეღო მოგება.
რა თქმა უნდა, მისი მოქმედება მიმართულია მოგების მიღებისაკენ.
თავად მეწარმეთა შესახებ კანონის 1.1 მუხლიც ამაზე უთითებს, კერძოდ,
„*რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით*“. ამდენად, მთავარია
მიზანი და არა უშუალოდ მოგების „ხელში“ დაკავება.

იქიდან გამომდინარე, რომ მოგების მიზანი მეწარმის აუცილებელ
ნიშანს წარმოადგენს, აღარ არის საჭირო წესდებაში მიეუთითოთ, რომ
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიზანია, მიიღოს მოგება.
ასეთი ფორმულირებები კეთდებოდა ძველი კანონით, სამეწარმეო საქ-
მიანობის საფუძვლების შესახებ. 1991-1995 წლებში გამკეობები ზოგჯერ
არ ატარებდნენ რეგისტრაციაში შეზღუდული პასუხისმგებლობის სა-
ზოგადოებას იმ მოტივით, რომ წესდებაში არ ეწერა მოგების მიღების
მიზანი, არადა, მაშინაც შპს კომერციულ საზოგადოებას წარმოადგენდა.

ამდენად, დღეს ასეთი მითითების საჭიროება აღარ არის. როდესაც
ვიგებთ, რომ ვიღაცამ დააფუძნა შპს, უკვე გასაგები ხდება მისი მიზანი
– მიიღოს მოგება.

¹⁷ ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 3.

4. დამოუკიდებლობა

მოცემულ ნიშანში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სამართლებრივი დამოუკიდებლობა, ე.ი. როდესაც მეწარმე თავად იღებს გადაწყვეტილებას და არც ერთ სხვა საწარმოს ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მათ შორის სახელმწიფოსაც არ აქვს უფლება, მეწარმეს უკარნახოს თუ რა სახის გადაწყვეტილება მიიღოს, როგორ შექმნას მართვის ორგანოები, ვინ იყოლიოს წარმომადგენლად და ა.შ.

სამართლებრივი დამოუკიდებლობა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის, რადგანაც მის გარეშე მეწარმე საკუთარ უნარს, ცოდნას, გამოცდილებას ვერ გამოავლენს.

სამართლებრივი დამოუკიდებლობა ხელს შეუწყობს მეწარმის არა მხოლოდ უნარისა და შესაძლებლობების თავისუფლად გამოვლენას, არამედ ხელს უწყობს, აგრეთვე მეწარმის, ბიზნესმენის დამოუკიდებელი აზროვნების, დამოუკიდებელი ფსიქიკის ჩამოყალიბებასაც. მან თავის თავზე უნდა იწვინოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგები. მის მიერ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება მისი საკუთარი სკოლა უნდა გახდეს. სამართლებრივი დამოუკიდებლობის საფუძველზე იგი დროთა განმავლობაში ისწავლის, ჩამოყალიბდება როგორც სერიოზული, კეთილსინდისიერი მეწარმე.

ამრიგად, სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელებაში იგულისხმება ის, რომ შპს დამოუკიდებლად, თავისი სახელით, აგრეთვე თავისი ქონებრივი რისკით იღებს გადაწყვეტილებებს, რომელთა მიღებაშიც იგი არ არის დამოკიდებული სამართლის სხვა სუბიექტის ნებაზე¹⁸.

5. ორგანიზებულობა

ორგანიზებულობა ფართო შინაარსის სიტყვაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ლაპარაკია სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზებულობაზე, რომელიც აერთიანებს რამდენიმე ნიშანს:

პირველი – ეს არის მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. მეწარმეთა შესახებ კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი იძლევა იმ

¹⁸ როინ მიგრაული, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა ქართული სამართლის მიხედვით. ჟურნალი, საქართველოს ნოტარიატი. 2001 წ., გვ. 56.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამონათვალს, რომელიც შეუძლია პირმა – ფიზიკურმა ან იურიდიულმა – ამოიჩიოს.

ამდენად, თუ პირს უნდა, რომ დაიწყოს სამეწარმეო საქმიანობა, მან ჯერ ორგანიზაციული ფორმა უნდა ამოიჩიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სამეწარმეო საქმიანობა არამართლზომიერად ჩაითვლება.

სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლიც იმას აღნიშნავს, რომ იურიდიული პირი ორგანიზებული წარმონაქმნია. მოცემული მუხლი ეხება ძირითადად კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ანუ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ კავშირს და ფონდს და აგრეთვე მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებულ იურიდიულ პირებს. მაგრამ ორგანიზებული წარმონაქმნი ჩვენს შემთხვევაში მართო იურიდიულ პირებს ანუ საზოგადოებებს არ ეხება, იგი მოიცავს აგრეთვე ინდივიდუალურ საწარმოსაც.

მეორე – ორგანიზებულობის შემდეგი ნიშანია საწარმოს შიდა სტრუქტურა – მართვისა და კონტროლის ორგანოები, კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ეს არის დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ანდა პარტნიორთა სურვილის შემთხვევაში იქმნება და მართვის უმაღლესი ორგანო – პარტნიორთა საერთო კრება.

ამ ორგანოების მეშვეობით, ჯერ ერთი, ჩანს საწარმოს ორგანიზებულობა და მეორეც, მესამე პირებმა იციან, თუ რომელ ორგანოს რა ფუნქცია გააჩნია.

ორგანიზებულობის მესამე ნიშანია ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის რეგისტრაცია. მეწარმეთა შესახებ კანონის 4.1 მუხლის თანახმად, საწარმოს რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერით.

თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რეესტრში არ გატარდება, იგი იურიდიული პირი ვერ გახდება და მას ვერ მიენიჭება ის ფუნქცია, რაც გააჩნია მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.

თავი II. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნება

§ 1. დამფუძნებლის, პარტნიორისა და მონაწილის იურიდიული დახასიათება

ზოგჯერ წარმოიშობა საკითხი იმის შესახებ, თუ რა განსხვავებაა პარტნიორს, დამფუძნებელსა და მონაწილეს შორის. ამ კითხვაზე შეიძლება პირდაპირ ვუპასუხოთ – მათ შორის არავითარი სხვაობა არ არსებობს. სამივე მათგანი პარტნიორია. მაგრამ თითოეულ მათგანს თავის ფუნქცია მაინც აქვს, რომელიც შეიძლება ასე განვმარტოთ: როდესაც პირი გადაწყვეტს დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და ამის გამო იგი დადგენილი წესით შეადგენს წესდებას, ხელს მოაწერს განცხადებას რეგისტრაციის შესახებ და წარუდგენს სასამართლოს რეგისტრაციისათვის, ასეთი პირი იწოდება დამფუძნებლად ანუ დამფუძნებელ-პარტნიორად, რადგანაც მან წამოიწყო საწარმოს შექმნა, საწარმოს დაფუძნება. რეგისტრაციის შემდეგ იგი ხდება პარტნიორი იმ შინაარსობრივი დატვირთვით, რაც მოცემულია მეწარმეთა შესახებ კანონში. კერძოდ, საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობს როგორც პარტნიორთა საერთო კრების წევრი, როგორც პარტნიორი მოგებიდან იღებს წილს და ა.შ.

რა თქმა უნდა, რეგისტრაციის შემდეგაც მას შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არის საზოგადოების დამფუძნებელი, რაც იმის მაჩვენებელი იქნება, რომ მან წამოიწყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნა, დაფუძნება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ, რადგანაც მან მოახდინა ამ საზოგადოების დაფუძნება, მას რაიმე უპირატესობა აქვს რეგისტრაციის შემდეგ შემოსულ პირთან, ახალ პარტნიორთან.

რეგისტრაციის შემდეგ დამფუძნებლის მიმართ იცვლება სახელი, კერძოდ, იგი ხდება „პარტნიორი“. მართალია, მეწარმეთა შესახებ კანონის ზოგადი ნაწილი იყენებს სიტყვა „პარტნიორს“, რომელიც ჯერ კიდევ არ არის რეგისტრირებული საწარმოს პარტნიორი, მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ არარეგისტრირებული საწარმოს დამფუძნებელს უკვე პარტნიორი ვუწოდოთ.

მაგალითად, მეწარმეთა შესახებ კანონის 2.7 მუხლის 1-ლი აბზაცის თანახმად: „საზოგადოების დაფუძნებისას წესდებას ხელს აწერენ საზოგადოების დამფუძნებელი მონაწილენი – დამფუძნებელი პარტნიორები, ხოლო წესდებაში ცვლილებების შეტანისას პარტნიორთა ხელმოწერა არ მოითხოვება“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, პირებს, რომლებიც აფუძნებენ საზოგადოებას, კანონი ძირითადად უწოდებს დამფუძნებლებს, ანუ დამფუძნებელ მონაწილეებს, დამფუძნებელ პარტნიორებს.

ტერმინს „პარტნიორი“ კანონი იმიტომ მოიხსენიებს საზოგადოების რეგისტრაციის წინა პერიოდში, რომ გაადვილოს ამ ტერმინის გაგება და დაგვანახოს, რომ დამფუძნებელი ყალიბდება უკვე როგორც პარტნიორი და რომ იგი ამ სტატუსს სრულად მოიხვეჭს საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ.

ამიტომ არასწორად მიმაჩნია, როდესაც ზოგჯერ იმ პირს მოიხსენიებენ პარტნიორად, რომელსაც, მაგალითად, დამფუძნებლები შეპირდნენ, რომ, თუ გადაიხდიდა სარეგისტრაციო თანხას, მიიღებდნენ პარტნიორად, მაგრამ არ მიიღეს, ანდა რეგისტრაციისათვის წარსადგენ წესდებაზე ხელი მოაწერა, მაგრამ რეესტრში არ გაატარეს და ა.შ.

ტერმინს „პარტნიორი“ ქართული სამართალი უკავშირებს მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობას, რადგანაც კერძო სამართლის სხვა ორგანიზაციულ ფორმებში, კერძოდ, კავშირში და ფონდში ეს ტერმინი არ გამოიყენება. ამასთან, „პარტნიორი“ გამოიყენება მხოლოდ სამეწარმეო იურიდიულ პირებში, ინდივიდუალურ საწარმოში, რომელიც არ არის იურიდიული პირი ეს ტერმინი არ გამოიყენება, რადგანაც ინდივიდუალურ მეწარმეს არ შეიძლება ყავდეს პარტნიორი. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ამხანაგობას, ტერმინი „პარტნიორი“ არც აქ გამოიყენება. „ამხანაგობაში“ ვიყენებთ მის შემცველ ტერმინს „მონაწილეს“. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულება დადებულია წერილობით, მაშინ იგი უნდა შეიცავდეს: ა) მონაწილეთა დასახელებასა და მისამართს. მუხლი 932-ის 1-ლი ნაწილით, მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები და ა.შ.

ამრიგად, ზღვარი უნდა გავაკლოთ რეგისტრაციამდე პერიოდსა და რეგისტრაციის შემდგომ პერიოდს შორის. რეგისტრაციამდე პერიოდში

მყოფ პირს ვუწოდებთ დამფუძნებელს, ხოლო რეგისტრაციის შემდგომ პერიოდში მყოფ პირს კი პარტნიორს.

რაც შეეხება ტერმინს „მონაწილე“, რომელსაც ზოგჯერ სამეწარმეო საქმიანობის წევრს უკავშირებენ, მასში იგივე პარტნიორი უნდა ვიგულისხმობთ. ოღონდ, გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ კანონი იყენებს ძირითადად პარტნიორის ტერმინს. პარტნიორის და მონაწილის შინაარსობრივ ერთიანობაზე აღნიშნავენ აგრეთვე ლ. ჭანტურია და თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარშიც, კერძოდ, „პარტნიორი, ამ კანონის თანახმად, არის ერთ-ერთი სამეწარმეო საზოგადოების წევრი (მონაწილე), რომელსაც აქვს საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები საზოგადოების მიმართ“¹⁹.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, „მონაწილეს“ განსხვავებით „პარტნიორისგან“, ორგვარი დატვირთვა აქვს, – სამოქალაქო სამართლებრივი და სამეწარმეო სამართლებრივი.

§ 2. ფიზიკური პირები როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლები

ფიზიკურ პირში ანუ როგორც მას ზოგიერთ ქვეყანაში უწოდებენ – ბუნებითი პირი²⁰, მოიაზრებენ მხოლოდ ადამიანს, რომელიც ფიზიკურად არსებობს. ეს არის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი იურიდიული პირისგან, ანუ პირისგან, რომელიც იურიდიულად, კანონის ძალით არსებობს.

ფიზიკურ პირებს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლით მინიჭებული აქვთ უფლებაუნარიანობა, ანუ უნარი, ჰქონდეთ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. აღნიშნული უფლებები და მოვალეობები წარმოეშობათ დაბადების მომენტიდან და წყდება მხოლოდ გარდაცვალებით (სამ. კოდ. მუხ. 11.3). ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც ფიზიკურ პირს

¹⁹ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 20.

²⁰ ინგლისურად მას Natural person-ს უწოდებენ, ხოლო გერმანულად *Natürliche personen*.

დაბადებამდე ენიჭება უფლებაუნარიანობა, ეს არის მემკვიდრედ ყოფნის უფლება, რომელიც წარმოიშობა ჩასახვისთანავე (სამ. კოდ. მუხ. 11.2).

სამოქალაქო უფლებების განხორციელება არ არის დაკავშირებული ფიზიკური პირის მოქალაქეობასთან. სამოქალაქო უფლებას შეიძლება მეორენაირად ვუწოდოთ პირადი უფლებებიც, რომლებიც ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს მოიცავს. მათი მნიშვნელობა იმდენად დიდია არა მხოლოდ კონკრეტული საზოგადოებისათვის, არამედ საერთოდ კაცობრიობისათვისაც, რომ სამოქალაქო უფლებები აისახა საერთაშორისო აქტებსა და კონვენციებშიც.

ჩვენთან სამოქალაქო უფლებები აისახა კონსტიტუციაშიც, მაგალითად, მე-15 მუხლით: სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი, ხოლო ამავე კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია და ა.შ.

სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლით გათვალისწინებული სახელის უფლება ასევე სამოქალაქო უფლებაა და სხვა.

აქვე მინდა გამოვეყო და აღვნიშნო, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნების უფლებაც სამოქალაქო უფლებას მიეკუთვნება.

მაგრამ უფლებაუნარიანობის არსებობა არ ნიშნავს ავტომატურად ამ უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. უფლებების განხორციელებისათვის ფიზიკურ პირს ესაჭიროება ქმედუნარიანობაც, რომელიც უფლების საკუთარი მოქმედებით განხორციელების ერთგვარი საშუალებაა.

სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ქმედუნარიანობა ეს არის ფიზიკური პირის უნარი თავისი ნებით და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ქმედუნარიანობა ფიზიკურ პირს წარმოეშობა სრულწლოვანების ასაკიდან. ასეთ ასაკად კი აღიარებულია 18 წელი (სამ. კოდ. მუხ. 12.2).

ამრიგად, 18 წლიდან ფიზიკურ პირს შეუძლია დააფუძნოს ნებისმიერი სახის სამეწარმეო იურიდიული პირი და აგრეთვე ინდივიდუალური საწარმოც.

შეუძლია თუ არა არასრულწლოვანმა დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება?

იმისათვის, რომ ამ კითხვას პასუხი გავცეთ, საჭიროა ორ ფაქტორზე გავამახვილოთ ყურადღება, კერძოდ:

პირველი – როგორც ზემოთ დასახელებული მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსი გვიჩვენებს, 18 წლიდან პირი ხდება ქმედუნარიანი, ანუ მას თავისუფლად შეუძლია, თავისი ნებით და მოქმედებით განახორციელოს სამოქალაქო უფლებები, მათ შორის შეუძლია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებაც.

მაგრამ ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად „ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც იქორწინებს თერამეტი წლის ასაკის მიღწევამდე“.

სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „გამონაკლის შემთხვევებში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი წერილობითი თანხმობით“.

ამრიგად, დაქორწინების მინიმალური ზღვარი არის 16 წელი. რაც შეეხება ე.წ. „გამონაკლის შემთხვევას“, ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, 16 წლის გოგონას ფეხმძიმობა, ბავშვის დაბადება და ა.შ.

მშობელი არის არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, მაგრამ, თუ მშობლები გარდაეცვალათ ან მათ ჩამოერთვათ მშობლის უფლება, ან გახდნენ ქმედუნარონი ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო (სამ. კოდ. მუხ. 12.5 და 1275.1), ანდა ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით არასრულწლოვნები დარჩნენ მშობლის მზრუნველობის გარეშე, უწესდებათ მეურვეობა და მზრუნველობა პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად (სამ. კოდ. მუხ. 1275.1).

კანონიერ წარმომადგენლად შეიძლება დაინიშნოს როგორც ბებია და ბაბუა ან სხვა ახლო ნათესავი, ასევე გარეშე პირიც.

ამრიგად, არასრულწლოვანს თუ არ ჰყავს მშობელი, მაშინ დაქორწინებისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დანიშნული კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა საჭირო, რომელსაც არ სჭირდება ნოტარიალური დადასტურება.

ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან 16 წლის ახალგაზრდას შეუძლია ნებისმიერი ფორმით დააფუძნოს საწარმო.

აქვე იბადება შემდეგი კითხვა: კერძოდ, *თუ დაქორწინებული არასრულწლოვანი განქორწინდება 18 წლამდე, უნარჩუნდება თუ არა ქმედუნარიანობა და შეუძლია თუ არა დარჩეს, მაგალითად, შპს-ის პარტნიორად?*

მას უნარჩუნდება ქმედუნარიანობა, რადგანაც განქორწინება არ არის ქმედუნარიანობის დაკარგვის საფუძველი, ამასთან, მას შეუძლია დარჩეს პარტნიორადაც. ზოგიერთი სახელმწიფოს სამართლის ნორმაში ეს პირდაპირ არის ჩაწერილი. მაგალითად, აშშ-ში, კალიფორნიის შტატის ანოტირებული სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 18 წლამდე ახალგაზრდა ხდება ემანსიპირებული თუ დაქორწინდება, მიუხედავად შემდგომში განქორწინებისა²¹.

თუ არასრულწლოვანი განქორწინდება და გადაწყვეტს დააფუძნოს საწარმო, სასამართლოს შეუძლია, მოითხოვოს განქორწინების მოწმობა, რათა დარწმუნდეს პირი იყო თუ არა დაქორწინებული და ჰქონდა თუ არა ქორწინების მემკვიდრეობით ქმედუნარიანობა მოპოვებული.

მეორე – სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მეორე ნაწილით, თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება.

იბადება კითხვა: რას ნიშნავს „გაძღოლა“? როგორია მისი შინაარსი? მოიცავს თუ არა „გაძღოლა“ დაფუძნებასაც, თუ იგი მხოლოდ არასრულწლოვანის ხელმძღვანელად ყოფნას გულისხმობს?

„გაძღოლა“ უნდა მოიცავდეს როგორც ხელმძღვანელად ყოფნას, ასევე დაფუძნებასაც.

საერთოდ, ტერმინი „გაუძღვეს“ ნიშნავს გარკვეული საქმიანობის მართვას. ზოგჯერ პრაქტიკაშიც გვსმენია, „იგი კარგად უძღვება თავის საქმეს“. ამდენად, „გაძღოლა“ მართვას გულისხმობს. ასევე არის სამეწარმეო (საკორპორაციო) სამართალშიც. „გაძღოლა“ საწარმოს მართვას გულისხმობს, მაგალითად, მეწარმეთა შესახებ კანონის 9.3 მუხლის თანახმად, „საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი პარტნიორის ან დირექტორის მიერ საზოგადოების ერთპიროვ-

²¹ West Annotated California Codes. West Publishing Co. 1994. art. 62.

ნულად მართვის უფლებამოსილებას, მაგრამ აგრეთვე აწესებდეს, რომ ორი დირექტორი მხოლოდ ერთობლივად შეიძლება გაუძღვეს საზოგადოებას .“

როგორც ვხედავთ, „გაძლოა“ და „მართვა“ თითქმის ერთი შინაარსით მოიაზრება, კერძოდ, დირექტორი მართავს, ანუ უძღვება საზოგადოებას.

ახლა რაც შეეხება საწარმოს დაფუძნებას. მოიცავს თუ არა იგი „გაძლოლასაც“?

პარტნიორი (მნიშვნელობა არ აქვს, რომელი საზოგადოების პარტნიორია) არის მართვის უმაღლესი ორგანოს – პარტნიორთა (საერთო) კრების წევრი, ე.ი. იმ ორგანოს, რომელიც საზოგადოების მნიშვნელოვან საკითხებს წყვეტს, ანუ შეიძლება ვთქვათ, რომ პარტნიორთა კრების წევრი იგივე მმართველია, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ მისი ფუნქცია განსხვავდება დირექტორის ფუნქციისგან. გარდა ამისა, დასახელებული კანონის 23-ე მუხლით, „თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ყველა პარტნიორი უფლებამოსილია გაუძღვეს საწარმოო საქმეებს .“

ამავე კანონის 9.7 მუხლით „9.1 მუხლში დასახელებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად“. 9.1 მუხლში მოიაზრებიან, არა მხოლოდ დირექტორები, არამედ აგრეთვე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების კომპლემენტარები.

ამრიგად, გაძლოლაში უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ დირექტორის სტატუსით მოქმედება, არამედ აგრეთვე პარტნიორის სტატუსით მოქმედებაც.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც ვამბობთ, რომ არასრულწლოვანს შეუძლია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით გაუძღვეს საწარმოს, ვგულისხმობთ მისთვის როგორც დირექტორის ფუნქციის მინიჭებას, ასევე საზოგადოებაში პარტნიორად შესვლის შესაძლებლობასაც.

აქვე უნდა აღვნიშნო შემდეგიც, სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „საწარმოს გაძლოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით“.

რა ფორმით უნდა გამოიხატოს „თანხმობა“?

საერთოდ, სამოქალაქო კოდექსის 99-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა“.

ამავე მუხლის მესამე ნაწილით, „თუ გარიგება, რომლის ნამდვილობაც დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, დადებულია მისი თანხმობით, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 66-ე მუხლის მეორე და მესამე წინადადებები“.

რაზე უთითებს 66-ე მუხლის მეორე წინადადება? იგი აღნიშნავს, რომ ბათილია გარიგება მაშინაც, როცა არსებობს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ არასრულწლოვანს არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, რის გამოც, გარიგების მეორე მხარემ დაუყოვნებლივ თქვა მასზე უარი.

ამრიგად, კანონი უფლებას გვანიჭებს, რომ კანონიერმა წარმომადგენელმა განაცხადოს ზეპირი ან წერილობითი თანხმობა, მაგრამ აქვე გვეუბნება, რომ მეორე მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს გარიგების ბათილობა, თუ არ ექნება წერილობითი თანხმობა.

მაგრამ 66-ე მუხლის მე-3 წინადადების თანახმად, „ასეთი უარი დაუშვებელია, თუკი მეორე მხარე ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის ამ თანხმობის შესახებ“. ტერმინი „ინფორმირებული“ მოიცავს როგორც წერილობით შეტყობინებას, ასევე ზეპირ შეტყობინებასაც, თუმცა ზეპირი შეტყობინების მტკიცება რთული პროცესი იქნება.

იბადება კითხვა: ასეთი გართულების თავიდან აცილების მიზნით, ხომ არ აჯობებს თანხმობა მხოლოდ წერილობით იყოს წარმოდგენილი?

ამ კითხვაზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ, მით უმეტეს, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს და მის მიერ გაცემული თანხმობა უნდა იყოს წერილობითი.

ამრიგად, საწარმოს გაძლოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას, მაგრამ მხოლოდ ეს თანხმობა არ არის საკმარისი, საჭიროა, რომ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას ახლდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წერილობითი ნებართვაც.

როდესაც არასრულწლოვანი აფუძნებს საწარმოს, სასამართლოს უფლება აქვს თუ არა, რომ საწარმოს რეგისტრაციისას მოითხოვოს არასრულწლოვანისგან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა?

რა თქმა უნდა, სასამართლოს ამის უფლება აქვს. ვფიქრობ, რომ უკეთესიც იქნება, თუ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრდება სასამართლოს მიერ კანონიერი წარმომადგენლისგან წერილობითი თანხმობის სავალდებულო მიღება. და არა მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლისგან, არამედ აგრეთვე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსგანაც.

შეიძლება ასეთმა მოთხოვნამ გარკვეული სირთულეები გამოიწვიოს, მაგრამ ამით თავიდან ავიცილებთ ბევრ გაუგებრობას.

ამრიგად, როგორც ზემოთ გაკეთებული ანალიზი გვიჩვენებს, არასრულწლოვანიც უშუალოდ შეიძლება იყოს საზოგადოების დამფუძნებელი.

შეიძლება თუ არა მზრუნველი სამზრუნველო პირის სახელით პარტნიორად შევიდეს სამეწარმეო საზოგადოებაში?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლი, კერძოდ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე მზრუნველს უფლება არ აქვს, სამზრუნველო პირის სახელით დათანხმდეს სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად შესვლას.

პრაქტიკაში შეიძლება წამოიჭრას ასეთი საკითხიც: შეიძლება თუ არა საზოგადოების დამფუძნებლად მოწვეულ იქნეს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე და სჭირდება თუ არა მას სპეციალური ნებართვა, მაგალითად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან ან სხვა სახელმწიფო ორგანოსგან?

ასეთი აკრძალვა ან შეზღუდვა კანონით არსად არ არის გათვალისწინებული, რაც იმის მაჩვენებელია, რომ უცხოელს თავისუფლად შეუძლია დამოუკიდებლად ან საქართველოს მოქალაქესთან ერთად დააფუძნოს საზოგადოება, მათ შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაც.

დამფუძნებლებთან დაკავშირებით შეიძლება წამოიჭრას ასეთი საკითხიც: შეუძლია თუ არა საჯარო მოსამსახურეს დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება?

ამ კითხვაზე, რომ ზუსტი პასუხი გაცემთ, უნდა მივმართოდ კანონს საჯარო სამსახურის შესახებ.

ამ კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით: საჯარო სამსახური (შემდგომში – სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

ამავე კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით, სახაზინო დაწესებულება (შემდგომში – დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანაა საჯარო ხელისუფლების განხორციელება.

ამავე მუხლი მე-2 პუნქტით, სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ:

- ა) საქართველოს პარლამენტი;
- ბ) საქართველოს სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები;
- გ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. საერთო სასამართლოები;
- დ) საქართველოს ეროვნული ბანკი;
- ე) საქართველოს კონტროლის პალატა;
- ვ) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და სააგენტოები;
- ზ) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული და მისი აპარატი.

აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტით: აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, ითვლება:

- ა) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები;
- ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები.

მე-4 მუხლის მეოთხე პუნქტში კი მითითებულია ის ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებები, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, ესენია:

- ა) საკრებულო;
- ბ) გამგეობა, მერია;
- გ) მუნიციპალიტეტი.

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის ცნებას, კერძოდ, საჯარო მოსამსახურე (შემდგომში – მოსამსახურე) არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით

დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

ამრიგად, მას შემდეგ, როდესაც გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა საჯარო მოსამსახურის იურიდიულ ბუნებაზე, ახლა მივუთითებ ამავე კანონის 61-ე და 63-ე მუხლებს, რომლებიც საჯარო მოსამსახურეს უკრძალავენ სამეწარმეო საქმიანობასთან – მეწარმეობასთან დაკავშირებულ გარკვეულ ურთიერთობებს, კერძოდ, 61-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურე არ უნდა იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოს წევრი.

63-ე მუხლით კი: მოხელეს არ აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება. მას შეუძლია ფლობდეს აქციებს და წილს.

როგორც ვხედავთ, 63-ე მუხლის საფუძველზე, საჯარო მოსამსახურეს შეუძლია დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და ჰქონდეს ამ საზოგადოებაში წილი, მაგრამ ვერ იქნება მისი ხელმძღვანელი, ვერ იმუშავეს სამეთვალყურეო საბჭოში ან სარევიზიო ორგანოში.

§ 3. იურიდიული პირი როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებელი

იურიდიული პირები, რომლებსაც შეუძლიათ დააფუძნონ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ორ ჯგუფად იყოფიან: საჯარო სამართლის, ანუ სახელმწიფო იურიდიული პირი და კერძო სამართლის იურიდიული პირი.

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი

პირველ რიგში, ჯერ მოკლედ განემარტოთ თუ რას ნიშნავს საჯარო სამართალი. „სამართალი“ საერთოდ იყოფა ორ ნაწილად, ერთ ნაწილი მიეკუთვნება საჯარო სამართალს, ხოლო მეორე ნაწილი კი კერძო სამართალს. ზოგადად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საჯარო სამართალი მოიცავს სამართლის იმ დარგებს, რომლებიც არეგულირებენ ურთიერ-

თობებს სახელმწიფოებს შორის, სახელმწიფო ორგანოებს შორის, სახელმწიფო ორგანიზაციების შექმნის წესსა და ფორმებს, მათ უფლებამოვალეობებს. ამიტომაც საჯარო სამართალს მიეკუთვნება საკონსტიტუციო სამართალი, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, ადმინისტრაციული სამართალი, საგადასახადო სამართალი და ა.შ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქმნება სახელმწიფოს მითითებით, მისი ნებით, საჯარო სამართლის ნორმებით.

ყველა სახელმწიფო ორგანიზაცია არ ითვლება იურიდიულ პირად, მაგალითად, სამინისტროები არ არიან იურიდიული პირები. საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ მოქმედებს 1999 წლის 28 მაისს მიღებული კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“. ამ კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.“ მაგალითად, 1996 წლის 3 მაისს მიღებული იქნა კანონი „ნოტარიატის შესახებ“. ამ კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით, „ნოტარიუსთა პალატა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია ნოტარიუსთა წევრობაზე და თავის საქმიანობას ახორციელებს თვითმმართველობის საწყისებზე“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კანონი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ისმის კითხვა: *რა მომენტიდან ჩაითვლება ორგანიზაცია იურიდიულ პირად?*

ამ კითხვებზე პასუხს იძლევა საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი, კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა და იურიდიული პირის სტატუსს იძენს წესდების (დებულების) დამტკიცებისა და იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნიდან (არჩევიდან)“.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი კერძო სამართლის იურიდიული პირისგან ის არის, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება დააფუძნოს კერძო სამართლის იურიდიული პირი, თუკი ეს უფლება მინიჭებული აქვს კანონით ან სადამფუძნებლო დოკუმენტით. ასეთ შეზღუდულ უფლებას სპეციალურ უფლებას უწოდებენ, ამიტომ, როდესაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი გადაწყვეტს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს დაფუძნებას, მან ჯერ უნდა გაარკვიოს კანონით ან თავისი წესდებით აქვს თუ არა მას ამის უფლება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ „თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, შესაბამისი სახელმწიფო მმართველობის ორგანო ვალდებულია დააყენოს ამ პირის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საკითხი“.

დასახელებული წესი მაშინ გამოიყენება, თუ თავად საჯარო სამართლის იურიდიული პირი დაიწყებს, მაგალითად, ყიდვა გაყიდვას ან სხვა სავაჭრო გზებით მოგების მიღებას. აქ გასათვალისწინებელია ის სიტყვები, რაც მე-9 მუხლის მე-2 პუნქტშია აღნიშნული, კერძოდ, „თუ არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე,“ აღნიშნული წესი არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი აფუძნებს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმის საწარმოს, მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რადგანაც ამ დროს სამეწარმეო საქმიანობას განახორციელებს არა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არამედ ის საზოგადოება, ანუ კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ამრიგად, კანონი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს შესაძლებლობას აძლევს, განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა შეზღუდულ ფარგლებში.

მსგავსი მითითება, ოღონდ კავშირისა და ფონდის მიმართ, მოცემულია სამიქალაქო კოდექსის 35-ე მუხლში, კერძოდ, „სასამართლომ (ოუსტიციის

სამინისტრომ) უნდა გააუქმოს რეგისტრაცია, თუ კავშირი ან ფონდი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქიანობაზე

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: საჯარო სამართლის იურიდიულ პირს შეუძლია დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თუ ეს უფლება წესდებით ან კანონით აქვს მინიჭებული. თუ კანონით ეს უფლება აკრძალული აქვს, წესდებაში ამ უფლებას ვერ დააფიქსირებს, და თუ მაინც დააფიქსირა და დააფუძნა, სასამართლომ ჯერ არ უნდა გაატაროს რეგისტრაციაში, ხოლო თუ შეცდომით გაატარა – შემდგომში ასეთი რეგისტრაცია უნდა გააუქმოს.

ისმის კითხვა: *ასეთ შემთხვევაში შეცდომით რეგისტრირებულ საწარმოს მიერ დადებულ გარიგებებს ექნება თუ არა იურიდიული ძალა?*

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს მეწარმეთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი: „ რეგისტრაციის გაუქმებამდე შეცდომით რეგისტრირებული საწარმო განიხილება როგორც უშეცდომოდ რეგისტრირებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს არ ეწინააღმდეგება ცალკეული პირების ან საზოგადოების არსებით ინტერესებს და 5.8 მუხლში აღნიშნულ პირებს არ განუცხადებიათ ამის შესახებ“.

ამრიგად, შეცდომით რეგისტრირებულ საწარმოს მიერ დადებულ გარიგებას ექნება იურიდიული ძალა. მაგრამ ასეთი ძალა მას არ ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეცდომით რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ცალკეული პირების ან საზოგადოების არსებით ინტერესებს და პარტნიორებმა ან მესამე პირებმა განაცხადეს ამის შესახებ.

აქვე შეიძლება ერთი კითხვა წამოიჭრას: იმოქმედებს თუ არა კერძო სამართლის ნორმა საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული საწარმოს მიმართ?

ამ კითხვაზეც, პასუხის გასაცემად, უნდა მივმართოდ სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილს, რომლის თანახმად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები“. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან

ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით. მეწარმეთა შესახებ კანონი ასევე მიეკუთვნება სამოქალაქო კანონმდებლობას.

ბ) კერძო სამართლის იურიდიული პირი

კერძო სამართალი – ეს არის სამართლის სფერო, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს კერძო პირებს შორის. კერძო სამართალს მიეკუთვნება სამოქალაქო სამართალი, შრომის სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი და ა.შ.

კერძო სამართლის იურიდიულ პირში მოიაზრება ყველა ის პირი, რომლის დაფუძნებაც მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსითა და მეწარმეთა შესახებ კანონით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო სამართლის იურიდიული პირები იყოფიან ორ ნაწილად: სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირებად.

სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირი, რომლის მიზანს შეადგენს სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, უნდა შეიქმნას მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით. აღნიშნული კანონით კი გათვალისწინებულია შემდეგი ფორმის სამეწარმეო იურიდიული პირები, ესენია:

1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
2. კომანდიტური საზოგადოება;
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
4. სააქციო საზოგადოება;
5. კოოპერატივი.

თითოეულ მათგანს შეუძლია დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. დამფუძნებლად გამოვლენ არა დამფუძნებელი საზოგადოების პარტნიორები, არამედ უშუალოდ დამფუძნებელი საზოგადოება. მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მთაწმინდას“ შეუძლია დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპიუტერი“. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპიუტერში“ პარტნიორთა კრებას მოიწვევს მისი დირექტორი. პარტნიორად კი გვევლინება მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მთაწმინდა“. ამიტომაც შპს „მთაწმინდის“ დირექტორს, პარტნიორის სახელით შეუძლია კრებაზე მიიღოს ის

გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპიუტერის“ საქმიანობას.

პრაქტიკაში არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც დამფუძნებელი საზოგადოების პარტნიორები იწვევენ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კრებას და იღებენ გადაწყვეტილებას. ასეთი მოქმედება სწორი არ არის, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში დამფუძნებელია საზოგადოება და არა მისი პარტნიორები. საზოგადოების სახელით კი გამოდის დირექტორი. ამდენად, დირექტორი, რომელშიც მოიაზრება დამფუძნებელი საზოგადოება, არის უფლებამოსილი, მოიწვიოს კრება და მიიღოს გადაწყვეტილება.

მაგალითად, შპს „ტექნოლოგმა“ დააფუძნა შპს „წყალი“. ამრიგად, შპს „წყალს“ ჰყავს მხოლოდ ერთი პარტნიორი. ზოგიერთი საკითხის გადასაწყვეტად შეიძლება საჭირო გახდეს პარტნიორთა კრების მოწვევა. ასეთ შემთხვევაში, ვინ მოიწვევს კრებას, შპს „ტექნოლოგის“ პარტნიორები? ეს სწორი არ იქნება. კრება, მეწარმეთა შესახებ კანონის 47.1 მუხლის თანახმად უნდა მოიწვიოს შპს „წყლის“ დირექტორმა. შეიძლება კრების მოწვევა მოითხოვოს შპს „ტექნოლოგმა“ მისი წარმომადგენლის – დირექტორის სახით, მაგრამ მოწვევის ორგანიზებას განახორციელებს შპს „წყლის“ დირექტორი.

მართალია, დამფუძნებელ საზოგადოებას ჰყავს მართვის უმაღლესი ორგანო – საერთო კრება, მაგრამ ეს ორგანო წყვეტს ძირითადად იმ შიდა ორგანიზაციულ საკითხებს, რომლებიც კანონით ან მისივე წესდებით არის მნიშვნელოვანი, მაგალითად, უძრავი ქონების გასხვისება, დიდი ოდენობით სესხის აღება და ა.შ.

რაც შეეხება არასამეწარმეო იურიდიულ პირებს, მათი შექმნის წესი რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით, კერძოდ, ამ კოდექსის 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილით „იურიდიული პირი, რომლის მიზანსაც არ შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა, შეიძლება არსებობდეს როგორც კავშირი (ასოციაცია) ან ფონდი“

კავშირსაც და ფონდსაც შეუძლიათ დააფუძნონ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ასეთ შემთხვევაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრებას მოიწვევს კავშირის გამგეობა. მოგებას მიიღებს კავშირი და ჩაირიცხება მის ბალანსზე.

კავშირის საქმიანობებში არის შემთხვევები, როდესაც არასწორად ესმით აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება: „სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ატარებს დამხმარე ხასიათს და ემსახურება საერთო მიზანს, არ ცვლის არაკომერციული იურიდიული პირის ხასიათს. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება კავშირის წევრებსა და ფონდის შემომწირველებს შორის დაუშვებელია“.

ამ ნორმის გამოყენებისას კონკრეტული შეცდომა იმაში ვლინდება, რომ ფიქრობენ, თითქოს, თუ კავშირი დააფუძნებს სამეწარმეო იურიდიულ პირს, მისთვის სამეწარმეო საქმიანობა დამხმარე სახის აღარ იქნება და შეიძლება სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის საფუძველზე გაუქმდეს. ამ ნორმის ასეთნაირი გაგება არასწორია.

საქმე ისაა, რომ აღნიშნული დანაწესი ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც კავშირი უშუალოდ თვითონ დაიწყებს სამეწარმეო საქმიანობას.

მაგრამ სად გადის ზღვარი „დამხმარე“ და „არსებითად“ სამეწარმეო საქმიანობას შორის?

თუ კავშირი იღებს ისეთ მოგებას, რომელიც ხმარდება კომუნალურ გადასახადებს, საკანცელარიო ნივთებს, კავშირის ყურნალის გამოცემას და ა.შ. შეიძლება ვთქვათ, რომ მისი სამეწარმეო საქმიანობა დამხმარე ხასიათს ატარებს. მაგრამ, თუ მოგებას კავშირის წევრები ერთმანეთშიც ინაწილებენ, ეს მოქმედება, რა თქმა უნდა, სცილდება „დამხმარე“ ხასიათის ფარგლებს.

ამრიგად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეიძლება დააფუძნონ კერძო სამართლის იურიდიულმა პირებმა, მათ შორის არასამეწარმეო იურიდიულმა პირებმაც ისე, რომ მათ არ სჭირდებათ სპეციალური უფლებამოსილების მიღება ან მათ წესდებაში ამ უფლების შესახებ სპეციალური აღნიშვნა.

ჩვენის აზრით, ასეთი დასკვნა გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის ანალიზიდან, რომლის თანახმად, „კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამეწარმეოსა თუ არასამეწარმეოს) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული“.

§ 4. სახელმწიფო როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებელი

სახელმწიფოსაც აქვს უფლება, დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ეს უფლება მინიჭებული აქვს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, სახელმწიფო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. სახელმწიფოს უფლებამოსილებას ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები და ა.შ.) ისე, რომ ისინი არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული წესი სახელმწიფოს ანიჭებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნების უფლებას. დამფუძნებლად შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო, ანუ იგი იყოს საწესდებო კაპიტალის 100%-იანი წილის მესაკუთრე, ანდა მასთან ერთად დამფუძნებლად გამოვიდეს ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი.

სახელმწიფოს სახით ვინ ახორციელებს საწარმოს დამფუძნებას?

სახელმწიფო ქონების პრევატიზაციის შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილით, „სახელმწიფო ქონების მართვასა (გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის მართვის უფლებით გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილისა) და პრევატიზებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო“.

ამრიგად, დასახელებული სამინისტრო გამოდის საწარმოს დამფუძნებლად. მაგრამ, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილებები, გარდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილების პრევატიზებასთან ან/და განკარგვასთან დაკავშირებული უფლებამოსილებებისა, გადაეცემა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საწარმოს მართვის სააგენტოს, რომლის მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო“.

ამრიგად, საწარმოთა მართვის სააგენტო მართავს საწარმოს პარტნიორის უფლებებით.

შეიძლება მომავალში ეს კიდევ შეიცვალოს, მთავარი ეს არ არის, მთავარია ის, რომ, ვინც არ უნდა გამოვიდეს სახელმწიფოს სახელით, იგი ასე ვთქვათ, შემოდის კერძო სამართლის სფეროში და ვალდებულია, დაემორჩილოს ამ „სფეროში“ არსებულ წესებს. ცხადია, არ უნდა მოხდეს იმ შეცდომების დაშვება, რასაც ზოგჯერ ადგილი ჰქონდა საკორპორაციო ურთიერთობათა პრაქტიკაში, მაგალითად, არ შეიძლება სახელმწიფო ორგანომ, რომელიც პარტნიორის უფლებით სარგებლობს, გადაწყვეტილება მიიღოს ბრძანების ფორმით და არა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ფორმით²².

ასევე არ შეიძლება პარტნიორმა სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელმა ბრძანებით დანიშნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი, ანდა ბრძანებით მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც უნდა მიიღოს პარტნიორთა კრებამ გადაწყვეტილებით.

რატომ ითვლება ასეთი ქმედება შეცდომად?

საქმე ისაა, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, დავსკვნათ, რომ მართვის უმაღლესი ორგანო – პარტნიორთა კრება, გადაწყვეტილებას იღებს არა ბრძანების სახით, არამედ „გადაწყვეტილების“ სახით. ამიტომაც მართვის უმაღლესმა ორგანომ, მიუხედავად იმისა, სახელმწიფოს სახით იქნება წარმოდგენილი იგი თუ კერძო პირის სახით, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კრების სახელითა და გადაწყვეტილების ფორმით და არა როგორც სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელმა ბრძანების ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გამოიწვევს იურიდიული ცნებების აღრევას, „ბრძანება“ სხვა არის და „კრების გადაწყვეტილება“ კიდევ სხვა.

გარდა ამისა, „კრების გადაწყვეტილების“ ფორმით მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებლობას გვაძლევს, დავინახოთ, რომ საწარმოს ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულია არა როგორც სახელმწიფოს მიერ, არამედ როგორც „პარტნიორის“ მიერ.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პარტნიორი სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებული ბრძანება ან განკარგულება იმის ეჭვს ბადებს, რომ

²² ს.უ.ს.გ ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე. 2002 წ. №2. გვ. 161.

კერძო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობაში ერევა სახელმწიფო, თუნდაც იგი პარტნიორის სტატუსით იყოს, რითაც ირღვევა სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი, წესი, რომლის მიხედვით იურიდიული პირი საკუთარი სახელით იძენს უფლებებს და მოვალეობებს, დებს გარიგებებს. იურიდიული პირის სახელით კი მოქმედებს ღირეპქტორი, მასთან ერთად გარკვეული საკითხების გადასაწყვეტად მოიაზრება აგრეთვე პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაც.

ბრძანებებით და განკარგულებებით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სახელმწიფო ორგანო ზემოქმედებას ახდეს დამოუკიდებელ პირზე – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, რაც არასწორია. უფრო მეტიც, მართავს მას და ამით აუქმებს კანონის დანაწესს, რომლის თანახმად, შპს-ის მართავის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება.

როგორც აღვნიშნეთ, თუ სახელმწიფო მონაწილეობს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, ის უნდა დაემორჩილოს ამ სფეროში მოქმედ კანონებს.

დაეუშვათ, რომ მინისტრმა გადაწყვიტა, გააუქმოს, მაგალითად, შპს-ის ღირეპქტორად გიორგი ცაავას დანიშვნის შესახებ ბრძანება, როგორ უნდა მოიქცეს?

ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით, საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებია: მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება. ამას ემატება ისიც, რომ, თუ პარტნიორი სახელმწიფო ორგანიზაცია ბრძანებით ნიშნავს შპს-ის ღირეპქტორს, ასევე ბრძანებით შეუძლია მისი განთავისუფლებაც. ასეთ შემთხვევაში თუ ღირეპქტორი სარჩელს შეიტანს სასამართლოში დადგება საკითხი ადმინისტრაციული პროცესით უნდა იქნეს განხილული დავა თუ სამოქალაქო პროცესით.

მე აღარ ვაგვარძელებ ბრძანების, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არასწორად გამოყენების შედეგებზე ან მისი შედეგის ფორმაზე საუბარს, აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს ბრძანების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, არასწორია მისი გაიგივება პარტნიორის გადაწყვეტილებასთან.

თავი III. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაცია

§ 1. საწარმოთა რეგისტრაციის არსი და მნიშვნელობა

საერთოდ, საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაცია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს. საწარმოთა რეგისტრაცია ხორციელდება, მაგალითად საფრანგეთში კანონით სავაჭრო რეგისტრაციის შესახებ²³, გერმანიაში სავაჭრო კოდექსით²⁴, აშშ-ში კორპორაციებისა და პარტნიორობის შესახებ შტატების ცალკეული კანონებით²⁵ და ა.შ.

განსხვავებიან მარეგისტრირებელი ორგანოებიც, კერძოდ, საფრანგეთში რეგისტრაციას ახორციელებს სავაჭრო სასამართლოების მდივანი²⁶, აშშ-ში შტატის მდივანი (Secretary of State)²⁷ ან სასამართლო, გერმანიაში სასამართლოები²⁸, ავსტრიაში სასამართლოები²⁹.

ამრიგად, სასამართლოების მხრიდან საწარმოთა რეგისტრაცია მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში საკმაოდ გავრცელებული და დამკვიდრებული ფორმაა და კარგია, რომ ქართულმა კანონმაც ეს ფორმა აირჩია, კერძოდ, მეწარმეთა შესახებ კანონის 4.1 მუხლით, საწარმოს რეგისტრაციას, გარდა ინდივიდუალური საწარმოსი, ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩაწერით. „რეალურად ეს ნორმა ავალდებულებს რეგისტრაციისათვის პასუხისმგებელ მოსამართლეს, რომ მან რეგისტრაციის მიზნით მიწოდებული საბუთები არა

²³ С. Жамен, Л. Лакур, Торговое право. М. 1993. Ст. 37.

Германское право, част 2. Германское торговое уложение и другие законы. М. 1996.

²⁵ Selected corporation and partnership statutes, rules and forms. St. Paul. Minn. 1994.

²⁶ დასახელებული ნაშრომი, გვ. 37.

²⁷ დასახელებული კანონებისა და წესების კრებული.

²⁸ დასახელებული სავაჭრო დებულება.

²⁹ Вольфганг Хоисер, Как делать бизнес в европе. М. 1990. Ст. 37.

მარტო ფორმალური სრულყოფილების, არამედ შინაარსობრივად, მატერიალური სისწორის თვალსაზრისითაც შეამოწმოს¹⁰.

ამრიგად, მსოფლიოს საბაზრო ეკონომიკის ყველა ქვეყანაში მოქმედებს სამეწარმეო – სავაჭრო რეგისტრაციის სისტემა, ამასთან, ევროპის ყველა ქვეყანაში სამეწარმეო რეესტრი საჯაროა¹¹. სამეწარმეო რეგისტრაციის განხორციელების წესი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, მაგალითად, გერმანიაში სავაჭრო რეგისტრაცია ხორციელდება სავაჭრო კოდექსით, საფრანგეთში სპეციალური კანონით სავაჭრო რეგისტრაციის შესახებ და ა.შ. ჩვენთან, საქართველოში კი იგი ხორციელდება კანონით მეწარმეთა შესახებ და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

რა მიზანს ემსახურება რეგისტრაცია?

საწარმოთა რეგისტრაციას რამდენიმე მიზანი აქვს, რომელთაგანაც შეიძლება ზოგიერთი მათგანი დავასახელოთ.

უპირველესი მიზანი არის ის, რომ სახელმწიფომ საზოგადოების განვითარებისა და გაძლიერების მიზნით, მის ტერიტორიაზე მყოფ პირთა გაერთიანებებს ან ცალკეულ პირებს (მაგალითად, ინდივიდუალურ მეწარმეს), მიანიჭოს მეწარმის სტატუსი, რათა მათ თავისუფლად განახორციელონ ვაჭრობა, გასწიონ მომსახურება, მიიღონ მოგება და ქვეყანაში შექმნან მატერიალური დოვლათი, ხელი შეუწყონ ინტელექტუალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

მეორე ასევე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიზანია კონტროლი იმ თვალსაზრისით, რომ საწარმოებმა, ზუსტად დაიცვან სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესები, არ განახორციელონ საზოგადოებისათვის ზიანის მომტანი საქმიანობა, არ დაარღვიონ კანონი და ზნეობის ნორმები.

რეგისტრაციის ერთ-ერთი მიზანია აგრეთვე ის, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს სტატისტიკური მონაცემები საწარმოთა რაოდენობის, მათი საქმიანობის შესახებ, რათა გაატაროს ეკონომიკის რეგულირების შესაბამისი ღონისძიებები, მაგალითად, თუ სახელმწიფო ხედავს, რომ

¹⁰ ჰანს – იოახიმ შრამი, საზოგადოების ორგანოთა კონტროლი სახელმწიფოს მიერ. მეორე გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში. 2003 წ., გვ. 159.

თამაზ ჯანეზაშვილი, სამეწარმეო რეესტრი ევროპის ქვეყნებში. ჟურნალი საქართველოს ნოტარიატი, 2002 წ., №3-4, გვ. 81.

ქვეყანაში ხორცის პროდუქტები ნაკლებად იწარმოება, მაშინ ხელი უნდა შეუწყოს მეცხოველეობის განვითარებას, ანდა, თუ თვლის, რომ სახელმწიფოში დიდი ოდენობით შემოდის გარკვეული სახის საქონლის იმპორტი, მაშინ ხელი შეუწყოს სახელმწიფოში ამ სახის საქონლის წარმოებას და ა.შ.

რეგისტრაცია ემსახურება აგრეთვე ერთ მეტად მნიშვნელოვან მიზანს: მეწარმეებიდან გადასახადების აკრეფას.

ბოლოს, რეგისტრაცია ხელს უწყობს საზოგადოებაში დემოკრატიისა და საჯაროობის დამკვიდრებას, კერძოდ, რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ პირს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია მეწარმის შესახებ.

რა მნიშვნელობა აქვს საწარმოს რეგისტრაციას?

საწარმოს რეგისტრაციის მნიშვნელობა მეწარმეთა შესახებ კანონის ბევრ მუხლში ჩანს, მაგრამ მე მხოლოდ რამდენიმეს შევხები.

პირველი – საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (მეწ. შეს. კანონის 2.5 მუხლი).

როგორც ეხედავთ, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმით შექმნილი საზოგადოება არ გატარდება სამეწარმეო რეესტრში, იგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტატუსს ვერ მოიპოვებს. ეს არის, შეიძლება ითქვას, საწარმოს რეგისტრაციის უპირველესი მნიშვნელობა.

მეორე – თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, რეგისტრაცია უქმდება სასამართლოს მიერ, თუკი ეს ხარვეზი სამი თვის ვადაში არ იქნება გამოსწორებული. რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს აგრეთვე საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორის ან ნებისმიერი მესამე პირის სარჩელის საფუძველზე (მეწ. შეს. კანონის 5.8 მუხლი).

სიტყვა „ხარვეზში“ შპს-სთან დაკავშირებით მოიაზრება მეწარმეთა შესახებ კანონის მთელი რიგი წესები, რომელთა შორისაც ამჟამად აღვნიშნავ რამდენიმეს, მაგალითად, 1.1 მუხლით სამეწარმეო საქმიანობა უნდა იყოს მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული, უნდა ჰქონდეს მოგების მიზანი; 2.4 მუხლის თანახმად, თუ საწარმოში 50-ზე მეტი დამფუძნებელია შპს-დ ვერ ჩამოყალიბდება; გარდა აღნიშნულისა გასათვალისწინებელია აგრეთვე მეწარმეთა შესახებ

კანონის სხვა ნორმებიც, კერძოდ, 2.7 მუხლის 1-ლი აბზაცი; 3.3 მუხლის 1-ლი აბზაცი; 3.5 მუხლის 1-ლი აბზაცი; მე-5 მუხლი; მე-6 მუხლი; 9.4 მუხლის 1-ლი აბზაცი; 45.1 მუხლი და ა.შ.

ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს სხვა შემთხვევებიც, რომლებიც შესაბამის თავებში იქნება გაანალიზებული.

როგორც 5.8 მუხლიდან ჩანს, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს:

1. მარეგისტრირებელ სასამართლოს, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 348-ე მუხლის 1-ლი ნაწილით უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით გამოიტანოს განჩინება და ამოშალოს საწარმო რეესტრიდან. თუ, რა თქმა უნდა, სამთვიან ვადაში ხარვეზი არ იქნება გამოსწორებული;

2. საზოგადოების ნებისმიერ პარტნიორს, მიუხედავად მისი წილობრივი ოდენობისა;

3. ნებისმიერ მესამე პირს.

თუ პირი არ არის პარტნიორი ან მესამე პირი მას არ აქვს უფლება მოითხოვოს საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება³².

მესამე პირად არ მიიჩნევა საზოგადოების პარტნიორი. მესამე პირი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე სახელმწიფოც, რომელიც წარმოადგენს მომავალი გარიგების მხარეს ან არ იყოს მხარე, მაგრამ გარიგება დაიდოს მის სასარგებლოდ. მაგალითად, შპს-მ იყიდა კომპიუტერი სააქციო საზოგადოებისგან და ხელშეკრულებაში მიუთითა, რომ გამყიდველს ეს კომპიუტერი გადაეცა კომანდიტური საზოგადოებისათვის. ამრიგად, კომანდიტური საზოგადოება არის მესამე პირი, რომლის სასარგებლოდაც დაიდო გარიგება.

მესამე პირად ჩაითვლება ასევე ყველა ის პირი, რომელსაც შეიძლება წარმოეშვას მოთხოვნა საზოგადოების ან მისი პარტნიორების მიმართ³³.

შეიძლება თუ არა ხარვეზის გამოსწორების შესახებ მიუთითოს პირველი ინსტანციის სასამართლომ ან საოლქო სასამართლომ?

როგორც უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში

³² სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №3, გვ. 230.

³³ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 46.

მიუთითა, „თუ საქმის განხილვის პროცესში აღმოჩნდება, რომ სამეწარმეო რეესტრში დაშვებულია შეცდომები, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელია, მაგალითად, წესდებაზე ხელს არ აწერს ერთ-ერთი პარტნიორი ან საწესდებო კაპიტალი არ არის შევსებული წესდებით გათვალისწინებულ მინიმალურ ოდენობამდე, მაშინ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე საოლქო სასამართლოს შეუძლიათ დანიშნონ ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად“³⁴.

რას წარმოადგენს საწარმოს რეგისტრაცია? ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს იძლევა მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „რეგისტრაცია არის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების და მოვლენების შეტანა სპეციალურ სახელმწიფო რეესტრში“³⁵. ამრიგად, როგორც განმარტებიდან ჩანს, მხოლოდ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებისა და მოვლენების რეგისტრაცია ხდება. საზოგადოების მიერ განხორციელებული ყველა სახის მოქმედება არ წარმოადგენს რეგისტრაციისათვის იურიდიული მნიშვნელობის ქონე ფაქტს, მაგალითად, საზოგადოების მიერ თანხის გასესხება, ანდა ღირექტორის მიერ პარტნიოროთა საერთო კრების მოწვევა და ა.შ. მათ არ სჭირდებათ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია.

მაგრამ რეგისტრაციას საჭიროებს ახალი პარტნიორის შემოსვლა ანდა პარტნიორებს შორის წილების გადანაწილება და სხვა.

რეგისტრაციის მნიშვნელობა რა თქმაუნდა, მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილით არ ამოიწურება, საქმე ისაა, რომ ზოგიერთი სახის მოქმედების თუ გადაწყვეტილების იურიდიული შედეგის დადგომისათვის აუცილებელია ამ მოქმედების (გადაწყვეტილების) რეგისტრაცია, ანუ მარტივი ენით რომ ვთქვათ, თუ რეგისტრაციაში არ გატარდა გადაწყვეტილება ის არ წარმოშობს იმ იურიდიულ შედეგს, რასაც ეს გადაწყვეტილება ისახავს მიზნად. მაგალითად, თუ პარტნიოროთა კრებაზე მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომ შეამცირონ საზოგადოების საწესდებო კაპიტალი, ამ გადაწყვეტილებას არ ექნება იურიდიული შედეგი, ე.ი. არ ჩაითვლება შემცირებულად, თუ ეს გადაწყვეტილება არ გატარდა რეგისტრაციაში.

³⁴ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე 2003 წ. №4 914.

ლ. ჭანტურია და თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 31.

ანდა, თუ ახალი წევრის მიღება სურთ პარტნიორად, მხოლოდ კრების გადაწყვეტილებას არ ექნება იურიდიული ძალა, საჭიროა ახალი წევრის პარტნიორად რეგისტრაციაც სამეწარმეო რეესტრში.

როგორც ვხვდავთ, რეგისტრაციას აქვს კონსტიტუციური მნიშვნელობა, ანუ რეგისტრაციის განხორციელება კანონით არის გათვალისწინებული და მხოლოდ კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის შემთხვევაში წარმოიშობა სამართლებრივი შედეგები.

ტერმინი „რეგისტრაცია“ პირველად ჩვენ გვხვდება მეწარმეთა შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში, კერძოდ, მასში აღნიშნულია: „საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა. საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშევა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან“.

აღნიშნული მუხლი იმაზე მიუთითებს, რომ პირთა გაერთიანება ან პირი არ ჩაითვლება სამეწარმეო ორგანიზაციად - საწარმოდ, თუ იგი არ გატარდა რეგისტრაციაში. ე.ი. პირთა გაერთიანებას ან ცალკეულ პირს რეგისტრაციის გარეშე არ მიენიჭება მეწარმის სტატუსი. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მათი ურთიერთობები, მათ შორის დავები, არ გადაწყდება მეწარმეთა შესახებ კანონით.

ამავე პუნქტის მეორე აბზაციით: „თუ რეგისტრაციამდე საზოგადოების სახელით რაიმე მოქმედება განხორციელდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ეს ვალდებულება ძალაში რჩება საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგაც“.

მოვიყვან ერთ მაგალითს, რომლის მიმართაც შეიძლება 2.5 მუხლის გამოყენება:

სამი მეცნიერი შეიკრიბა და შეთახმდნენ, რომ ერთი მათგანი – A გააცნობდა თავისი კვლევის შედეგებს დანარჩენ ორ მეცნიერს B-ს და C-ს, დააფუძნებდნენ შპს-ს და შემდეგ ამ შედეგებით ერთად დაიწყებდნენ წარმოებას. ასეც მოიქცნენ, შეიმუშავეს შპს-ის სადამფუძნებლო დოკუმენტები და პარალელურად დაიწყეს A-ს შედეგების გამოყენება, მაგრამ შემდეგ დავის გამო, შპს-ის რეგისტრაციისას A პარტნიორად აღარ შეიყვანეს. B-ს და C-ს მიერ რეგისტრირებულმა საზოგადოებამ გააგრძელა A-ს შედეგების გამოყენება. A-მ გადაწყვიტა

აღეძრა სარჩელი სასამართლოში, მაგრამ მის წინაშე დადგა კითხვა, თუ ვის მიმართ აღეძრა სარჩელი, ანუ ვინ უნდა ყოფილიყო მოპასუხე, B და C თუ მათ მიერ შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება?

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მეორე აბზაცის საფუძველზე, A-ს სარჩელი უნდა შეეტანა B-სა და C-ს წინააღმდეგ. რადგანაც მათ დაარღვიეს A-სთან დადებული შეთანხმება.

ამრიგად, 2.5 მუხლი მეტად მნიშვნელოვან წესს ადგენს, რაც უნდა გაითვალისწინონ შპს-ის დამფუძნებლებმა, კერძოდ, თუ დამფუძნებლები რაიმე ვალდებულებას იკისრებენ ვინმეს წინაშე და შემდეგ რეგისტრაციის გზით გაატარებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, ვალდებულებები უნდა შეასრულოს არა მათ მიერ დაფუძნებულმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ, არამედ პირადად მათ, მთელი თავიანთი ქონებით. ამის მიზეზი ძალიან მარტივია, შპს, როგორც საწარმო ანუ პასუხისმგებელი პირი, წარმოიშობა მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ, მანამდე ის როგორც პასუხისმგებელი პირი არ არსებობდა.

სასამართლოში შპს-ის რეგისტრაციისათვის კანონით განსაზღვრულია ბაჟის გადახდა.

დაბოლოს, შპს-მ, გარკვეული მიზეზით შეიძლება ხელმეორედ გაიაროს რეგისტრაცია. ასეთ შემთხვევაში მოხდება თუ არა მისი ლიკვიდაცია ან ნიშნავს თუ არა ხელმეორედ რეგისტრაცია ახალი იურიდიული პირის წარმოშობას?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა სასამართლო პრაქტიკა, კერძოდ, ხელახალი რეგისტრაცია არ იწვევს ადრე არსებული იურიდიული პირის ლიკვიდაციას, მის გაუქმებას. ხელახალი რეგისტრაცია არც ახალი იურიდიული პირის წარმოშობის საფუძველია. ხელახალი რეგისტრაციის შედეგად რეგისტრირებული იურიდიული პირი ადრე რეგისტრირებული იურიდიული პირის უფლებამონაცვლეა³⁶.

³⁶ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №8, გვ. 860.

§ 2. სამეწარმეო რეესტრის ცნება და მნიშვნელობა

„საწარმოს რეგისტრაციას, გარდა ინდივიდუალური საწარმოსი, ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით“ – მეწარმეთა შესახებ კანონის 4.1 მუხლის ამ მითითებით იწყება რეესტრის „სამყარო“. ეს არის, შეიძლება ითქვას, „კარები“, რომლითაც ჩვენ შევდივართ და ვეცნობით სამეწარმეო რეესტრს, მის ფუნქციას, იურიდიულ ბუნებას, რეესტრში რეგისტრაციის პირობებს და ა.შ.

„სამეწარმეო რეესტრი“ სრულიად ახალი ინსტიტუტია, რომელსაც მანამდე ქართველი საზოგადოება არ იცნობდა. შეიძლება ითქვას, რომ მისი ბუნებიდან გამომდინარე, იგი დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

რა არის სამეწარმეო რეესტრი?

მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარებში მოცემულია მისი ძირითადი ბუნება, კერძოდ, იგი „არის საჯარო (სახელმწიფო) ნუსხა იმ ფაქტებისა, რომელთაც ეკონომიკურ ურთიერთობებში სამართლებრივი მნიშვნელობა აქვთ“³⁷.

ამრიგად, სამეწარმეო რეესტრში ფიქსირდება ისეთი ფაქტები, რომლებიც ეკონომიკურ ურთიერთობებში იურიდიულ შედეგებს წარმოშობს. ამიტომ აქვს სამეწარმეო რეესტრს უდიდესი მნიშვნელობა სამართალსუბიექტებისათვის.

მხოლოდ რეგისტრირებულ ფაქტს აქვს იურიდიული ძალა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი გამოქვეყნება და გაცნობა მესამე პირებისათვის. ამის შესახებ პირდაპირ უთითებს კანონის 7.1 და 7.2 მუხლები, კერძოდ, 7.1 მუხლის თანახმად, „ვიდრე რეესტრში ჩასაწერი ფაქტები არ იქნება რეგისტრირებული და გამოქვეყნებული, დაუშვებელია მათი გამოყენება მესამე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს მონაცემები მათთვის ცნობილი იყო“. 7.2. მუხლის თანახმად კი, თუ ფაქტები რეგისტრირებული და გამოქვეყნებულია, დასაშვებია მათი გამოყენება მესამე პირის მიმართ.

მაგრამ, დავუშვათ, შეცდა მარეგისტრირებელი მოსამართლე და სარეგისტრაციოდ გამზადებული დოკუმენტებიდან, ანუ რეგისტრაციამდე

³⁷ ლ. ჭანტურია და თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 70.

მესამე პირს მიაწოდა გარკვეული სახის ინფორმაცია. უნდა აგოს თუ არა პასუხი მოსამართლემ, თუკი მესამე პირი, შემდგომში ამ ინფორმაციის გამოყენებით დაზარალდება?

ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობ, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, მარეგისტრირებელ მოსამართლეს, სახელმწიფოსთან ერთად ეკისრება სოლიდარული პასუხისმგებლობა. ჩვენი აზრის დასასაბუთებლად მოკლედ აღვნიშნავ შემდეგს: მეწარმეთა შესახებ კანონის 4.1 მუხლის თანახმად, საწარმოს რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო. ამ წესის უპირველესი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მოსამართლემ შეისწავლოს წარმოდგენილი დოკუმენტები, თუ რამდენად შეესაბამება ისინი კანონის მოთხოვნებს. ამის შემდეგ მოსამართლე აკეთებს სათანადო ჩანაწერებს სამეწარმეო რეესტრში.

ამავე კანონის 7.2 მუხლის მიხედვით, მოსამართლე ნებისმიერ მესამე პირს გადასცემს ამონაწერს მის მიერ 'გაკეთებული ჩანაწერის მიხედვით.

დასახელებული კანონის 7.3 მუხლიდან გამომდინარე მესამე პირი ეყრდნობა იმ რეგისტრირებულ და გამოქვეყნებულ მონაცემებს, რომლებიც გააკეთა მოსამართლემ, თუ მესამე პირმა არ იცოდა ამ უზუსტობის შესახებ.

ამის შემდეგ, იქედან გამომდინარე, რომ მოსამართლის ჩანაწერი არ არის სწორი, მესამე პირი მატერიალურად ზიანდება. ვინ უნდა აგოს პასუხი მესამე პირის წინაშე, თუ არა მოსამართლემ, რომელიც უპასუხისმგებლოდ მოეკიდა დაკისრებულ მოვალეობას – გულდასმით შეემოწმებინა სარეგისტრაციო საბუთები.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის მოვიყვან ერთ მაგალითს:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებმა 2000 ლარიანი საწესდებო კაპიტალი გაზარდეს 3000 ლარამდე, მაგრამ სასამართლომ შეცდომით დააფიქსირა 30 000 ლარი.

მესამე პირმა – ბანკმა, რეგისტრირებული 30 000 ლარიანი საწესდებო კაპიტალის საფუძველზე, შპს-ს ასესხა 20 000 ლარი. დავის შემთხვევაში ბანკს შეუძლია დაეყრდნოს სასამართლოსგან მიღებულ ცნობას იმის თაობაზე, რომ შპს-ის საწესდებო კაპიტალია 30 000 ლარი.

ამ შემთხვევაშიც, თუ ბანკი დაზარალდება, პასუხისმგებელი იქნება სასამართლო, თუ რა თქმა უნდა, თავად პარტნიორებს არ მიუწოდებიათ სასამართლოსთვის მცდარი ინფორმაცია.

დაბოლოს, მნიშვნელოვან წესს წარმოადგენს 5.8 მუხლის მეორე აბზაცი: „რეგისტრაციის გაუქმებამდე შეცდომით რეგისტრირებული საწარმო განიხილება, როგორც უშეცდომოთ რეგისტრირებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს არ ეწინააღმდეგება ცალკეული პირების ან საზოგადოების არსებით ინტერესებს და 5.8 მუხლში აღნიშნულ პირებს არ განუცხადებიათ ამის შესახებ“.

დასახელებული წესი იმ ფაქტზე უთითებს, რომ, თუ დააფუძნეს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მაგრამ რეგისტრაციაში გატარდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, იგი იურიდიულად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად იქნება მიჩნეული. შეიძლება მოვიყვანოთ სხვა მაგალითიც: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განაწილებული იყო 4 დამფუძნებელზე, მაგრამ წესდებაზეც და განცხადებაზეც მხოლოდ სამ პარტნიორს ჰქონდა ხელი მოწერილი, სასამართლომ, მიუხედავად ამისა, ოთხივე დამფუძნებელი გაატარა რეგისტრაციაში პარტნიორად. რა თქმა უნდა, მეოთხე დამფუძნებელი ჩაითვლება შპს-ის პარტნიორად. ასეთი რეგისტრაცია არის შეცდომა და იგი სამთვიან ვადაში უნდა იქნეს გამოსწორებული.

აქვე ისმის კითხვა, კრედიტორებსა და საზოგადოებას შორის დაეის შემთხვევაში, ხომ არ შეუძლია ამ მეოთხე პარტნიორს, დაეყრდნოს 5.8 მუხლის მეორე აბზაცში არსებულ წესს და აღნიშნოს, რომ რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ცალკეული პირების ინტერესებს, ანუ ამ შემთხვევაში მის ინტერესებს და იგი პარტნიორად არ უნდა ჩაითვალოს?

აღნიშნული პარტნიორი ვერ დაეყრდნობა მითითებულ წესს, რადგანაც მას ადრევე უნდა განეცხადებინა საზოგადოებაში და სასამართლოში ასეთი შეცდომის არსებობის შესახებ. ამაზე უთითებს სწორედ ზემოთ დასახელებული წესიც: „... როცა ეს არ ეწინააღმდეგება ცალკეული პირების ან საზოგადოების არსებით ინტერესებს და 5.8 მუხლში აღნიშნულ პირებს არ განუცხადებიათ ამის შესახებ“.

§ 3. სამეწარმეო რეესტრის მწარმოებელი ორგანო

მეწარმეთა შესახებ კანონში თავდაპირველად აღნიშნული იყო, რომ საწარმოს რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერით (მუხ. 4.1), მაგრამ 2001 წლის 1 მაისიდან ამოქმედდა ახალი წესი, რომელმაც შეცვალა დასახელებული 4.1 მუხლის ფორმულირება და იგი ასე ჩამოაყალიბა: საწარმოს რეგისტრაციას, გარდა ინდივიდუალური საწარმოსი, ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით.

ამავე კანონის 5 ა მუხლის პირველმა პუნქტმა კი დააზუსტა, რომ ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციას ახორციელებს საგადასახადო ორგანო.

აღნიშნულმა ცვლილებებმა დაგეანახა, რომ სამეწარმეო რეესტრს აწარმოებს სახელმწიფოს ორი ორგანო – სასამართლო და საგადასახადო ორგანო.

სასამართლო ახორციელებს იმ საწარმოების რეგისტრაციას, რომლებიც იურიდიული პირებია, მათ შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისაც.

საგადასახადო ორგანო კი ახორციელებს არაიურიდიული პირის – ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციას.

რამდენად სწორია ასეთი დაყოფა, ეს სხვა საკითხია. პირადად მე მიმაჩნია, რომ რადგანაც საწარმოთა რეგისტრაცია სამართლებრივ საკითხებს შეეხება და მოითხოვს იურიდიული ნორმების ცოდნას და მათ ანალიზს, ჯობდა რომ სასამართლოს გაეგრძელებინა ინდივიდუალური საწარმოების რეგისტრაციაც.

რეესტრს აწარმოებენ პირველი ინსტანციის რაიონული სასამართლოები, ხოლო იქ სადაც არ არის რაიონული სასამართლოები – საქალაქო სასამართლოები (შემდგომში – რაიონული სასამართლოები), მაგალითად, ბათუმის საქალაქო სასამართლო, ქუთაისის საქალაქო სასამართლო. ასევე ცალკეული რაიონის საგადასახადო ორგანოები.

სასამართლოებს აქვთ კანონით დადგენილი ფორმულარები, რომლებშიც ხდება ფაქტების ჩაწერა. მეწარმეთა შესახებ კანონის 4.3 მუხლით, „სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს სასამართლო აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ხოლო სასამართლო დადგენილების ასლს უგზავნის

შესაბამის საგადასახადო ორგანოს და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს თვეში ერთხელ, არაუგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა. შაქციო საზოგადოებასთან დაკავშირებით გამოტანილი დადგენილების ასლს სასამართლო იმავე ვადაში უგზავნის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას.“

^ ამრიგად, სასამართლოს მოვალეობაში შედის:

- მეწარმის რეგისტრაცია;
- რეესტრის მონაცემების გამოქვეყნება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, კერძოდ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში;
- საგადასახადო ორგანოსადმი მეწარმის რეგისტრაციის შესახებ დადგენილების გაგზავნა;
- საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისადმი მეწარმის რეგისტრაციის შესახებ დადგენილების გაგზავნა.
- სააქციო საზოგადოებასთან დაკავშირებით გამოტანილი დადგენილების ასლის გაგზავნა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიაში.

მეწარმეთა შესახებ კანონის 5.9 მუხლის თანახმად, სასამართლომ მეწარმის რეგისტრაცია უნდა განახორციელოს დამფუძნებლების მიერ სარეგისტრაციო საბუთების წარდგენიდან ხუთი კალენდარული დღის განმავლობაში. თუ ამ ვადაში რეგისტრაცია არ განხორციელდება ან განმცხადებელს წერილობით არ ეცნობება მოტივირებული უარის შესახებ, საწარმო ჩაითვლება რეგისტრირებულად და სასამართლო ვალდებულია, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, დაუყოვნებლივ გასცეს სარეგისტრაციო მოწმობა.

2003 წლის მაისში ძალაში შევიდა მეწარმეთა შესახებ კანონში ახალი ცვლილებები და დამატებები. კერძოდ, კანონს დაემატა 5² მუხლი, რომლითაც განისაზღვრა რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველები. ვფიქრობ, რომ აღნიშნული დამატება რაიმე საჭიროებით არ იყო გამოწვეული, რადგან, თუ დამფუძნებელი არ შეასრულებდა რეგისტრაციისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, მოსამართლე უარს ეტყოდა რეგისტრაციაზე. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს დამატება ფაქტობრივად კანონში განმეორებაა. გარდა ამისა, იგი ზოგიერთ დაზუსტებას და განმარტებას საჭიროებს, მაგალითად, როგორ განემარტოთ ფორმულირება

„საწარმოს რეგისტრაციაზე უარი შეიძლება ეთქვას თუ“ აღნიშნული განცხადებიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სასამართლოს შეუძლია უარი არ უთხრას რეგისტრაციაზე, თუნდაც წარდგენილი დოკუმენტები რეგისტრაციის პირობებს არ შეესაბამებოდეს.

სინამდვილეში ფორმულირება „უარი შეიძლება ეთქვას“ იმპერატიულ მოთხოვნას გულისხმობს, მაგრამ, თავისთავად, იგი იმპერატიული მოთხოვნის წყობას არ შეესაბამება. უმჯობესი იქნებოდა დაწერილიყო „საწარმოს რეგისტრაციაზე უარი უნდა ეთქვას“.

როგორია დასახელებული მუხლით შპს-ს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები?

ეს საფუძვლები მოცემულია მეწარმეთა შესახებ კანონის 1-ელ და მე-3 პუნქტებში. 1-ლი პუნქტის თანახმად, შპს-ის რეგისტრაციაზე უარი უნდა ეთქვას, თუ:

ა) განცხადება საწარმოს რეგისტრაციის თაობაზე არ შეიცავს ამ კანონის 5.4 მუხლში მითითებულ მონაცემებს;

ბ) განცხადება საწარმოს რეგისტრაციის თაობაზე წარმოდგენილია პარტნიორების, წარმომადგენლობითი ანდა სამეთვალყურეო ორგანოების შესაძლო წევრების ხელმოწერის გარეშე;

გ) არ არის წარმოდგენილი ხელმოწერის ის ნიმუშები, რომლებიც საწარმოს შესაძლო წარმომადგენელთა მიერ გამოყენებული იქნება საქმიან ურთიერთობებში;

დ) სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტები არ არის დამოწმებული სანოტარო წესით;

ე) არაფულადი შესატანით მისი დაფუძნებისას არ არის წარმოდგენილი შესატანის დადგენილი წესით შეფასების დამადასტურებელი საბუთი;

მე-3 პუნქტის თანახმად კი ასეთი უარის თქმა მოხდება თუ:

ა) მათ არ გააჩნიათ საწესდებო კაპიტალის კანონით დადგენილი ოდენობა;

ბ) არ არის წარმოდგენილი ყოველი პარტნიორის მიერ შესრულებული შესატანის დამადასტურებელი საბუთი;

გ) არ არის განსაზღვრული ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობა და შესაბამისი წილი;

დ) არ არის მითითებული ყოველი დირექტორის, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას – აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრის ამ კანონით დადგენილი მონაცემები და არ არის წარმოდგენილი მათი დანიშვნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შპს-ის რეგისტრაციისათვის დამფუძნებლები იხდიან კანონით დადგენილ ბაუს. მისი ოდენობა არის 160 ლარი (კანონი სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ, მე-7 მუხლი, მე-7 პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტი).

მეწარმეთა შესახებ კანონის არსიდან გამომდინარე, შპს-ის რეგისტრაციის დროს სასამართლოს აკისრია მოვალეობა – შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება წარმოგენილი დოკუმენტების შინაარსი კანონს. კონკრეტულად ამ მოვალეობაში შეიძლება ვიგულისხმოთ, მაგალითად, წესდებასთან დაკავშირებით:

ა) იურიდიულ მისამართად ხომ არ არის გამოყენებული ზოგადი ტერმინი, მაგალითად, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია, რიყის ტერიტორია, რიკოთის უღელტეხილი და ა.შ.

ბ) არსებობს თუ არა მსგავსი საფირმო სახელწოდებით საზოგადოება, მაგალითად, სარეგისტრაციო დოკუმენტებით შპს-ის სახელია „თბილისი“, მაშინ როდესაც ამ სახელით უკვე მოქმედებს შპს „თბილისი“? ანდა ხომ არ არის ისეთი სახელწოდება, რომელმაც შეიძლება დააბნოს მესამე პირი, მაგალითად, ერთ-ერთი სასამართლოს მიერ რეგისტრირებულია ს/ს ასეთი სახელწოდებით „სამეგრელო-ზემო სვანეთის ენერჯოკომპანიის ხობის ფილიალი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №18, 18 - 10. 2002. გვ. 55).

გ) არის თუ არა დამფუძნებელთა წილები 100%-ის ფარგლებში განაწილებული? ზოგჯერ, სამწუხაროდ, წილები ისეა გადანაწილებული, რომ სცილდება 100%-იან ზღვარს. მაგალითად, ხუთ დამფუძნებელზე წილები შემდეგნაირად შეიძლება იყოს გადანაწილებული: 27%, 36% 18% 11%, 10%, ამათი ჯამი უდრის 102%, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელია.

დ) იყოფა თუ არა დამფუძნებელთა წილები 10-ზე უნაშთოდ? მაგალითად, ხომ არ აქვს რომელიმე დამფუძნებელს 255 ლარი შეტანილი საწესდებო კაპიტალში? რადგან აღნიშნული შესატანი 10-ზე გაყოფისას ტოვებს ნაშთს. ასევე უნდა მიექცეს ყურადღება, როდესაც პარტნიორები ახორციელებენ არაფულად შენატანს. ამ დროს აუდიტის შეფასებაც უნაშთოდ უნდა იყოფოდეს 10-ზე. მაგალითად, საწესდებო

კაპიტალში შეიტანეს ტელევიზორი, რომელიც აუდიტმა შეაფასა 475 ლარად. ასეთი თანხა კი 10-ზე გაყოფისას ტოვებს ნაშოს.

ე) თუ საწესდებო კაპიტალში შეტანილია არაფულადი შენატანი – წესდებაში აღწერილია თუ არა რა სახის ნივთია იგი?

„წესდებაში ეს ობიექტი ისე უნდა იყოს აღწერილი, რომ არავითარ ეჭვს არ იწვევდეს მისი სახეობის, ოდენობის, უფლებრივი მდგომარეობისა და ა.შ საკითხი“³⁸.

ვ) თუ უძრავი ნივთია შეტანილი საწესდებო კაპიტალში, არის თუ არა იგი გატარებული შპს-ს სახელზე საჯარო რეესტრში, ხოლო მანქანის შემთხვევაში რეგისტრირებულია თუ არა საზოგადოების სახელზე შესაბამის ორგანოში?

ზ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში არის თუ არა შექმნილი სამეთვალყურეო საბჭო? საბჭოს წევრთა ოდენობა არის თუ არა მინიმუმ სამი წევრი და მაქსიმუმ 21 წევრი? წევრთა ოდენობა იყოფა თუ არა სამზე?

თ) წესდებაზე ყველა დამფუძნებელს აქვს თუ არა ხელი მოწერილი? რადგანაც, სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც რეგისტრაციაში გატარებული არიან პარტნიორებად ისეთი პირები, რომლებსაც წესდებებზე ხელი არა აქვთ მოწერილი.

ი) ხომ არ ეწინააღმდეგება წესდების რომელიმე წესი ან ტერმინი კანონის სხვა მოთხოვნებს?

კ) ბოლოს, წესდება დამოწმებულია თუ არა ნოტარიალურად?

ეს არის ის მინიმუმი, რომელსაც მოსამართლემ უნდა მიაქციოს ყურადღება, როდესაც იგი საბუთებს მიიღებს სარეგისტრაციოდ.

კანონი განსაზღვრავს აგრეთვე განცხადების შინაარსს, კერძოდ, განცხადება შპს-ის რეგისტრაციის დროს უნდა შეიცავდეს:

- საფირმო სახელწოდებას;
- ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას;
- ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს);
- საქმიანობის საგანს;
- მონაცემებს სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ;

³⁸ ლ. ჭანტურია და თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 53.

- ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის სახელს, გვარს, დაბადების
- ადგილსა და თარიღს, პროფესიასა და საცხოვრებელ ადგილს; ხოლო თუ დამფუძნებელი იურიდიული პირია, მის საფირმო სახელწოდებას და რეგისტრაციის მონაცემებს (იურიდიული მისამართი, სასამართლოს დასახელება, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა იურიდიული პირი, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, მისი წარმომადგენლის მონაცემები);
- წარმომადგენლობის უფლებამოსილებას;
- საწესდებო კაპიტალის ოდენობას;
- ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობას, შესაბამისად წილს;
- ყოველი დირექტორის, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს და ადგილს, პროფესიასა და საცხოვრებელ ადგილს;
- იმ დოკუმენტების აღნიშვნას, საიდანაც ჩანს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს (თუკი ასეთი არსებობს) წევრების დანიშვნა;
- ხელმოწერილია თუ არა განცხადება პარტნიორების მიერ, საზოგადოების წარმომადგენლების მიერ და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ, თუკი შპს-ში ასეთი ორგანო არსებობს;
- განცხადებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება თუ არა წესდებაში მოცემულ შესაბამის ინფორმაციას, მაგალითად, ზოგჯერ განცხადებაში სხვა იურიდიული მისამართია, ხოლო წესდებაში სხვა, ან განცხადებაში სხვა პარტნიორი აწერს ხელს, ხოლო წესდებაში სხვა და ა.შ.
- ნოტარიალურად დადასტურებულია თუ არა განცხადება.

სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი უნდა იყოს აგრეთვე შემდეგი ცნობები:

- ა) თუ დამფუძნებელი არასრულწლოვანია, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებული მშობლების, მზრუნველის თანხმობა? (სამ. კოდ. 65-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 1293, 1294-ე მუხლები);

- ბ) საბუთი შესრულებული შესატანის შესახებ;
- გ) საწესდებო კაპიტალში არაფულადი შესატანის, შეფასების დამადასტურებელი საბუთი;
- დ) დოკუმენტი ღირექტორის დანიშვნის შესახებ;
- ე) დოკუმენტი სამეთვალყურეო საბჭოს (თუკი ასეთი არსებობს) წევრების დანიშვნის შესახებ;
- ვ) საზოგადოების წარმომადგენელთა ხელმოწერის ნიმუში – დადასტურებული ნოტარიალურად.

ყოველივე ზემოთ ჩამონათვალი კანონის დანაწესიდან გამომდინარეობს. მაგრამ, გარდა ამისა, სასამართლოს უფლება აქვს, დამფუძნებლებს მოსთხოვოს ისეთი დოკუმენტებიც, რომლებიც, მართალია, კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, მაგრამ გამომდინარეობს კრედიტორების ინტერესების დაცვიდან და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული გონივრული წესებიდან, რომლებიც გარკვეულად ავსებენ და აზუსტებენ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მათგან შეიძლება ზოგიერთ ძირითად მომენტზე მივუთითოთ, კერძოდ, ასეთი დოკუმენტები შეიძლება იყოს:

1) იმ პირის თანხმობა, რომლის მისამართსაც იყენებს საზოგადოება.

ასეთი ცნობის წარმოდგენის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ ზოგჯერ მითითებულია ისეთი მისამართი, სადაც ცხოვრობენ ან მოქმედებს ორგანიზაცია და მათ ამ მისამართის გამოყენების უფლება ახლად შექმნილი საზოგადოებისათვის არ მიუციათ. ანდა ყოფილა შემთხვევა, ასეთ მისამართზე რეგისტრირებული საზოგადოებისათვის სასამართლოს გაუგზავნია უწყება, მაგრამ იმ მისამართზე მყოფ პირებს უარუყვიათ აღნიშნულ მისამართზე საზოგადოების არსებობა.

ფიქრობ, რომ, თუ პარტნიორი საზოგადოების მისამართად უთითებს თავის საცხოვრებელ სახლს, რაც დასტურდება წესდებაში მისი მისამართით, ასეთ შემთხვევაში აღარ არის საჭირო ვინმეს თანხმობა, მაგრამ თუ საზოგადოების იურიდიული მისამართი არ ემთხვევა რომელიმე პარტნიორის საცხოვრებელ მისამართს, მაშინ საჭიროა იმ პირის თანხმობა, რომელიც სთავაზობს საზოგადოებას თავის მისამართს.

ჩემთვის გასაგებია, რომ ასეთი წესის დამკვიდრება გარკვეული სახის სირთულეებთან არის დაკავშირებული და უპირველეს ყოვლისა

დროის ხარჯვასთან, მაგრამ იგი მიზნად ისახავს კრედიტორთა დაცვას, რადგანაც ზოგჯერ ირკვევა, რომ მითითებულ მისამართზე საზოგადოება არ ფუნქციონირებს ან თავად მისამართი არ არსებობს.

2) დამფუძნებლის მიერ საწესდებო კაპიტალში უძრავი ნივთის შეტანისას ამ ნივთის საჯარო რეესტრში საზოგადოების სახელზე გადაფორმების დამადასტურებელი საბუთი.

სამეწარმეო ურთიერთობათა პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მხარეს საწესდებო კაპიტალში შესატანის სახით შეაქვს უძრავი ნივთი, მაგრამ მის საზოგადოების სახელზე გადაფორმებას არ ახორციელებს ორი მიზეზით: ან შეგნებულად, ანდა არ იცის, რომ ეს გასაკეთებელი აქვს. ნებისმიერ შემთხვევაში კრედიტორი შეიძლება აღმოჩნდეს მძიმე მდგომარეობაში, და არა მხოლოდ კრედიტორი, შეიძლება თავად პარტნიორებიც.

3) საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ავტოტრანსპორტის შეტანისას საზოგადოების სახელზე მისი გადაფორმების (აღრიცხვაზე აყვანის) დამადასტურებელი საბუთი.

ასეთი საბუთის მოთხოვნის საფუძველი, შეიძლება ითქვას, იგივეა, რაც ზემოთ აღვნიშნეთ უძრავი ნივთის გადაცემასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, საზოგადოების სახელზე მისი რეგისტრაციის აუცილებლობა ემყარება კანონს საგზაო უსაფრთხოების შესახებ. ამ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალება, მისაბმელი, ნომრიანი აგრეგატი ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას. ამ კანონის გარდა მოქმედებს აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების, მათი მისაბმელებისა და ნომრიანი აგრეგატების სავალდებულო რეგისტრაციის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2001 წლის 28 თებერვლის №59-ე ბრძანებაც.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მოსამართლეს, რომელიც ახორციელებს საზოგადოებების რეგისტრაციას, საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობა აკისრია. ამიტომ გააკვირვებას იწვევს ზოგჯერ პრესაში გაკეთებული განცხადებები, იმის შესახებ, რომ სასამართლოში ერთ დღეში მოახდენენ საბუთების რეგისტრაციას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 348-ე მუხლი ერთ მნიშვნელოვან უფლებას ანიჭებს სასამართლოს, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის

თანახმად, „თუ სამეწარმეო რეესტრში მოხდება რეგისტრაცია, რომელიც მნიშვნელოვანი მიზეზის გამო არ უნდა მომხდარიყო, სასამართლოს, რომელმაც ასეთი რეგისტრაცია მოახდინა, შეუძლია გამოიტანოს განჩინება და თავისი ინიციატივით ამოშალოს იგი“.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, „განჩინების გამოტანამდე სასამართლომ უნდა შეატყობინოს სათანადო პირს რეგისტრაციის ამოშლის განზრახვის შესახებ და მისცეს ვადა შესაბამისი მოქმედების შესასრულებლად.“

აღნიშნულ „ვადაში“ იგულისხმება მეწარმეთა შესახებ კანონის 5.8 მუხლით გათვალისწინებული ის სამთვიანი ვადა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს ხარვეზის გამოსწორება. გარდა ამისა, განჩინება რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს როგორც დაინტერესებული პირის (ფიზიკური თუ იურიდიული) განცხადების საფუძველზე, ისე თავისი ინიციატივით.³⁹

§ 4. სამეწარმეო რეესტრის საჯაროობა

ერთ-ერთი დიდი უპირატესობა დემოკრატიისა, სახელმწიფოებრივი მართვის სხვა ფორმებთან შედარებით ისაა, რომ საზოგადოების წევრები უკეთ იცნობენ ერთმანეთის საქმიანობას, ცხოვრების სტილს, რაც ასეთი საზოგადოების გამჭვირვალობას უწყობს ხელს.

რა აქვს დადებითი ასეთ გამჭვირვალობას?

დადებითი ის არის, რომ საზოგადოება, რომელიც ისწრაფვის განვითარებისაკენ, ცხოვრების სტილის სრულყოფისაკენ, უარყოფითად რეაგირებს მის ფარგლებში ცალკეული პირების მიერ გამოვლენილ ყოველგვარ უზნეობაზე და უკანონობაზე. საზოგადოების მხრიდან ასეთი რეაქცია აიძულებს ამ პირებს, დატოვონ ასეთი საზოგადოება ან დაემორჩილონ ამ საზოგადოების მიერ ჩამოყალიბებულ ზნეობისა და სამართლის ნორმებს.

იმისათვის, რომ საზოგადოებამ რეაგირება მოახდინოს ყოველნაირ უკანონობაზე და უზნეობაზე, მას სჭირდება ინფორმაცია მისი წევრების

³⁹ თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2004 წ., გვ. 568.

საქმიანობის, ცხოვრების წესის შესახებ. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც მასშედა, ასევე სახელმწიფოს მიერ შექმნილი ცალკეული ინსტიტუტები. ერთ-ერთ ასეთ ინსტიტუტს სწორედ სამეწარმეო რეესტრი წარმოადგენს. მისი საჯაროობა და საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება კანონით არის გარანტირებული.)

მეწარმეთა შესახებ კანონის 4.3 მუხლის თანახმად, „სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს სასამართლო აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ხოლო სასამართლო დადგენილების ასლს უგზავნის შესაბამის საგადასახადო ორგანოსა და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს თვეში ერთხელ, არა უგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა“.

ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 61-ე მუხლის თანახმად, ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოს წარმოადგენს საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, რომლის მე-4 პუნქტში მოცემულია საინფორმაციო მასალა საერთო სასამართლოების მიერ რეგისტრირებულ საწარმოთა შესახებ.

ამ მაცნეში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს:

- საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას და საფირმო სახელწოდებას;
- ადგილსამყოფელს;
- საქმიანობის საგანს;
- საწესდებო კაპიტალს;
- დამფუძნებელი-პარტნიორების ვინაობას, საცხოვრებელ ადგილს და ა.შ.
- წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს;
- რეგისტრაციის თარიღს, ნომერს და ა.შ.

ამრიგად, ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება, რა თქმა უნდა ერთ-ერთი გზა საზოგადოებამდე ინფორმაციის მიტანისა. მეორე გზა არის ზემოთ აღნიშნული კანონის 4.4 მუხლით გათვალისწინებული წესი, კერძოდ, „ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრს და მიიღოს რეესტრის ამონაწერები“.

ამრიგად, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია, მიიღოს ინფორმაცია სამეწარმეო რეესტრიდან.

სამეწარმეო რეესტრის საჯაროობის მნიშვნელობა იქიდანაც ჩანს, რომ ევროსაბჭომ სპეციალური დირექტივა მიიღო ამასთან დაკავშირებით⁴⁰.

§ 5. სამეწარმეო რეესტრში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციის დროს დაშვებული შეცდომები და მათი ანალიზი

სამეწარმეო რეესტრში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციის დროს აღმოჩენილი შეცდომები და მათი ანალიზი ეყრდნობა საქართველოს 2002 წლის №18 საკანონმდებლო მაცნეში (შემდგომში „მაცნე“) მოცემულ ინფორმაციას და სასამართლოებში ჩემს მიერ შესწავლილ კონკრეტულ სარეგისტრაციო საქმეებს.

თუ ამ მასალის მონაცემებით ვიმსჯელებთ სასამართლოები შპს-ის რეგისტრაციისას ზოგ შემთხვევაში შეცდომებს უშვებენ.

რაში გამოიხატება ეს შეცდომები და რამდენად მნიშვნელოვანია ისინი?

1. ზოგჯერ დამფუძნებელ-პარტნიორად გამოდის იურიდიული პირი. რეესტრის მონაცემებში წერია მხოლოდ იურიდიული პირის წარმომადგენელი და მითითებულია მისი ვინაობა, დაბადების წელი, პროფესია და ა.შ. (იხ. საკ. მაცნე, გვ. 2. რეგისტრაციის თარიღი 3/7/2002. № 1/4-29.) შეცდომა კი იმაში გამოიხატება, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის 5.4.1 მუხლის საფუძველზე, თუ დამფუძნებლად გამოდის იურიდიული პირი, უნდა მიეთითოს მისი საფირმო სახელწოდება და რეგისტრაციის მონაცემები, კერძოდ, იურიდიული მისამართი, იმ სასამართლოს დასახელება, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა იურიდიული პირი, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისი წარმომადგენლის მონაცემები.

⁴⁰ უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე შევიაძლიათ გავცნოთ თ. ჯანეზაშვილის სტატიას „სამეწარმეო რეესტრი ევროპის ქვეყნებში“, ჟურნალი საქართველოს ნოტარიატი, 2002 წ., №3-4, გვ. 79-85.

რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ზემოთ დასახელებულ შეცდომას და რატომ არის მისი გამოსწორება საჭირო?

ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია. სამეწარმეო რეესტრი საჯაროა და ამიტომაც მესამე პირმა უნდა იცოდეს ვინ არის შპს-ის დამფუძნებელი. ინფორმაციის მიღების სურვილი შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი გარემოებით:

პირი დაინტერესდა ახლად შექმნილი იურიდიული პირის საქმიანობით, მაგრამ სანამ მასთან ითანამშრომლებდეს, ბუნებრივია, დაინტერესდება მისი დამფუძნებლებით, რადგანაც, თუ დამფუძნებლები ცნობილი, კეთილსინდისიერი პირები არიან, მაშინ ახლად შექმნილ იურიდიულ პირთან თანამშრომლობაც თავისუფლად შეიძლება.

მაგრამ, პირი შეიძლება დაინტერესდეს თავად საზოგადოების დამფუძნებელი იურიდიული პირის საქმიანობითაც, მაშინ კი მასთან კონტაქტების დასამყარებლად იგი რეესტრიდან მიიღებს მის მოსანახად საჭირო ინფორმაციას, კერძოდ, გაიგებს იმ სასამართლოს დასახელებას, რომელმაც იგი რეგისტრაციაში გაატარა. მას ასევე დასჭირდება რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, რათა მარეგისტრირებელმა სასამართლომ ადვილად მონახოს. მას შეიძლება დასჭირდეს აგრეთვე მისი მისამართიც, წარმომადგენლის ვინაობა და ა.შ.

ამრიგად, ზუსტი და სრული ინფორმაციის მიწოდებას მნიშვნელობა აქვს ახლად შექმნილი იურიდიული პირისათვის, დამფუძნებლისათვის და საერთოდ, სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისათვის, სამოქალაქო ბრუნვისათვის.

2. ზოგჯერ ადგილსამყოფელი ანუ იურიდიული მისამართი ზოგადი დასახელებებით არის შემოფარგლული, მაგალითად, „სადგური ლილოს მიმდებარე ტერიტორია“⁴¹ „ქ. თელავი, ბაზრის მიმდებარე ტერიტორია“⁴² თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია, გლდანის მე-3 და მე-4 მ/რ შორის მდებარე ტერიტორია⁴³, მერვე ლეგიონის მიმდებარე ტერიტორია და ა.შ.

⁴¹ საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი IV, საინფორმაციო მასალა, 2002 წ.ელი, №18, გვ.16. შპს „სამშენებლო სამმართველო, №2“.

⁴² იქვე, გვ. 32. შპს „იმედი“.

⁴³ იქვე, გვ. 2. შპს „საქართველოს ტრანსპორტის ცენტრი“.

შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ზოგადი ტერმინებით იურიდიული მისამართის აღნიშვნა არ შეიძლება, იგი აბნევს დაინტერესებულ პირს თუნდაც იმიტომ, რომ ძნელი გასაგებია, რომელ სადგურზეა ლაპარაკი, რკინიგზის თუ ავტოსადგურზე, ან რა სივრცე-სივრცის არის ეს „მიმდებარე ტერიტორია“?

დაინტერესებულმა პირმა მთლიანად უნდა შემოიაროს ბაზარი, რათა მისთვის სასურველი ორგანიზაცია ნახოს.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში, თავად ორგანიზაცია უნდა ზრუნავდეს რომ იგი ადვილად მისაგნები იყოს.

რას ნიშნავს „იურიდიული მისამართი“?

„იურიდიული მისამართი“ ეს არის განსაზღვრულ ფარგლებში ტერიტორიის ინდივიდუალიზება, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი, რეგისტრირებული და აქვს იურიდიული ძალა.

ამრიგად, იურიდიული მისამართი ეს არის განსაზღვრული ინდივიდუალიზებული ტერიტორია, რომელიც ქალაქებში ქუჩით და შესაბამისი ნომრით უნდა გამოიხატოს, თანაც ქუჩაც და ნომერიც სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს დადგენილი. მისი ერთ-ერთი მიზანი ის არის, რომ ფოსტამ, საგადასახადომ და ა.შ. ზუსტად იცოდნენ სად მივიდნენ, სად გაგზავნონ წერილი.

რატომ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი?

ზოგჯერ დამფუძნებლები, რომლებიც სამეურნეო საქმიანობას ეწევიან გზატკეცილზე, მაგალითად, აქვთ ბენზინგასამართი სადგური ან ტრანსპორტის შესაკეთებელი ადგილი, იურიდიულ მისამართად უთითებენ გზატკეცილის დასახელებას და მერამდენე კილომეტრზე იმყოფება მათი საქმიანობის ობიექტი, მაგალითად, მისამართია: „სამხედრო გზის 28-ე კილომეტრი“.

28-ე კილომეტრი თავად დამფუძნებლების მიერ არის დადგენილი და არა სახელმწიფოს მიერ, რაც არ არის სწორი.

ერთადერთი გამონაკლისი, სადაც შეიძლება ვერ მიუთითონ ქუჩა და ნომერი – ეს არის სოფელი. საქართველოს ბევრ სოფელში არ არის ქუჩა და სახლის ნომერი იმ გაგებით, როგორც ეს ქალაქებშია. ასეთ შემთხვევაში დამფუძნებელი, უბრალოდ, იძულებულია მიუთითოს მხოლოდ სოფლის დასახელება, მაგალითად, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი. ეს შეიძლება გავამართლოთ იმით, რომ სოფელი ზეინდარი რამდენიმე

ათეული კომლისგან შედგება, ყველა ერთმანეთს კარგად იცნობს და როდესაც ზეინდრის ფოსტა რაიმეს ლებულობს გადასაცემად, მან იცის ადრესატის საცხოვრებელი ადგილი. ეს ტრადიციულად ასე არის და კიდევ დიდხანს ასე იქნება.

ამრიგად, იურიდიულ მისამართად ზოგადი ტერმინის გამოყენება უნდა მივიჩნიოთ ისეთ ხარვეზად, რომელიც სამი თვის ვადაში უნდა გამოსწორდეს.

რა შეიძლება ვურჩიოთ იმ დამფუძნებელს, რომელიც აპირებს გარკვეული სახის საქმიანობა განახორციელოს ტერიტორიის ისეთ ადგილზე, სადაც არ არის ქუჩა შესაბამისი ნომრით?

საერთოდ, იურიდიული მისამართის მითითება არ არის სავალდებულო იმის მიხედვით, თუ სად ახორციელებს საქმიანობას. თუ პირს აქვს მე-8 ლეგიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მალაზია ან ბენზინგასამართი სადგური, მას შეუძლია ან იქვე, რომელიმე ქუჩაზე იქირაოს შენობის ნაწილი, ანდა თავისი ბინის მისამართი მიუთითოს.

ჩაეთვლება თუ არა ეს „სხვა ადგილი“ ფილიალად?

არ ჩაეთვლება, რადგანაც, ჯერ ერთი, ფილიალის შექმნა არის საზოგადოების სურვილი და არა ვალდებულება, მეორეც, საწარმოდან სხვა ადგილზე საქმიანობა დაფიქსირდება საწარმოს ბალანსზე და არა „ფილიალის“ ბალანსზე. მაგალითად, ქუთაისში საზოგადოება არის რეგისტრირებული, ხოლო ქუთაისთან ახლოს ერთ-ერთ სოფელში 5 ჰექტარზე ამ საზოგადოებას ვაზი აქვს გაშენებული. უნდა ჩავთვალოთ გაშენებული ვაზის ადგილი ფილიალად? რა თქმა უნდა, არა. ასეთივე ანალოგია შეიძლება გამოვიყენოთ სხვა შემთხვევაშიც.

3. ზოგჯერ საფირმო სახელწოდებებში ისეთი ტერმინები და სიტყვებია, რომ გაუგებარს ზღის საზოგადოების სახელს. მაგალითად, „სამეგრელო-ზემო სვანეთის ენერგოკომპანიის ზობის ფილიალი“⁴⁴. მართალია, აღნიშნული სახელი სააქციო საზოგადოებას ჰქვია, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამ შეცდომის ანალიზი არც შპს-ის დამფუძნებლებისთვის იქნება ინტერსმოკლებული.

⁴⁴ საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი IV, საინფორმაციო მასალა, 2002 წელი, №18, გვ. 55.

აქ ერთი კითხვა ისმის – თუ სააქციო საზოგადოებაა რა შუაშია „ფილიალი“?

სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც სახელად გამოყენებულია უცხო სიტყვები, ანდა ერთად არის უცხო და ქართული სიტყვა. ეს კი საერთოდ გაუგებარს ხდის რისთვის და ვისთვის არის ასეთი სახელი გამოყენებული. მე ამჟამად მოვერიდები ასეთი სახელების ზუსტ მითითებას, მაგრამ მკითხველს რომ წარმოადგენა ჰქონდეს, იგი დაახლოებით ასე გამოიყურება შპს „სკაი-მშენიერი“ (ანუ ქართულად ნიშნავს ცა-მშენიერი), შპს „არტ მომავალი“ (ქართულად – ხელოვნება-მომავალი) და ა.შ. რაში გამოიხატება ასეთი სახელების გაუგებრობა? თუ ის ქართველისთვის არის გათვალისწინებული, ყველა ქართველმა არ იცის ის უცხო სიტყვა, თუ უცხოელისთვის არის გათვლილი, მისთვის გაურკვეველია ქართულად დაწერილი უცხო სიტყვა.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ქართველი დამფუძნებლები უცხო სიტყვებს იყენებენ სახელად და ქართული ასოებით წერენ მას, მაგალითად შპს „სქუულ“ (სკოლა), სააქციო საზოგადოება „არტ“ (ხელოვნება) და ა.შ. მე არ შემხვედრია, რომ გერმანულ ან ინგლისელ მეწარმეებს საწარმოს სახელად გამოეყენებინოთ სხვა ერის სიტყვები.

რატომ ხდება ეს საქართველოში? ალბათ ამაზე, ისევე როგორც ბევრ ქართულ ქცევაზე, პასუხი მხოლოდ ფსიქოლოგებმა და სოციოლოგებმა უნდა გასცენ.

სამწუხაროდ, იშვიათად, მაგრამ, მაინც არის შემთხვევები, როდესაც კომერციული საწარმოების სახელად იყენებენ წმინდანებად აღიარებულ ქართველების სახელებსაც. ასევე არასწორად მიმაჩნია, კომერციული ორგანიზაციის სახელად გამოვიყენოთ ქართველი მეფეების სახელები. ჩემთვის ნამდვილად მიუღებელია, მაგალითად, სააქციო საზოგადოება „თამარ მეფე“ ან შპს „ვახტანგ მეექვსე“ და ა.შ.

ამიტომ, ვფიქრობ, რომ დამფუძნებელიც და სასამართლოც გონივრულად უნდა მოეკიდონ სახელწოდებების შერჩევას.

სასამართლოს, როგორც მარეგულირებელ ორგანოს შეუძლია სრული წესრიგი შეიტანოს ამ სფეროში, არ გაატაროს რეგისტრაციაში ისეთი შპს, რომლის სახელი არ შეესაბამება არც ეროვნულ ტრადიციებს და არც ენის სიწმინდის მოთხოვნებს.

4. რეგისტრაციის შესახებ განცხადებას ზოგჯერ ხელს აწერს მხოლოდ დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე. (სააქციო საზოგადოება – რეგისტრაციის №7/5-91).

ასეთი განცხადების წარდგენა არასწორია და იგი ეწინააღმდეგება კანონის 5.2 მუხლის მოთხოვნას, კერძოდ, პარტნიორები, ისევე როგორც წარმომადგენლობითი და სამეთვალყურეო ორგანოების შესაძლო წევრები, ვალდებული არიან, ხელი მოაწერონ საზოგადოების განცხადებას რეგისტრაციის შესახებ.

5. ზოგჯერ, როდესაც დამფუძნებლად ფიზიკური პირია, სრულად არ არის მითითებული მისი მისამართი, მაგალითად, შპს-ის ერთ-ერთი დამფუძნებელია ბატონი უარდ ფლელი, რომლის მისამართია აშშ, კალიფორნია. (შპს რეგისტრაციის № 25/5-ბ-4-160).

ყველასათვის ცნობილია, რომ კალიფორნიაში ბევრი დიდი და პატარა ქალაქია, ამიტომ რეგისტრაციის დროს სრულად უნდა იქნეს მითითებული დამფუძნებლის მისამართი – ქალაქი, ქუჩის დასახელება და ნომერი.

შპს-ის რეგისტრაციის სხვა შემთხვევებშიც ასეთივე შეცდომებია, მაგალითად, ერთ-ერთ დამფუძნებლად წერია მხოლოდ ბატონი ბორის მხითარაინი, მაგრამ სხვა მონაცემები მისი მისამართის შესახებ არ არის მოცემული (შპს, რეგისტრაციის №5/ბ-3).

6. ზოგჯერ არის შემთხვევა, როდესაც სასამართლოს დადგენილებაში და წესდებაშიც წერია, რომ საწესდებო კაპიტალში შეტანილია, მაგალითად, 5000 ლარი, სინამდვილეში, როდესაც საქმეს გაეცნობით, ნახავთ, რომ თანხა კი არ არის შეტანილი, არამედ ნივთი, რომელიც აუდიტის მიერ შეფასებულია 5000 ლარად. ეს არა მარტო დიდი შეცდომაა, არამედ კრედიტორთა მოტყუებაც (იხ. შპს, რეგისტრაციის № 7/4-2123; შპს, რეგისტრ. №5ა/4-3217; შპს, რეგისტრ. №5ა/4-416).

7. დაბოლოს, მინდა, ერთ მნიშვნელოვან შეცდომაზე გავამახვილო ყურადღება, ეს არის რეგისტრაციისათვის სასამართლოს მიერ ისეთი დოკუმენტის მოთხოვნა, რომელსაც არც მეწარმეთა შესახებ კანონი ითვალისწინებს და არც რაიმე საჭიროებით არის გამოწვეული.

ასეთ დოკუმენტს წარმოადგენს „დამფუძნებელთა კრების ოქმი“, რომელიც ზოგჯერ განსხვავებული სახელით მოიხსენიება, მაგალითად,

„დამფუძნებლის გადაწყვეტილება №1, პარტნიორის გადაწყვეტილება №1⁴⁵“.

ადრე მოქმედი სამეწარმეო საჭიანობის საფუძვლების შესახებ კანონის 36-ე მუხლით, „საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტებია წესდება და გადაწყვეტილება საწარმოს შექმნის შესახებ ან დამფუძნებელთა ხელშეკრულება“. ამრიგად, დამფუძნებელთა ხელშეკრულება წესდებასთან ერთად უნდა ყოფილიყო წარდგენილი დამფუძნებლების მიერ.

დღეს ასეთი დოკუმენტის წარმოდგენა აბსოლუტურად ზედმეტია და ამის შესახებ აღნიშნულია მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარებშიც⁴⁶. რატომ არ არის ასეთი დოკუმენტის წარმოდგენა საჭირო? ამ კითხვაზე რომ პასუხი გავცეთ საჭიროა მცირე იურიდიული ანალიზი.

დამფუძნებელთა სხდომის ოქმში აღწერილია ის პროცესი, რაც დამასნასიათებელია, საერთოდ კრების ოქმისათვის, კერძოდ, თუ რომელი დამფუძნებლები გამოცხადდნენ კრებაზე, დღის წესრიგი, ვისი გამოსვლა მოისმინეს, რა დაადგინეს. ეს არის ის ძირითადი მონაცემები, რომლებიც ასახულია დამფუძნებელთა სხდომის ოქმში.

თუ სხდომაზე რამდენიმე დამფუძნებელი მონაწილეობს ასეთი სხდომის ოქმი მრავალმხრივ გარიგებას წარმოადგენს.

ისმის კითხვა – წესდებაში რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავებული მონაცემი ასახულია?

წესდებაც, თუ იგი რამდენიმე პირმა დააფუძნა, მრავალმხრივ გარიგებას წარმოადგენს. წესდებაშიც ასახულია, თუ ვინ არიან დამფუძნებლები, რა ფორმით უნდა შეიქმნას საზოგადოება, სად იქნება მისი იურიდიული მისამართი და ა.შ.

ფაქტობრივად, ორივეში თითქმის ერთი და იგივე მონაცემებია და ორივე შეთანხმებას წარმოადგენს.

⁴⁵ იხ. დასახელებული საკანონმდებლო მაცნე. გვ. 6, 7, 8, 12.

⁴⁶ ლ. ჭანტურია თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 79.

რა დაშავდება, თუ მინც იქნება ასეთი დოკუმენტის წარმოდგენა სავალდებულო?

ჯერ ერთი, დამფუძნებლები იხდიან მისი ნოტარიალური დამოწმებისათვის ბაჟს ეს უკვე ზედმეტი თანხის გადახდაა, მაგრამ უფრო მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც 1992-1995 წლებში რეგისტრაციის პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, ზოგჯერ დამფუძნებელთა სხდომის ოქმში ასახული მონაცემები ეწინააღმდეგება წესდებაში ან განცხადებაში ასახულ მონაცემებს.

დავის დროს კი სასამართლოს უჭირს გამოიტანოს სწორი, სამართლიანი გადაწყვეტილება, რადგანაც ერთი დოკუმენტი ერთს ამბობს, ხოლო მეორე დოკუმენტი სხვას.

ამრიგად, დამფუძნებელთა სხდომის ოქმის წარმოდგენა აბსოლუტურად ზედმეტია და სასამართლო უნდა მოერიდოს ასეთი დოკუმენტების მიღებას რეგისტრაციისათვის. მით უმეტეს, რომ ამ სხდომის ოქმს არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია, რადგანაც კანონი არ ითვალისწინებს.

ბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ შეცდომები ძირითადად დაშვებულია ისეთი საზოგადოებების რეგისტრაციისას, რომლებშიც განცხადება რეგისტრაციის შესახებ და სასამართლოს დადგენილებაც ერთ დღეში ან მაქსიმუმ ორ დღეშია გაკეთებული. მაგალითად, შპს, რეგისტრ. № 5/4-3198, 2002წ.

ზოგჯერ აუღიტიხს დასკვნა, განცხადება რეგისტრაციის შესახებ და სასამართლოს დადგენილებაც ერთ დღეშია გაკეთებული და შეცდომებიც სახეზეა, მაგალითად, შპს, რეგისტრ. № 7/4-2123, 2002წ.

ასეთი შეცდომები კანონის პრაქტიკაში არასწორად დანერგვას იწვევს და ხელს უშლის მის სწორად გამოყენებას. მოსამართლეს, რომელიც რეგისტრაციაში ატარებს საწარმოს, უნდა გაითვალისწინოს, რომ დადგენილება (ისევე როგორც გადაწყვეტილება, განჩინება) მოსამართლის სარკისებურ ანარეკლს წარმოადგენს. დადგენილებაში ჩანს მოსამართლის კვალიფიკაცია, ორგანიზებულობა, ზნეობა და კულტურა. ამიტომაც საწარმოთა რეგისტრაციის დროს მან დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინოს.

თავი IV. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციისათვის წარსადგენი დოკუმენტები და მათი იურიდიული მნიშვნელობა

§ 1. წესდება და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა

წესდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ძირითად სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს. იგი, შეიძლება ითქვას, ამ საზოგადოების „კონსტიტუციაა“. ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ერთი აფუძნებს თუ ხუთი, წესდება მაინც სავალდებულოა. ამდენად, დამფუძნებელთა ოდენობით არ განისაზღვრება წესდების არსებობა ამ საზოგადოებაში.

თუ წესდების იურიდიულ ბუნებას შევეხებით, იგი არის გარიგება, დამფუძნებელთა ნების გამოვლენა, რომელსაც კონსტიტუციური მნიშვნელობა ენიჭება.

დამფუძნებლებმა წესდებაში ურთიერთშეთანხმებით უნდა გადაწყვიტონ ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იქნება მათ უფლებებთან, მოვალეობებთან, საზოგადოების მართვის ფორმასთან და ა.შ. ამასთან ერთად, უნდა გაითვალისწინონ აუცილებლად კანონის 5.4 მუხლის მოთხოვნებიც, კერძოდ, წესდებაში უნდა იქნეს დაფიქსირებული:

- ა) საფირმო სახელწოდება;
- ბ) ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმა;
- გ) საზოგადოების ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი);
- დ) საქმიანობის საგანი;
- ე) მონაცემებს სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ;
- ვ) ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის სახელი, გვარი, დაბადების ადგილი, თარიღი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი; ხოლო თუ დამფუძნებელი იურიდიული პირია, მის საფირმო სახელწოდება და რეგისტრაციის მონაცემები (იურიდიული მისამართი, იმ სასამართლოს დასახელება, რომელმაც დამფუძნებელი იურიდიული პირი გაატარა რეგისტრაციაში, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, მისი ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმა, მისი წარმომადგენლის მონაცემები);

- ზ) საწესდებო კაპიტალის ოდენობა და მისი შევსების ფორმა;
- თ) ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობა შესაბამისად წილი.

აღნიშნული საკითხები არის ის მინიმუმი, რომლებიც დაფიქსირებული უნდა იქნენ წესდებაში. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს მათ სწორ განმარტებასა და სწორად გამოყენებას, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

თუ გადავხედავთ პრაქტიკას წესდებების შედგენასთან დაკავშირებით, დავინახავთ, რომ წესდებების დიდი ნაწილი, დაახლოებით 60-65%, გადმოწერილია კანონიდან, რაც ხშირად იწვევს პარტნიორებს შორის ურთიერთობის დაძაბვას ისეთი საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, რომელიც წესდებით არ არის გათვალისწინებული; არადა, თავისუფლად შეიძლება მისი გათვალისწინება, მაგალითად, გარიცხვის საფუძვლებთან დაკავშირებით, წილის გადაცემასთან დაკავშირებით და სხვა.

ის, რაც უკვე კანონით არის დარეგულირებული, ის რასაც უკვე კანონი უთითებს, მისი გადატანა და დაფიქსირება წესდებაში აღარ არის საჭირო. მაგალითად, წესდებაში ზოგჯერ ნახავთ მეწარმეთა შესახებ კანონის 46.6 მუხლს: „დაუშვებელია საკუთარი წილის შექმნა“ (შპს, რეგ. №5ა/4-416). აღნიშნული წესი ეხება იმას, რომ საზოგადოებას არ აქვს უფლება, შეიძინოს პარტნიორის წილი. ეს არის კანონის იმპერატიული, ანუ ბრძანებითი ნორმა და მისი შეცვლის უფლება პარტნიორებს არა აქვთ. მაშინ რა აზრი აქვს ამ წესის ჩაწერას წესდებაში? არავითარი.

სამწუხაროდ, ხშირად, წესდებაში, გადმოწერილია კანონიდან ისეთი ნორმებიც, რომლებიც დისპოზიციურ ხასიათს ატარებენ, ე.ი. დამფუძნებლებმა უნდა გადაწყვიტონ სურთ თუ არა იმ ნორმის გამოყენება და თუ სურთ, რომელ ნორმას გამოიყენებენ. მაგალითად, ზოგჯერ ნახავთ წესდებაში მეწარმეთა შესახებ კანონის 46.4-ე მუხლიდან გადმოწერილი ნორმის შინაარსს, კერძოდ, „წილის გადაცემისათვის აუცილებელია საზოგადოების ნებართვა ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება“. როდესაც ასეთი წესი იწერება წესდებაში, უკვე ძნელი ხდება გაარკვიო, თუ ვისი ნებართვაა საჭირო, საზოგადოების თუ პარტნიორთა კრების?

ამიტომ წესდებაში უნდა აღინიშნოს ერთ-ერთი: საზოგადოების ნებართვის საჭიროება, ანდა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება.

ავილთ სხვა მაგალითიც, ზოგჯერ წესდებაში ასევე პირდაპირაა ჩაწერილი მეწარმეთა შესახებ კანონის 47.4 მუხლი: „ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ პარტნიორთა კრება საზოგადოების ხელმძღვანელობას აძლევს ცალკეულ დავალებებს ამ ხელმძღვანელობის კომპენტენციის ფარგლებში“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, წესდებების შედგენის პრაქტიკა, რა თქმა უნდა, გამონაკლისის გარდა, არასწორია. ასეთი პრაქტიკა იწვევს, არა მხოლოდ პარტნიორების დაბნევას საკითხის გადაწყვეტის დროს, არამედ მოსამართლესაც, დავის შემთხვევაში ურთულებს, საქმის სწორად გადაწყვეტის შესაძლებლობას.

ამიტომ იურისტებმა დამფუძნებლებს უნდა გააცნონ და განუმარტონ ის საკითხები, რომლებიც შეიძლება მათ წამოეშვათ მომავალში. ასეთ საკითხთა რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ, პარტნიორის გარიცხვის საფუძვლები, ახალი პარტნიორის შემოყვანა და წილების გადანაწილება, მემკვიდრის შემოყვანის წესი. ასევე მეტად მნიშვნელოვანია საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღების წესი, კერძოდ, რა შემთხვევებში უნდა იქნეს ხმების უმრავლესობით გადაწყვეტილება მიღებული და რა შემთხვევებში ერთხმად. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ მომავალმა პარტნიორებმა რომელიმე საკითხზე ვერ მიაღწიონ შეთანხმებას და უარიც კი თქვან ერთად საზოგადოების დაფუძნებაზე, მაგრამ, მაინც ესეც უდიდესი დახმარება იქნება იურისტების მხრიდან, რადგან ამით მომავალი პარტნიორები შესაძლო დიდ კონფლიქტს აცილებენ თავიდან.

რადგანაც წესდება გარიგებაა, ამიტომ დამფუძნებლებმა მასში უნდა დააფიქსირონ ისეთი წესები, რომლებიც მათ ურთიერთობებს ერთმანეთთან, საზოგადოებასთან და დირექტორთან მოაწესრიგებს. მაგალითად, ზოგჯერ წესდებაში წერია, რომ „პარტნიორებს აქვთ წილის უპირატესი შესყიდვის უფლება“ (შპს, რეგისტრ. №5/4-1366). თუ პარტნიორები თანახმანი იქნებიან – ეს კარგი ფორმულირებაა.

წესდებაში ყურადღება უნდა მიექცეს საწესდებო კაპიტალში არა-ფულადი შენატანის სახესაც. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც

არ უთითებენ არაფულად შესატანს და წერენ მხოლოდ მის ღირებულებას. მაგალითად, წესდებაში უწერიათ: საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 10 000 აშშ დოლარს. სინამდვილეში შეტანილია 8 000 დოლარად შეფასებული უძრავი ნივთი და ერთ-ერთი პარტნიორის ვიდუო კამერა, რომელიც შეფასებულია 2 000 აშშ დოლარად. ზოგჯერ წესდებაში წერია, რომ „შეტანილია 2000 ლარის არაფულადი შესატანი“, მაგრამ არ წერია, რა სახის არაფულადი შესატანია (შპს, რეგისტრ. № 5/4-3198). შეიძლება მოვიყვანოთ სხვა მაგალითიც: წესდებაში წერია, რომ „შეტანილია 2000 ლარის არაფულადი შენატანი“, მაგრამ არ წერია არც არაფულადი შენატანის სახე, არც ის, თუ რომელ დამფუძნებელს რამდენი აქვს შეტანილი. წერია მხოლოდ თითოეული პარტნიორის პროცენტული მაჩვენებელი საწესდებო კაპიტალში. სამწუხაროდ, არც სასამართლოს დადგენილებაშია ნაჩვენები, თუ რამდენია თითოეული პარტნიორის შენატანი. შენატანის დაფიქსირებას იურიდიული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც, თუ შეტანილია ისეთი ნივთი, რომლის ღირებულებაც არის, მაგალითად, 355 ლარი – ეს 10-ზე გაციფისას ნაშთს ტოვებს და ამიტომ უნდა შეიცვალოს თანხის ოდენობა (შპს, რეგისტრ. №3084).

რა პრობლემებს წარმოშობენ ასეთი შეცდომები?

როდესაც პარტნიორებს შორის იწყება დავა, ვიდუო კამერის შემოტანი პარტნიორი თავის სასარგებლოდ იყენებს შეცდომას და ამტკიცებს, რომ საწესდებო კაპიტალში მას არ შეუტანია ვიდუო კამერა და ამიტომ წერიაო წესდებაში თანხა. იგი მხოლოდ თანხის შეტანას აპირებდა, რომელიც შემდეგში ვეღარ შეიტანა.

პარტნიორმა ასეთი მტკიცებით მართლაც შეიძლება მიადწიოს გამარჯვებას და დაიბრუნოს ვიდუო კამერა, რომელიც არც დადგენილებაშია დაფიქსირებული და არც წესდებაშია აღნიშნული (შენატანთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით ცალკე გვექნება საუბარი, რომელიც ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული წესდების შედგენის დროს).

როდესაც დამფუძნებლები შეიმუშავენ წესდებას, თუ უნდათ, რომ პარტნიორად გატარდნენ სამეწარმეო რეესტრში, ვალდებული არიან ხელი მოაწერონ წესდებას. ამას პირდაპირ მოითხოვს მეწარმეთა შესახებ კანონის 2.7 მუხლის პირველი აბზაცი, კერძოდ: „... საზო-

გაღობის დაფუძნებისას წესდებას ხელს აწერენ საზოგადოების დამფუძნებელი მონაწილენი – დამფუძნებელი პარტნიორები “

აღნიშნული წესი კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ წესდებაში აღნიშნულია დამფუძნებელი, მაგრამ წესდებაზე არ არის მისი ხელმოწერა, ასეთი წესლების დამოწმების უფლება ნოტარიუსს არა აქვს. სამწუხაროდ, არის წესდებები, რომელზეც არ არის წესდებაში დამფუძნებლად მითითებული პირის ხელმოწერა, მაგრამ წესდება მაინც დამოწმებულია ნოტარიალურად (შპს, რეგისტრ. № 5ა/4-416.).

ამრიგად, ნოტარიუსი ვალდებულია, დაამოწმოს მხოლოდ ისეთი წესდება, რომელზეც გაკეთებულია ყველა დამფუძნებლის ხელმოწერა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზიანის მიყენებისათვის მან შეიძლება პასუხი აგოს.

აღნიშნული შეცდომები დიდ ზიანს აყენებენ იმ პირს რომელსაც ხელი არ მოუწერია წესდებაზე და რომელმაც არც კი იცის, საერთოდ რა ხდება მასთან დაკავშირებით. ასეთმა შეცდომამ კი შეიძლება მას მიაყენოს, როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანიც, რაც შეიძლება გამოიხატოს პარტნიორების დავის გამო სასამართლოში გამოძახებებთან, დროისა და ფულადი სახსრების ზედმეტად ხარჯვასთან, სამუშაოდან მოცდენებში და ა.შ.

აქვე ისმის კითხვა: სასამართლოს მიერ დამფუძნებლად რეგისტრირებული პირი ჩაითვლება თუ არა საზოგადოების პარტნიორად, თუ მისი ხელმოწერა არ იყო წესდებაზე?

მიუხედავად იმისა, რომ პირს არ მოუწერია ხელი წესდებაზე, იგი მაინც ჩაითვლება პარტნიორად თუ ასეთად გატარდა სამეწარმეო რეესტრში. ასეთი დასკვნა ეყრდნობა რეესტრის უტყუარობის პრეზუმფციას, რომელიც გამომდინარეობს მეწარმეთა შესახებ კანონის 7.2 და 5.8 მუხლებიდან, კერძოდ, 7.2 მუხლის თანახმად, „თუ რეგისტრაციისათვის აუცილებელი ფაქტები არასწორადაა რეგისტრირებული ან გამოქვეყნებული, მესამე პირს შეუძლია იმ პირთან ურთიერთობაში, რომლის საქმეშიც იყო ეს ფაქტები რეგისტრირებული, დაეყრდნოს რეგისტრირებულ ან გამოქვეყნებულ მონაცემებს, თუ იგი ენდობოდა მათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მან იცოდა ამ უზუსტობის შესახებ“.

ამრიგად, მესამე პირს შეუძლია დაეყრდნოს იმ რეგისტრირებულ მონაცემებს, რომლებიც მან მიიღო სასამართლოში. ეს პრინციპი იმ შემთხვევაში არ გამოიყენება, თუ მან იცოდა, რომ სასამართლოში მიღებული ამონაწერი არ შეიცავდა სინამდვილეს. ეს ინფორმაცია მას შეიძლება სხვასხვა გზით ჰქონოდა მიღებული, მაგალითად, წერილით, რომელიც გამოუგზავნეს პარტნიორებმა ანდა სასამართლოს ამონაწერში პარტნიორად მითითებული პირი მისი მეგობარი იყო და აქედან გამომდინარე, იცოდა, რომ იგი არ იყო საზოგადოების დამფუძნებელი და ა.შ. თუმცა უნდა ითქვას, რომ სასამართლო პროცესზე შეიძლება გართულდეს იმის მტკიცება, იცოდა თუ არა მესამე პირმა სასამართლოს ამონაწერის უზუსტობა.

„უტყუარობის პრეზუმფციის“ ინსტიტუტი უკეთესად არის გამოხატული 5.8 მუხლში, კერძოდ, „რეგისტრაციის გაუქმებამდე შეცდომით რეგისტრირებული საწარმო განიხილება როგორც უშეცდომოდ რეგისტრირებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს არ ეწინააღმდეგება ცალკეული პირების ან საზოგადოების არსებით ინტერესებს და 5.8 მუხლში აღნიშნულ პირებს არ განუცხადებიათ ამის შესახებ“.

როგორც აღნიშნული წესიდან ჩანს, თუ პირს შეცდომით გაატარებენ როგორც პარტნიორს, იგი ჩაითვლება პარტნიორად მანამ, სანამ ამ შეცდომის შესახებ არ განაცხადებენ და არ მოითხოვენ რეგისტრაციის გაუქმებას.

შეიძლება თუ არა წესდებაზე ხელი მოაწეროს დამფუძნებლის წარმომადგენელმა?

საქმე იმაშია, რომ ზოგჯერ დამფუძნებელი სხვა საქმეზე მიემგზავრება და შესაძლოა იმ დროს იქ არ იქნეს როდესაც წესდება გამზადდება და საჭირო გახდება მისი ხელმოწერა. ასეთ შემთხვევაში, მეწარმეთა შესახებ კანონის 2.7 მუხლის მე-3 წინადადება უთითებს, რომ ხელმოწერა რწმუნებულის მეშვეობით დაიშვება მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.

ამრიგად, პირს შეუძლია ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა გადასცეს თავის წარმომადგენელს, რომელიც დამფუძნებლის – მარწმუნებლის სახელით ხელს მოაწერს წესდებაზეც და განცხადებაზეც. *უნდა დარჩეს თუ არა მინდობილობა მოსამართლესთან?*

მინდობილობა რჩება მოსამართლესთან. წინააღმდეგ შემთხვევაში,

მომავალში გაუგებარი იქნება ვინ რა უფლებით მოაწერა ხელი. ანა-ლოგიის სახით შეიძლება გაეიხსენოთ შემთხვევა, როდესაც სასამართლო პროცესზე კლიენტის რწმუნებული ტოვებს სასამართლოში მასზე გაცემულ დაცვის რწმუნებულებას.

თუ დამფუძნებელი არის უცხოელი, რომელიც ვერ ახერხებს ჩამოსვლას, მას შეუძლია, ფაქსით გამოაგზავნოს ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, რომელსაც ჩვენთან ექნება იურიდიული ძალა.

შეიძლება თუ არა წარმომადგენელმა განახორციელოს საწესდებო კაპიტალში შეტანა მარწმუნებლის – დამფუძნებლის სახელით?

სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე.

ამრიგად, თუ კანონით არ არის აკრძალული, პირს შეუძლია იყოლოს წარმომადგენელი, რომელიც მისი სახელით განახორციელებს გარკვეულ მოქმედებას. ჩვენს კითხვასთან დაკავშირებით აღვნიშნავ, რომ კანონი არ კრძალავს წარმომადგენლის მეშვეობით საწესდებო კაპიტალში შესატანის განხორციელებას. წარმომადგენლის მიმართ იმოქმედებს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი წესები.

აუცილებელია თუ არა წესდება დამოწმდეს იმ რაიონის ნოტარიუსთან, რომელ რაიონის სასამართლოშიც უნდა გაატარონ წესდება რეგისტრაციაში?

ასეთი აუცილებლობა კანონით არ არის დადგენილი, რაც იმის უფლებას იძლევა, რომ დამფუძნებლებმა წესდება შეიძლება ნებისმიერი რაიონის ნოტარიუსთანაც დაამოწმონ. ასევე შეიძლება მინდობილობაც ნებისმიერი რაიონის ნოტარიუსთან დაამოწმონ.

ზოგჯერ პარტნიორებს უწევთ ცვლილებების შეტანა წესდებაში. ცვლილებები შეიძლება დაკავშირებული იყოს საწესდებო კაპიტალის შეცვლასთან ან გაზრდასთან, ახალი პარტნიორის მიღებასთან ან პარტნიორის გარიცხვასთან, დირექტორის შეცვლასთან და ა.შ. წესდებაში ცვლილებასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: *სჭირდება თუ არა წესდებაში ცვლილებების შეტანას ნოტარიული დადასტურება?*

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს მეწარმეთა შესახებ კანონის 2.7 მუხლის მე-2 წინადადება, კერძოდ, წესდებაში ცვლილებების შეტანისას წესდებაზე პარტნიორთა ხელმოწერა არ მოითხოვება. ვფიქრობ, რომ კანონით მინიჭებული ეს უფლება სწორია, რადგანაც თუ წესდებაში ყოველი ცვლილებისთვის პარტნიორთა ხელმოწერები დასჭირდებოდა, ანდა ნოტარიული დადასტურება იქნებოდა საჭირო, მაშინ წესდება ხელმოწერებით და ნოტარიუსის ბეჭდით იქნებოდა სავსე. მით უმეტეს, რომ ზოგჯერ დამფუძნებელთა ოდენობა 10-15 პირზე მეტიც არის. ცვლილებების შეტანა წყდება პარტნიორთა კრებაზე. ამიტომ სასამართლო ცვლილებებს შეიტანს კრების გადაწყვეტილების საფუძველზე. კრების გადაწყვეტილებას უნდა დაერთოს განცხადება წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. არ შეიძლება ცვლილებების შეტანა დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. პარტნიორებს უფლება აქვთ წესდებაში ცვლილებების შეტანისას წარმოადგინონ წესდება ახალი რედაქციით.

წესდების ახალი რედაქციით წარმოდგენისას სჭირდება თუ არა მას ნოტარიული დადასტურება?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა მეწარმეთა შესახებ კანონის 47.2 მუხლი, კერძოდ, საზოგადოების წესდების შეცვლა შეიძლება მხოლოდ პარტნიორთა გადაწყვეტილებით. ასეთ გადაწყვეტილებას სჭირდება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობა და სანოტარო წესით დამოწმება.

ამრიგად, წესდების ახალ რედაქციას არ სჭირდება ნოტარიალური დამოწმება. მაგრამ ნოტარიალურად უნდა დამოწმდეს პარტნიორთა გადაწყვეტილება წესდების შეცვლის შესახებ.

წესდებაში ცვლილებები იურიდიულ ძალას იძენს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და გამოქვეყნებიდან.

თუ დირექტორი არ ახდენს წესდებაში ცვლილებების რეგისტრაციას, ვის შეუძლია ეს გააკეთოს?

თუ დირექტორი არ ახდენს ცვლილებების რეგისტრაციას, შეიძლება სასამართლოს დავალებით, მეწარმეთა შესახებ კანონის 5.1 მუხლზე დაყრდნობით, ეს გააკეთოს პარტნიორმა⁴⁷.

⁴⁷ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003 წ., №5, გვ. 1204.

§ 2. განცხადება

განცხადება სარეგისტრაციო დოკუმენტების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს. მეწარმეთა შესახებ კანონის 5.2-ე მუხლის თანახმად, „პარტნიორები, ისევე როგორც წარმომადგენლობითი და სამეთვალყურეო ორგანოების შესაძლო წევრები, ვალდებული არიან ხელი მოაწერონ საზოგადოების განცხადებას რეგისტრაციის შესახებ“.

ამავე მუხლის მეორე აბზაცით, განცხადება რეესტრში რეგისტრაციის შესახებ ან მათი ასლები წარმოდგენილ უნდა იქნეს სანოტარო წესით დამოწმებული ფორმით.

ამრიგად, განცხადებაზე ხელი უნდა იქნეს მოწერილი და იგი უნდა დამოწმდეს ნოტარიუსის მიერ.

ვინ უნდა მოაწეროს ხელი რეგისტრაციის შესახებ განცხადებაზე?

რეგისტრაციის შესახებ განცხადებაზე ხელი უნდა მოაწერონ: დამფუძნებელმა პარტნიორებმა, დირექტორმა და, თუ კყავთ, პროკურისტმაც, რადგან დირექტორიც და პროკურისტიც საზოგადოების წარმომადგენლები არიან, აგრეთვე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმაც, თუ ასეთი ორგანო წესდებით არის გათვალისწინებული.

ამრიგად, 5.2 მუხლის თანახმად, აღნიშნული პირები ვალდებული არიან, ხელი მოაწერონ განცხადებას. *დაეუშვათ, რომელიმე პირმა, მაგალითად, ერთ-ერთმა დამფუძნებელმა არ მოაწერა ხელი განცხადებას, მაგრამ სასამართლომ მაინც გაატარა რეგისტრაციაში, ჩაითვლება თუ არა ასეთი პირი პარტნიორად?*

ეს კითხვა მსგავსია იმ კითხვისა, რომელიც დავსვით წესდების მიმოხიზილის ნაწილში, პასუხიც იგივე იქნება – პირი მაინც ჩაითვლება პარტნიორად, რადგან მოქმედებს სამეწარმეო რეესტრის უტყუარობის პრეზუმფცია.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან დაკავშირებით ეს არ წარმოადგენს დიდ პრობლემას, მაგრამ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტურ საზოგადოებაში კომპლემენტარის რეგისტრაციისას აღნიშნულმა შეცდომამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს იმ პარტნიორს, რომელმაც გადაიფიქრა და ხელი არ მოაწერა განცხადებას, ანდა საერთოდ ისე იყო ჩაწერილი წესდებაშიც და განცხადებაშიც, რომ არც კი იცოდა ამის შესახებ.

ამიტომ, როგორც ადრე აღვნიშნე, ვფიქრობ, რომ შეცდომით რეგისტრირებული პარტნიორის წინაშე პასუხი უნდა აგოს მოსამართლემაც, რადგანაც მან დაუშვა უხეში შეცდომა პირის არასწორად რეგისტრაციის გამო.

რას გყრდნობა ჩვენი მოსაზრება აღნიშნულ დასკვნასთან დაკავშირებით?

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს“.

რა დაეარქვათ მოსამართლის ქცევას, რომელიც რეგისტრაციაში პარტნიორად ატარებს ისეთ პირს, რომელსაც განცხადებაზე ხელი არა აქვს მოწერილი, უფრო მეტიც, ზოგჯერ არათუ განცხადებაზე, არამედ წესდებაზეც კი ხელი არა აქვს მოწერილი და მაინც რეგისტრირებულია რეგისტრში.

რა თქმაუნდა, მოსამართლის ასეთ ქცევას „უხეში გაუფრთხილებლობა“ უნდა ვუწოდოთ და მან პასუხი უნდა აგოს ასეთი უყურადღებობისათვის. მით უმეტეს, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის 5.1 მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ „სასამართლო ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა განცხადება ამ მოთხოვნებს“. ამ მითითებაში იგულისხმება დამფუძნებლის ხელმოწერის შემოწმების აუცილებლობა წესდებაზეც და განცხადებაზეც.

რაც შეეხება ნოტარიუსის პასუხისმგებლობას, მან ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ პირს შეიძლება ხელი ჰქონდეს მოწერილი წესდებაზე, ხოლო განცხადებაზე ხელი არ ჰქონდეს მოწერილი, ამიტომ ასეთ შემთხვევაში მან აღარ უნდა დაადასტუროს წესდება იმ მოტივით, რომ ადგილი აქვს წინააღმდეგობას, კერძოდ, წესდებაზე ხელი არის მოწერილი, ხოლო განცხადებაზე კი არა. ამიტომ მან უნდა შესთავაზოს დამფუძნებლებს, გაარკვიონ განცხადებაზე ხელმოწერილი პირის საკითხი და შემდეგ მოახდენს სარეგისტრაციო დოკუმენტების დადასტურებას.

თუ ნოტარიუსი მაინც დაადასტურებს ასეთ განცხადებას, შეცდომით რეგისტრირებულ პარტნიორს ასევე უნდა ჰქონდეს უფლება, მის მიმართაც

აღძრას სარჩელი და მოითხოვოს სხვა პარტნიორებთან ერთად სოლიდარულად ზიანის ანაზღაურება, თუკი შეცდომით რეგისტრაციამ მას მიაყენა რაიმე ზიანი.

რა თქმა უნდა, ასეთი პოზიცია შეიძლება არც ნოტარიუსს მოეწონოს და არც მარეგისტრირებელ მოსამართლეს, მაგრამ კრედიტორი რომ დაზარალდება არასწორი რეგისტრაციით ან დადასტურებით, ეს ზარალი ზომ ვილაკამ უნდა აანაზღაუროს? ამიტომ დამფუძნებლებთან ერთად პასუხისმგებლობას გაიყოფს მოსამართლეს და ნოტარიუსიც.

დაბოლოს, დამფუძნებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ კანონის 5.2 მუხლის მოთხოვნის საფუძველზე, განცხადება საზოგადოების რეგისტრაციის თაობაზე შეტანილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, სადაც იქნება საზოგადოების იურიდიული მისამართი. მაგალითად, თუ საზოგადოების იურიდიული მისამართი იქნება თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში, განცხადებაც ამ რაიონის სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი.

ასეთივე წესს ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 342-ე მუხლიც.

§ 3. ხელმოწერის ნიმუში

მეწარმეთა შესახებ კანონის 5.2 მუხლის თანახმად „... პირები, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საზოგადოება, ვალდებული არიან სასამართლოში დატოვონ ხელმოწერის ის ნიმუში, რომელსაც საქმიან ურთიერთობებში გამოიყენებენ“.

აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული წესი პრაქტიკაში ზოგჯერ არასწორად იქნა გაგებული, კერძოდ, ჩათვალეს, რომ პირებმა რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საზოგადოება სასამართლოში, უნდა გამოცხადდნენ და იქ მარეგისტრირებელ მოსამართლესთან დატოვონ ხელმოწერის ნიმუში. ასეთი განმარტება არასწორია. საქმე ისაა, რომ ამავე მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მეორე აბზაცის მიხედვით, „განცხადება რეესტრში რეგისტრაციის შესახებ, სასამართლოში დატოვებული ზუსტი ხელმოწერის ნიმუში, აგრეთვე თანდართული დოკუმენტები ან მათი ასლები წარმოდგენილ უნდა იქნეს სანოტარო წესით დამოწმებული ფორმით“.

ამრიგად, ამ წესიდან ნათლად ჩანს, რომ ხელმოწერა უნდა გაკეთდეს ნოტარიუსთან, რის შემდეგაც ნოტარიუსი ამოწმებს ამ ხელმოწერას. ნოტარიალურად დადასტურებული ხელმოწერა მიაქვთ და ტოვებენ სასამართლოში.

ნოტარიატის შესახებ კანონის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტიც ამაზე უთითებს, კერძოდ, რომ ნოტარიუსი „ამოწმებს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას“.

ხელმოწერის ნიმუშის დატოვება სასამართლოში სრულიად ახალი ინსტიტუტია. იგი გათვალისწინებული არ ყოფილა 1991 წელს მიღებულ კანონში „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“.

რა დანიშნულება აქვს ხელმოწერის ნიმუშის დატოვებას სასამართლოში? მისი დანიშნულებაა შეცვალოს ბეჭდის გამოყენება სამეწარმეო ურთიერთობებში. ვფიქრობ, რომ დღეს ეს ნამდვილად პროგრესული გადაწყვეტილებაა. ჯერ ერთი, კომპიუტერებისა და ე.წ. სკანერების, ფერადი ასლგადაბეჭდები თუ სხვა ტექნიკის გამოყენების პირობებში ბეჭედი ფაქტობრივად კარგავს თავის დანიშნულებას, რადგანაც მისი ასლი თავისუფლად შეიძლება დამზადდეს და გამოყენებული იქნეს არაკეთილსინდისიერი მიზნით, მეორეც, ბეჭდის დამზადება დაკავშირებულია დამატებითი დროისა და თანხების ხარჯვასთან, იმის მუდმივ შიშთან, რომ იგი სადმე არ დაიკარგოს და ვინმეს მიერ არ იქნეს გამოყენებული.

ხელმოწერის მნიშვნელობა განამტკიცა მეწარმეთა შესახებ კანონში დამატებამ, კერძოდ, მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით, „საწარმოს საქმიანობისათვის ან რეგისტრაციისათვის საწარმოს ბეჭდის არსებობა სავალდებულო არ არის“.

ამავე მუხლის მე-5 პუნქტით „დაუშვებელია რომელიმე ნორმატიული აქტით ან რომელიმე სახელმწიფო ორგანოს მიერ საწარმოს ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტის მოთხოვნა“.

აღნიშნული წესიდან გამომდინარე, არასწორად მიმაჩნია, ზოგიერთი სახელმწიფო ორგანოს მიერ ბეჭდით დადასტურების მოთხოვნა. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მოკლედ აღვნიშნავ შემდეგს:

შპს (ისევე როგორც სხვა საზოგადოება) იქმნება კერძო სამართლის ნორმების საფუძველზე. კერძო სამართალი უფლებას ანიჭებს მის მიერ „შექმნილ“ საზოგადოებას, რომ მას არ ჰქონდეს ბეჭედი. ამიტომ

გაუგებარი იქნება საჯარო სამართლის ნორმის მოთხოვნა, რომ დოკუმენტი აუცილებლად საზოგადოების ბეჭდით დამოწმდეს. საჯარო სამართალი ხომ არ ქმნის სამეწარმეო საზოგადოებას და რატომ აიძულებს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, იქონიოს ისეთი ელემენტი, რომელსაც არ თხოვს „მისი შემქმნელი“ – კერძო სამართალი.

ხელმოწერის ნიმუშის დატოვება სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს ეკრძალებოდა ბეჭდის გამოყენება, თუ საწარმოს სურს ჰქონდეს ბეჭედი, შეუძლია დაამზადებინოს და გამოიყენოს სამეწარმეო ურთიერთობებში.

ხელმოწერის მნიშვნელობის განმარტების შემდეგ მინდა მივუბრუნდე ისევ 5.2 მუხლის მეორე წინადადებას, სადაც ლაპარაკია პირებზე, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საზოგადოება. აქ ისმის კითხვა, *თუ ვინ იგულისხმებიან იმ პირებში, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საზოგადოება?*

ცნობილია, რომ საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს საზოგადოების ხელმძღვანელი, მეწარმეთა შესახებ კანონის 9.1 მუხლით კი ხელმძღვანელობის უფლება აქვთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დირექტორებს. ხოლო ამავე კანონის 9.4 მუხლით კი დირექტორები საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში.

ამრიგად, დირექტორები არიან ის პირები, რომლებმაც უნდა დატოვონ ხელმოწერის ნიმუში სასამართლოში. *არიან კიდევ სხვა პირები, რომელთაც ვვალებათ აღნიშნული წესის დაცვა?*

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან დაკავშირებით ასეთი შეიძლება იყოს პროკურისტიც.

რას ნიშნავს „პროკურისტი“ და რატომ უნდა დატოვოს მან ხელმოწერის ნიმუში?

მეწარმეთა შესახებ კანონის 10.1 მუხლით, ხელმძღვანელებს შეუძლიათ, წერილობით მისცენ მინდობილობა ამა თუ იმ პირს. ხოლო 10.3 მუხლი კი აღნიშნავს, რომ, „თუ მინდობილობა რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში იგი წარმოადგენს გენერალურ სავაჭრო მინდობილობას (პროკურას)“.

ამრიგად, პროკურისტი არის საზოგადოების წარმომადგენელი. რადგანაც პროკურისტი საზოგადოების წარმომადგენელია და საზოგადოების

სახელით უწევს ხელშეკრულებებზე ხელის მოწერა, ამიტომ მანაც უნდა დატოვოს ხელმოწერის ნიმუში სასამართლოში.

ტოვებენ თუ არა ხელმოწერის ნიმუშს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან საბჭოს თავჯდომარე?

არც ერთი მათგანი არ ტოვებს ხელმოწერის ნიმუშს იმ მარტივი მიზეზით, რომ ისინი არ წარმოადგენენ საზოგადოებას, ანუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის წარმომადგენლობითი ორგანო. თავად სიტყვიდან გამომდინარე, იგი არის სამეთვალყურეო ორგანო. მართალია, კანონის 55.8 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, ღირეპქტორებთან გარიგებების შესრულებისას წარმოადგინოს საზოგადოება, აგრეთვე საერთო კრების გადაწყვეტილებით, საზოგადოების სახელით მათ წინააღმდეგ წარმართოს სამართლებრივი ღაეა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ორგანო წარმომადგენლობითი ორგანოა. ვიმეორებ, იგი არის სამეთვალყურეო ორგანო, მისი ძირითადი ფუნქცია არის მეთვალყურეობის გაწევა. მით უმეტეს, რომ 55.8 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად ღირეპქტორების ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭო სამეთვალყურეო ორგანოა და არა წარმომადგენლობითი ორგანო.

ღაბოლოს ერთი საკითხი – შეიძლება თუ არა პირმა დატოვოს ხელმოწერა არა პასპორტის სახელის მიხედვით, არამედ ფსევდონიმით?

მაგალითად, პირადობის მოწმობით არის ვახტანგ სილაგაძე, მაგრამ ფსევდონიმი არის „გოგი სვირელი“. პირმა ხელი უნდა მოაწეროს მხოლოდ იმ სახელით რაც წერია მის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში. რადგანაც შეიძლება მომავალში, საქმიანი ურთიერთობების დროს კონტრაგენტი დაინტერესდეს ხელისმომწერის ვინაობით და მოითხოვოს მისი პასპორტი. მასში კი სულ სხვა სახელი იქნება ჩაწერილი, ვიდრე პირმა ჩაწერა. შემდგომში იმის მტკიცება, რომ ამ ფსევდონიმით მას იცნობენ და ამიტომ მოაწერა ხელი მაინც გარკვეული სახის პრობლემებს წარმოშობს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხელისმომწერისას ნოტარიუსი პირადობის მოწმობასაც ნახულობს.

§ 4. საწესდებო კაპიტალში შესრულებული შესატანის შესახებ წარსადგენი საბუთი

როგორც მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3, მე-5 და 45-ე მუხლები მიუთითებენ, დამფუძნებლებმა შპს-ის საწესდებო კაპიტალში უნდა მოახდინოს მინიმუმ 2000 ლარის ფარგლებში შენატანის განხორციელება.

შესატანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიძლება იყოს ფულადი სახით და შეიძლება იყოს არაფულადი სახით. შესატანთან დაკავშირებით უფრო დაწერილებით ცალკე გვექნება საუბარი, ამიტომ ამჟამად ჩვენ განვიხილავთ იმ საბუთების სახეებს და ბუნებას, რომლებიც შენატანის შესრულებას ადასტურებენ.

ასეთი საბუთი რამდენიმე სახის არის, პირველი – თუ ფულადი სახით არის შესატანი განხორციელებული, მაშინ ამის დასტურად წარდგენილი უნდა იქნეს ფულადი შესატანის განხორციელების დამადასტურებელი საბუთი, კერძოდ, ბანკის ქვითარი.

თუ დამფუძნებლებმა საწესდებო კაპიტალში შეიტანეს არაფულადი შენატანი, კერძოდ, მოძრავი ან უძრავი ნივთი, მოთხოვნები ან უფლებები, მაშინ ყოველივე ეს უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა ექსპერტმა – აუდიტორმა. ის წესი, რომ არაფულადი შენატანი უნდა შეაფასოს აუდიტორმა, განსაზღვრულია მეწარმეთა შესახებ კანონის 3.3 მუხლით.

აღნიშნული ნორმის თანახმად, „შესატანი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს აგრეთვე სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტების სახით, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის საზოგადოებებში უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა აუდიტორმა“.

დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ გაცემული შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი არის მეორე სახის საბუთი, რომელიც უნდა წარადგინონ დამფუძნებლებმა სასამართლოში.

აღნიშნული საბუთით დასტურდება არაფულადი შესატანის ღირებულება. არაფულადი შესატანის შეფასების უფლება არც შპს-ის დირექტორს აქვს, არც დამფუძნებლებს და არც პარტნიორთა საერთო კრებას ან, თუნდაც რომელიმე სახელმწიფო ორგანოს.

არაფულადი შესატანის შეფასების უფლება მხოლოდ და მხოლოდ აუდიტორს აქვს, თანაც ეს აუდიტორი, მეწარმეთა შესახებ კანონის

19.3 მუხლის თანახმად, „ეკონომიკურად და პიროვნულად დამოუკიდებელი უნდა იყოს შესამოწმებელი საწარმოსაგან ან მათი თანამდებობის პირთაგან. თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ, დანიშნონ ასეთი პირი ან საზოგადოება, მაშინ ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საწარმოს ადგილსამყოფლის მიხედვით ან შემოწმების ადგილის მიხედვით არსებული სასამართლო“.

მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისს“ ეკავა ორსართულიანი შენობა. მისი ერთი ნაწილი დაქირავებული ჰქონდა შპს „აუდიტორს“. შპს „თბილისმა“ გადაწყვიტა საწესდებო კაპიტალში ჩაედო მიწის ნაკვეთი. შეუძლია თუ არა ამ ნაკვეთის შესაფასებლად მოიწვიოს მისი შენობის ერთი ნაწილის დაქირავებული შპს „აუდიტორი“?

ფიქრობთ, რომ შეუძლია, რადგან, შპს „აუდიტორი“ არ არის ეკონომიკურად ან პიროვნულად დამოკიდებული შპს „თბილისზე“ და მის დირექტორზე. რადგანაც შპს „აუდიტორი“ შპს „თბილისისგან“ დამოუკიდებლად არსებობს და ღებულობს მოგებას, დებს გარიგებებს და ა.შ.

ასევე შეიძლება მოწვეული იქნეს აუდიტად ერთ-ერთი პარტნიორის მეუღლე ან შვილიც, თუ მათ აქვთ აუდიტის ლიცენზია.

კითხვა, რომელიც ზოგჯერ დგება დამფუძნებლებს შორის, ეს არის: **სჭირდება თუ არა შპს-ის საწესდებო კაპიტალში შესატან პრივატიზებულ ნივთს (შენობას, ან სხვა ნივთს) აუდიტორის დასკვნა?**

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა აღინიშნოს შემდეგი:

აუდიტს სააუდიტო საქმიანობისათვის ლიცენზიას აძლევს სახელმწიფო, კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძველების შესახებ კანონის მე-6 მუხლის „ზ“ პუნქტით, აუდიტორული საქმიანობისათვის ლიცენზიას გასცემს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო.

ამრიგად, აუდიტი სახელმწიფოსგან ღებულობს უფლებას, შეაფასოს ნივთი, რომელსაც აქვს რაიმე იურიდიული მნიშვნელობა.

თუ თავად სახელმწიფო შეაფასებს და პირს მიჰყიდის ნივთს, რაღაში დასჭირდება მას ე.წ. შუამავალი აუდიტის სახით, რომელიც შეაფასებს სახელმწიფოს მიერ შეფასებულ და გაყიდულ ნივთს? ფიქრობ, რომ ასეთ შემთხვევაში აუდიტის გამოყენება საჭირო აღარ არის.

ამიტომაც, თუ სახელმწიფო გაყიდის ნივთს და მყიდველი ამ ნივთს შეიტანს საწესდებო კაპიტალში იმავე ფასად რა ფასადაც მან ეს ნივთი შეიძინა, მაშინ იგი სასამართლოში წარადგენს ნასყიდობის ხელშეკრულებას და თანხის გადახდის ქვითარს.

მაგრამ, თუ შემძენი შეცვლის შესყიდული ნივთის ფასს, კერძოდ, გაზრდის ან შეამცირებს ნივთის ღირებულებას, მაშინ კი აუცილებელი გახდება აუდიტის დასკვნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მეწარმეთა შესახებ კანონის 5.5. მუხლის „ბ“ პუნქტში მითითებული არაფულადი შესატანით დაფუძნებისას, შესატანის შეფასების დამადასტურებელ საბუთში შეიძლება მოვიზაროთ აგრეთვე პრივატიზებული ნივთის შეფასების დამადასტურებელი საბუთიც, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულება და თანხის გადახდის ქვითარი.

მინდა აგრეთვე შევეხო ერთ საკითხსაც, კერძოდ, მეწარმეთა შესახებ კანონის 3.3. მუხლის თანახმად, „საზოგადოების დაფუძნებისას ან საწესდებო კაპიტალის გაზრდისას შესატანი შეიძლება დათქმულ იქნეს და შესრულდეს ნებისმიერი ვალუტით“. ამ წესის საფუძველზე, დამფუძნებლებს ზოგჯერ საწესდებო კაპიტალში შეაქვთ 1000 აშშ დოლარიც (მაგალითად, შპს – რეგის. №06/4-33). რეგისტრატორი მოსამართლე თვლის, რომ 1000 აშშ დოლარი ტოლია 2000 ლარის და აკეთებს რეგისტრაციას.

რის საფუძველზე რწმუნდება მოსამართლე, რომ 1000 აშშ დოლარი ტოლია 2000 ლარის? ვფიქრობ, იმ ინფორმაციის საფუძველზე რასაც მოსამართლე ხედავს ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში. ეს ინფორმაცია კი არ არის ოფიციალური. იგი სხვადასხვა ადგილას ვალუტის საბაზრო კურსს აღნიშნავს.

სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა დავა იმის შესახებ, რომ საწესდებო კაპიტალში შეტანილი ვალუტა, მაგალითად, 1000 ევრო ან რუსული რუბლი არ უდრის 2000 ლარს და ამიტომაც საწესდებო კაპიტალი ბოლომდე არ არის შევსებული, რის საფუძველზეც ითხოვდნენ შპს-ის პარტნიორების პირად ქონებრივ პასუხისმგებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრდება წესი, რომლის საფუძველზეც, დამფუძნებლებს, რომელთაც შეაქვთ საწესდებო კაპიტალში ვალუტა, სასამართლომ

მოსთხოვოს შესაბამისი ბანკიდან ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენ ლარს უდრის შესატანი ვალუტა.

საქმე ისიცაა, რომ საწესდებო კაპიტალში შესატანი ვალუტაც უნდა შეფასდეს. კანონის 3.3. მუხლის პირველი წინადადება „შესატანი შეიძლება დათქმულ იქნეს და შესრულდეს ნებისმიერი ვალუტით“ სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ დამფუძნებელს შეუძლია 2000 ლარზე ნაკლები ოდენობის უცხოური ვალუტა შეიტანოს საწესდებო კაპიტალში.

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ სასამართლოს შეუძლია, დამფუძნებლების მიერ უცხოური ვალუტის შეტანის შემთხვევაში, მოითხოვოს ბანკიდან ცნობა, რომელიც დაადასტურებს, რომ შესატანი ვალუტა არ არის 2000 ლარზე ნაკლები.

ამ შემთხვევაში ბანკს იმიტომ ვუთითებ, რომ აუდიტი აკეთებს მხოლოდ არაფულადი შენატანის და არა უცხო ქვეყნის თანხის შეფასებას.

თავი V. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება როგორც კაპიტალური გაერთიანების მქონე საზოგადოება

§ 1. საწესდებო კაპიტალის არსი და მნიშვნელობა

საწესდებო კაპიტალი მხოლოდ კაპიტალის გაერთიანების მქონე საზოგადოებებისთვის არის დამახასიათებელი, კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის, სააქციო საზოგადოებისთვის და კოოპერატივისთვის.

საწესდებო კაპიტალის ცნება შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარში: „საწესდებო კაპიტალი არის კანონით განმტკიცებული და საზოგადოების წესდებით განსაზღვრული ქონება, რომელიც აუცილებელია შპს-ის, სს-ის ან კოოპერატივის დაფუძნებისათვის და რომლის შეტანის ვალდებულებასაც პარტნიორები (აქციონერები) წესდებით კისრულობენ“⁴⁸.

ამრიგად, საწესდებო კაპიტალი მეწარმეთა შესახებ კანონის საფუძველზე არსებობს. მისი მინიმალური ოდენობა ამავე კანონითაა განსაზღვრული, მაგალითად, მეწარმეთა შესახებ კანონის 45.1 მუხლით, შპს-ის საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს, სულ ცოტა, 2000 ლარს.

წესდებაზე ყოველი ხელისმომწერი იღებს ვალდებულებას განახორციელოს გარკვეული ოდენობის შესატანი საწესდებო კაპიტალში⁴⁹ რა მიზანს ემსახურება საწესდებო კაპიტალის არსებობა?

საწესდებო კაპიტალი საზოგადოების ხელუხლებელი კაპიტალია. მის რაოდენობაში ცვლილებების შეტანა შეიძლება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით.

მისი უპირველესი მიზანია მინიმალურად დაიცვას საზოგადოების კრედიტორები. როდესაც პირი რაიმე ურთიერთობას ამყარებს ამ საზოგადოებასთან, მაგალითად, აძლევს სესხს ან აპირებს მიჰყიდოს სა-

⁴⁸ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 60.

⁴⁹ Enno W. Ercklentz, Modern German Corporation Law, 1979, New York, p. 51.

ქონელი და ა.შ., იგი ინტერესს იჩენს ამ საზოგადოების საწესდებო კაპიტალის მიმართ. მომავალი კრედიტორი ამ საზოგადოების მარეგისტრირებულ სასამართლოში იგებს თუ რა სახის და რა ოდენობის შესატანი აქვს საწესდებო კაპიტალში. თუ სასამართლოს მეშვეობით გაიგებს, რომ საზოგადოების საწესდებო კაპიტალში იმაზე მეტია, რაც უნდა ასესხოს, მაშინ მომავალ კრედიტორს აღარ აინტერესებს, თუ რა ქონება აქვს კიდევ საზოგადოებას ბალანსზე. მით უმეტეს, რომ ბალანზე არსებულ ქონებას ის სასამართლოში ვერ გაიგებს. მან ამის შესახებ უშუალოდ უნდა გაარკვიოს საზოგადოების ხელმძღვანელთან.

ამდენად, რაც უფრო დიდი აქვს საწესდებო კაპიტალი, კრედიტორები მით უფრო თამამად სთავაზობენ მას სესხს ან მიჰყიდიან ნივთს, რადგან იციან, რომ სესხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, საზოგადოების საწესდებო კაპიტალში არსებული თანხა გარანტირებული აქვს.

პრაქტიკაში ხშირად ისმის კითხვა, რა განსხვავებაა საზოგადოების ქონებასა და საწესდებო კაპიტალს შორის?

უნდა ითქვას, რომ მათ შორის განსხვავება არ არსებობს. საწესდებო კაპიტალიც საზოგადოების ქონებაა, მაგრამ ქონების ამ ნაწილს კანონმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა და როგორც ქონების დამოუკიდებელი სახე ისე ჩამოაყალიბა. ამიტომ საზოგადოების ქონება და საზოგადოების საწესდებო კაპიტალი ერთი და იგივე ცნება არ არის, თუმცა საწესდებო კაპიტალი საზოგადოების ქონების შემადგენელი ნაწილია, რომელიც საზოგადოების დამფუძნებელთა შენატანებით იქმნება და ამ შენატანების ერთობლიობას წარმოადგენს.

დასახელებული ორი ფორმა რომ ერთმანეთისგან განასხვაონ, იყენებენ ორ სიტყვას, ორ ტერმინს, საზოგადოების ქონებას და საზოგადოების საწესდებო კაპიტალს.

საწესდებო კაპიტალში არსებული ქონება, ანუ შენატანი შეიძლება მეტი ან ნაკლები იყოს საზოგადოების ქონებაზე. მაგალითად, საწესდებო კაპიტალი პარტნიორებმა შეიძლება წესდებით განსაზღვრონ 30 000 ლარის ოდენობით, მაგრამ საზოგადოების ქონება (დანარჩენი ქონება) კი იყოს 5 000 ლარის. ეს შეიძლება იმიტომ გააკეთონ, რომ უფრო ადვილად მოიზიდონ სახსრები, აიღონ სესხები და ა.შ. რადგანაც საწესდებო კაპიტალი კრედიტორისათვის ერთგვარი უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს.

პარტნიორებმა უნდა გაითვალისწინონ ის ძირითადი მოთხოვნა, რაც საწესდებო კაპიტალისთვისაა დამახასიათებელი, კერძოდ, ის თანხა, რომელიც საწესდებო კაპიტალშია შეტანილი არ გამოიყენება პარტნიორების მიერ. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საწესდებო კაპიტალის არსებობის უპირველესი მიზანია კრედიტორების დაცვა. ეს კარგად ჩანს მეწარმეთა შესახებ კანონის 3.3 მუხლის მეორე აბზაცშიც, კერძოდ: შესატანის უკან დაბრუნება დაიშვება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით. ამისათვის საჭიროა ცვლილების შეტანა საზოგადოების წესდებაში. საწესდებო კაპიტალის შემცირება რეგისტრირებულ უნდა იქნეს სამეწარმეო რეესტრში.

ამრიგად, თუ რეგისტრაციის დროს საწესდებო კაპიტალი იყო 10000 ლარი და პარტნიორებმა გადაწყვიტეს მისი 5000 ლარით შემცირება, ამ შემცირებას იურიდიული ძალა ექნება მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩათვლება, რომ შემცირება არ მომხდარა.

ამასთან ერთად, დასახელებული კანონის 3.6. მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, „თუ რომელიმე პარტნიორს შესატანი უკან დაუბრუნდება საწესდებო კაპიტალის რეგისტრირებული შემცირების გარეშე, კრედიტორებისთვის ეს დაბრუნებად არ მიიჩნევა“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა კანონით არის განსაზღვრული, მაგრამ მაქსიმალური ოდენობა კანონმა აღარ განსაზღვრა, რაც რა თქმა უნდა, სწორად არის მიჩნეული.

საწესდებო კაპიტალს კიდევ ერთი დანიშნულება აქვს, ეს არის პარტნიორების წილების განსაზღვრა. კერძოდ, პარტნიორთა წილი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ ვის რა შენატანი აქვს განხორციელებული საწესდებო კაპიტალში. ავუსვათ, საწესდებო კაპიტალი არის 2000 ლარი, დამფუძნებელია ოთხი პირი, თვითუელს აქვს შეტანილი საწესდებო კაპიტალში 500 ლარი, წილებიც შესაბამისად განაწილდება, კერძოდ, 25% თითოეულს, ე.ი. თითოეულს აქვს საწესდებო კაპიტალში 25% წილი.

დაბოლოს, შეიძლება ერთი პრაქტიკული კითხვა დავსვათ: *შეიძლება თუ არა საწესდებო კაპიტალიდან დირექტორს ან პარტნიორს ვასესხოთ თანხა?* ზემოთ გაკეთებული ანალიზის საფუძველზე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საწესდებო კაპიტალიდან, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერც სესხს ვერ გავცემთ.

§ 2. შესატანი საწესდებო კაპიტალში

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით იწყება საწესდებო კაპიტალში შესატანის არსისა და ბუნების გაგება. აღნიშნული მუხლის თანახმად, „საზოგადოების დაფუძნებისას ან საწესდებო კაპიტალის გაზრდისას შესატანი შეიძლება დათქმულ იქნეს და შესრულდეს ნებისმიერი ვალუტით. საზოგადოების საბუღალტრო წიგნებში თანხა აღინიშნება ეროვნული ვალუტით. შესატანი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს აგრეთვე სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტების სახით, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის საზოგადოებებში უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა აუდიტორმა (არაფულადი შესატანის შეფასება)“.

შენატანი წარმოშობს წილს, რომელიც წარმოადგენს პარტნიორის ინდივიდუალური უფლების საგანს⁵⁰. წილი (Geschäftsanteil) წარმოიშობა არა წესდების შემუშავების შემდეგ, არამედ რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ⁵¹.

როგორც ზემოთ დასახელებული პუნქტიდან ირკვევა, შესატანის სახით შეიძლება გამოყენებული იქნეს ფული, მათ შორის ვალუტა, ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტები.

მეტი თვალსაჩინოებისათვის გავაანალიზებ თითოეულ მათგანს.

ა) ფულადი შესატანი შპს-ის საწესდებო კაპიტალში

მეწარმეთა შესახებ კანონის 45.1 მუხლით, საზოგადოების საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს 2000 ლარს. ამავე კანონის 3.5. მუხლი ითვალისწინებს შესატანის შეტანის წესს, კერძოდ, კანონი გვითითებს, რომ შესატანის ნახევარი შეტანილ უნდა იქნეს წესდების ხელმოწერისთანავე, თუ წესდება უფრო მეტის შეტანას არ ითვალისწინებს. ე.ი. თუ ორი დამფუძნებელი აპირებს შეიტანოს 2000 ლარი, თითოეულმა

⁵⁰ Kommentar zum GmbH – Gesetz, Begründet von Dr. Franz scholz. I Band. 1983. § 14.6

⁵¹ იქვე, § 14.7.

1000-1000 ლარის ოდენობით, მაშინ წესდების ხელმოწერისას უნდა შეიტანონ 500-500 ლარი. ხოლო დანარჩენი თანხა შეტანილი უნდა იქნეს რეგისტრაციის შემდეგ.

როგორ ხდება საზოგადოების რეგისტრაციამდე თანხის ნაწილის შეტანა?

აღნიშნული საკითხი რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №51 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საქართველოს საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ“.

ამ ინსტრუქციის მე-3 თავის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით, კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც ჯერ არ არის რეგისტრირებული იურიდიულ პირად, ბანკში წარადგენს შემდეგ საბუთებს:

- დამფუძნებელი კრების ოქმს, დამოწმებულს სანოტარო წესით;
- წესდებას, დამოწმებულს სანოტარო წესით;
- წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირთა ხელმოწერის ნიმუშს, დამოწმებულს სანოტარო წესით.

ამავე ინსტრუქციის მე-9 მუხლის 5.4 პუნქტით, მიზნობრივი ანგარიშის გახსნისათვის პირები, რომლებიც მოქმედებენ სასამართლოს მიერ მის რეგისტრაციამდე, დამფუძნებელთა გადაწყვეტილების საფუძველზე, საწესდებო კაპიტალში პირველადი შესატანებისათვის ბანკს წარუდგენენ:

- განცხადებას ანგარიშის გახსნის შესახებ;
- დამფუძნებელთა კრების ოქმს, დამოწმებულს სანოტარო წესით ან სხვა შესაბამის დოკუმენტს (ბრძანება, დადგენილება, განკარგულება).

სარეგისტრაციო მოწმობის მიღების შემდეგ მათ გაეხსნებათ მუდმივი საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში. მისათვის, ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების დამატებით, ბანკს წარედგინება საგადასახადო ორგანოებში აღრიცხვაზე აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი, სათანადოდ დამოწმებული წესდების ასლი და ხელმოწერის ნიმუშის ბარათი.

აღნიშნულ ინსტრუქციაში ერთი იურიდიული შეცდომაა, კერძოდ, მეწარმეთა შესახებ კანონი არ ითვალისწინებს დამფუძნებელთა სხდომის ოქმს და ბანკს არ აქვს უფლება, მოსთხოვოს პირს დამფუძნებელთა სხდომის ოქმი, ანუ ისეთი დოკუმენტი, რომელსაც არ ითვალისწინებს

პირის დაფუძნების მარეგულირებელი ნორმები. ამიტომ ინსტრუქცია საჭიროებს შესაბამის შესწორებას.

რა თქმა უნდა, რომ თუ წესდებით გაითვალისწინებენ, რომ შპს-ის რეგისტრაციამდე საწესდებო კაპიტალი შეავსონ, მაშინ დამფუძნებლებს შეუძლიათ, ერთიანად შეიტანონ თანხა, მაგალითად, თუ აქვთ საწესდებო კაპიტალში 3000 ლარი შესატანი, შეუძლიათ შპს-ის რეგისტრაციამდე შეიტანონ 3000 ლარი.

ამრიგად, კანონი მოითხოვს, რომ, თუ წესდებით არ არის გათვალისწინებული ერთიანად თანხის შეტანა რეგისტრაციამდე, მაშინ დამფუძნებლები ვალდებული არიან, შესატანი თანხის ნახევარი მაინც შეიტანონ შპს-ის ანგარიშზე.

შეიძლება თუ არა შპს გატარდეს რეგისტრაციაში ისე, რომ რეგისტრაციამდე არ შეიტანოს თანხის ნაწილი? ასეთი მოქმედება დამფუძნებლებს ეკრძალებათ. თუ სასამართლო თანხის ნაწილის გარეშე რეგისტრაციაში გაატარებს შპს-ს იმ იმედით, რომ თანხას შემდეგ გადაიხდიან, ეს მისი მხრიდან კანონ დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

თანხის შეტანის ქვითარი თან უნდა დაერთოს განცხადებას რეგისტრაციის შესახებ.

ფულად შესატანში მოიაზრება უცხოური ვალუტაც, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ.

სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ფაქტს, რომ ქვითარზე ასახული იყოს თანხის შეტანის თარიღი და ბანკის მიერ დადასტურება, რადგანაც შესაძლოა, დამფუძნებელმა ყალბი ქვითარი წარადგინოს. ამასთან, სასამართლოში წარგენილ უნდა იყოს ქვითრის ორიგინალი და არა ასლი.

ბ) ნივთის შეტანა შპს-ის საწესდებო კაპიტალში

რა მოიაზრება სიტყვაში „ნივთი“? ეს საკითხი საკმაო სისრულითაა განხილული ლ. ჭანტურიას და ბ. ზოიძის მიერ⁵².

ჩვენ აქ მოკლედ შევეხებით მხოლოდ იმას, თუ რა მოიაზრება ზემოთ აღნიშნულ ტერმინში.

⁵² იხ. ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, 2001 წ., ბ. ზოიძე, სანივთო სამართალი, 2004 წ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 148-ე მუხლის თანახმად, „ნივთი შეიძლება იყოს უძრავი და მოძრავი“.

ამავე კოდექსის 149-ე მუხლის თანახმად კი, „უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობები, რომლებიც მყარად დგას მიწაზე“.

უძრავ ნივთებს, შეიძლება მივაკუთნოთ, მაგალითად, საცურაო აუზი, საწყობი⁵³ და ა.შ.

ამრიგად, ყველა ნივთი, რომელსაც არ მოიცავს 149-ე მუხლის შინაარსი, არის მოძრავი. მაგრამ დამფუძნებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მხოლოდ ისეთი მოძრავი და უძრავი ნივთები იგულისხმება, რომლებიც წარმოადგენენ სამოქალაქო ბრუნვის ობიექტებს, ანუ შესაძლებელია მათი გასხვისება, განსაზღვრული ვადით გადაცემა და ა.შ. მაგალითად, მოძრავ ნივთებს ვერ მივაკუთვნებთ ისეთ ნარკოტიკულ ნივთიერებებს, როგორებიცაა მაგალითად, ოპიუმი, ჰაშიში და ა.შ. რადგანაც ისინი არ წარმოადგენენ სამოქალაქო ბრუნვის ობიექტებს. ასევე ისეთ წამლებს, რომლებიც ბრუნვიდან არიან ამოღებული.

როდესაც საწესდებო კაპიტალში დამფუძნებლები გადაწყვეტენ, რომ ფულის ნაცვლად შეიტანონ ნივთი, იგი უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა ექსპერტმა – აუდიტმა. ამის შესახებ პირდაპირ უთითებს მეწარმეთა შესახებ კანონის 3.3 მუხლი. აუდიტში მხოლოდ ისეთი პირი იგულისხმება, რომელსაც მიღებული აქვს სააუდიტო ლიცენზია. არც ერთ სხვა პირს არ აქვს უფლება, შეაფასოს ნივთი და მისი შეფასებული დასკვნა ამის შესახებ დაურთოს განცხადებას რეგისტრაციის შესახებ.

მაგალითად, სამმა პირმა A-მ, B-მ და C-მ გადაწყვიტეს დააფუძნონ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. შეთანხმების საფუძველზე A-ს უნდა შეეტანა 500 ლარი, B-ს 700 ლარი, ხოლო C-ს 800 ლარი. ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, კერძოდ, A-მ გადაწყვიტა თანხის ნაცვლად შეიტანოს ტელევიზორი. ასეთ შემთხვევაში ტელევიზორი უნდა შეაფასოს აუდიტმა. დაეუშვათ, მან შეაფასა ტელევიზორი 500 ლარად. იგი გასცემს დასკვნას, რომ ტელევიზორი შეფასებულია 500 ლარად. ამ დასკვნას დაურთავს განცხადებას რეგისტრაციის შესახებ. ამ გან-

⁵³ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003 წ., №6, გვ. 1380.

ცხადებას ასევე თან უნდა ახლდეს B-ს და C-ს მიერ ბანკის ანგარიშზე თანხის შეტანის დამადასტურებელი ქვითრები.

შესაძლებელია, რომ ყველა დამფუძნებელმა, ჩვენს შემთხვევაში სამივე დამფუძნებელმა, შეიტანოს ცალ-ცალკე რაიმე ნივთი, ანდა სამივემ ერთი ნივთი შეიტანოს. ასეთ შემთხვევაში, ნივთის ღირებულება უნდა იყოს მინიმუმ 2000 ლარი. თუ ყველა დამფუძნებელი ერთ ნივთს შეიტანს, მაშინ წესდებაში უნდა ჩანდეს ნივთის ღირებულებიდან თითოეულს რა თანხა ჩათვლება შესატანად და საწესდებო კაპიტალში წილი რამდენი ექნება. მაგალითად: A-მ, B-მ და C-მ შეიტანეს 10 000 ლარად პრივატიზებული არასაცხოვრებელი ფართი. წესდებაში უნდა დაფიქსირდეს, რომ შეტანილია 10 000 ლარად შეფასებული ვაჭაფშაველას გამზირ № 30-ში მდებარე 60 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. აქედან A -ს შესატანად ითვლება 3 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 30%; B-ს შესატანად 3 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 30%.

C-ს შესატანად 4 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 40 %; გარდა შესატანისა და წილებისა, წესდებაში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს, თუ რა სახის ნივთია შეტანილი და მისი ძირითადი მახასიათებლები. მაგალითად, თუ არასაცხოვრებელი ფართია შეტანილი, უნდა ჩაიწეროს მისი ფართი რამდენია, თუ კომპიუტერია შეტანილი, მაშინ უნდა ჩაიწეროს თუ რა სახის კომპიუტერია და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამწუხაროდ, წესდებების დიდ ნაწილში არ არის მითითებული, რომ შეტანილია ნივთი და არა ფული, ანდა, თუ წერია, რომ ნივთია შეტანილი, სამაგიეროდ, არ წერია, თუ რა სახის ნივთია შეტანილი და ა.შ. ამიტომ სასამართლომ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს წესდებების წაკითხვისა და ანალიზის დროს.

დამფუძნებლებმა და მოსამართლემაც კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს უნდა მიაქციონ ყურადღება. საქმე შემდგომია: ზოგჯერ წესდებაშიც და სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც წერია, რომ საწესდებო კაპიტალში შეტანილია მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ ნაკვეთს ან სხვა სახის უძრავ ნივთს პარტნიორები საჯარო რეესტრში აღარ ატარებენ რეგისტრაციაში.

ჩაითვლება თუ არა ასეთი ნივთი შპს-ს საკუთრებად? სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც დამფუძნებელი თვლის, რომ საწესდებო

კაპიტალში ფიქსირებული უძრავი ნივთი საკმარისია იმისათვის, რომ იგი ჩაითვალოს შპს-ის საკუთრებად. ასეთი შეხედულება არასწორია შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლიდან გამომდინარე, უძრავი ნივთი საკუთრებაში გადადის მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, ანდა, თუ სამკვიდროში შედის უძრავი ნივთი, იგი მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან (სამ. კოდ. 1433-ე მუხ.).

ამრიგად, საწესდებო კაპიტალში უძრავი ნივთის შეტანა კი არ წარმოშობს შპს-ის საკუთრების უფლებას ამ ნივთზე, არამედ წესდების შემდეგ იგი უნდა გატარდეს შპს-ის სახელზე საჯარო რეესტრში და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება უძრავი ნივთი შპს-ს საკუთრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარო რეესტრში ისევ თავდაპირველი მესაკუთრე იქნება რეგისტრირებული და ამდენად, ის დარჩება მესაკუთრედ.

უძრავ ნივთს უთანაბრდება აღნაგობის უფლებაც. ე.ი. აღნაგობის უფლების მქონე თუ საწესდებო კაპიტალში შეიტანს აღნაგობის უფლებას, საჭიროა მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრშიც. რას ეყრდნობა ასეთი დასკვნა? იგი ეყრდნობა სამოქალაქო კოდექსის 234-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომელიც უთითებს, რომ „აღნაგობის უფლების წარმოშობისა და შეძენის მიმართ შესაბამისად გამოიყენება უძრავი ნივთების შეძენის წესები“.

მაგრამ აქვე აღნაგობის უფლების მქონემ უნდა გაითვალისწინოს სამოქალაქო კოდექსის 235-ე მუხლის მითითება, “თუ მხარეთა შეთანხმებით აღნაგობის უფლების გასასხვიისებლად ან გასაქირავებლად საჭიროა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა, მესაკუთრეს შეუძლია უარი თქვას ამ თანხმობის გაცემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საამისოდ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი“.

საჯარო რეესტრში რეგისტრაციას არ საჭიროებს საწესდებო კაპიტალში მოძრავი ნივთის შეტანა. ამ შემთხვევაში საკმარისია მოძრავი ნივთი მოხვდეს საწარმოს ბალანსზე და იგი ჩაითვლება შპს-ის საკუთრებად. ერთადერთი გამონაკლისია მანქანა: მართალია იგი მოძრავი ნივთია, მაგრამ საწესდებო კაპიტალში მისი შეტანა საკმარისი არ არის, საჭიროა, რომ იგი გატარდეს რეგისტრაციაში შპს-ის სახელზეც.

მეწარმეთა შესახებ კანონის 3.3 მუხლის თანახმად ნივთის შეფასებას ახდენს აუდიტი. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: შეიძლება თუ

არა საწესდებო კაპიტალში შესატანი ნივთის შეფასება მოახდინოს იმ აუდიტმა, რომელიც შპს-ის დამფუძნებელია?

ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია, რადგან იგი ნივთს აფასებს არა როგორც პარტნიორი, არამედ როგორც აუდიტი. იგი, მართალია პარტნიორია, მაგრამ ამ შემთხვევაში როგორც ეკონომიკურად ასევე პიროვნულად დამოუკიდებელია.

შეიძლება თუ არა იჯარით აღებული ან დაქირავებული ნივთი ჩავდოთ საწესდებო კაპიტალში?

რა თქმა უნდა, იჯარით აღებული ან დაქირავებული ნივთის საწესდებო კაპიტალში ჩადება არ შეიძლება. მიზეზი გასაგებია, საწესდებო კაპიტალში შეტანა ნიშნავს ნივთის შპს-ის საკუთრებაში გადაცემას ზემოთ აღნიშნული წესის გათვალისწინებით, ამიტომ სხვის საკუთრებაში უნდა გადავიდეს თუ არა ნივთი, ეს უნდა გადაწყვიტოს მესაკუთრემ. აღნიშნულ შემთხვევაში კი ნივთის მესაკუთრედ არ ჩაითვლებიან არც მოიჯარე და არც დამქირავებელი, ამიტომ მათ არ აქვთ უფლება, გაასხვისონ სხვისი ნივთი.

მოიჯარეს და დამქირავებელს შეუძლიათ საწესდებო კაპიტალში შეიტანონ იჯარის უფლება ანუ მოიჯარის სტატუსი და დამქირავებლის უფლება ანუ დამქირავებლის სტატუსი. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

დაბოლოს, დამფუძნებლებმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტს უნდა მიაქციონ ყურადღება, კერძოდ იმას, რომ საწესდებო კაპიტალში უნდა შეიტანონ ხანგრძლივი მოხმარების ნივთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნივთის მატერიალური თუ მორალური ცვეთის გამო, პარტნიორებს ხშირად მოუწევთ ცვლილებების შეტანა წესდებაში და სამეწარმეო რეესტრში.

სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე ცვლილებისათვის სარეგისტრაციო მოსაკრებლების ოდენობა შედარებით ნაკლებია, ვიდრე ახლად დაფუძნებული საზოგადოების რეგისტრაციისათვის (იგულისხმება სამეწარმეო რეესტრში ნებისმიერი სახის ცვლილება).

გ) უფლებისა და მოთხოვნის შეტანა საწესდებო კაპიტალში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესატანი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს არაქონერივი ობიექტების სახითაც. არაქონებრივი ობიექტები იგივე არამატერიალური ქონებრივი სიკეთეა, რომელშიც სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლის თანახმად, იგულისხმებიან „ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამოზნულია საამისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე“.

ამრიგად, არაქონებრივი ობიექტი ისეთი მოთხოვნები და უფლებებია, რომლებიც ა) შეიძლება სხვა პირებს გადაეცეთ, ბ) გამოზნულია იმისათვის, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი ანდა

გ) მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე.

ზემოთ დასახელებულ მუხლში ისეთი მოთხოვნები და უფლებები იგულისხმება, რომლებიც შეიძლება რომ გასხვიდეს. სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს“. ჩვენს შემთხვევაში სიტყვა „პირში“ იგულისხმება შპს-აც.

საწესდებო კაპიტალში არაქონებრივი ობიექტის შემტანმა პირმა უნდა გაითვალისწინოს დასახელებული მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინადადება იმის შესახებ, რომ „მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ“.

198-ე მუხლის მე-2 ნაწილით „ძველი მფლობელი ვალდებულია ახალ მფლობელს გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ყველა საბუთი, რომლებიც ეხება მოთხოვნებსა და უფლებებს, და ყველა ინფორმაცია, რომლებიც აუცილებელია ამ მოთხოვნებისა და უფლებების გამოყენებისათვის“.

198-ე მუხლის მე-3 ნაწილით კი: „ძველი მფლობელი ასევე ვალდებულია მოთხოვნის საფუძველზე გადასცეს შემძენს სათანადოდ დამოწმებული საბუთი ამ უფლებისა და მოთხოვნის დათმობის შესახებ. ამ საბუთის დამოწმების ხარჯები დაეკისრება ახალ მფლობელს“.

რა სახის მოთხოვნა ან უფლება შეიძლება შევიტანოთ საწესდებო კაპიტალში და როგორ?

მაგალითისთვის მივუთითებ ისეთ მოთხოვნებზე და უფლებებზე, რომლებიც პრაქტიკაში მეტ ნაკლებად არის გავრცელებული.

1. A-მ სამი წლის ვადით ასესხა 5000 ლარი B-ს. სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე A-ს აქვს B-ს მიმართ 5 000 ლარის დაბრუნების მოთხოვნა. A-ს შეუძლია სესხის ხელშეკრულება შენატანის სახით განახორციელოს საწესდებო კაპიტალში. ასეთ შემთხვევაში A-ს ექნება საწესდებო კაპიტალში შეტანილი 5000 ლარი და შესაბამისი წილიც. ამ ხელშეკრულებას, რა თქმა უნდა, აღარ დასჭირდება აუდიტორის დასკვნა, რადგანაც შეფასება უკვე მოცემულია ხელშეკრულებაში და იგი ვერც მაღალ ფასად შეაფასებს ხელშეკრულებას და ვერც დაბალ ფასად.

როგორც კი A შეიტანს საწესდებო კაპიტალში თავის მოთხოვნას და გატარდება სამეწარმეო რეესტრში, B-ს მიმართ 5 000 ლარის დაბრუნების მოთხოვნა გაუჩნდება უკვე შპს-ს.

2. დაევშვათ, A-მ განვადებით მიჰყიდა B-ს 10 000 ლარის ღირებულების საქონელი. B-მ 10%-ის დანამატით თანხა უნდა გადაიხადოს საქონლის მიღებიდან ერთი წლისთავზე, მაგალითად, 20 აგვისტოს.

ამრიგად, A-ს აქვს B-ს მიმართ 11 000 ($10\,000 + 10\% = 11\,000$) ლარის მოთხოვნა. A-ს შეუძლია 11 000 ლარის მოთხოვნა – ხელშეკრულება შეიტანოს საწესდებო კაპიტალში.

ისმის კითხვა: შეუძლია თუ არა მოთხოვნის მფლობელმა მოთხოვნა შეიტანოს საწესდებო კაპიტალში მოვალის თანხმობის გარეშე?

ამ კითხვაზე პასუხს სცემს სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის 1-ლი ნაწილი: „მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა). მოვალესთან შეთანხმება დათმობის დაუშვებლობის შესახებ შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მოვალის პატივსაღები ინტერესი“.

ზოგჯერ თავად კანონით არის აკრძალული მოთხოვნის დათმობა, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 516-ე მუხლით, „უპირატესი შესყიდვის უფლება არც სხვა პირს გადაეცემა და არც მემკვიდრეობით გადადის,

თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. ამავე კოდექსის 936-ე მუხლის თანახმად, „ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა ის მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ, რომლებიც გამოძინარეობს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან, არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს“.

მოთხოვნის დათმობა შეიძლება აკრძალული იყოს მოვალესთან შეთანხმების საფუძველზეც.

როგორც ვხედავთ, ყველანაირი მოთხოვნისა და უფლების გადაცემა არ ხდება. თუ მოთხოვნა კრედიტორის პიროვნებასთანაა დაკავშირებული, მისი დათმობა შეუძლებელია, მაგალითად, საალიმენტო მოთხოვნები, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, რჩენის ვალდებულებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, პენსიის მიცემასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ა.შ. აღნიშნულ მოთხოვნათა დათმობა შეუძლებელია ხელშეკრულებითაც⁵⁴.

ასევე არ შეიძლება საწესდებო კაპიტალში შეტანილ იქნეს ფიზიკური პირის პასპორტი, მანქანის მართვის მოწმობა, უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი და ა.შ. დასახელებული დოკუმენტები გარკვეული სახის უფლებას ანიჭებს ადამიანს და მხოლოდ მის სახელზე არის გაცემული.

ამიტომაც მანქანის მართვის უფლება მხოლოდ კონკრეტულმა პირმა მიიღო და არ შეიძლება სხვას გადაეცეს.

სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოითხოვს, რომ მოთხოვნის დათმობა მოხდეს მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით. აქვე აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს მესამე პირი.

ამრიგად, თუ მოთხოვნის მფლობელი საწესდებო კაპიტალში შეიტანს თავის მოთხოვნას, მან ამის შესახებ საზოგადოებასთან უნდა გააფორმოს ხელშეკრულება. მაგრამ, თუ წესდებაში აღნიშნავენ მოთხოვნის გადაცემის შესახებ, მაშინ უკვე აღარ არის საჭირო ცალკე ხელშეკრულების გაფორმება, რადგან წესდება გარიგებაა. თუ მხარეები მაინც გააფორმებენ ცალკე ხელშეკრულებას მას აღარ სჭირდება ნოტარიალური დადასტურება.

სამოქალაქო კოდექსის მე-200 მუხლის საფუძველზე სანამ მოვალე გაიგებდეს, რომ მოთხოვნა საწესდებო კაპიტალში შეტანილი გადაეცა

⁵⁴ ბ. ზოიძე, სანივთო სამართალი, 1999 წ. გვ. 132.

შპს-ს, მანამ მას შეუძლია ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს თავდაპირველი მოთხოვნის მფლობელის წინაშე.

დაბოლოს, საწესდებო კაპიტალში მოთხოვნის შემტანს შეეახსენებ, რომ ზემოთ დასახელებული კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, მან შპს-ს უნდა გადასცეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები და მოთხოვნასთან დაკავშირებული სხვა უფლებებიც. ამ ნაწილის უკეთ გაგების მიზნით მოვიყვან მაგალითს:

A-ს აქვს მოთხოვნა B-ს მიმართ, დაუშვით 10 000 ლარი. A-ს მოთხოვნის უზრუნველსაყოფად B-მ იპოთეკაში ან გირაოში ჩალო ნივთი. თუ A საწესდებო კაპიტალში შეიტანს თავის მოთხოვნას, მაშინ მან საზოგადოებას უნდა გადასცეს აგრეთვე იპოთეკის ან გირაოს დამადასტურებელი საბუთიც და ნივთიც. ასეთ შემთხვევაში A იქნება იპოთეკარი ან მოგირავენე B-ს მიმართ.

მაგალითები უფლების საწესდებო კაპიტალში შეტანასთან დაკავშირებით.

1. A-მ მიწის ნაკვეთი (ან სხვა სახის ნივთი) იჯარით გადასცა B-ს. ასეთ შემთხვევაში A ჩათვლება მეიჯარედ, ხოლო B მოიჯარედ. B-მ გადაწყვიტა იჯარის უფლება ანუ მოიჯარის სტატუსი შეიტანოს საწესდებო კაპიტალში. ასეთ შემთხვევაში B აღარ იქნება მოიჯარე, რადგან მან გაასხვისა იჯარის უფლება ანუ მოიჯარის სტატუსი. მოიჯარე გახდება შპს იმ ვადით და პირობებით, რაც A-სა და B-ს შორის დადებული ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. იჯარის უფლება კი აუცილებლად აუდიტორმა უნდა შეაფასოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მას არ გაატარებს რეგისტრაციაში.

აქვე ისმის ერთი საინტერესო პრაქტიკული კითხვა: საწესდებო კაპიტალში იჯარის უფლების შეტანის თაობაზე უნდა მიიღოს თუ არა თანხმობა მეიჯარისგან, ანუ იჯარით აღებული ქონების მესაკუთრისგან?

ამ კითხვაზე პასუხისათვის უნდა მივმართოდ კანონის ანალიზს, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 587-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „მოიჯარეს არა აქვს ქვეიჯარის უფლება მეიჯარის თანხმობის გარეშე“.

მე-2 ნაწილით „მეიჯარეს შეუძლია უარი განაცხადოს საიჯარო ქონების ცალკეული ნაწილების გაქირავებაზე, თუ ამით მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება“.

მსგავს წესს ითვალისწინებს ქირავნობასთან დაკავშირებული ურთიერთობებიც. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 549-ე მუხლით „დაძქირავებელს არ აქვს უფლება, გაქირავებული ნივთი გამქირავებლის თანხმობის გარეშე გადასცეს მესამე პირს (ქვექირავენობა).“

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქვეიჯარასთან (ქვექირავენობასთან) დაკავშირებით კანონი მოიჯარეს ავალდებულებს მესამე პირზე ნივთის გადაცემის შესახებ ჰკითხოს ნივთის მესაკუთრეს – მეიჯარეს. ამით კანონი ცდილობს, დაიცვას მეიჯარის ინტერესებიც. იქნებ მეიჯარე არ ენდობა იმ პირს, ვინც მისი ნივთი დროებით უნდა მიიღოს ან მომავალ მესამე პირთან აქვს კონფლიქტი და მასთან არავითარი ურთიერთობა არ სურს და ა.შ. ამიტომაც, ბუნებრივია, კანონი იცავს მესაკუთრის ინტერესებს.

როდესაც იჯარის უფლება შეაქვთ საწესდებო კაპიტალში, აქ უკვე ქვეიჯარის ინსტიტუტი აღარ გამოიყენება, რადგანაც მოხდა უფლების გასხვისება – საკუთრებაში გადაცემა. საიჯარო ურთიერთობა გაგრძელდება მეიჯარესა და ახალ მოიჯარეს – შპს-ს შორის. ამიტომ მსგავსად ქვეიჯარისა, სრულიად შესაძლებელია, რომ მეიჯარეს არ უნდოდეს ახალ მოიჯარესთან რაიმე ურთიერთობა, მით უმეტეს, შეიძლება ახალი მოიჯარე – შპს-ის საზოგადოება იყოს, რომლის პარტნიორიც ადრე მეიჯარე იყო და შემდეგ განაწყენებულმა იგი მიატოვა ან გარიცხეს.

ამიტომაც, რა თქმა უნდა, თავდაპირველმა მოიჯარემ იჯარის უფლების საწესდებო კაპიტალში შეტანამდე, აუცილებლად ნებართვა უნდა აიღოს მეიჯარისგან. ასეთ შემთხვევაში სასურველი იქნება, რომ მოიჯარემ სარეგისტრაციო დოკუმენტებს თან დაურთოს მეიჯარის თანხმობა იჯარის უფლების საწესდებო კაპიტალში შეტანის შესახებ.

სხვა სახის უფლებებთან დაკავშირებით, აღვნიშნავ, რომ საწესდებო კაპიტალში შეიძლება შეტანილი იქნეს საავეტორო, საგამომცემლო და სხვა სახის უფლებები.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საწესდებო კაპიტალში შეიძლება შეტანილი იქნეს სხვადასხვა სახის ობიექტები.

უნდა მოვერიდოთ ისეთი რამის შეტანას, რამაც შემდგომში შეიძლება პრობლემა შეუქმნას მოვალესაც და კრედიტორსაც. არ არის სასურველი,

შევიტანოთ, მაგალითად, მომსახურება. მისი შეტანა „არ შეიძლება ჩაითვალოს შესატანად, მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნები გადაცემილია“⁵⁵.

მეტი თვალსაჩინოებისთვის მოვიყვან მაგალითს:

A-ს ყავს სატვირთო მანქანა. მან და მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს დააფუძნონ საამშენებლო ორგანიზაცია შპს-ის ფორმით. A-მ შესთავაზა თავის მეგობრებს, რომ სატვირთო მანქანით მომსახურებას შეაფასებდა აუდიტი და შეიტანდა მას საწესდებო კაპიტალში. დავეშვათ, აუდიტორმა შეაფასა მანქანით მომსახურება 10 000 ლარად. აღნიშნული მომსახურება შეტანილი იქნა საწესდებო კაპიტალში.

გარკვეული დროის შემდეგ დადგა ამ შპს-ის პასუხისმგებლობის საკითხი სააქციო საზოგადოების მიმართ. ზარალის ანაზღაურების მიზნით სააქციო საზოგადოებამ მოითხოვა შპს-ის ქონება, მათ შორის მომსახურებაც, რომელიც საწესდებო კაპიტალში იყო შეტანილი.

სააქციო საზოგადოებაში A-მ უარი განაცხადა სატვირთო მანქანით მომსახურებაზე. დაიწყო დავა სასამართლოში. სააქციო საზოგადოება აცხადებს, რომ საწესდებო კაპიტალში შენატანი უკვე ჩემს საკუთრებაში გადმოვიდა და როგორც მინდა ისე გამოვიყენებო. A კი უთითებს შრომის კანონთა კოდექსზე, კონსტიტუციაზე და უარს აცხადებს იძულებით შრომაზე.

რა თქმა უნდა, რომ დავის გადაწყვეტა რთული იქნება. ასეთი პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, სასამართლო პრაქტიკაც და დასავლეთის ქვეყნების სამართლის მეცნიერებაც წინააღმდეგია საწესდებო კაპიტალში მომსახურების გაწვევის ვალდებულების ან მომსახურებიდან წარმოშობილი მოთხოვნების შეტანის⁵⁶.

⁵⁵ თ. ნინიძე, ლ. ჭანტურია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 52.

⁵⁶ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, იქვე, გვ. 52.

§ 3. დამფუძნებელთა მიერ წესდებით გათვალისწინებული შესატანის შეუტანლობის შედეგები

შპს-ს დამფუძნებლები წესდებაში ითვალისწინებენ, თუ ვინ რამდენი უნდა შეიტანოს საწესდებო კაპიტალში და ამ შესატანის მიხედვით ვის რა წილი ექნება.

როგორც მეწარმეთა შესახებ კანონის 3.5 მუხლი უთითებს, „შესატანის ნახევარი შეტანილ უნდა იქნეს წესდების ხელმოწერისთანავე, თუ წესდება უფრო მეტის შეტანას არ ითვალისწინებს“.

ამრიგად, დამფუძნებლებმა როდესაც წესდებას ხელი მოაწერეს, თავიანთი შესატანის ნახევარი უნდა შეიტანონ.

დავუშვათ, ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ვეღარ შეძლო მეორე ნახევრის შეტანა, რა შედეგები დადგება ასეთ შემთხვევაში?

ასეთ შემთხვევაში მის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი ხასიათის შედეგები:

პირველი – ის რაც უკვე შეიტანა დამფუძნებელმა იგი გახდება მისი მთლიანი შესატანი და, რა თქმა უნდა შესაბამისად, შეიძლება შემცირდეს მისი წილიც საწესდებო კაპიტალში. მაგალითად, უნდა შეეცანა 700 ლარი, ეს შენატანი უდრიდა 30% წილს საწესდებო კაპიტალში, მაგრამ შეიტანა მხოლოდ 350 ლარი, მეტის შეტანა ვერ შეძლო, მაშინ მისი შენატანი დარჩება 350 ლარი, ხოლო წილი გახდება 15%. შესაბამისად, გადანაწილდება სხვა პარტნიორების შესატანები და წილები.

მეორე – თუ საზოგადოებას რეგისტრაციის შემდეგ ეყოლება კრედიტორი, მაშინ დამფუძნებელი შესატანის საბოლოო შეტანამდე საზოგადოების კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს მის მიერ შეუტანელი შესატანის ოდენობით (მუხლი 3.4). მაგალითად, დამფუძნებელს შესატანი 500 ლარიდან შეტანილი ჰქონდა მხოლოდ 250 ლარი. საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ მისი პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების მიმართ იქნება დარჩენილი 250 ლარის ოდენობის შესაბამისად.

მესამე – თუ პარტნიორმა გადააცილა შესატანის შეტანის ვადას, ყოველ პარტნიორს შეუძლია წერილობით მოსთხოვოს მას ამ თანხის გადახდა დამატებითი ვადის მითითებით და გააფრთხილოს იგი საზო-

გადობიდან შესაძლო გარიცხვის შესახებ. დამატებითი ვადა უნდა შეადგენდეს სულ ცოტა ერთ თვეს (3.5 მუხლი).

სამოქალაქო კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე თვე იანგარიშება 30 დღით, მიუხედავად იმისა, თვე 31-ით არის თუ 29-ით.

რა მნიშვნელობა აქვს დღეების ოდენობის დაზუსტებას?

დაუშვათ, დამფუძნებელს თანხა უნდა შეეტანა 15 სექტემბერს, მაგრამ ვერ შეიტანა. ასეთ შემთხვევაში ვადა უნდა მისცენ ერთი თვე. ასეთ დროს შეიძლება დაიბადოს კითხვა – როდის ვადის ერთთვიანი ვადა?

ვადის ათვლა, სამოქალაქო კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, დაიწყება 16 სექტემბრიდან.

გარიცხვის ფორმა შემდეგი სახით გამოიხატება: ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ პარტნიორი კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც (3.5 მუხლი).

პარტნიორისათვის მიცემული დამატებითი ერთთვიანი ვადა კანონის იმპერატიული მოთხოვნაა და არ შეიძლება შემცირდეს მხარეთა შეთანხმებით ან სხვა გზით, მაგრამ შესაძლებელია, იგი გაიზარდოს, მაგალითად, გახდეს თვენახევარი ან მეტი.

მეწარმეთა შესახებ კანონის 3.5 მუხლის მესამე აბზაცით, გარიცხული პარტნიორის პასუხისმგებლობა ძალაში რჩება, ხოლო არაფულადი შესატანის შემთხვევაში იგი შეიცვლება შესაბამისი ფულადი თანხით. თუ დამფუძნებელი პარტნიორების მიერ შესატანის შეუტანლობის გამო არ შეივსება ამ ფორმის საწარმოსათვის დაწესებული მინიმალური საწესდებო კაპიტალი, შეუსრულებელი შესატანი ნაწილდება სხვა დამფუძნებელ პარტნიორებს შორის, მათ წილთა პროპორციულად.

როგორც მოცემული წესი გვიჩვენებს, თუ პარტნიორი გაირიცხება ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი პასუხს აღარ აგებს. მისი პასუხისმგებლობა გარიცხვის შემდეგაც ძალაში რჩება.

თუ დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის შეუტანლობით არ შეივსო შპს-ის საწესდებო კაპიტალი 2000 ლარამდე, მაშინ ის თანხა, რაც უნდა შეეტანა გარიცხულ პარტნიორს, განაწილდება დანარჩენ პარტნიორებს შორის მათი წილის შესაბამისად. ამ წესის უკეთ გაგების მიზნით მოვიყვან მაგალითს:

A-მ, B-მ, C-მ და D-მ გადაწყვეტეს დაეფუძნებინათ შპს. თითოეულ მათგანს უნდა შეეტანა 500–500 ლარი, ანუ ყოველ მათგანს ექნებოდა 25% წილი. მაგრამ A-მ თანხის შეტანა ვეღარ შეძლო. დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ A გარიცხეს საზოგადოებიდან. 500 ლარი გადანაწილდება B-ს, C-სა და D-ს შორის წილების შესაბამისად.

პარტნიორის გარიცხვისათვის საჭიროა თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება? ამ კითხვაზე პასუხი გასცა უზენაესმა საამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, კერძოდ, მან მიუთითა, რომ „საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის გარეშე, დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.5 მუხლის მეორე აბზაცში მითითებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ანუ მაშინ, თუ პარტნიორმა არ შეიტანა შესატანი და იგი ზემოთ მითითებული კანონის შესაბამისად, გაფრთხილებული იყო სათანადო წესით“⁵⁷.

§ 4. შესატანის დაბრუნების წესი და საფუძვლები

როგორც პარტნიორთა ურთიერთობების პრაქტიკა გვიჩვენებს, ხშირია დაეები პარტნიორთა მიერ შპს-ის საწესდებო კაპიტალში შესატანების უკან დაბრუნების თაობაზე.

როგორ რეგულირდება აღნიშნული საკითხი მეწარმეთა შესახებ კანონით?

შესატანების უკან დაბრუნების საკითხს ძირითადად არეგულირებს მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლი.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დამოუკიდებელ პირს წარმოადგენს. მას თითქმის ისეთივე უფლებები აქვს, როგორც ფიზიკურ პირს. ამიტომაც, თუ მას რაიმე მატერიალურ ან არამატერიალურ ქონებას გადაეცემთ, ანუ შევიტანთ მის საწესდებო კაპიტალში, მასზე კარგავს საკუთრების უფლებას მისი შემტანი პირი, ხოლო შეტანილზე საკუთრებას იძენს შპს. როდესაც ვლაპარაკობთ საკუთრების გადაცემაზე, ყოველთვის გათვალისწინებული

⁵⁷ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №3, გვ. 247 – 248.

უნდა იქნეს საკუთრების გადაცემის ის წესები რასაც ზევით შევეხე. მაგრამ, თუ შპს-ის ნივთი გადაეცემა საკუთრებაში, მას უკან როგორღა დავიბრუნებთ?

ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელი ხდება. როდესაც ვამბობ „თითქმის“, ვითვალისწინებ იმ გამონაკლის წესებს, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული და შესაძლებლობას იძლევა, ნივთი უკან იქნეს დაბრუნებული. რას ითვალისწინებს ეს გამონაკლისი წესები?

პირველი – მეწარმეთა შესახებ კანონის 3.3 მუხლის მეორე აბზაცი, „შესატანის უკან დაბრუნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დაიშვება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით. ამისათვის საჭიროა ცვლილებების შეტანა საზოგადოების წესდებაში. საწესდებო კაპიტალის შემცირება რეგისტრირებული უნდა იქნეს სამეწარმეო რეესტრში“.

როგორც მოცემული მუხლი მიგვითითებს, თუ საზოგადოებას უნდა, რომ პარტნიორს დაუბრუნოს ის ნივთი, რომელიც მან შეიტანა საწესდებო კაპიტალში, მაშინ ჯერ უნდა შეამციროს საწესდებო კაპიტალი იმ ღირებულებით, რომლითაც ნივთი იქნა შეტანილი და შემდეგ ეს შემცირება დაარეგისტრიროს სამეწარმეო რეესტრში.

ამრიგად, მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციის შემდეგ შეიძლება პარტნიორმა დაიბრუნოს ნივთი. თუმცა პარტნიორმა უნდა გაითვალისწინოს ის შემთხვევაც, რომ საზოგადოება არ არის ვალდებული, იგივე ნივთი დაუბრუნოს, მას შეუძლია, იმავე ღირებულების სხვა ნივთი გადასცეს.

შეიძლება დადგეს საკითხი იმის შესახებ, ხომ არ აღმოჩნდება კრედიტორი მძიმე მდგომარეობაში, თუკი შპს-ის პარტნიორები არაკეთილსინდისიერი გზით ეცდებიან კრედიტორზე გადასაცემი ქონების ნაწილის გადარჩენას? ამ საკითხის მეტი თვალსაჩინოებისათვის მოვიყვან მაგალითს:

შპს-მ გააფორმა ხელშეკრულება სააქციო საზოგადოებასთან.

შპს-ის საწესდებო კაპიტალი იყო 30 000 ლარი. შპს-მ ვერ შეუსრულა ვალდებულება სააქციო საზოგადოებას. კრედიტორმა მოითხოვა მიყენებული ზარალის – 50 000 ლარის ანაზღაურება. შპს-ის პარტნიორებმა როდესაც დაინახეს, რომ ვერ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას შესთავაზეს ერთ-ერთ პარტნიორს, გასულიყო და გაეტანა

მის მიერ შეტანილი 20 000 ლარიანი დანადგარი, რომელზეც შპს-ის საქმიანობა იყო დამოკიდებული. მართლაც, სასწრაფოდ შეიტანეს ცვლილებები წესდებაში და გაატარეს რეგისტრაციაში. როდესაც დადგა სააქციო საზოგადოებისთვის ქონების გადაცემის საკითხი, შპს-მ წარადგინა მხოლოდ 10 000 ლარის საწესდებო კაპიტალი და 5000 ლარის სხვა ქონება.

ვფიქრობ, რომ, თუ კრედიტორის მიმართ გამოვიყენებდით 3.6 მუხლის მესამე წინადადებით გათვალისწინებულ 12 თვიან ვადას, იგი ზარალს გადაურჩებოდა.

რას ითვალისწინებს ეს მუხლი?

ამ მუხლის თანახმად, საწესდებო კაპიტალის შემცირება იმ შესატანების უკან დაბრუნების გზით იმ შესატანების მიმართ, რომლებიც პარტნიორების პასუხისმგებლობის მოცულობას განსაზღვრავენ, შეიძლება განხორციელდეს საწესდებო კაპიტალის შემცირების რეგისტრაციიდან და გამოქვეყნებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

მეორე – მეწარმეთა შესახებ კანონის 14.3 მუხლის თანახმად, ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება, ვალების დაფარვის შემდეგ, თუ საზოგადოების წესდება სხვა წესს არ ითვალისწინებს, ნაწილდება პარტნიორებს შორის მათ მიერ გაღებული თანხებისა და მათ წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად. განაწილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი წლის გასვლის შემდეგ. ეს ვადა იანგარიშება იმ დღიდან, როცა მოვალეები მესამედ იქნენ პუბლიკაციის მეშვეობით გამოძახებული. განაწილება შეიძლება მოახდინოს სასამართლომ ერთი წლის ვადის გასვლამდეც, თუკი არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ეს საფრთხეს არ უქმნის კრედიტორებს.

როგორც ამ მუხლიდან ჩანს, საზოგადოების ლიკვიდაცია ავტომატურად არ გულისხმობს ქონების განაწილების გზით ნივთის უკან წაღებას. ლიკვიდაციის შემდეგ საჭიროა, რომ პარტნიორებმა შეატყობინონ მოვალეებს და კრედიტორებს საზოგადოების ლიკვიდაციისა და ქონების განაწილების შესახებ. თუ მათი ადგილსამყოფელი უცნობია, მაშინ შეტყობინება უნდა მოხდეს პუბლიკაციის მეშვეობით. განცხადება უნდა გამოქვეყნდეს სამჯერ მაინც. თუ პირველივე პუბლიკაციისას გამოცხადდება კრედიტორი, რაღა თქმა უნდა, განცხადებების გამოქვეყნებას აზრი აღარ აქვს.

დროის შუალედი განცხადების გამოქვეყნებიდან მეორე განცხადების გამოქვეყნებამდე უნდა იყოს გონივრული. ჩემი აზრით, მინიმუმ ერთი კვირა მაინც. გარდა ამისა, განცხადება უნდა გამოქვეყნდეს ისეთ პერიოდულ პრესაში, რომელიც საქართველოს დიდ ნაწილზე ვრცელდება და პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში. რა თქმა უნდა უკეთესია, თუ წესდებაში ექნებათ მითითებული, რომელ გაზეთში იქნება გამოქვეყნებული საზოგადოების სახელით გაკეთებული განცხადებები.

მართალია, შესატანის უკან დაბრუნებასა და ლიკვიდაციის გზით ნივთის დაბრუნებას შორის არის გარკვეული სხვაობა, მაგრამ საბოლოოდ, ორივე იმის საფუძველს წარმოადგენს, რომ ის ნივთი, რომელიც გადასცა პარტნიორმა საზოგადოებას, უკან დაიბრუნოს.

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითი, როდესაც საწესდებო კაპიტალი 2000 ლარზე მეტია, ანუ 30 000 ლარია და შემცირება ხდება 10000 ლარამდე.

ახლა კი დავუშვათ, საწესდებო კაპიტალში შეტანილია 1000 ლარი და 1000 ლარად შეფასებული ნივთი ე.ი. სულ საწესდებო კაპიტალია 2000 ლარი. შეიძლება თუ არა ამ ნივთის უკან დაბრუნება? ხომ არ გამოიწვევს საწესდებო კაპიტალის 2000 ლარზე დაბლა შემცირება საზოგადოების ლიკვიდაციას?

აღნიშნულ შემთხვევაში ნივთის უკან დაბრუნება შესაძლებელია, ოღონდ, რა თქმა უნდა წესდებაში უნდა შევიდეს ცვლილება და სამეწარმეო რეესტრში უნდა გატარდეს რეგისტრაციაში.

თუ პარტნიორები ნივთის გატანის პარალელურად შეავსებენ საწესდებო კაპიტალს, საზოგადოების ლიკვიდაცია არ მოხდება, უკანასკნელ შემთხვევაში, მეწარმეთა შესახებ კანონის 5.8 მუხლის საფუძველზე, სასამართლო მისცემს სამთვიან ვადას ხარეზის გამოსასწორებლად.

ნივთის დაბრუნების შემდეგ, თუ 2000 ლარზე დაბლა შემცირდება საწესდებო კაპიტალი, როგორ უნდა მოხდეს მისი შევსება?

შევსების ორი გზა არსებობს: ა) ან თავად პარტნიორებმა უნდა შეავსონ საწესდებო კაპიტალი ან ბ) უნდა მოიწვიონ პირი პარტნიორად, რომელიც შეავსებს საწესდებო კაპიტალს. თუ თავად პარტნიორები გადაწყვიტენ მის შევსებას, მაშინ მეწარმეთა შესახებ კანონის 3.6 მუხლის თანახმად, „თითოეულ პარტნიორზე დარჩენილი თანხა არ შეიძლება იყოს 50 ლარზე ნაკლები“.

თავი VI. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვისა და კონტროლის ორგანოები. საკონსულტაციო საბჭო

§ 1. პარტნიორთა კრება, როგორც მართვის უმაღლესი ორგანო

როგორც ყველა საზოგადოებაში, შპს-შიც მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ღებულობენ პარტნიორთა კრებაზე. ამ მითითებას განსაკუთრებით მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც საზოგადოებებში მოქმედებს ასევე სამეთვალყურეო საბჭოები⁵⁷. კრების მიერ ხდება დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა და განთავისუფლება (თუ საბჭო არ ჰყავთ, მაშინ დირექტორის არჩევა და განთავისუფლება), ფილიალების შექმნა, ლიკვიდაცია და ა.შ.

როგორც უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, „პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება არის გარიგება, სადაც თვითიველი პარტნიორი ავლენს თავის ნებას. თითოეული პარტნიორის მიერ გამოვლენილი ნება საბოლოოდ პარტნიორთა კრებას გადაწყვეტილებაუნარიანს ხდის“⁵⁸.

მეწარმეთა შესახებ კანონის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ გადაწყვეტილებას იღებს 1) პარტნიორთა კრება, 2) დირექტორი და თუ შექმნილია, მაშინ 3) სამეთვალყურეო საბჭოც.

სხვა ფორმით გადაწყვეტილების მიღება არ ხდება. რა მნიშვნელობა ენიჭება ასეთ დასკვნას?

საქმე ისაა, რომ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც შპს-ს ჰყავს დირექტორი და ერთი პარტნიორი. როდესაც ეს პარტნიორი გადაწყვეტილებას იღებს, ისმის კითხვა, რა ვუწოდოთ ასეთ გადაწყვეტილებას? პარტნიორის გადაწყვეტილება თუ პარტნიორთა კრების

⁵⁷ Martin Peltzer and Jermyn P. Brooks — German Law pertaining to companies with limited liability. 1987, გვ. 24.

⁵⁸ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №4, გვ. 1031.

გადაწყვეტილება? პრინციპში ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ მეწარმეთა შესახებ კანონი ძირითადად იცნობს ტერმინს „პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება“, გარდა ამისა, იურიდიულ ლიტერატურაშიც გამოთქმულია მოსაზრება, რომ „პარტნიორთა კრება“ გამოყენებული იქნეს მაშინაც, როცა საზოგადოებას ერთი პარტნიორი ჰყავს⁵⁹. სასამართლო პრაქტიკაც აღნიშნავს, „როცა საზოგადოებას ერთი პარტნიორი ჰყავს, ამ პარტნიორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს პარტნიორთა კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებად⁶⁰. ასეთი შემთხვევა სამართლის სფეროში ცნობილია იურიდიული ფიქციის სახელით, ანუ სიტყვის შესაბამისი მოქმედება რეალურად არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ კანონის მიერ არის აღიარებული. ასეთი მოვლენა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სამართალში არსებობს. იურიდიული პირიც კი, რომელსაც ჩვენ დამოუკიდებელ პირად ვაღიარებთ, ესეც იურიდიული ფიქციაა.

შპს-ში პარტნიორთა კრება ორი სახის არსებობს, კერძოდ, კრება, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც უნდა იქნეს მოწვეული და კრება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში პარტნიორთა გადაწყვეტილებით ან დირექტორის გადაწყვეტილებით იქნება მოწვეული. პირველი სახის კრებას უწოდებენ მორიგ კრებას, ანუ კრებას, რომელიც ყოველი წლის ბოლოს უნდა იქნეს მოწვეული, ხოლო მეორე სახის კრებას კი რიგგარეშე კრებას უწოდებენ ანუ კრებას, რომელიც მორიგი კრების გარდა შეიძლება იქნეს მოწვეული. მორიგი ანუ ძირითადი კრების მოწვევა წელიწადში ერთხელ მაინც, კანონის მოთხოვნაა და პარტნიორებს მისი შეცვლა არ შეუძლიათ. კანონის 47.7 მუხლი ერთადერთ შემთხვევას ითვალისწინებს, როდესაც არ არის აუცილებელი კრების მოწვევა, კერძოდ, თუ პარტნიორები წერილობით დაეთანხმებიან განსახილველ საკითხებს. მაგრამ საკმარისია ერთი პარტნიორიც კი არ დაეთანხმოს სხვა პარტნიორებს, რომ კრება აუცილებლად უნდა შედგეს. მნიშვნელობა არა აქვს, პარტნიორს, რომელიც არ ეთანხმება განსახილველ საკითხს რამდენი აქვს წილი, 10% თუ 60%. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როდესაც საკითხი ხმების უმრავლესობით უნდა გადაწყდეს.

⁵⁹ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 293.

⁶⁰ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003 წ., №5, გვ. 1204.

მაგალითად, შპს-ის დამფუძნებლები იყვნენ A-10%, B-20% და C-70%. თუ C წინააღმდეგი იქნება, რომ საკითხი დადებითად გადაიჭრას და ეს აისახება მის წერილში, მაშინ საჭიროა კრების მოწვევა. შეიძლება კრებაზე მან ხმების უმრავლესობით გაიმარჯვოს, მაგრამ კრება მაინც უნდა შედგეს.

წერილობითი თანხმობა შეიძლება გამოიხატოს ტელეგრამის მეშვეობით,⁶¹ ასევე შესაძლებელია გამოიხატოს ფაქსის მეშვეობითაც, კომპიუტერული პროგრამები შესაძლებლობას იძლევა, ელექტრონული ფოსტითაც გამოიგზავნოს, თუკი თანხმობა ხელმოწერილი იქნება პარტნიორის მიერ. ასეთი პასუხები განსაკუთრებით მოსახერხებელი იქნება უცხოელი პარტნიორებისთვისაც.

მორიგმა კრებამ უნდა განიხილოს მინიმუმ წლიური შედეგები მაინც. აქედან გამომდინარე, კრება უნდა იქნეს მოწვეული სამეურნეო წლის ბოლოს, ისე კრება წლიურ შედეგებს ვერ განიხილავს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ პარტნიორები წერილობით დაეთანხმებიან განსახილველ საკითხს. მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა წერილობითი თანხმობით გამოხატეს. აქ ისევ ზემოთ დასმული კითხვა მეორდება, კერძოდ, რა დავარქვით მათ თანხმობას? პარტნიორთა გადაწყვეტილება?

ვფიქრობ, რომ მათ თანხმობას მაინც პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება უნდა ეუწოდოთ. თუმცა ამას დიდი იურიდიული მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ჩანდეს, თუ რის შესახებ გამოხატეს თანხმობა და რომ ამ წერილობითი ფორმის თანხმობაზე იყოს მათი ხელმოწერა. ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ წერილობითი თანხმობა, ისევე როგორც კრების გადაწყვეტილება, ნების გამოვლენაა და მათ მიმართ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გარიგების მარეგულირებელი წესები.

როგორ ხდება კრების მოწვევა?

კრების ორგანიზებას ახორციელებენ დირექტორი. პარტნიორები, რომელთაც სურთ მოიწვიონ კრება განცხადებით მიმართავენ დირექტორს, რომელიც ვალდებულია შეატყობინოს დანარჩენ პარტნიორებს კრების

⁶¹ Kommentar zum GmbH – Gesetz, Begründet von Dr. Franz scholz. 2 Band. 1983. § 48.

ჩატარების შესახებ. მეწარმეთა შესახებ კანონის 47.5 მუხლით დირექტორს შეუძლია მოიწვიოს საზოგადოების კრება ყველა პარტნიორისათვის ერთი კვირით ადრე გაგზავნილი დაზღვეული წერილით, რომელიც უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. წერილის მიღებიდან სამი დღის ვადაში პარტნიორს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს დღის წესრიგში.

კრებაზე უნდა გამოცხადდეს იმ პარტნიორთა მინიმუმი, რომელთაც აქვთ ხმების უმრავლესობა. თუ ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორები არ გამოცხადდებიან, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია, იმავე დღის წესრიგით, კვლავ მოიწვიოს კრება. მეორედ მოწვეული კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება იმისდა მიუხედავად გამოცხადდებიან თუ არა ხმათა უმრავლესობის მქონე პარტნიორები.

დასახელებული წესის უკეთ გაგების მიზნით აღვნიშნავ, რომ კანონში აღნიშნული ფორმულირება „დირექტორებს შეუძლიათ მოიწვიონ“ იმაზე მიგვითითებს, რომ პარტნიორების მოწვევა შეიძლება ტელეფონით, ფაქსით, ტელეგრაფით⁶², ელექტრონული ფოსტით და ა.შ. მაგრამ კრების მოწვევის ეს წესი წესდებაში უნდა იყოს დაფიქსირებული, თუ არ არის, მაშინ გამოიყენება ზემოთ დასახელებული 47.5 მუხლით გათვალისწინებული წესი.

დირექტორების მიმართ განცხადებით მიმართვა შეიძლება იყოს წერილობით ან ზეპირად. რა თქმა უნდა, შემდგომში მტკიცების მიზნით, უკეთესია წერილობითი ფორმა. ზემოთ დასახელებულ ნორმაში აღნიშნული „ერთკვირიანი ვადა“ ეს არის მინიმალური ვადა და პარტნიორებს არ აქვთ უფლება, ურთიერთშეთანხმებით შეამცირონ ეს ვადა, მაგრამ წესდებით მისი გაზრდა შეიძლება.

აქვე ისმის ერთი კითხვა, ერთკვირიანი ვადა გამოიყენება თუ არა უცხოელების მიმართაც? მაგალითად, დამფუძნებლები არიან ინგლისელები ან ამერიკელები, ქართველმა პარტნიორებმა ერთი კვირით ადრე გაუგზავნეს შეტყობინება კრების მოწვევის შესახებ, ერთ კვირაში კი ისინი ვერ ასწრებენ ჩამოსვლას.

მიუხედავად ამისა, მათ მიმართაც იქნება გამოყენებული ერთკვირიანი ვადა. ამიტომ წესდებაში შეუძლიათ გონივრული ვადისა და კეთილ-

⁶² ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული კომენტარი, გვ. 295.

სინდისიერების პრინციპების გათავალისწინების საფუძველზე, გაზარდონ გაფრთხილების ვადა. იგი შეიძლება იყოს ორი კვირაც და ოცი დღეც.

რაც შეეხება დღის წესრიგში ცვლილებების შეტანას, აქ ისმის კითხვა, გულისხმობს თუ არა აღნიშნული ფორმულირება დღის წესრიგიდან ერთ-ერთი პარტნიორის მიერ კრებაზე განსახილველი რომელიმე საკითხის ამოღებას და სხვა ახალი საკითხის ჩამატებას? თუ სიტყვა ცვლილება, მხოლოდ დამატებას გულისხმობს?

„ცვლილებაში“ მოიაზრება მხოლოდ დამატება, რადგანაც კრებაზე განსახილველ საკითხებს სთავაზობს ერთ-ერთი პარტნიორი, მისი უფლებაა, თუ რა საკითხების განსახილველად იქნება კრება მოწვეული. შეიძლება ეს საკითხი არ იყოს საინტერესო სხვა პარტნიორებისათვის, მაგრამ მათი ეს დამოკიდებულება უნდა დასაბუთდეს კრებაზე.

ამიტომაც ცვლილებაში არ იგულისხმება საკითხის შეცვლა იმ საკითხით, რომელიც სხვა პარტნიორს აინტერესებს.

იქიდან გამომდინარე, რომ საკითხების უდიდესი ნაწილი წყდება ხმების უმრავლესობით, ამიტომ კრება იქნება გადაწყვეტილებაუნარიანი, თუ მასზე გამოცხადდებიან ხმის უმრავლესობის მქონე პარტნიორები. საკორპორაციო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც წესდებით გათვალისწინებულია საკითხების ერთხმად გადაწყვეტა⁶³. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ყველა პარტნიორის მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღება.

როგორც ზემოთ დასახელებული წესი გვიჩვენებს, თუ კრებაზე არ გამოცხადდებიან ხმის უმრავლესობის მქონე პარტნიორი ან პარტნიორები, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე დღის წესრიგით კვლავ მოიწვიოს კრება, რომელიც უკვე გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ გამოცხადდება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). ოქმსაც დაერქმევა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება. ეს წესი მაშინაც გამოიყენება, თუ არც ერთი პარტნიორი არ გამოცხადდება. პარტნიორთა გამოუცხადებლობა შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იქნეს გამოწვეული, მაგალითად, ავადმყოფობის ან დაუძლეველი ძალის გამო, ვერ მოახერხეს კრებაზე მოსვლა, ან კიდევ საკითხის განხილვა ზედმეტად ან ნაადრევად მიაჩნიათ.

⁶³ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003 წ., №1, გვ. 162.

არ არის გამორიცხული, რომ კრების მომწვევე პარტნიორთან კონფლიქტი ჰქონდეთ სხვა პარტნიორებს და არ უნდოდეთ მის მიერ შეთავაზებული საკითხის განხილვა.

მეორე და მესამე მიზეზი არ არის პარტნიორთა მიერ კრებაზე გამოუცხადებლობის გამამართლებელი და საპატიო მიზეზი, ამიტომ კრების მომწვევე პარტნიორს თავად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ დასახელებული ორი მიზეზით სხვა პარტნიორები არ გამოცხადდებიან კრებაზე.

რაც შეეხება ავადმყოფობას ან დაუძლეველ ძალას, ეს საპატიოა, მაგრამ, თუ ხმის უმრავლესობის მქონე პარტნიორები ორჯერ ვერ შეძლებენ კრებაზე დასწრებას, ავადმყოფობის ან დაუძლეველი ძალის გამო, კანონიერი და სამართლიანი იქნება თუ არა კრების მომწვევემა მათ დაუსწრებლად მიიღოს გადაწყვეტილება? საერთოდ დაუძლეველი ძალა და ნაწილობრივ ავადმყოფობაც ისეთი მოვლენებია, რომელთაც ადამიანი ვერ აკონტროლებს. ასეთ დაუძლეველ ძალად აღიარებულია, მაგალითად, წყალდიდობა, მიწისძვრა, ქარიშხალი და ა.შ. ასევე შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის მოტაცება ფულის გამოძალვის მიზნით. ასეთ შემთხვევებში ზნეობრივადაც კი გაუმართლებელი იქნება კრების მომწვევის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა. მიტომ, თუ დაუძლეველი ძალა არის გამოუცხადებლობის მიზეზი, პარტნიორმა ზელმეორედ უნდა მოიწვიოს კრება ისეთ ვადაში, რომ არც დაუძლეველი ძალის წინააღმდეგობა აღარ არსებობდეს და არც მის მიერ განსახილველი საკითხის განხილვა გადაიდოს დიდხანს. თუ პარტნიორი სხვა პარტნიორების პირველივე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მაინც მიიღებს გადაწყვეტილებას, მაშინ დანარჩენ პარტნიორებს შეუძლიათ, მოითხოვონ ასეთი გადაწყვეტილების ბათილობა. სასამართლოს, იქიდან გამომდინარე, რომ გადაწყვეტილება ნების გამოვლენაა, ანუ გარიგებაა, შეუძლია დაეყრდნოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლს: „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან *ზნეობის ნორმებს*“.

თუ პარტნიორი მეორედ მოწვევისას შეცვლის დღის წესრიგს, მათ შორის ადრე არსებულს დაუმატებს სხვა საკითხსაც და ისე მოიწვევს კრებას, მაშინ იგი არ უნდა ჩაითვალოს მეორე მოწვევად. ასეთ შემთხვევაში, მეორედ შეთავაზებული შეცვლილი (დამატებული) დღის

წესრიგი ჩაითვლება პირველ შეთავაზებად და პარტნიორთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მან მეორედ უნდა გაგზავნოს აღნიშნული დღის წესრიგი.

მაგალითად, A-მ გაუგზავნა B-ს და C-ს დღის წესრიგი, რომელიც შეიცავდა ორ საკითხს. კრების დღეს B და C არ გამოცხადდნენ. A-მ მეორედ გაუგზავნა პარტნიორებს დღის წესრიგი. მეორედ გაგზავნილი დღის წესრიგი კი უკვე შეიცავდა სამ საკითხს. პარტნიორები კვლავ არ გამოცხადდნენ კრებაზე. იქიდან გამომდინარე, რომ კრების მომწვევემა შეცვალა დღის წესრიგი, მან ხელმეორედ უნდა მოიწვიოს კრება. არც სხვა პარტნიორების მიერ იმავე დღის წესრიგით კრების მოწვევა ჩაითვლება კრების განმეორებით მოწვევად მას შემდეგ, რაც კრება ქვორუმის არარსებობის გამო, ერთხელ უკვე გადაიდო⁶⁴. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ კრებას იწვევენ პარტნიორებიც, მაგრამ ისმის კითხვა, ნებისმიერი ოდენობის წილის მქონე პარტნიორს შეუძლია მოიწვიოს კრება?

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს მეწარმეთა შესახებ კანონის 46.8 მუხლი. ეს მუხლი მიგვიითხებს, რომ „პარტნიორები, რომელთა წილი ერთად შეადგენს საწესდებო კაპიტალის მეოცედ ნაწილს, უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ კრების მოწვევა ამ კრების მიზნისა და საფუძვლების მითითებით. თუ ამ მოთხოვნას არ გამოეხმაურებიან ან საერთოდ არ არსებობენ ის პირები, ვის მიმართაც არის ეს მოთხოვნა გათვალისწინებული, მაშინ პარტნიორებს საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლიათ თვითონ მოიწვიონ იგი. კრება გადაწყვეტს მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდის საკითხს“.

როგორც მოცემული მუხლიდან ჩანს, კრების მოწვევა შეუძლიათ:

ა) პარტნიორს, რომელსაც აქვს საწესდებო კაპიტალის მინიმუმ ხუთი პროცენტი. მაგალითად, თუ საწესდებო კაპიტალია 2000 ლარი და ხუთი დამფუძნებელიდან ერთს 100 ლარი (5%) მაინც აქვს შეტანილი, მაშინ მას შეუძლია მოიწვიოს კრება;

ბ) თუ საწესდებო კაპიტალია 5000 ლარი და ხუთი დამფუძნებელიდან ერთს აქვს 2.5% ხოლო მეორეს ასევე 2.5%, მაშინ ორივეს ერთად გამოუვათ 5% და უკვე შეუძლიათ მოიწვიონ კრება.

⁶⁴ ლ. ჭანტურია თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 295.

კრების მოწვევისას პარტნიორებმა უნდა მიუთითონ კრების მოწვევის მიზანზე და საფუძველზე. კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა აცნობონ დირექტორს, რომელიც გაუკეთებს ორგანიზებას კრების მოწვევას. მაგრამ, თუ დირექტორი არაფერს იღონებს კრების მოწვევისათვის, მაგალითად, მისი განთავისუფლების საკითხი უნდათ პარტნიორებს, რომ დააყენონ და ამიტომ არ იჩენს დაინტერესებას კრების ჩასატარებლად, ანდა ფიზიკურად არ შეუძლია დირექტორს მოიწვიოს კრება, მაშინ პარტნიორებს თავად შეუძლიათ კრების მოწვევის ორგანიზება განახორციელონ. როდესაც შედეგა კრება იგი დღის წესრიგთან ერთად გადაწყვეტს, თუ ვინ უნდა გადაიხადოს კრების მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯები, მაგალითად, დაზღვეული წერილის გაგზავნის ხარჯი, კრებისათვის დარბაზის დაქირავების ხარჯი და ა.შ.

მეწარმეთა შესახებ კანონის 47.5 მუხლი უთითებს: „ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ პარტნიორთა კრება საზოგადოების ხელმძღვანელობას აძლევს ცალკეულ დავალებებს ამ ხელმძღვანელობის კომპეტენციის ფარგლებში“.

აღნიშნული წესი იმის შესახებ მიგვითითებს, რომ გადაწყვეტილებები ორ სახედ იყოფა, კერძოდ, გადაწყვეტილებები, რომლებიც თავსდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობაში და გადაწყვეტილებები, რომლებიც სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას.

რა განსხვავებაა მათ შორის?

პირველ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისეთ გადაწყვეტილებაზეა საუბარი, რომელსაც იღებს აღმასრულებელი ორგანო – დირექტორი (ან დირექტორთა საბჭო), მაგალითად, საზოგადოება კერავს ფენსაცმელს, დირექტორი დებს მყიდველ ორგანიზაციასთან ფენსაცმელების ნასყიდობის ხელშეკრულებას, ანდა დირექტორი სამუშაოზე იწვევს კომპიუტერის სპეციალისტს და ა.შ. რაც შეეხება გადაწყვეტილებათა მეორე სახეს, მასში კანონი იმდენად მნიშვნელოვან საკითხებს მოიაზრებს, რომ მათზე გადაწყვეტილების მიღების უპირატესობას ანიჭებს მართვის უმაღლეს ორგანოს. კანონი არ აკეთებს ჩამონათვალს, თუ

რა შეიძლება ვიგულისხმოთ ისეთ საკითხად რომელიც „სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას“, როგორც ჩანს ეს შეფასების საკითხია, რომელსაც სასამართლო პრაქტიკა დაზუსტებს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ასეთ საკითხთა წრეში უნდა მოვათავსოთ აგრეთვე ის საკითხებიც, რომლებიც მეწარმეთა შესახებ კანონის 47.3 მუხლით უნდა გადაწყვიტოს პარტნიორთა კრებამ. მაგალითად, წილთა შეძენა და გასხვისება, რა თქმა უნდა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საქმიანობას. იგივე შეიძლება ითქვას ახალი წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყებისა და მათი შეწყვეტის შესახებ, ფილიალების შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ, იმ სესხებისა და კრედიტების აღების შესახებ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და სხვა.

დასახელებული კანონის 47.5 4 მუხლის მეორე წინადადებიდან გამომდინარე, პარტნიორებს უფლება აქვთ, წესდებაში ჩაწერონ, რომ ზოგიერთ იმ საკითხს, რომლის გადაწყვეტის უფლებაც კრებას აქვს, ღირექტორს გადასცემენ გადასაწყვეტად. კრების კომპენტენცია კი ამ საკითხში მხოლოდ ინფორმაციის მოსმენით შემოიფარგლება⁶⁵.

რა საკითხებთან დაკავშირებით იღებს კრება გადაწყვეტილებას? მეწარმეთა შესახებ კანონის 47.3 მუხლით, თუ საზოგადოების წესდება სხვა წესებს არ შეიცავს, მაშინ პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს ყველა საკითხზე, ასეთებია:

- ა) სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;
- ბ) წილთა შეძენა და გასხვისება, ასევე საწარმოთა შეძენა, გასხვისება და ლიკვიდაცია;
- გ) წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;
- დ) ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
- ე) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
- ვ) ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება ბოლო წლის საბალანსო თანხის ათ პროცენტს;
- ზ) სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება პარტნიორთა კრების მიერ დადგენილ ოდენობას;

⁶⁵ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 305.

თ) იმ სესხისა და კრედიტის უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას;

ი) ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;

კ) პროკურის გაცემა და გაუქმება;

ლ) იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას აქვს დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე, ღირექტორის ანდა პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი ღირექტორების წინააღმდეგ წარმართავს;

მ) წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება;

ნ) შესატანების გადახდის მოთხოვნა;

ო) დამატებითი შესატანების უკან დაბრუნება;

პ) ღირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან შრომის ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშის დამტკიცება;

პარტნიორთა კრება ღებულობს, აგრეთვე გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე:

– საზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ (მეწ. შეს.კანონის 47.2 მ.);

– პარტნიორის მიერ წილის ნაწილობრივ გასხვისებაზე (კან. 46.5 მ.);

– საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს წესი, რომლითაც პარტნიორის მიერ წილის გასხვისებისათვის საჭირო გახდეს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება (მეწ. შეს. კან. 46.4 მ.);

– საზოგადოების წესდებით, შეიძლება განისაზღვროს წესი, რომლითაც პარტნიორებს დაევალებათ, მათ მიერ შესატანის გარდა, დამატებითი შესატანების გადახდაც.

პარტნიორთა საერთო კრებაზე რა შემთხვევებში მიიღება გადაწყვეტილება ხმების უმრავლესობით და რა შემთხვევებში ერთხმად?

საერთოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის დამახასიათებელია გადაწყვეტილებების მიღება ხმათა უმრავლესობით⁶⁶.

⁶⁶ რ. კნიპერი, უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლებების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით. საკორპორაციო სამართლის განვითარების

მაგრამ არის საკითხები, რომლებზეც საჭიროა პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღება.

ამრიგად, გადაწყვეტილება მიიღება ან ხმების უმრავლესობით, ანდა ერთხმად.

მეწარმეთა შესახებ კანონი ძირითადად ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღებას ხმების უმრავლესობით, მაგალითად:

ა) შპს-ის ლიკვიდაცია მოხდება, თუ ამას გადაწყვეტენ ორმაცდაათ პროცენტზე მეტი ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის მფლობელები; (მეწ. შეს. კან. 14.1.2 მუხ.);

ბ) შპს-ის გარდაქმნისათვის აუცილებელია ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა. (მეწ. შეს. კან. 14.4 მუხ.);

გ) შპს-ის სხვა საზოგადოებასთან შერწყმა – შეერთებისათვის საჭიროა ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა (მეწ. შეს. კან. 14.5 მუხ.);

დ) შპს-ის გამოყოფა-გაყოფისათვის ასევე საჭიროა ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა;

შპს-ის გაყოფა-გამოყოფისათვის ხმების უმრავლესობით საკითხის გადაწყვეტის შესახებ პირდაპირ არ წერია კანონში. იგი მისი ანალიზის საფუძველზე დგინდება. კერძოდ, გაყოფის შემთხვევაში შპს კარგავს იურიდიული პირის სტატუსს, ანუ ხდება მისი რეორგანიზაცია. ლიკვიდაციის შემთხვევაში კი, როგორც უკვე ვიცით, საჭიროა ხმების უმრავლესობა. გარდა ამისა, თუ გაყოფით ლიკვიდაციისათვის საკმარისია ხმების უმრავლესობა, რატომ არ შეიძლება ეს წესი გამოვიყენოთ შპს-დან გამოყოფის შემთხვევაში?

ე) სამეთვალყურეო საბჭოს არჩევისას საკმარისია მინიმუმ უბრალო უმრავლესობაც (მეწ. შეს. კან. 54.7 მ.);

ვ) მეწარმეთა შესახებ კანონის 47.3 მუხლში გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილება ასევე მიიღება ხმების უმრავლესობით. ხმების უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების შესახებ პირდაპირ არ წერია 47.3-ე მუხლში, მაგრამ, რადგანაც კანონი არ მიგვითითებს გადაწყვეტილების ერთხმად მიღებაზე ანუ არ გვზღუდავს, ამიტომ შეიძლება გადაწყვეტილება ხმების უმრავლესობით მივიღოთ.

მსგავს შემთხვევებში ხმების უბრალო უმრავლესობით გადაწყვეტილებას ღებულობენ გერმანიის და ავსტრიის კანონთაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ⁶⁷.

პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღება შემდეგ საკითხებზე:

ა) საზოგადოების წესდებით, შეიძლება განისაზღვროს, პარტნიორთა მიერ შესატანის გარდა, დამატებითი შესატანების გადახდაც. დამატებითი შესატანები წილის პროპორციული უნდა იყოს. საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული იმ გადასახდელის გაზრდა, რომელიც ეკისრება პარტნიორს, დაიშვება მხოლოდ დანარჩენი პარტნიორების თანხმობით (მეწ. შეს. კან. 46.7. მ.);

ბ) პარტნიორთა კრების ის გადაწყვეტილება, რომელმაც შეიძლება პარტნიორი ჩააყენოს არათანაბარ მდგომარეობაში ან ხელყოს პარტნიორის არსებითი ინტერესი, მიღებული უნდა იქნეს პარტნიორთა კრებაზე ერთხმად (მეწ. შეს. კან. 47.8. მ.).

პარტნიორის არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებად, შეიძლება ჩაითვალოს, ის შემთხვევა, როდესაც პარტნიორები მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომ ოთხი დამფუძნებელიდან სამს, წილის 60%-ის მქონეს, უფლება აქვს, თავისუფლად გაასხვისოს თავისი წილი, ხოლო მეოთხეს შეუძლია წილი გაასხვისოს, თუ დანარჩენი პარტნიორები ამაზე დათანხმდებიან. ვფიქრობ, რომ ასეთ შემთხვევაში პარტნიორი დგება არათანაბარ მდგომარეობაში სხვა პარტნიორებთან, ამიტომ საჭირო ხდება გადაწყვეტილების ერთხმად მიღება.

მოვიყვან სხვა შემთხვევასაც, კერძოდ, ოთხი პარტნიორიდან სამმა, წილის 60%-ის მქონემ, გადაწყვიტა, რომ წლიური ანგარიშის ასლის მიღების უფლება აქვს მხოლოდ სამ პარტნიორს. ასეთი გადაწყვეტილებაც პარტნიორს, წილის 40%-ის მქონეს, აყენებს არათანაბარ მდგომარეობაში. ამიტომ გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ერთხმად.

თუ კანონი პირდაპირ მოითხოვს კრების მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას, მაშინ პარტნიორებს კანონის ამ მოთხოვნის შეცვლის უფლება არ აქვთ, მაგრამ, თუ კანონი აწესებს პარტნიორთა კრების

⁶⁷ Германское право. Часть 2. М. 1996 г. №46-47. Вольфганг Хоиер. Как делать бизнес в европе. М. 1990 г. Ст. 32.

მიერ გადაყვეტილების მიღებას უძრავლესობის მიერ, რაც კანონის მინიმალურ მოთხოვნად უნდა მივიჩნიოთ, მაშინ პარტნიორებს შეუძლიათ, საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, წესდებაში ჩაწერონ გადაწყვეტილების ერთხმად მიღება, ანუ უფრო გაამკაცრონ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა.

სანამ სხვა საკითხზე გადავიდოდეთ, მინდა მოკლედ გავაანალიზო 47.3 მუხლთან დაკავშირებული ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი საკითხი, კერძოდ, ამ მუხლის პუნქტი „ე“, რომელიც ეხება უძრავი ქონების შეძენას, გასხვისებას და დატვირთვას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შპს შეიძლება იყოს უძრავი ნივთის მესაკუთრეც. თუ შპს გადაწყვეტს შეიძინოს უძრავი ნივთი, მაგალითად, შენობა ან მიწის ნაკვეთი, მაშინ ეს საკითხი უნდა გადაჭრას მხოლოდ პარტნიორთა კრებამ ხმების უძრავლესობით. თუ ამ საკითხის გადაწყვეტა წესდებით გადაცემული არ აქვს ღირექტორს. როდესაც პარტნიორთა კრება ამ საკითხს გადაწყვეტს, ღირექტორი, საზოგადოების სახელით, დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას გამყიდველთან და ნოტარიალურად ამოწმებს მას. შემდეგ ხელშეკრულებას წარადგენენ ჯერ საგადასახადო ორგანოში და შემდეგ საჯარო რეესტრში, სადაც საზოგადოების სახელზე გაატარებენ რეგისტრაციას. შეძენილი უძრავი ნივთის რეგისტრაციას საჯარო რეესტრში ითხოვს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი.

შპს-ის უძრავი ნივთის გასხვისების საკითხიც უნდა გადაწყვიტოს პარტნიორთა კრებამ. ამ შემთხვევაში იგივე წესი უნდა იქნეს დაცული, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ გასხვისებისას საჯარო რეესტრში შპს-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ნივთი უნდა გადაეწეროს შემძენის სახელზე.

თუ ღირექტორი საერთო კრების თანხმობის გარეშე გაასხვისებს უძრავ ნივთს გაბათილდება თუ არა ასეთი ხელშეკრულება?

თუ პარტნიორთა კრებას არ ჰქონდა უფლება მიცემული უძრავი ნივთის გაყიდვასთან დაკავშირებით, ეს ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებისა და საზოგადოების ღირექტორის პრობლემაა და იგი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 49.2 და 9.7 მუხლების შესაბამისად რეგულირდება⁶⁸.

⁶⁸ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003 წ., №6, გვ. 1381.

შპს ვერ გაასხვისებს უძრავ ნივთს თუ იგი საჯარო რეესტრში (ან ტექნიკენტარიზაციის ბიუროში) არ არის რეგისტრირებული შპს-ის სახელზე. მნიშვნელობა არ აქვს, იგი საწესდებო კაპიტალშია შეტანილი თუ ჩვეულებრივ საზოგადოების ბალანსზეა აღრიცხული.

შპს-ის უძრავი ნივთის დატვირთვის საკითხიც უნდა გადაწყვიტოს პარტნიორთა კრებამ. რას ნიშნავს სიტყვა „დატვირთვა“? ეს სიტყვა ხშირად გამოიყენება სამოქალაქო სამართალში და მასში იგულისხმება იპოთეკით დატვირთვა, იჯარით ან ქირავნობით გადაცემა და ა.შ.

47.3 მუხლის „თ“ პუნქტი ეხება იმ სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფას, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას.

აღნიშნული წესი იმაზე მიუთითებს, რომ შეიძლება არსებობდეს ისეთი სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, ანდა შეიძლება არსებობდეს ისეთი სესხების და კრედიტების არსებობა, რომლებიც არ სცილდება ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას.

დასახელებულ წესს ის მნიშვნელობა აქვს, რომ პირველ შემთხვევაში, 47.4 მუხლიდან გამომდინარე, საჭიროა კრებას ესწრებოდეს ყველა პარტნიორი, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალსწინებს. ხოლო მეორე შემთხვევაში ყველა პარტნიორის დასწრება კრებაზე სავალდებულო არ არის.

მაგალითისთვის, თბილისის ერთ-ერთი რაიონის სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ შპს „სუპერმარკეტის“ მიერ 90000 ლარის სესხის აღება და მისი იპოთეკით უზრუნველყოფა, სცილდება ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, ამიტომ კანონის 47.4 მუხლიდან გამომდინარე, მასში მონაწილეობა უნდა მიეღო ყველა პარტნიორს. მოცემულ შემთხვევაში კი პარტნიორთა კრებას ყველა პარტნიორი არ დასწრებია.

ეს იყო ერთ-ერთი მოტივი, რის გამოც მან საზოგადოების წინააღმდეგ სარჩელი დააკმაყოფილა.

აქვე დავამატებ, რომ სესხის აღების მიზანი იყო შპს-ის საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესება, მოსახლეობის ხარისხიანი და ხელმისაწვდომ ფასებში საქონლით მომარაგება.

აღნიშნული დასაბუთება სავსებით სამართლიანად არ გაიზიარეს საოლქო და საკასაციო სასამართლოებმა⁶⁹.

აღნიშნული სესხი რომ ყოფილიყო გათვალისწინებული, მაგალითად, სხვა საზოგადოების, დაეუშვათ, სააქციო საზოგადოების დასაფუძნებლად, მაშინ საჭირო გახდებოდა ყველა პარტნიორის დასწრება კრებაზე, რადგანაც საზოგადოების მიერ სხვა საზოგადოების დაფუძნება არ შეიძლება მივიჩნიოთ მის „ყოველდღიურ“ საქმიანობად, მით უმეტეს, თუ ის მალაზიის სახით მოქმედებს. მაგრამ თუ საქონლის შესასყიდად, ანდა მალაზიაში შესაფუთი აპარატის შესაძენად საზოგადოება იღებს სესხს და დებს გირაოში ან იპოთეკაში რამეს, ეს უკვე მის ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას უნდა დაეუკავშიროთ.

ამრიგად, სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფაში ისეთი საშუალებები იგულისხმება, რომელთა მეშვეობითაც კრედიტორის მოთხოვნა სესხის ან კრედიტის დაბრუნების თაობაზე უზრუნველყოფილია. ასეთ საშუალებებს მიეკუთვნება გირავნობა, იპოთეკა, თავდებობა და ა.შ.

უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებაზე ხმების უმრავლესობით გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება.

ამავე მუხლის პუნქტი „კ“ განსაზღვრავს პროკურის გაცემას და გაუქმებას საერთო კრების მიერ.

რას ნიშნავს პროკურა? მეწარმეთა შესახებ კანონის მე-10 მუხლიდან გამომდინარე, პროკურა ეს არის გენერალური საეაჭრო მინდობილობა, რომელიც რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში. პროკურა იძლევა უფლებამოსილებას, სასამართლოსა და სხვა ურთიერთობებში განხორციელდეს ყველა იმ სახის საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან.

მიწის ნაკვეთების გასხვისების ან ვალდებულებებით მათი დატვირთვის უფლებამოსილება პროკურისტს აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მას ეს უფლებამოსილება სპეციალურად მიეცემა (მეწ. შეს. კან. 10.3 მ.).

ამრიგად, თუნდაც მინდობილობაში მარწმუნებელმა შეუზღუდოს რწმუნებულს გარკვეული ქმედებები, რწმუნებულს მაინც ექნება ზემოთ დასახელებული უფლებები თუკი ეს მინდობილობა სამეწარმეო რეეს-

⁶⁹ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წლის 12 ივნისის განჩინება №3კ-587-02. გვ. 1499-1505.

ტრშია რეგისტრირებული. ეს წესი არ ეხება მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

როგორც ვხედავთ, ღირეპტორი ვერ გასცემს პროკურას და ვერც გააუქმებს, თუ არ იქნა ხმის უმრავლესობით პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება.

პუნქტი „ლ“ – ეს პუნქტი თავისი არსით მეტად საინტერესო პუნქტია. ძირითადად ამ პუნქტს ეყრდნობიან პარტნიორის გარიცხვის დროს, თუ გარიცხვის საფუძველი კანონით ან წესდებით არ არის გათვალისწინებული. გარდა ამისა, ამ პუნქტს სხვა მნიშვნელობაც აქვს, მაგალითად, შეიძლება ამ პუნქტის საფუძველზე პარტნიორთა კრებამ აღძრას სასამართლოში სარჩელი ღირეპტორის მიერ დადებული ისეთი გარიგების წინააღმდეგ, რომელზედაც მათ თანხმობა არ მიუციათ ან ირღვევა მათი უფლებები, მაგალითად, პარტნიორებმა იჯარით გადასცეს რაიმე ნივთი საზოგადოებას, მაგრამ ღირეპტორმა თანხის მიღების მიზნით ისინი გაასხვისა და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ეს არ ნიშნავს ღირეპტორის, როგორც წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვას. საქმე ისაა, რომ პარტნიორთა კრება კანონით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, წინასწარ არ ერევა ღირეპტორის მიერ გარიგების დადების პროცესში, მაგრამ, თუ ღირეპტორმა დადო ისეთი გარიგება, რომელიც მის უფლებამოსილებას სცილდება, მაშინ პარტნიორს (პარტნიორებს) უფლება აქვს აღძრას სარჩელი ღირეპტორის მიერ დადებული გარიგების წინააღმდეგ.

პარტნიორებს უფლება აქვთ, გაზარდონ კრების კომპენტენცია. მათ შეუძლიათ, წესდებაში ჩაწერონ კრების გადასაწყვეტად ისეთი საკითხებიც, რომელთაც კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგალითად, იურიდიული მისამართის შეცვლის საკითხი შეიძლება გადაწყდეს პარტნიორთა კრებაზე.

თუ პარტნიორი არ ეთანხმება კრების გადაწყვეტილებას, მაშინ მეწარმეთა შესახებ კანონის 15.2 მუხლიდან გამომდინარე, კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის მანძილზე შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს კრების გადაწყვეტილება.

სამეწარმეო ურთიერთობათა პრაქტიკიდან ერთ ასეთ შემთხვევას მოვიყვან:

შპს-ში არაუფლებამოსილმა პირმა მოიწვია კრება, სადაც პარტნიორთა უმრავლესობა დაესწრო. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შესახებაც ერთ-ერთმა პარტნიორმა, რომელიც კრებას არ ესწრებოდა, გაიგო კრების ოქმის შედგენიდან სამი თვის შემდეგ. შეუძლია თუ არა მას კრების გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში?

რადგანაც სამთვიანი ვადა გასულია, ამიტომ კრების გადაწყვეტილების გასაჩივრება აღარ შეიძლება, მაგრამ პარტნიორს შეუძლია გაასაჩივროს კრების მოწვევის წესი. ამ შემთხვევაში არ მოქმედებს ორთვიანი ვადა. ეს ვადა ამ შემთხვევაში მხოლოდ კრების გადაწყვეტილების მიმართ გამოიყენება. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ კრების მოწვევის პროცედურა დაირღვა, რა თქმა უნდა, გადაწყვეტილებაც გაუქმდება და საჭირო გახდება კრების მოწვევა უფლებამოსილი პირის მიერ.

კრების მიმდინარეობის პროცესში დგება ოქმი. მისი ფორმა კანონით განსაზღვრული არ არის, მაგრამ, როგორც უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაშია მითითებული, „კრების ოქმი უნდა შეიცავდეს მითითებას თუ სად და როდის შედგა კრება. მითითებული უნდა იყოს, თუ ვინ ესწრება კრებას და დამსწრე პარტნიორთა რაოდენობა, წესდების შესაბამისად არის თუ არა კრება გადაწყვეტილებათაუნარიანი, ოქმში ასევე აღნიშნული უნდა იყოს იმ პარტნიორების ვინაობაც, რომლებიც არ ესწრებიან კრებას და უნდა აღინიშნოს დაუსწრებლობის მიზეზებიც.

ოქმში მითითებული უნდა იყოს განსახილველი საკითხი და განსახილველ საკითხთან დაკავშირებით პარტნიორთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები. ოქმი მკაფიოდ უნდა ასახავდეს კენჭისყრის შედეგებს და ხელს უნდა აწერდეს თავჯდომარე, სასურველია კრების მდივნის ხელმოწერაც“⁷⁰.

⁷⁰ სუსგ. სამოქალაქო საკმეზე 2002 წ., №8, გვ.1318.

§ 2. სამეთვალყურეო საბჭო

ა) სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა

სამეთვალყურეო საბჭო პირველად შეიქმნა გერმანიაში. დღეს ქვეყნები, რომლებიც იყენებენ ამ სამეთვალყურეო ორგანოს სააქციო საზოგადოებაში ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, მის ფუნქციებთან დაკავშირებით ძირითადად გერმანული სამართლის პრინციპებს ეყრდნობიან.

სამეთვალყურეო საბჭო შპს-ში შეიძლება შეიქმნას:

1. თუ თავად პარტნიორები ჩათვლიან საჭიროდ, რომ შპს-ში არსებობდეს ასეთი ორგანო ან
2. თუ მეწარმეთა შესახებ კანონის 48-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა არსებობს.

რას მოითხოვს 48-ე მუხლი? ამ მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საზოგადოებებში, სადაც სახელმწიფოს წილი 50%-ზე მეტია, ამასთან საწესდებო კაპიტალის ოდენობა აღემატება 300 000 ლარს და თანხების წლიური ბრუნვის ოდენობა 100 000 ლარს, სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა სავალდებულოა.

ამრიგად, სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა შპს-ში სავალდებულოა თუ ერთად არსებობს სამი პირობა: 1. სახელმწიფოს წილი 50%-ზე მეტი უნდა იყოს, 2. საწესდებო კაპიტალის ოდენობა უნდა აღემატებოდეს 300 000 ლარს და 3. თანხების წლიური ბრუნვა უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს.

თუ ამ სამიდან ერთი პირობაც კი არ არსებობს, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა სავალდებულო არ არის. როგორც ვხედავთ, დაფუძნებისთანავე არ არის აუცილებელი სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა. იგი სავალდებულო გახდება, თუ ზემოთ აღნიშნულ პირველ და მეორე პუნქტთან ერთად წლიური ბრუნვა 100 000 ლარზე ზევით იქნება.

თუ მომდევნო წელს რომელიმე პირობა არ იარსებებს საზოგადოებას უფლება ექნება გააუქმოს სამეთვალყურეო საბჭო თუნდაც კი მისი მოქმედების ვადა გასული არ იყოს. ასეთი დასკვნა იმიტომ კეთდება, რომ სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა კანონით იყო გათვალისწინებული

თუკი კანონით გათვალისწინებული პირობები იარსებებდა. ამიტომ თუ ეს პირობები აღარ იარსებებს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნაც არ იქნება სავალდებულო. მართალია ასეთი შექმნაგაუქმება გარკვეულ უხერხულობას ქმნის, მაგრამ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ საზოგადოების ერთ-ერთ უფლებას და როგორ გამოიყენებს იგი ამ უფლებას ეს საზოგადოების გადასახაწყვეტია.

სამეთვალყურეო საბჭოს შექმნისა და ფუნქციონირების წესი ისეთივეა, როგორც სააქციო საზოგადოებაში. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს მეწარმეთა შესახებ კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტი, კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შემთხვევაში „გამოიყენება ამ კანონის წესები სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ“.

სამეთვალყურეო საბჭო, როგორც ეს მისი სახელწოდებიდან ჩანს, მეთვალყურეობას, კონტროლს უწევს დირექტორების, აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობას. ამიტომაც დირექტორი, მეწარმეთა შესახებ კანონის 55.3 მუხლის თანახმად, არ შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. მისი წევრი არ შეიძლება იყოს აგრეთვე „სხვა პასუხისმგებელი აღმასრულებელი პირი“. ვინ შეიძლება ვიგულისხმოთ ასეთ პირად? ამ კითხვაზე კანონი არ იძლევა პასუხს, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ინსტიტუტი გერმანული კანონმდებლობიდან მომდინარეობს, ამიტომ ჯერ საინტერესოა ვნახოთ გერმანულ კანონში როგორ არის ეს საკითხი დარეგულირებული. სააქციო საზოგადოების შესახებ გერმანული კანონის მე-100 მუხლის მეორე ნაწილის მე-2 პუნქტით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს საზოგადოებაზე დამოკიდებული საწარმოს კანონიერი წარმომადგენელი. ასეთ კანონიერ წარმომადგენლად შეიძლება მოვიაზროთ არა მხოლოდ დირექტორი, არამედ, აგრეთვე პროკურისტიც. საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის 10.2 მუხლით, „წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას უნდა შეესაბამებოდეს მინდობილობის შინაარსს“. ამრიგად, ლაპარაკია ჩვეულებრივ მინდობილობაზე, მაგრამ, თუ ეს მინდობილობა, თანახმად ამავე კანონის 10.3 მუხლისა, რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში, იგი წარმოადგენს უკვე გენერალურ სავაჭრო მინდობილობას – პროკურას.

პროკურა კი იმის უფლებამოსილებას იძლევა, რომ პირმა სასამართლოსა და სხვა ურთიერთობებში განახორციელოს ყველა იმ სახის

საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან.

ამდენად, ზემოთ დასახელებულ „სხვა პასუხისმგებელ აღმასრულებელ პირში“ შეიძლება ვიგულისხმოთ პროკურისტი და პირი, რომელსაც აქვს მინდობილობა. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი მასში ასევე მოიაზრებს მთავრ ბუღალტერს და/ან მთავრ ეკონომისტს⁷¹. აქვე უნდა მივეთითოთ დირექტორის მოადგილეზეც.

სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც სამეთვალყურეო-მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციები საკმაოდ ფართოა, მასში ასევე მოიაზრება თანხმობა იმ საქმიანობათა განსახორციელებლად, რომლის გაკეთებასაც დააპირებს დირექტორი. ამიტომაც სამეთვალყურეო საბჭო დირექტორთან შედარებით ზემდგომი ორგანოა⁷².

მეწარმეთა შესახებ კანონის 55-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები უშუალოდ არეგულირებენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობასა და არჩევასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამ მუხლის პირველი პუნქტით „სამეთვალყურეო საბჭო შედგება, სულ მცირე, სამი, არაუმეტეს ოცდაერთი წევრისგან, ამასთან წევრთა რაოდენობა სამზე გაყოფადი უნდა იყოს. წევრთა ორი მესამედი აირჩევა საერთო კრების მიერ, ხოლო ერთი მესამედი შეიძლება აირჩეს მუშა-მოსამსახურეთაგან (მუშა-მოსამსახურეთა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის წესი განისაზღვრება სპეციალური საარჩევნო დებულებით, რომელსაც იღებს საერთო კრება)“.

საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 20%-ის მფლობელს (მფლობელებს) უფლება აქვთ, სამეთვალყურეო საბჭოში ჰყავდეს სულ მცირე ერთი წარმომადგენელი.

როგორც ვხედავთ, სამეთვალყურეო საბჭოს შექმნისათვის ორი მთავრი პირობა უნდა დაეიცვათ, პირველი – უნდა ავირჩიოთ მინიმუმ სამი წევრი მაქსიმუმ 21 წევრი. მეორე – არჩეულ წევრთა ოდენობა სამზე

⁷¹ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 399.

⁷² იოანეს ზემლერი, სამეთვალყურეო საბჭო სააქციო საზოგადოებების იერარქიაში. 2000 წლის 7-8 მარტი. გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, კრებული, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გვ. 44.

უნდა იყოფოდეს. მაგალითად, არ შეიძლება ავირჩიოთ ოთხი ან შვიდი წვერი, ანდა ოცი წვერი, რადგანაც ისინი არ იყოფა სამზე.

რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობას – კანონი უფლებას გვანიჭებს, საბჭოს წევრები ავირჩიოთ მთლიანად აქციონერებისგან, ანდა ორი მესამედი ავირჩიოთ აქციონერებისგან და ერთი მესამედი ავირჩიოთ მუშა-მოსამსახურეთაგან.

შპს-სთან დაკავშირებით ორი მესამედი აირჩევა პარტნიორებისგან ხოლო ერთი მესამედი კი შპს-ში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთაგან.

გერმანიის 1965 წლის 6 სექტემბრის კანონით სააქციო საზოგადოების შესახებ, მხოლოდ ზოგიერთი სახის სააქციო საზოგადოებისათვის არის გათვალისწინებული აქციონერებისა და მუშა-მოსამსახურეთა არჩევა სამეთვალყურეო საბჭოში, მაგალითად, ფოლადისა და ქვანახშირის სფეროში მომუშავე საზოგადოებების წარმოების მართვაში და ა.შ.

ვფიქრობ, რომ, როდესაც მხოლოდ სახელმწიფო არის შპს-ის დამფუძნებელი ან საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი მას ეკუთვნის, მუშა-მოსამსახურეთა არჩევა პარტნიორებთან ერთად სავალდებულო უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს, როგორც პარტნიორის ინტერესები, უფრო დაცული იქნება საწარმოს არაკეთილსინდისიერი ხელმძღვანელობისაგან.

როგორ მოვიქცეთ, თუ შპს-ს დამფუძნებელია მხოლოდ სახელმწიფო ან სხვა ორი პირი და სურთ აირჩიონ სამეთვალყურეო საბჭო?

ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთაგან. ამით იმის თქმა მინდა რომ თუ პარტნიორთა ოდენობა საკმარისი არ არის, იმისათვის რომ არჩეულ იქნეს სამეთვალყურეო საბჭოში, მაშინ შეიძლება წევრებად ავირჩიოთ საზოგადოებაში მომუშავე პირები.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრად შეიძლება გარეშე პირიც მოვიწვიოთ, მაგალითად, მაღალკვალიფიციური იურისტი ან ეკონომისტი და ა.შ. ასეთი დასკვნის უფლებას მაძლევს ის რომ მუხლი 55-ე არ კრძალავს საბჭოს წევრად გარეშე პირის მოწვევას.

საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ სამეთვალყურეო საბჭოში ისეთი პირები უნდა შედიოდნენ, რომლებსაც გააჩნიათ დასმული ამოცანების ჯეროვანი შესრულებისათვის საჭირო ცოდნა, უნარჩვევები და პრო-

ფესიული გამოცდილება და ამასთან საკმარისად დამოუკიდებელები არიან ⁷³.

ისმის კითხვა – თუ პირი პარტნიორიც არის და იმავე საზოგადოებაში მუშაობს კიდევ, როგორი სახით შეიძლება იქნეს არჩეული სამეთვალყურეო საბჭოში, როგორც პარტნიორი თუ როგორც თანამშრომელი?

საერთოდ თანამშრომლის და პარტნიორის არჩევას საბჭოში სხვადასხვა მიზანი და დანიშნულება აქვს, მაგალითად, თანამშრომელს ირჩევენ იმისათვის, რომ ისიც დაინტერესებულია იმ საზოგადოების ფინანსური სიძლიერით, რომელშიც მუშაობს, ამიტომ ყოველთვის ეცდება საბჭოში მხარი დაუჭიროს ისეთ წინადადებას ანდა თავად დააყენოს ისეთი საკითხი, რომელიც საზოგადოებას დიდ სარგებლობას მოუტანს, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოების მძიმე ფინანსურმა მდგომარეობამ შეიძლება თანამშრომელთა ხელფასის შემცირება გამოიწვიოს ან სართოდ მოუწიოთ მათი განთავისუფლება. გარდა ამისა თანამშრომელი ყოველთვის ეცდება იმ საბჭოს წევრის უკანონობაზეც იმსჯელოს, რომელიც საზოგადოების პარტნიორიც არის, მაგრამ ღირეპქტორთან შეთანხმებით ცდილობს საზოგადოებიდან უკანონო ქმედებების საფუძველზე მეტი სარგებელი მიიღოს, რამაც შეიძლება საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა გააუარესოს.

პარტნიორის არჩევის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია კონტროლი გაუწიოს ღირეპქტორისა და იმ პირთა საქმიანობას, რომლებიც გამოდიან საზოგადოების სახელით, რათა მათი მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს ისეთ ქმედებებს, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენონ საზოგადოებას და აქედან გამომდინარე პარტნიორებს.

ამრიგად, საზოგადოების თანამშრომელი დაინტერესებულია საბჭოში არა მხოლოდ ღირეპქტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, არამედ აგრეთვე საბჭოში პარტნიორი - წევრის ქმედებებითაც, ამიტომ საზოგადოებაში მომუშავე პარტნიორის თანამშრომლის სახით არჩევა საბჭოში არ იქნება მიზანშეწონილი, უკეთესია, თუ საბჭოში აირჩევენ ისეთ თანამშრომელს, რომელიც არ არის იმავედროულად პარტნიორი.

⁷³ იოჟანეს ზემლერი, სამეთვალყურეო საბჭოს კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება. ზემოთ დასახელებული მეორე ქართულ-გერმანული სიმპოზიუმი. 2003 წ.

დაბოლოს, შეიძლება დავამატოთ, რომ, რადგანაც საბჭოში თანამშრომლის არჩევის მიზანია, დაიცვას მუშა-მოსამსახურეთა ინტერესები, ამიტომ მათი არჩევა შეიძლება განახორციელოს თავად მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამაც ანდა ჯერ მათმა აირჩიონ თავიანთი რიგებიდან საბჭოში წარსადგენი კანდიდატი და შემდეგ შეთავაზონ პარტნიორებს დასამტკიცებლად. აღნიშნული და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები დეტალურად უნდა იყოს საზოგადოების წესდებით ან სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ დებულებით მოწესრიგებული.

შეიძლება თუ არა უცხოელის არჩევა საბჭოში?

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქე. კანონი მათ მიმართ რაიმე შეზღუდვას არ აწესებს.

საბჭოს შემადგენლობისას გასათვალისწინებელია ის, რომ მისი წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. აღნიშნული დასკვნა კეთდება მეწარმეთა შესახებ კანონის 5.4 მუხლისა და 5.4.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. აღნიშნული მუხლების თანახმად, რეგისტრაციის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს და ადგილს, პროფესიასა და საცხოვრებელ ადგილს.

სააქციო საზოგადოების შესახებ გერმანიის კანონის მე-100 მუხლის 1-ლი პუნქტით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ ფიზიკური, ქმედუნარიანი პირი. ის რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი მხოლოდ ფიზიკური პირი უნდა იყოს, მითითებულია აგრეთვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც⁷⁴. ასეთი აღნიშვნა ზედმეტი არ არის, რადგანაც შეიძლება, რომ შპს-ის დამფუძნებელი იყოს იურიდიული პირი და მან მოინდომოს სამეთვალყურეო საბჭოში ყოფნა, მაშინ ის ისევე იმოქმედებდა, როგორც პარტნიორთა კრებაზე, კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოში იურიდიული პირი გადაწყვეტილებას მიიღებდა დირექტორის მეშვეობით. თუმცა აქვე ისმის კითხვა – *თუ იურიდიული პირი, სამოქალაქო კოდექსიდან და მეწარმეთა შესახებ კანონიდან გამომდინარე, ფაქტობრივად დამოუკიდებელ პირად არის აღიარებული, რომელსაც საკუთარი ქონება აქვს, თავისი სახელით*

⁷⁴ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 394.

დებს გარიგებებს, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, აფუძნებს სხვადასხვა ფორმით საწარმოებს და ა.შ., ზომ არ იზღუდება მისი უფლება სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით, ზედამხედველობა გაუწიოს დირექტორს?

უფიქრობ, რომ არა, რადგანაც იგი ისედაც არის მართვის უმაღლესი ორგანოს - საერთო კრების წევრი. გარდა ამისა, მას, როგორც პარტნიორს, შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დირექტორისგან ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ.

თუ შპს-ს პარტნიორთა კრება გადაწყვეტს, რომ იყოლიოს სამეთვალყურეო საბჭოში თანამშრომლებიც, მაშინ მათ უნდა მიიღონ სპეციალური დებულება, რომელშიც მოწესრიგებული იქნება თანამშრომლთა არჩევის წესი სამეთვალყურეო საბჭოში.

კანონმა ერთი საინტერესო წესი შემოიღო, რომლის მიზანია უმცირესობაში მყოფი პარტნიორების ინტერესების დაცვა, კერძოდ ის, რომ საწესდებო კაპიტალის 20%-ის მფლობელს (მფლებელებს) უფლება აქვთ, სამეთვალყურეო საბჭოში ჰყავდეთ, სულ მცირე, ერთი წარმომადგენელი მაინც. წარმომადგენლის სახით მათ შეუძლიათ იყოლიონ როგორც პარტნიორი ასევე საზოგადოების თანამშრომელიც, ანდა მოწვეული პირი.

დასახელებული უფლება კანონით მინიჭებული უფლებაა, რომელსაც პარტნიორთა კრება ხმების უმრავლესობით ვერ გააუქმებს. ამ უფლების, გაუქმება შეიძლება თუ 20% მფლობელი პარტნიორებიც წინააღმდეგი იქნებიან, ანუ თუ 90% წილის მქონე პარტნიორები მოითხოვენ ამ უფლების გაუქმებას.

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს პარტნიორთა საერთო კრება ირჩევს მინიმუმ ოთხი წლის ვადით. აღნიშნული წესი იმაზე უთითებს, რომ საბჭოში შეიძლება თითოეული წევრის უფლებამოსილების ვადა სხვადასხვა იყოს. უფლებამოსილების ვადების ასეთი სხვაობის მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად, ერთ-ერთი წევრის გარდაცვალება, არაკომპენტენტურობის ან სხვა მიზეზით ვადაზე ადრე გამოყვანა, წევრის მიერ საბჭოს წევრობაზე უარის თქმა და ა.შ.

საბჭოს წევრის ვადის გასვლა ავტომატურად არ იწვევს წევრის უფლებამოსილების გაუქმებას. როგორც 55.2 მუხლი უთითებს, „უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო

კრების მოწვევამდე.“ როგორც ვხედავთ, სავალდებულო არ არის რიგგარეშე კრების მოწვევა, წევრის უფლებამოსილება გრძელდება მანამ, სანამ სამეურნეო წლის ბოლოს მორიგი საერთო კრება არ იქნება მოწვეული. რასაკვირველია, კრებას უფლება აქვს, არ დაელოდოს მორიგ საერთო კრებას, განსაკუთრებით, თუ წევრს ვადაზე ადრე შეუწყვეტენ უფლებამოსილებას, და მოიწვიონ რიგგარეშე საერთო კრება, რომელიც საბჭოში აირჩევს ახალ წევრს.

ის, რომ რიგგარეშე კრებასაც აქვს უფლება, აირჩიოს ახალი წევრი, გამოდინარეობს კანონის 47.1 მუხლის მეორე წინადადებიდან, კერძოდ, „ღირექტორებმა უნდა მოიწვიონ საზოგადოების კრება, თუ საზოგადოების ინტერესები ამას მოითხოვს ანდა თუ პარტნიორები მოითხოვენ კრების ჩატარებას 46.8 მუხლის შესაბამისად“.

კანონის 46.8 მუხლი კი ითვალისწინებს შემდეგს: „პარტნიორები, რომელთა წილი ერთად შეადგენს საწესდებო კაპიტალის მეოცედ ნაწილს, უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ კრების მოწვევა ამ კრების მიზნისა და საფუძვლების მითითებით “

რა თქმა უნდა, საზოგადოების ინტერესებში შედის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა იმ რაოდენობის არსებობა, რაც წესდებით არის გათვალისწინებული. საბჭოს წევრთა წესდებით გათვალისწინებული რაოდენობის არსებობის მნიშვნელობა გამოიხატება ხმების უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღებისას, ანდა საბჭოში მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ყოფნაში.

თუ ექვსი თვის განმავლობაში კრების მიერ არ იქნება არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ კანონის 55.2 მუხლიდან გამომდინარე, სასამართლოს, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზეც მდებარეობს საზოგადოება, შეუძლია ერთ-ერთი პარტნიორის, სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრის ან ღირექტორის წერილობითი ფორმით შედგენილი განცხადების საფუძველზე, დანიშნოს ახალი წევრი.

კანონის აღნიშნული მუხლის ანალიზი საფუძველს გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა ოდენობის წილს ფლობს საწესდებო კაპიტალში განმცხადებელი პარტნიორი.

საზოგადოების წესდებით, შესაძლებელია სხვა წესი იქნეს გათვალისწინებული.

აქვე ისმის რამდენიმე კითხვა:

1. ნებისმიერი მოსამართლე წყვეტს საბჭოში ახალი წევრის დანიშვნის საკითხს თუ მხოლოდ სამეწარმეო რეესტრის მწარმოებელი მოსამართლე?

2. რა ფორმით უნდა მიიღოს მან გადაწყვეტილება, განჩინების, დადგენილების თუ გადაწყვეტილების ფორმით?

3. როგორ ხდება საბჭოს წევრი კანდიდატის დანიშვნა სასამართლოს მიერ, თავად სასამართლო მოძებნის ასეთ წევრს თუ განმცხადებელმა უნდა შესთავაზოს კანდიდატი?

4. თუ პარტნიორებს შორის კონფლიქტია კანდიდატების არჩევასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა რამდენიმე პარტნიორმა განცხადებით მიმართოს სასამართლოს და შესთავაზოს სხვადასხვა კანდიდატი, რათა შემდეგ სასამართლომ დაამტკიცოს რომელიმე მათგანი?

ფეიქრობ, რომ კითხვები საკმაოდ პრაქტიკულია და ვეცდები მათზე მოკლე დასაბუთებებით გავცე პასუხი.

პასუხი პირველ კითხვაზე – საბჭოში ახალი წევრის დანიშვნის საკითხს წყვეტს იმ სასამართლოს ნებისმიერი მოსამართლე, რომლის ტერიტორიაზეც რეგისტრირებულია შპს.

პასუხი მეორე კითხვაზე – სასამართლომ ახალი წევრის დანიშვნა გადაწყვეტილების ფორმით უნდა მიიღოს, რადგანაც განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის თანახმად დადგენილების ისეთ ფორმას წარმოადგენს, რომლის დროსაც საქმე არსებითად არ წყდება.

პასუხი მესამე კითხვაზე – სასამართლო არ არის ვალდებული, მოძებნოს კანდიდატი და შესთავაზოს პარტნიორებს, ამიტომ თავად მათ უნდა შესთავაზონ სასამართლოს თავისი კანდიდატი.

რადგანაც სასამართლოს სთავაზობენ მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ საკითხზე, რომელზეც თავად პარტნიორებმა ვერ მიიღეს გადაწყვეტილება, ამიტომ სასამართლოსაც შეუძლია განჩინებით უარი უთხრას განმცხადებელს შეთავაზებული კანდიდატის დანიშვნაზე, თუ იგი არის ქმედუნარიო, შეზღუდულ ქმედუნარიანი ან თუ სასამართლო ჩათვლის რომ შეთავაზებული კანდიდატი გამოუცდელობის, დაბალი კვალიფიკაციის ან სხვა მიზეზის გამო ვერ განახორციელებს იმ ფუნქციას, რაც მინიჭებული აქვს საბჭოს წევრს. ასეთ შემთხვევაში განმცხადებელს მოუწევს, მოძებნოს და შესთავაზოს სხვა კანდიდატი. მაგრამ შეუძლია თუ არა მას გაასაჩივროს სასამართლოს უარი მის მიერ შეთავაზებული

კანდიდატის დანიშნაზე? ვფიქრობ, რომ, თუ განმცხადებელი ჩათვლის რომ სასამართლოს უარით დაირღვა მისი უფლება, ყავდეს მის მიერ არჩეული სანდო პირი საბჭოში, განმცხადებელს აქვს უფლება, გაასაჩივროს სასამართლოს უარი.

პასუხი მეოთხე კითხვაზე – კანონი პარტნიორს ანიჭებს უფლებამოსილებას, განცხადებით მიმართოს სასამართლოს და შესთავაზოს საბჭოს წევრის კანდიდატი.

სასამართლო განიხილავს ყველა შეთავაზებულ კანდიდატს და ისე მიიღებს გადაწყვეტილებას. არ არის აუცილებელი უპირატესობა მიანიჭოს საწესდებო კაპიტალში მეტი წილის მქონე პარტნიორის (ან პარტნიორების) მიერ შეთავაზებულ კანდიდატს.

სასამართლო გადაწყვეტილების წინა პირობა უნდა იყოს დასაბუთებული შუამდგომლობა, რომელშიც აღწერილია წამოყენებული კანდიდატის საკმარისი ცოდნა, უნარი, გამოცდილება⁷⁵.

ახლად არჩეული ან დანიშნული წევრის უფლებამოსილება იწყება მისი სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ეს დასკვნა კეთდება მეწარმეთა შესახებ კანონის 5.6 მუხლის საფუძველზე, კერძოდ, „5.4 მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების ყოველი ცვლილება ასევე საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება ძალაში შედის მხოლოდ მისი რეგისტრაციის შემდეგ.“

დასახელებული 5.4 მუხლი, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ეხება სამეთვალყურეო საბჭოს წევრსაც. ამდენად, ახალი წევრი უფლებამოსილებას იძენს რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცვლილების რეგისტრაციამდე მას არა აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში.

კანონის 55.4 მუხლიდან გამომდინარე „სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს თავჯდომარეს და მოადგილეს. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული, მაშინ უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა. თუ კანდიდატები მიიღებენ ხმების თანაბარ რაოდენობას, მათ შორის უხუცესი დაინიშნება თავჯდომარედ.“

როგორც დასახელებული ნორმიდან ჩანს, კანონი იმპერატიულად მოითხოვს, რომ საბჭოს წევრებიდან არჩეულ იქნეს თავჯდომარე და

⁷⁵ იოანეს ზემლერი, სამეთვალყურეო საბჭოს კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება. დასახელებული ნაშრომი.

მოადგილე. მათ ასარჩევად საბჭოს წევრები პირველ შემთხვევაში იყენებენ ღია კენჭისყრას. თუ თავმჯდომარესთან დაკავშირებით კენჭისყრისას გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, მაშინ მათ უნდა გამოიყენონ ფარული კენჭისყრა. წესდებაში შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ფარული კენჭისყრა საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის არჩევისას. ასეთ შემთხვევაში მათ აღარ დასჭირდებათ კენჭისყრის პროცესის გამეორება.

დავუშვათ ვერც ფარული კენჭისყრით აირჩიეს თავმჯდომარე მაშინ როგორ შეიძლება მოიქცნენ საბჭოს წევრები? ამაზე პასუხს იძლევა 55.4 მუხლის ბოლო წინადადება, კერძოდ, „თუ კანდიდატები მიიღებენ ხმების თანაბარ რაოდენობას, მათ შორის უხუცესი დაინიშნება თავმჯდომარედ“.

მაგრამ, თუ ერთი კანდიდატი იყო წამოყენებული და ვერ მიიღო ხმების შესაბამისი რაოდენობა, მაშინ, რა თქმა უნდა, ის კანდიდატი უნდა შეიცვალოს სხვა კანდიდატით.

კენჭისყრაში შეიძლება მონაწილეობდნენ თავმჯდომარეობის და მოადგილეობის კანდიდატებიც. მათ ეს უფლება არ შეიძლება წესდებით წაერთვათ⁷⁶.

როგორც კანონის იმპერატიული მოთხოვნიდან ჩანს, თავმჯდომარეს და მოადგილეს ირჩევენ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოს წევრები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუნდაც, წესდებაში ეწეროს მათი არჩევის შესაძლებლობა საერთო კრების მიერ ასეთ წესს არ ექნება იურიდიული ძალა. მათი არჩევის უფლება ასევე არა აქვს სასამართლოსაც⁷⁷.

თუ როგორ უნდა მოხდეს თავმჯდომარისა და მოადგილის არჩევა – ხმების უმრავლესობით თუ ერთხმად, კანონი არ ითვალისწინებს, ამიტომ ეს საკითხი უნდა მოწესრიგდეს წესდებით, მაგრამ თუ წესდებით არ არის მოწესრიგებული, მაშინ შეიძლება გადაწყდეს ხმების უბრალო უმრავლესობით.

თუ საერთო კრება საბჭოდან გაანთავისუფლებს წევრს, რომელიც თავმჯდომარედ არის არჩეული, მაშინ ეს წევრი კარგავს თავმჯდომარის სტატუსსაც, რადგანაც თავმჯდომარედ არ შეიძლება არჩეულ იყოს ისეთი პირი, რომელიც არ არის საბჭოს წევრი, მაგრამ, თუ თავმჯდომარეს

⁷⁶ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 400.

⁷⁷ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 399.

განთავისუფლებენ ან თავად უარს იტყვის თავმჯდომარეობაზე, საბჭოს წევრობა მას შეუნარჩუნდება, რადგანაც წევრობა არის საფუძველი თავმჯდომარედ არჩევისა, ამიტომაც მისი დაკარგვა არ ნიშნავს წევრობის გაუქმებას.

შეუძლია თუ არა პარტნიორთა კრებამ გაანთავისუფლოს საბჭოს თავმჯდომარე თანამდებობიდან?

საბჭოს თავმჯდომარის განთავისუფლების საკითხს კანონი არ არეგულირებს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამ საკითხს პარტნიორთა კრება ვერ გადაწყვეტს, რადგან მას არ აურჩევია თავმჯდომარე. პარტნიორთა კრებას შეუძლია თავმჯდომარე, როგორც წევრი ისე გამოიწვიოს საბჭოდან.

ბოლოს მინდა საბჭოს წევრის გამოწვევასთან დაკავშირებით მოკლედ შევეხო ერთ საკითხს, კერძოდ, როგორც დაინახეთ საბჭოს წევრობა საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმიანობაა, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების საერთო მართვაში, საზოგადოების ფინანსურ გაძლიერებაში, ამიტომ, თუ წევრი ხშირად არასაპატიოდ აცდენს საბჭოს სხდომებს, პარტნიორებს უფლება აქვთ, დააყენონ მისი საბჭოდან გამოწვევის საკითხი. ვფიქრობ, რომ ასეთივე უფლება უნდა ჰქონდეთ იმ შემთხვევაშიც, თუ საპატიოდ, მაგრამ ხშირად, აცდენს სხდომებს და სრულყოფილად ვერ ახერხებს თავისი ფუნქციის განხორციელებას.

შეიძლება თუ არა თავად სამეთვალყურეო საბჭომ გაანთავისუფლოს წევრი საბჭოდან?

ამის გაკეთების უფლება საბჭოს არ აქვს. ეს უფლება მინიჭებული აქვს პარტნიორთა კრებას. მართალია, ასეთი რამ შპს-ის პარტნიორთა კრების ფუნქციებში არ წერია, მაგრამ, როგორც აღრე აღვნიშნეთ შპს-ში სამეთვალყურეო საბჭოსთან დაკავშირებით გამოიყენება სააქციო საზოგადოების შესაბამისი ნორმები, რომლის 54.6 „ვ“ პუნქტიდან გამომდინარე, პარტნიორთა კრებას შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოდან წევრის გამოწვევა.

შეუძლია თუ არა საბჭოს წევრმა მიმართოს სასამართლოს იმ მოტივით, რომ პარტნიორებმა იგი უსაფუძვლოდ გამოიწვიეს საბჭოდან და მოითხოვოს წევრად აღდგენა?

სასამართლომ არ უნდა მიიღოს და განიხილოს ასეთი მოთხოვნა, რადგან ეს საკითხი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე პარტნიორთა

კრების გადასაწყვეტია. კრებას უფლება უნდა ჰქონდეს, ყოველგვარი საფუძვლის გარეშეც კი გამოიწვიოს საბჭოდან წევრი და შეიყვანოს ახალი წევრი. თუ ახალი წევრის შეყვანას არ აპირებენ, მაშინ გამოძინარე იქიდან, რომ საბჭოს წევრთა ოდენობა სამზე გაყოფადი გახდეს უნდა გამოიყვანონ კიდევ ორი წევრი, რათა წევრთა ოდენობა სამზე გაყოფადი იყოს ან დაუმატონ იმდენი წევრი, რომ რაოდენობა გახდეს სამზე გაყოფადი. მაგალითად, თუ ჰყავდათ 6 წევრი და გამოიყვანეს ერთი, მაშინ კიდევ უნდა გამოიყვანონ ორი წევრიც ან გამოყვანილი წევრი შეცვალონ ახალი წევრით.

დაბოლოს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ეკისრება პასუხისმგებლობაც, კერძოდ, მეწარმეთა შესახებ კანონის 9.7 მუხლით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოთხოვნებს, წარმოშობილი ზიანისათვის საზოგადოების წინაშე სოლიდალურად აგებენ პასუხს. საბჭოს წევრებმა უნდა დაამტკიცონ რომ მათ არ დაურღვევიათ თავიანთი მოვალეობა.

იბადება კითხვა, როგორია „კეთილსინდისიერების“ ცნების შინაარსი? ეს ტერმინი დიდი ხანია ფართოდ გამოიყენება კონტინენტალური ევროპისა თუ საერთო სამართლის სისტემაში. ამ ტერმინმა განსაკუთრებული პატივისცემა დაიმსახურა ბიზნესის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მსოფლიოში ადამიანებს და, კერძოდ, მეწარმეებს აქვთ ზოგადი წარმოდგენა „კეთილსინდისიერების“ არსზე, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობამ მაინც მისცა მას განმარტება, რითაც დააფიქსირა მისი დიდი იურიდიული მნიშვნელობა. მაგალითად, აშშ-ში ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 1-201-ე მუხლის მე-19 პუნქტის თანახმად, „კეთილსინდისიერება ნიშნავს ფაქტობრივ პატიოსნებას იმ ქცევაში და გარიგებაში, რომელთანაც ის არის დაკავშირებული“⁷⁸.

⁷⁸ Commercial and debtor-creditor Law: selected statutes. Westbury, New York. 1995.

ამავე კოდექსის 2-103-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, „კეთილსინდისიერება“ კომერსანტთან მიმართებაში ნიშნავს ფაქტობრივ პატიოსნებას და სავაჭრო საქმიანობის პატიოსნად წარმართვის, გონივრული კომერციული კრიტერიუმების დაცვას.

კეთილსინდისიერება, ისევე როგორც პატიოსნება, შეიძლება შეფასებულ იქნეს, როგორც ფაქტების ობიექტურობის, ინდივიდუალური ავტონომიის და დაპირების დაურღვევლობის ლიბერალური რწმენის მანიფესტაცია⁷⁹.

ამიტომ არის, რომ პირი ითვლება არაკეთილსინდისიერად, როდესაც ცდილობს, ტყუილის თქმით, სიცრუით მიაღწიოს თავის მიზანს – შეუქმნას მეორე მხარეს მცდარი წარმოდგენა. შეიძლება ითქვას, რომ არაკეთილსინდისიერი პირი თავის მიზანს აღწევს მეორე მხარისგან მის მიმართ ნდობის ბოროტად გამოყენებით. არაკეთილსინდისიერება შეიძლება გამოიხატოს სიტყვებითაც და მოქმედებებითაც – სიტყვების გარეშე⁸⁰.

ზოგჯერ შეიძლება ძნელი იქნეს გაივლოს ზღვარი არაკეთილსინდისიერებასა და კეთილსინდისიერებას შორის, მაგრამ, ვფიქრობ, რომ დროთა განმავლობაში იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეზღუდვები და სასამართლო პრაქტიკა ამ რთულ საკითხს დახვეწავს.

რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერებას სხვადასხვანაირი განმარტება შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ, ვფიქრობ, იგი მაინც უნდა თავსდებოდეს საყოველთაოდ აღიარებული ზნეობისა და პატიოსნების ნორმებში.

როგორც ზემოთ დასახელებული 9.7 მუხლიდან ჩანს, საბჭოს წევრები წარმოშობილი ზიანისათვის სოლიდალურად აგებენ პასუხს მთელი თავისი ქონებით. ამ შემთხვევაში იგულისხმება არაკეთილსინდისიერი მოქმედებით წარმოშობილი ზიანი, მაგალითად, საბჭოს წევრებმა დირექტორთან შეთანხმების საფუძველზე, თავიანთ ახლობელ პირზე დაბალ ფასში გაყიდეს საზოგადოების საკუთრებაში არსებული შენობა, ანდა დირექტორის შემოწმების დროს საბჭოს წევრები მალავდნენ მის მიერ

⁷⁹ Charls Fried, Contract as promise. Harvard University Press. Cambridge, Massachusetts and London; U.K. 1981.

⁸⁰ დაწვრილებით შევიძლიათ გავცნოთ ჩემს სტატიას „კომერსანტი და კეთილსინდისიერება“. სამეცნიერო-ანალიტიკურ ჟურნალი „უწყება“, 1997 წ. №3.

საზოგადოების ფინანსების არასწორ ხარჯვას ან საზოგადოების ქონების უკანონოდ გასხვისების ფაქტებს და ა.შ.

დგება ერთი პრაქტიკული საკითხი, დაუშვავთ საბჭოს ხუთმა წევრმა მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ მეექვსე წევრი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების წინააღმდეგი გამოვიდა. გადაწყვეტილება ხმების უმრავლესობით მაინც გავიდა. გადაწყვეტილებამ ზიანი მოუტანა საზოგადოებას და დადგა საბჭოს წევრების პასუხისმგებლობის საკითხი. აგებს თუ არა პასუხს საბჭოს ის მეექვსე წევრიც, რომელმაც ხმა არ მისცა გადაწყვეტილებას?

საერთოდ გადაწყვეტილება მიიღება ერთიანი ორგანოს სახელით, ჩვენს შემთხვევაში საბჭოს სახელით. გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით ან ერთხმად, მაგრამ შედეგი ერთი იქნება – მიღებულია გადაწყვეტილება ან არ არის მიღებული გადაწყვეტილება. ამიტომ, ასე ვთქვათ, გადაწყვეტილების მიმღები ორგანო აგებს პასუხს და მას არ აინტერესებს ვინ მოჰყვა უმცირესობაში, ისინი მაინც სოლიდარულად აგებენ პასუხს. თუმცა უნდა ითქვას, რომ სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ეს სწორად არ მიმაჩნია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს წევრისთვის მნიშვნელობა უნდა ქონდეს თუ ვინ იქნებიან მასთან ერთად წევრები. თუ მის გვერდით არაკეთილსინდისიერად ცნობილი, ანდა გამოუცდელი პირები არიან, მან თავი უნდა შეიკავოს მათთან ერთად საბჭოში ყოფნისგან.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხი დგება ასევე ღირებულებების მიერ მიღებული გადაწყვეტილების დროს, თუ ასეთმა გადაწყვეტილებამ ზიანი მიაყენა საზოგადოებას. ამდენად, ზემოთ დასახელებული კითხვა უკავშირდება ღირებულებებსაც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყოველ სფეროს თავისი ღირებულებები ჰყავს და მხოლოდ ის ღებულობს გადაწყვეტილებას თავის სფეროში, მაგალითად, კომერციის დარგის ღირებულებები, საქონლით მომარაგების ღირებულებები და ა.შ. ასეთ დროს ყოველი ღირებულებების თავის გადაწყვეტილებაზე თვითონ აგებს პასუხს.

სოლიდარულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გამოიყენება სა-მოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები, კერძოდ, 463 – 476-ე მუხლები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან სოლიდარულ პასუხისმგებლობას.

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარების ფორმა და წესი

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარების წესი და ფორმა განსაზღვრულია მეწარმეთა შესახებ კანონით. ამ კანონის 55.6 მუხლის თანახმად: „სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა, რვა დღით ადრე და სავარაუდო დღის წესრიგითურთ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილნი, ოღონდ ერთი წევრი ერთი სხვა წევრით.“

სამოქალაქო კოდექსის 124-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კვარტალი სამთვიან ვადას უდრის, რომელიც ათივლება წლის დასაწყისიდან. ამრიგად, საბჭოს სხდომა მინიმუმ სამ თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩატარდეს ანუ მარტის ბოლომდე ერთხელ, ივნისის ბოლომდე ერთხელ და ა.შ. სხდომას იწვევს თავჯდომარე მისი არ ყოფნისას კი მოადგილე. სხდომის მომწვევი, კანონის 55.5 მუხლის თანახმად, განსაზღვრავს დღის წესრიგსაც.

საბჭოს თავჯდომარე, არ ყოფნისას კი მოადგილე, სხდომის დაწყებამდე რვა დღით ადრე წევრებს წერილობითი ფორმით უგზავნის დღის წესრიგს და სხდომის დაწყების დროს.

ისმის კითხვა, წევრმა, რომელმაც დღის წესრიგი მიიღო რვა დღით ადრე, შეუძლია თუ არა თავმჯდომარეს შესთავაზოს დამატებით სხვა საკითხის განხილვაც?

წევრს აქვს უფლება შესთავაზოს თავმჯდომარეს დამატებით სხვა საკითხის განხილვაც, მაგრამ თავმჯდომარესაც აქვს უფლება, უარი განაცხადოს ახალი საკითხის დღის წესრიგში ჩასმაზე. რადგანაც კანონის 55.5 მუხლით, თავმჯდომარე განსაზღვრავს დღის წესრიგს.

თუ თავმჯდომარე მაინც გაითვალისწინებს ახალ საკითხს დღის წესრიგში, მან რვა დღით ადრე ხელმეორედ უნდა დაგზავნოს დღის წესრიგი. ამით თავმჯდომარე უნდა ეცადოს, რომ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, წევრი სხდომაზე მომზადებული მოვიდეს.

კანონის 55.6 მუხლი შეიცავს მთელ რიგ წესებს, რომელთა შეუსრულებლობაც გამოიწვევს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმებას, თუკი რომელიმე წევრი ორი თვის განმავლობაში გაასაჩივრებს გადაწყვეტილებას. კანონის ასეთ მოთხოვნას წარმოადგენს:

1. თავმჯდომარის (არ ყოფნისას მოადგილის) მიერ სხდომის მოწვევა;
2. წევრებისთვის დღის წესრიგის გაგზავნა;
3. დღის წესრიგის გაგზავნა მხოლოდ წერილობითი ფორმით;
4. დღის წესრიგის გაგზავნა მინიმუმ რვა დღით ადრე.

დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს მოწვეული სხდომის გადადების საკითხი. ამასთან დაკავშირებით იხილეთ ამ წიგნის დანართი 1-ლი, სადაც გაანალიზებულია ერთ-ერთი სასამართლოს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის გადადებასთან დაკავშირებით.

55.6 მუხლის ბოლო წინადადების მიხედვით, საბჭოს წევრს, თუ ის ვერ ახერხებს დაესწროს სხდომას, შეუძლია საბჭოს ერთ-ერთი წევრი იყოლიოს წარმომადგენლად სხდომაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ წევრს, რომელიც ვერ ესწრება სხდომას, არ აქვს უფლება, წარმომადგენლად იყოლიოს პირი, რომელიც არ არის საბჭოს წევრი.

თუ რა შემთხვევაშია სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანი, ამის შესახებ უთითებს კანონის 55.7 მუხლი, კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია წევრთა სულ მცირე ნახევარი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მოადგილეს) შეუძლია, სულ მცირე, რვა დღის ვადაში მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას დაესწრება წევრთა არანაკლებ 25%. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მოადგილეს) შეუძლია, სულ მცირე, რვა დღის ვადაში მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად.

როგორც ვხედავთ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია სამჯერ მოიწვიოს საბჭოს სხდომა, თუკი იგი ამას საჭიროდ ჩათვლის. თუ არადა, უფლება აქვს, რომ განმეორებით სხდომა აღარ მოიწვიოს. მაგრამ, თუ სხდომის მოწვევა უკავშირდება კვარტალში ერთხელ მაინც მოწვევას, მაშინ თავმჯდომარე ვალდებულია, სამიჯვჯერ სცადოს სხდომის მოწვევა. სამივე შემთხვევაში მან რვა დღით ადრე უნდა დააგზავნოს შეტყობინება და სავარაუდო დღის წესრიგი.

მესამედ მოწვევისას, თუნდაც რომ ერთი წვერი გამოცხადდეს სხლომაზე, სხლომა უფლებამოსილი იქნება, მიიღოს გადაწყვეტილება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თუ თავმჯდომარეს წელიწადში ორჯერსამჯერ მაინც მოუწია სხლომის რამდენჯერმე განმეორებით მოწვევა იმის გამო, რომ წევრები არ ცხადდებიან სხლომებზე და არ იჩენენ დაინტერესებას სხლომაზე გადაწყვეტილებათა მიღების შესახებ, მაშინ თავმჯდომარეს შეუძლია, ასეთ წევრთა საბჭოდან გაყვანის საკითხი დააყენოს საერთო კრებაზე. თავმჯდომარის ეს უფლება გამომდინარეობს იქიდან, რომ საბჭო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანოა, რომელიც არა მხოლოდ დირექტორების საქმიანობაზე მსჯელობს, არამედ, გარკვეულ ფარგლებში, ერთგვარად მონაწილეობს კიდევ საზოგადოების მართვაში. ამიტომ სხლომების არასაპატიოდ გაცდენა ზიანს აყენებს მთლიანად საზოგადოების საქმიანობას, მის ფინანსურ მდგომარეობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა თავმჯდომარეს უფლება აქვს, და შეიძლება ითქვას, ვალდებულიც არის, პარტნიორთა კრების წინაშე დასვას სხლომების გამცდენი წევრების განთავისუფლების საკითხი.

სხლომაზე წევრები გადაწყვეტილებას იღებენ ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ წესდებით არ არის დადგენილი გადაწყვეტილების ერთხმად მიღება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება ნების გამოვლენას ანუ გარიგებას წარმოადგენს, ამიტომ მის მიმართ მოქმედებს ყველა ის წესი, რაც გარიგებების ბათილობას ეხება, მაგალითად, თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს ან მიღებულია იძულებით, მაშინ იგი სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლების თანახმად, იქნება ბათილი. ასეთ შემთხვევებში, მეწარმეთა შესახებ კანონის 15.2 მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების გაბათილების საკითხი შეიძლება დადგეს მისი მიღებიდან ორი თვის განმავლობაში.

თუმცა აქ ერთი შეკითხვა დგება, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლით, იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან. მაგრამ მეწარმეთა შესახებ კანონის 15.2 მუხლით კი, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის მანძილზე. კითხვა, რომელსაც ეს ორი მუხლი ბადებს არის, თუ რა ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

იძულებით მიღებული გადაწყვეტილება – ერთი წლის მანძილზე თუ ორი თვის მანძილზე?

იქიდან გამომდინარე, რომ ვადა ეხება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, ბუნებრივია, იმოქმედებს მეწარმეთა შესახებ კანონის 15.2 მუხლი. დასახელებული მუხლი იმოქმედებს ყველა შემთხვევაში პარტნიორთა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას თუ სამეთვალყურეო საბჭო. რადგან 15.2 მუხლი ჩანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით არის სპეციალური ნორმა.

გ) სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპენტენცია

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპენტენცია ჩამოყალიბებულია კანონის 55.8 მუხლში, კერძოდ:

ა. სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს დირექტორების საქმიანობას;

კონტროლის განხორციელება დირექტორების საქმიანობაზე არ გულისხმობს ზედამხედველობას საწარმოო პროცესებზე, იმ საქმიანობაზე, რომელიც დირექტორმა უნდა განახორციელოს. დირექტორი დამოუკიდებელი პირია და მის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაში არ უნდა ჩაერიოს სამეთვალყურეო საბჭო, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია 55.8 მუხლით.

„ქართული სამართალი, ავსტრიულის მსგავსად, იძლევა საქმიანობის ნუსხას, რომელთა განხორციელებაც დაშვებულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით. კონტროლი, პირველ ყოვლისა, საქმიანობის ამ სახეობებზე უნდა განხორციელდეს“⁸¹.

ბ. სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორებისგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში, მეკავშირე საწარმოებთან ურთიერთობის ჩათვლით;

ამრიგად, სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზოგადოების საქმიანობის ანგარიში, რომელშიც ასახულია იმ დროისთვის საზოგადოების მიერ გაწეული საქმიანობა, მათ შორის

⁸¹ იოჰანეს ზემლერი, სამეთვალყურეო საბჭო სააქციო საზოგადოებების იერარქიაში. საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში. გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბილისი, 2000 წლის 7-8 მარტი, გვ. 50.

დადებული ხელშეკრულებები, საზოგადოების კრედიტორების შესახებ ინფორმაცია და ა.შ.

გ. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების საღარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა. ამასთან, მას შეუძლია აღნიშნული დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;

აღნიშნული უფლება გულისხმობს საზოგადოების მიერ დადებული ხელშეკრულებების გაცნობას, საბუღალტრო დოკუმენტების გაცნობას და შესწავლას, საზოგადოების კრედიტორების გამოვლენას და ა.შ.

იქიდან გამომდინარე, რომ სამეთვალყურეო საბჭო ღირეპქტორებზე მალლა მდგომი ორგანოა, ღირეპქტორს არ აქვს უფლება, უარი უთხრას საბჭოს დოკუმენტების გაცნობაზე.

გარდა ამისა, საბჭოს უფლება აქვს შემოწმება დაავალოს ერთ-ერთ წევრსაც, ამასთან ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს სპეციალისტები საბუღალტრო დოკუმენტების გასაცნობად.

დ. სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;

საზოგადოების აუცილებლობა შეიძლება დაკავშირებული იყოს მაგალითად, საზოგადოების ქონების მოულოდნელ გაყიდვასთან იმ მიზნით, რათა დაკმაყოფილდნენ კრედიტორები, ანდა, როდესაც მთელი შემადგენლობა გადაწყვეტს, რომ უარი თქვას საბჭოს წევრობაზე და ა.შ.

ე. სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას, ინფორმაციას მდგომარეობის შესახებ და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას;

ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საქმიანობის ანგარიშის, რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოიწვიეს თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები.

ამრიგად, სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს:

1. საზოგადოების წლიურ ანგარიშებს;
2. ღირეპქტორის მხრიდან მოგების განაწილების წინადადებას;
3. ინფორმაციას საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

აღნიშნული ფუნქციის შესამოწმებლად საბჭოს შეუძლია, ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს სპეციალისტი, მაგალითად, აუდიტი და ისე შეამოწმოს წლიური ანგარიშები, მოიპოვოს შესაბამისი ინფორმაცია და ა.შ.

აუდიტის მოწვევის უფლება გამომდინარეობს იქიდან, რომ კანონი არ უკრძალავს საბჭოს სპეციალისტის მოწვევას.

საერთო კრებისადმი ცნობაში საჭკოს შეუძლია მიუთითოს:

1. რომ მან შემოწმების მიზნით, მოიწვია აუდიტი (თუ გადაწყვეტს აუდიტის მოწვევას);

2. რა მოცულობით შეამოწმა საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში;

3. წლიური ანგარიშისა და საქმიანობის ანგარიშის რომელი ნაწილი შეამოწმა;

4. გამოიწვიეს თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები.

საბჭოს შეუძლია დამატებით სხვა საკითხებიც დააფიქსიროს, მაგრამ მათი შემცირების უფლება საბჭოს არ აქვს.

ვ. ღირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა, ასევე მათთან სასამსახურო ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა;

საერთოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არსებობს, ღირექტორს ნიშნავს პარტნიორთა კრება, მაგრამ, თუ სამეთვალყურეო საბჭო არსებობს, მაშინ ღირექტორს ნიშნავს მხოლოდ ეს ორგანო.

ამრიგად, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია:

1. დანიშნოს ღირექტორი;

2. გამოიწვიოს ღირექტორი;

3. დადოს ღირექტორთან სასამსახურო ხელშეკრულება და შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება.

შეუძლიათ თუ არა, პარტნიორებმა წესდებაში ჩაწერონ, რომ ღირექტორებს ნიშნავს არა სამეთვალყურეო საბჭო, არამედ პარტნიორთა კრება?

ასეთის ჩაწერის უფლება პარტნიორებს არ აქვთ, რადგან იგი არ შეესაბამება (ეწინააღმდეგება) კანონს, რომელიც მოითხოვს, რომ ღირ-

რექტორები დანიშნოს სამეთვალყურეო საბჭომ, თუკი ასეთი ორგანო არსებობს. თუ მაინც ჩაწერენ და მას რეგისტრაციაში გაატარებს სასამართლო, მაშინ კანონის 5.8 მუხლის საფუძველზე, ჩანაწერი ჩითვლება ხარვეზად და იგი სამი თვის ვადაში უნდა გამოსწორდეს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ გასწორდება, მაშინ შპს-ის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში უქმდება.

ხელშეკრულების დადების ან შეწყვეტის დროს გამოიყენება თუ არა შრომის კანონთა კოდექსი?

აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ მიუთითა შემდეგი: ღირექტორებს მინდობილი აქვთ რა მთელი საზოგადოების ქონების მართვის და განკარგვის უფლება, მათი განთავისუფლებისას შრომის კანონთა კოდექსი ნორმები არ უნდა იქნეს გამოყენებული, ვინაიდან ამ თანამდებობის პირების განთავისუფლების საკითხში დაყოვნებამ, მათი უფლებამოსილების ფარგლებიდან გამომდინარე, საზოგადოებას შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს. ასეთ შემთხვევაში შრომის სამართლის ისეთი ნორმების გამოყენება, რომელიც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს განსაზღვრავენ, მიზანშეუწონელია¹². ასეთივე აზრია გატარებული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, კერძოდ: „მათ (ე.ი. საბჭოს) მინდობილი აქვთ საზოგადოების ქონება და დაყოვნებამ ღირექტორების გათავისუფლების საკითხში საზოგადოებას შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს“¹³.

დ) სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით განსახორციელებელი საქმიანობები

სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის შემდეგ ღირექტორს შეუძლია განახორციელოს შემდეგი სახის საქმიანობა:

1. საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;

თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გადაწყვეტს, შეიძინოს სხვა საწარმოს, მაგალითად, სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და ა.შ. 50%-ზე მეტი წილი, მაშინ მან ამის შესახებ თანხმობა უნდა მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოსგან.

¹² სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003 წ., №7., გვ. 1808.

ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 42.

ასევე საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა, თუ საზოგადოება დააპირებს, გაასხვისოს 50%-ზე მეტ წილი. მაგალითად, შპს არის ერთ-ერთი პარტნიორი ისევ რომელიმე სხვა შპს-ში ან არის აქციონერი, რომელიმე სააქციო საზოგადოებაში. თუ ეს იგი გადაწყვეტს, გაყიდოს თავისი 50%-ზე მეტი წილი, მან თანხმობა უნდა მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოსგან.

2. უძრავი ქონების და მისი მსგავსი უფლებების შექმნა, გასხვიება, დატვირთვა ან იჯარით გაცემა, აგრეთვე წარმოების იჯარით გაცემა ან მისი საქმიანობის შეწყვეტა;

უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობანაგებობები, რომლებიც მყარად დგანან მიწაზე (სკ 149-ე მუხლი).

არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის *მოთხოვნები* და *უფლებები*, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე (სკ 152-ე მუხლი).

როგორც ვხედავთ, ტერმინი „მისი მსგავსი უფლებები“ მიეკუთვნება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს. რას უნდა შეიცავდეს „მისი მსგავსი უფლებები“? მასში მოიაზრება ისეთი სანივთო უფლებები, როგორებიცაა: აღნაგობა, უზუფრუქტი, სერვიტუტი და იპოთეკა. რას ნიშნავს თითოეული მათგანი?

აღნაგობა, სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, ისეთი უფლებაა, როდესაც პირს მესაკუთრისგან ვაღიან სარგებლობაში მიღებული აქვს მიწის ნაკვეთი ისე, რომ მას უფლება აქვს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობა აღმართოს.

მაგალითად, 40 წლით იჯარით აღება მიწის ნაკვეთისა იმ პირობით, რომ მასზე ააშენებს სასტუმროს და გამოიყენებს მას დანიშნულებისამებრ. მიწის ნაკვეთის იჯარით აღება მასზე სასტუმროს „აღმართვის“ უფლებით უკვე არის აღნაგობის უფლება.

უზუფრუქტი, სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლიდან გამომდინარე, ისეთი უფლებაა, როდესაც პირი ღებულობს მესაკუთრისგან უძრავ ნივთს სარგებლობაში (და არა საკუთრებაში). მას შეუძლია ეს ნივთი გამოიყენოს და მესამე პირებს უფლება არ მისცეს მისით ისარგებლონ.

მაგრამ მესაკუთრისგან განსხვავებით, მას არ აქვს ამ ნივთის გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება.

სერვიტუტი, სამოქალაქო კოდექსის 247-ე მუხლიდან გამომდინარე ისეთი უფლებაა, როდესაც ერთი მესაკუთრის მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე, რომ ამ მესაკუთრეს ჰქონდეს უფლება, ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს პირველი მესაკუთრის მიწის ნაკვეთით ან სხვა უძრავი ქონებით, ანდა პირველ მესაკუთრეს აეკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება, ანდა გამოირიცხოს მისი ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ.

სერვიტუტის უფლება გამოიყენება, მაგალითად, მაშინ, როდესაც პირს თავის მიწის ნაკვეთზე მისასვლელად სხვა გზა არ აქვს და იგი იძულებულია, თავისი მეზობლის მიწის ნაკვეთი გამოიყენოს თავის ნაკვეთზე მისასვლელად.

იპოთეკა, სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, ისეთი უფლებაა, როდესაც უძრავი ნივთი შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა პირის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად.

აქვე დავამატებ, რომ მოძრავი ნივთების მიმართ გამოიყენება ტერმინი „გირავნობა“, რაც შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით თითქმის „იპოთეკის“ იდენტურია.

ამრიგად, უძრავი ქონების და მისი მსგავსი უფლებების შექმნის, გასხვისების, დატვირთვის და იჯარით გადაცემის შემთხვევაში. ღირექტორმა თანხმობა უნდა მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოსგან. როდესაც ვლადარაკობთ იჯარაზე, აქვე მოიაზრება ქირავნობით გადაცემა. რადგანაც იჯარა და ქირავნობა შინაარსობრივად თითქმის ერთი და იგივეა. ამასთან ერთად, სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ იჯარის წესებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამრიგად, თუ შპს-ს ღირექტორი იმ მოტივით, რომ ქირავნობაზე კანონი არ მოითხოვს საბჭოს თანხმობას, დააპირებს საბჭოს თანხმობის გარეშე „გააქირავოს“ უძრავი ნივთი, მისი ეს ქმედება არამართლზომიერად ჩაითვლება.

სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა სჭირდება დირექტორს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი დააპირებს შპს-ის საწარმოს (ქონების) იჯარით გაცემას ან მისი საქმიანობის შეწყვეტას.

3. ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია;

ფილიალის არსზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი (იხ. გვ.17-20) და ამიტომ ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით.

4. წლიური ბიუჯეტის, როგორც საგეგმო ბალანსისა და მოგება-ზარალის გეგმის, ასევე ინვესტიციების გეგმის შედგენა, გრძელვადიანი ვალდებულებით – სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე, ვალდებულებების შეფასება. წლიური ბიუჯეტის შედგენა, რომელიც მოიცავს მოგება-ზარალის გეგმის პროექტს და ინვესტიციების გეგმის პროექტს, ევალუაბა საზოგადოების დირექტორს. წლიური ბიუჯეტის პროექტი განსახილველად გადაეცემა სამეთვალყურეო საბჭოს. მას სრული უფლება აქვს, წლიური ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, გაეცნოს საფინანსო თუ სხვა სახის დოკუმენტებს. წლიური ბიუჯეტის საეკიფიკიდან გამომდინარე, საბჭოს უფლება აქვს, მოიწვიოს საეკიფიკისტი, მაგალითად, აუდიტორი, გააფორმოს მასთან ხელშეკრულება, სადაც შეიძლება ერთ-ერთი პუნქტი კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასაც ეხებოდეს და ისე განიხილოს წარმოდგენილი პროექტი.

რაც შეეხება გრძელვადიანი ვალდებულებით – სამართლებრივ ურთიერთობებს, აქ ისმის კითხვა, თუ როგორი ვადა იგულისხმება „გრძელვადიან ურთიერთობებში“? აღნიშნული ტერმინი გამოიყენება არა მხოლოდ მეწარმეთა შესახებ კანონში, არამედ აგრეთვე სამოქალაქო კოდექსშიც, მაგალითად, ამ კოდექსის 607-ე მუხლის თანახმად: ფრენშაიზინგის ხელშეკრულება *გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა*, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, საეკიფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით, ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურებათა განხორციელებას“.

ამვე კოდექსის 612-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც ისევ ფრენშაიზინგს ეხება, აღნიშნავს: თუ ხელშეკრულების ხანგრძლივობა *აღემატება 10 წელს*, ყოველი მხარე უფლებამოსილია, მოშალოს ხელშეკრულება მოშლისათვის აუცილებელი ერთწლიანი ვადის დაცვით.

ამავე კოდექსის 582-ე მუხლის თანახმად, თუ იჯარის ხელშეკრულება აღება ათ წელზე მეტი ვადით, მაშინ ამ ვადის გასვლის შემდეგ თითოეულ მხარეს შეუძლია, საიჯარო ურთიერთობა მოშალოს 561-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

როგორც ვხედავთ, გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობების საწყის პერიოდად, დაახლოებით, 10 წლამდე ვადა ითვლება, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში, ასეთ საწყისად 5-7 წლიანი ხელშეკრულებებიც შეიძლება მივიჩნიოთ.

ამრიგად, საწარმოს მიერ დადებულ გრძელვადიან ხელშეკრულებებში ვალდებულებების შეფასებას ასევე ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო.

ღირექტორი ვალდებულია, დაემორჩილოს საბჭოს გადაწყვეტილებას. თუ საბჭო არ მოიწონებს წარმოდგენილ პროექტს, მაშინ ღირექტორი ვალდებულია ხელმეორედ შეადგინოს პროექტი და გაითვალისწინოს საბჭოს მიერ გამოთქმული შენიშვნები.

საბჭოს ასეთი გადაწყვეტილება არ ნიშნავს ღირექტორის ფუნქციებში შეჭრას და მის შეზღუდვას. საბჭოსგან „თანხმობის“ მიღება იმასაც გულისხმობს, რომ არ მისცეს თანხმობა. თანხმობის მიუხედავად ნიშნავს პროექტში შეცდომების დანახვას, რაც, თავის მხრივ, ამ შეცდომების გამოსწორებაზე მითითებასაც გულისხმობს.

5. ინვესტიციების დაბანდება ან ამოღება, რომელთა ოდენობა, ცალკე ან სამეურნეო წლის განმავლობაში, აღემატება გასული წლის ბოლოსათვის არსებული მდგომარეობით საზოგადოების მთელი ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს;

ამ პუნქტში იგულისხმება თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ ინვესტიციების დაბანდება და უკვე დაბანდება ინვესტიციების ამოღება და არა შპს-ში სხვა პირის მიერ ინვესტიციების დაბანდებაზე საბჭოს თანხმობა. ინვესტიციის დაბანდება იმას ნიშნავს, რომ საწარმომ უნდა გამოყოს მნიშვნელოვანი ოდენობის თანხები ან სხვა სახის ქონება და დააბანდოს რომელიმე საწარმოში, რათა იქიდანაც მიიღოს გარკვეული სახის მოგება. რა თქმა უნდა, ასეთი ქმედება ფინანსურ რისკთანაც არის დაკავშირებული. ამიტომაც საბჭოს მიერ საკითხის განხილვა და გაანალიზება კიდევ უფრო შეამცირებს შპს-ის ფინანსურ რისკს. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ საბჭოს არაკომპეტენტური წევრების უარმა ღიდი მოგება დააკარგინოს შპს-ს.

აქვე გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, კერძოდ: ლაპარაკია არა საერთოდ ინვესტიციების დაბანდებაზე, არამედ მხოლოდ იმ ოდენობის ინვესტიციებზე, რომელთა ოდენობა ცალკე ან სამეურნეო წლის განმავლობაში, ე.ი. 12 თვის განმავლობაში, აღემატება გასული წლის ბოლოსათვის არსებული მდგომარეობით საზოგადოების მთელი ქონების საბალანსო ღირებულების მხოლოდ 10%-ს.

საბალანსო ღირებულებაში მოიაზრება აგრეთვე საწესდებო კაპიტალის ოდენობაც.

6. სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;

რა განსხვავებაა სესხსა და კრედიტს შორის? კლასიკური გაგებით კრედიტი იგივე სესხს ნიშნავს. თუ დავეყრდნობით სამოქალაქო კოდექსის 623-628 მუხლებს, დავინახავთ, რომ სესხი მოიცავს ფულს ან სხვა სახის გვაროვნულ ნივთს.

სესხი შეიძლება იყოს როგორც პროცენტიანი ისე უპროცენტო. დასახელებული კოდექსი სიტყვა „კრედიტთან“ დაკავშირებით იყენებს ტერმინს „სამომხმარებლო კრედიტი“, მაგალითად, სკ 370-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სამომხმარებლო კრედიტის დროს კრედიტის მიმღებს შეუძლია უარი თქვას კრედიტის დაბრუნებაზე, თუ ამ კრედიტთან დაკავშირებული სასყიდლიანი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შესაგებელი გამყიდველის მიმართ მას მიანიჭებდა თავისი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულება საკრედიტო ხელშეკრულებასთან ერთად ქმნის ურთიერთდაკავშირებულ გარიგებას, თუ კრედიტი ემსახურება შესასყიდი ფასის დაფინანსებას და ორივე ხელშეკრულება განიხილება როგორც ეკონომიკური ერთიანობა. ეკონომიკურ ერთიანობად ჩაითვლება, როცა კრედიტის მიმცემი საკრედიტო ხელშეკრულების მომზადების ან დადების დროს გამყიდველის მონაწილეობას იყენებდა.

კრედიტია არა მარტო სესხი, არამედ ყველა სხვა გადახდის გადავადება და ფინანსური დახმარება⁸⁴.

⁸⁴ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, 2001 წ., გვ. 300.

სამომხმარებლო კრედიტი მიჩნეულია როგორც მიზნობრივი კრედიტი, რომელიც გამოიყენება ხანგრძლივად მოხმარებადი საგნების შესაძენად, როგორებიცაა ავტომობილი, მაცივარი და ა.შ.⁵.

ამრიგად, სამეთვალყურეო საბჭოს უნდა ქონდეს წინასწარ განსაზღვრული, თუ რა ოდენობის სესხებისა და კრედიტების აღების შემთხვევაშია საჭიროა მათი თანხმობა. თუ ასეთი ოდენობა დადგენილი არ არის, მაშინ ღირექტორს შეუძლია, ნებისმიერი ოდენობის სესხის აღების საკითხი თავად გადაჭრას.

7. სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას. ამგვარი უზრუნველყოფა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და ღირექტორების მიმართ დაუშვებელია;

რას ნიშნავს სიტყვა „უზრუნველყოფა“? ეს სიტყვა პირველად გვხვდება სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლში ანუ მესამე კარის მეექვსე თავში, რომლის სახელწოდებაცაა „საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება“. ამ თავის მიხედვით, არსებობს მოძრავი ნივთების მიმართ – გირავნობა, ხოლო უძრავი ნივთების მიმართ – იპოთეკა. ორივე მათგანი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა. ამათ გარდა კოდექსი იცნობს უზრუნველყოფის სხვა საშუალებებსაც, მაგალითად, თავდებობას. ამრიგად, თუ შპს-ის ჩვეულებრივი საქმიანობა არ არის სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, მაშინ ღირექტორი ვალდებულია, სესხის ან კრედიტის უზრუნველყოფის რომელიმე ფორმის გამოყენების ნებართვა აიღოს სამეთვალყურეო საბჭოსგან. კანონით აკრძალულია, რომ ღირექტორმა გამოიყენოს უზრუნველყოფის ფორმა თავად საბჭოს წევრის ან საზოგადოების რომელიმე სხვა ღირექტორის მიმართ.

8. ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახით შეწყვეტა;

პირველი კითხვა, რომელიც შეიძლება დაგვებადოს, ეს არის, თუ რას ნიშნავს ეკონომიკური საქმიანობა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მივმართოთ საგადასახადო კოდექსს. კოდექსის მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილით ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა,

⁵ იქვე, გვ. 301.

რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მი-
საღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ ამ მუხლით
სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ეკონომიკურ საქმიანობას
არ განეკუთვნება:

ა) სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართვე-
ლობის ორგანოების საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავში-
რებული მათთვის კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციის შესრულე-
ბასთან, გარდა ხელშეკრულების საფუძველზე, ფასიანი მომსახურების
გაწევასა და სხვა სამეწარმეო საქმიანობისა;

ბ) საქველმოქმედო საქმიანობა;

გ) რელიგიური საქმიანობა.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ეკონომიკური საქმიანობა
იყოფა სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად და არასამეწარმეო ეკო-
ნომიკურ საქმიანობად.

მე-4 ნაწილით კი სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი
პუნქტით განსაზღვრული საქმიანობა, აგრეთვე ისეთი ეკონომიკური
საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სავაჭრო გარიგებების ან სხვა
სამეურნეო ოპერაციების სახით, მათ შორის ფასიანი ქაღალდების ან
სხვა ქონების შექმნასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული ეკონო-
მიკურისაქმიანობა, თუ არ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) ასეთი საქმიანობა ხორციელდება სისტემატურად და არნიშნული
ოპერაციების განმავლობაში პირის პროფესიული საქმიანობაა;

ბ) გამყიდველის მიერ ხდება მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული
მომსახურების რეალიზაცია;

გ) ასეთი ოპერაციები ხორციელდება სავაჭრო, სავაჭრო-საშუამავლო
(დილერის საქმიანობის ჩათვლით) ან საშუამავლო საქმიანობის ფარ-
გლებში.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეკონომიკურ საქმიანობას მიეკუთვნება
ასევე არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობაც. ასეთ საქმიანობად
დასახელებული მუხლის მე-6 ნაწილით ითვლება პირის მიერ სხვა

პირისათვის საფასურის გადახდით ქონების (მათ შორის, ფულადი სახსრების) დროებით მფლობელობაში, მართვაში ან სარგებლობაში გადაცემა, ამ ქონებაზე ან მის ნაწილზე საკუთრების უფლების გადაცემისა და ქონების შემდგომი გასხვისების შესაძლებლობის გარეშე. ასეთი გადაცემა არ უნდა განეკუთვნებოდეს ფინანსურ საქმიანობას და ქონების მიმღები პირისათვის არ უნდა წარმოშობდეს გადაცემული ქონების მიზნობრივ გამოყენებასთან დაუკავშირებელ დამატებით ვალდებულებებს ან ამ ქონების ფლობისათვის, მართვისათვის ან ამ ქონებით სარგებლობისათვის საფასურის გადახდასთან დაკავსირებულ ვალდებულებებს, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამავე მუხლის მე-ნ ნაწილით კი არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას განეკუთვნება:

- ა) დაქირავებით მუშაობა;
- ბ) ფულადი სახსრების განთავსება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში;
- გ) ქონების იჯარით გადაცემა, გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- დ) ქონების მართვა მინდობილობით.

დასახელებული მუხლის მე-7 ნაწილი კი მიუთითებს, რომ თუ მე-4 ნაწილით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას უთანაბრდება საწარმოს საწესდებო კაპიტალში წილის ან ფასიანი ქაღალდების შეძენა (რეალიზაცია), ობლიგაციების და სხვა სავალო ვალდებულებათა შეძენა (რეალიზაცია), საპაიო საინვესტიციო ფონდში პაის შეძენა (რეალიზაცია), აგრეთვე გამყიდველის საკუთრებაში არსებული საავტორო ან სხვა ანალოგიური უფლებების რეალიზაცია.

ამრიგად, ეკონომიკურ საქმიანობად შეიძლება ჩავთვალოთ, მაგალითად, სამშენებლო საქმიანობა, რომელსაც ეწევა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. თუ ეს საზოგადოება გადაწყვეტს სამშენებლო საქმიანობა შეწყვიტოს და დაიწყოს ახალი საქმიანობა, კერძოდ, საქართველოში იმპორტული მანქანების ნასყიდობა, მაშინ დირექტორმა ამის შესახებ თანხმობა უნდა მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოსგან.

9. სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;

სამეურნეო პოლიტიკაში იგულისხმება საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ისეთი მეთოდებისა და საშუალებების შემუშავება, რომლებიც საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს, მაგალითად, საზოგადოება ახორციელებს საკონდიტრო ნაწარმის დამზადებასა და გაყიდვას, ამასთან, მას აქვს გამოუყენებელი შენობა და მიწის ნაკვეთი, იმისათვის, რომ საზოგადოებამ მიიღოს დამატებითი შემოსავალი, ამიტომ საჭიროა შენობა იჯარით გაიყოს საძირკვლის ვადით. მიღებული შემოსავლით მოხდება მიწის ნაკვეთის მოხვნა, სიმინდის დათესვა და სახორცე ფრინველის მოშენება და გამრავლება.

რა თქმა უნდა, ამ ორიოდე სიტყვით არ გამოიხატება სამეურნეო პოლიტიკის განსაზღვრა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს პატარა მაგალითი გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს.

სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპები რამდენიმე გვერდზე რაც შეიძლება ნათლად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს, რაც ბევრადაა განპირობებული საზოგადოების ხელმძღვანელის ცოდნასა და გამოცდილებაზე.

სამეურნეო პოლიტიკის განსაზღვრა უნდა ეყრდნობოდეს საზოგადოების წინა წლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგებს, იმ დადებით და უარყოფით მხარეებს, რაც საზოგადოებას ახალი პოლიტიკის განსაზღვრამდე ჰქონდა.

სამეურნეო პოლიტიკაში იგულისხმება აგრეთვე საზოგადოების გეგმური სისტემაც, მაგალითად, წარმოების დაგეგმვა, რეკლამის დაგეგმვა, გასაღებისა და შემოსავლის დაგეგმვა და ა.შ.

10. ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა;

აღნიშნული წესი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საწარმოს განვითარების პროცესში. საწარმოს წარმატება თუ წარუმატებლობა უნდა აისახებოდეს მისი ხელმძღვანელების შემოსავალზეც. საზოგადოების ფინანსური შემოსავლის ზრდასთან ერთად, შესაბამისად უნდა იზრდებოდეს მისი ხელმძღვანელის შემოსავალიც. ხელმძღვანელთა შემოსავალი შეიძლება გაიზარდოს ყოველწლიური ხელფასების გაზრდით, თუ რა თქმა უნდა იზრდება საზოგადოების შემოსავალი, ანდა საზოგადოების მოგებიდან

გარკვეული ოდენობის პროცენტების მიცემით, ყოველწლიური პონორარებით და ა.შ.

ხელმძღვანელი, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება შეაღწია საზოგადოების განვითარებას, რასაკვირველია, პენსიაზე გასვლის შემდეგ იმსახურებს საწარმოსგან პენსიას. ამიტომაც დირექტორის მიერ შემუშავებული პენსიის მიცემის უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრასაც სჭირდება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა.

11 სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა. რას ნიშნავს სავაჭრო წარმომადგენელი?

მეწარმეთა შესახებ კანონის 11.1 მუხლის თანახმად, სავაჭრო წარმომადგენლად მიიჩნევა პირი, რომელიც საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის ურთიერთობებში შუამავლობს ან დებს გარიგებებს სხვა საწარმოს სახელითა და ხარჯით ისე, რომ თვითონ არ არის დასაქმებული ამ საწარმოში.

სავაჭრო წარმომადგენლად მიიჩნევა აგრეთვე დამოუკიდებელი მოვაჭრე, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით და ხარჯით, თუმცა უპირატესად იმყოფება სხვა საწარმოს სავაჭრო ორგანიზაციის შემადგენლობაში ისე, რომ მოზიდული მუდმივი კლიენტურა სხვა საწარმოს განეკუთვნება და ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ ეს კლიენტურა მას რჩება.

რაც შეეხება პროკურისტს, მის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ამრიგად, თუ დირექტორი გადაწყვეტს იყოლიოს სავაჭრო წარმომადგენელი – პროკურისტი ან გამოიწვიოს იგი, მან ამის შესახებ ნებართვა უნდა მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოსგან.

§ 3. დირექტორატი

ა) დირექტორის ცნება

დირექტორატი (დირექტორი) არის „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ საწარმოთა აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს საწარმოს მიმდინარე საქმიანობას და უფლებამოსილია,

მესამე პირების წინაშე მინდობილობის გარეშე წარმოადგინოს საწარმო⁶⁶.

დირექტორს, თუ საზოგადოებას სამეთვალყურეო საბჭო არ ჰყავს, ნიშნავს და სასამსახურო ხელშეკრულებას აფორმებს შპს-ის პარტნიორთა კრება. აქვე ისმის კითხვა, ვინ აწერს ხელს ხელშეკრულებაზე?

ხელშეკრულებაზე ხელს აწერს პარტნიორთა კრების თავჯდომარე. თუ ყველა პარტნიორი მოაწერს ხელს ხელშეკრულებაზე და მათი რაოდენობა ბევრია, მაშინ ხელმოწერილი გვერდების რაოდენობა შეიძლება 15-მდე ავიდეს. ამიტომ საკმარისია ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს კრების თავჯდომარე.

საკორპორაციო ურთიერთობათა პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც პარტნიორების ერთი ნაწილი დირექტორებად ნიშნავს მათთვის სასურველ პირებს, ხოლო მეორე ნაწილი კი – მათთვის სასურველს. მაგალითად შპს „მასვალოს“ წესდებით გათვალისწინებულია, რომ დირექტორთა საბჭოში ნ დირექტორიდან სამს ნიშნავს ერთი პარტნიორი, ხოლო დანარჩენ სამს კი მეორე პარტნიორი⁶⁷.

ვფიქრობ, რომ ასეთი წესი მისაღებია, თუმცა იგი პარტნიორებს შორის გარკვეულ უნდობლობაზეც შეიძლება მიანიშნებდეს.

დირექტორად შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი და არა. იურიდიული პირი. ამიტომ, როდესაც ერთი ფიზიკური პირია დამფუძნებელი, მას შეუძლია თავადაც იყოს დირექტორი, მაგრამ, თუ მხოლოდ იურიდიული პირია დამფუძნებელი, მაშინ მან დირექტორად უნდა მოიწვიოს ფიზიკური პირი.

სიტყვა „დირექტორის“ ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი ტერმინები, რომლებიც ღღეს პრაქტიკაშია გავრცელებული, მაგალითად, პრეზიდენტი, გენერალური დირექტორი, მმართველი და ა.შ. მთავარია, რომ საზოგადოებას ჰყავდეს აღმასრულებელი პირი, რომელიც ხელმძღვანელისა და წარმომადგენლის ფუნქციას შეასრულებს.

საზოგადოების დაფუძნების მომენტიდან დირექტორის დანიშვნის პროცესი ასე იწყება: პარტნიორები როდესაც საზოგადოების წესდებას

⁶⁶ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003 წ., №1., გვ. 166.

⁶⁷ 1996 წლის 30 აგვისტოს თბილისის მთაწმინდის რაიონის დადგენილებით რეგისტრირებული შპს „მასვალი“, წესდების 6.1 პუნქტი. წყარო – სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003 წ., №1., გვ. 162.

შეიმუშავებენ, ნიშნავენ ღირექტორსაც. მის ძირითად ფუნქციას განსაზღვრავენ წესდებაშიც და მასთან გაფორმებულ სასამსახურო ხელშეკრულებაშიც. ამის შემდეგ, ღირექტორი ნოტარიუსის თანდასწრებით აკეთებს ხელმოწერის ნიმუშს, რომელსაც ადასტურებს ნოტარიუსი. ღირექტორის თაობაზე აღინიშნება საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ განცხადებაშიც, კერძოდ, მასში უნდა აღინიშნოს ყოველი ღირექტორის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი (კანონი მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5.4.3 „გ“).

საზოგადოების ეკონომიკური განვითარება ძირითადად დამოკიდებულია ღირექტორის ცოდნაზე, გამოცდილებაზე და ორგანიზებულობაზე. ამიტომ ღირექტორი არა მხოლოდ სრულწლოვანი, არამედ აგრეთვე კეთილსინდისიერი და საწარმოს მართვის უნარის მქონე პირიც უნდა იყოს. თუკა, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, რომ ღირექტორად დაინიშნოს არასრულწლოვანიც, თუკი ამის უფლებას მიანიჭებს მისი კანონიერი წარმომადგენელი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმების შემდეგ (სამ. კოდ. 65-ე მუხლი).

შპს-ის ღირექტორი შეიძლება იყოს როგორც პარტნიორთა შემადგენლობიდან, ასევე მოწვეული პირი, მათ შორის უცხოელიც.

„ღირექტორი“ როგორც სტატუსი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაციის შემდეგ იგი ხდება საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმომადგენელი. ამრიგად, ღირექტორი საკორპორაციო სამართალში უკავშირდება მხოლოდ საზოგადოების ხელმძღვანელისა და წარმომადგენლის სტატუსს, რომელსაც დატოვებული აქვს სასამართლოში ხელმოწერის ნიმუში.

როგორც სწორად მიუთითებს ლ. ჭანტურია „ტერმინს „ღირექტორი“ კანონი იმ პირთა აღსანიშნავად იყენებს, რომელთაც კანონის ძალით მინიჭებული აქვთ უფლება სამეწარმეო საზოგადოებები წარმოადგინონ მესამე პირებთან ურთიერთობაში და უხელმძღვანელონ საწარმოს საქმიანობას“⁸⁸.

რატომ ვამაზვიელებ ყურადღებას ასეთ დეტალებზე?

საქმე ისაა, რომ პრაქტიკაში არის შემთვევები, როდესაც საზოგადოებას ხელმძღვანელობს გენერალური ღირექტორი, ხოლო ცალკეულ საქმიანობას

⁸⁸ ლ. ჭანტურია თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 118 – 119.

კი ხელმძღვანელობს დირექტორი, მაგალითად, ე.წ. კომერციული დირექტორი. სინამდვილეში კი ამ დირექტორს არ აქვს ხელმოწერის ნიშნულში დატოვებული სასამართლოში, არ არის რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში და არც წარმომადგენლობის უფლება აქვს მინიჭებული საზოგადოებისგან. ასეთი დირექტორი საზოგადოების სახელით დებს ხელშეკრულებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს და ა.შ. ხელშეკრულების მეორე მხარე როდესაც იგებს, რომ საქმე აქვს საზოგადოების დირექტორთან, აფორმებს ხელშეკრულებას, რადგანაც თვლის, რომ მას დირექტორის – წარმომადგენლის უფლებამოსილება აქვს მინიჭებული სამეწარმეო რეესტრის საფუძველზე. რა თქმა უნდა, ისეთ დირექტორს, რომელსაც არც რეესტრისა და არც მინდობილობის საფუძველზე არ აქვს წარმომადგენლის უფლება მინიჭებული, არა აქვს უფლება, დადოს ხელშეკრულება და გამოვიდეს საზოგადოების სახელით.

ამიტომ, ხელშეკრულების მეორე მხარე ყოველთვის უნდა დაინტერესდეს დირექტორის უფლებამოსილების შესახებ, რათა შემდგომში არ დადგეს ხელშეკრულების ბათილობის საკითხი.

დირექტორის უფლებამოსილებას, საქმეთა განხილვის დროს ყურადღება უნდა მიაქციოს სასამართლომაც. რატომ ვამახვილებ ყურადღებას აღნიშნულ საკითხზე?

ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მოპასუხე შპს-ს წარმოადგენს საზოგადოების ისეთი დირექტორი, რომელიც სამეწარმეო რეესტრში არ არის რეგისტრირებული დირექტორად. სასამართლო ხედავს რა, რომ სასამართლოს უწყებაზე და სხვა საბუთებზე ამ დირექტორის ხელმოწერებია, იჯერებს, რომ იგი არის ის დირექტორი, რომელსაც აქვს უფლება, ილაპარაკოს საზოგადოების სახელით. ამიტომ ასეთი დირექტორი თავისუფლად მონაწილეობს პროცესებზე. ზოგჯერ თავად „დირექტორმაც“ კი არ იცის, რომ მას არა აქვს უფლება, გამოვიდეს საზოგადოების სახელით, რადგანაც ეს ის დირექტორი არ არის, რომელსაც მეწარმეთა შესახებ კანონი მოაზრებს. არის შემთხვევები, როდესაც ასეთი დირექტორის უფლებამოსილებით არც პროცესის მეორე მხარე ინტერესდება, მით უმეტეს, თუ მას პროცესამდე ამ დირექტორთან ჰქონდა ურთიერთობები.

სასამართლოს დაინტერესება დირექტორის სტატუსით არ არღვევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ

შეჯიბრობითობის პრინციპს, რადგანაც სასამართლო ყოველთვის უნდა დაინტერესდეს პირს მიანიჭა თუ არა მარწმუნებელმა, ჩვენს შემთხვევაში კანონმა, წარმომადგენლობის უფლებამოსილება. აქვე გასათვალისწინებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს შეუძლიათ, საქმე აწარმოონ სასამართლოში იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს.

თუ სასამართლო არ შეამოწმებს პირის წარმომადგენლობის უფლებამოსილებას და ისე მისცემს მას შესაძლებლობას, ილაპარაკოს საზოგადოების სახელით, ასეთ შემთხვევებში საზოგადოებას ყოველთვის შეუძლია მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ადვილად გააუქმებინოს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას იმ მოტივით, რომ „დირექტორს“ არ ჰქონდა უფლებამოსილება, გამოსულიყო საზოგადოების სახელით, რადგანაც იგი არ იყო რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში როგორც დირექტორი და საზოგადოებისგან არც სპეციალური მინდობილობა გააჩნდა.

ბ) დირექტორის მოადგილე

პრაქტიკაში ასევე გავცელებულია დირექტორის მოადგილის ინსტიტუტი. მოადგილე ფაქტობრივად ზოგჯერ დირექტორის ფუნქციასაც ასრულებს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის უფლება. ამიტომ პირი, რომელიც მოადგილესთან სამართლებრივ ურთიერთობაში შედის, უნდა დაინტერესდეს, აქვს თუ არა მას უფლება, საზოგადოების სახელით დადოს რაიმე გარიგება ან შეასრულოს რაიმე სხვა მოქმედება.

სასურველია, მოადგილემ წარმოუდგინოს წერილობითი უფლებამოსილება, რომელიც საზოგადოების დირექტორის მიერ იქნება ხელმოწერილი. რადგანაც მოადგილე თითქმის დირექტორის ფუნქციას ასრულებს, განსაკუთრებით კი მისი არყოფნისას, სასურველია, რომ დირექტორის მოადგილეს თავად პარტნიორთა კრებამ (სამეთვალყურეო საბჭომ) აიძინოს და დაინშნოს.

რით არის გამოწვეული ასეთი შესაძლებლობის დაშვება?

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოადგილე ფაქტობრივად იგივე უფლებებს ახორციელებს რასაც დირექტორი. ასეთივე ფართო უფლებები გააჩნია პროკურისტსაც, ანუ მოადგილესა და პროკურისტს შორის შეიძლება ერთგვარი კავშირიც დაეინახოთ. რადგანაც პროკურის გაცემისთვის საჭიროა პარტნიორთა კრების თანხმობა, რატომ არ უნდა იყოს ასეთი თანხმობა საჭირო პირის მოადგილედ დანიშნისათვის?

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ძალიან იშვიათია შემთხვევა, როდესაც კრება ნიშნავს მოადგილეს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც კრება ანიჭებს მოადგილეს გარკვეული საკითხის მოგვარების უფლებას, მაგალითად, შპს „ევრომარკეტის“ პარტნიორთა კრებამ თავისი გადაწყვეტილებით, კრედიტის აღების და მისი უზრუნველყოფის მიზნით, შპს-ის ქონების იპოთეკით დატვირთვის საკითხის მოგვარება დაავალა დირექტორის მოადგილეს⁸⁹.

მოცემულ შემთხვევაში, უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოადგილე უფლებამოსილი იყო, ამასთან – ვალდებულიც, გაეფორმებინა საკრედიტო და იპოთეკის ხელშეკრულება⁹⁰.

აღნიშნულ საკითხს, კერძოდ, დირექტორის მოადგილის ინსტიტუტს ითვალისწინებს გერმანიის კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ. ამ კანონის 44-ე მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ დირექტორთან დაკავშირებული წესები ასევე მოქმედებს დირექტორის მოადგილის მიმართაც.

ჩვენი კანონი ასეთ წესს არ ადგენს, ამიტომ სასურველია, რომ მოადგილის დანიშვნა კრების ფუნქციებში შევიდეს. უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება მოადგილის დანიშვნა დირექტორსაც მიანდონ, ოღონდ კარგი იქნება, თუ ეს ფუნქცია, უფლება, მასთან დადებულ ხელშეკრულებაში ან საზოგადოების წესდებაში იქნება შეტანილი.

აგებს თუ არა დირექტორი პასუხს მისი მოადგილის მიერ საზოგადოებისადმი მიყენებული ზიანისათვის?

მოადგილის მიმართ შეიძლება გამოვიყენოთ ზემოთ აღნიშნული გერმანული წესის არსი, კერძოდ, მოადგილემ კეთილსინდისიერად უნდა

⁸⁹ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წ., №9, გვ. 1503.

⁹⁰ იქვე.

შეასრულოს მისი ფუნქციები, მის მიმართაც უნდა მოქმედებდეს ხელმძღვანელი პირებისადმი მოქმედი კონკურენციის წესები და ა.შ. ამიტომ ვფიქრობ, ღირექტორი პასუხს არ უნდა აგებდეს მოადგილის ქმედებებისათვის, რადგანაც მოადგილის მიმართ ცალკე გამოიყენება ღირექტორისთვის გათვალისწინებული ძირითადი ინსტიტუტები, კერძოდ, კეთილსინდისიერება, კონკურენცია და ა.შ. მაგრამ, თუ ღირექტორის მითითებით მოადგილე შეასრულებს გარკვეულ მოქმედებას და ამით ზიანს მიაყენებს საზოგადოებას, მაშინ, რა თქმა უნდა, მოადგილესთან ერთად სოლიდარულად უნდა აგოს პასუხი ღირექტორმაც.

მოადგილე ასევე ვერ გახდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც, რადგანაც მოადგილე როგორც ამას ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა და ასევე საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკა გვიჩვენებს, საზოგადოების ხელმძღვანელთა სიაში მოიაზრება, ხელმძღვანელი კი ვერ იქნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

გ) ხელმძღვანელობითი საქმიანობა

ქართული სამართალი, მსგავსად გერმანული სამართლისა, ერთმანეთისგან განასხვავებს ღირექტორის დანიშვნას, როგორც კორპორაციულ აქტს, რომელიც ანიჭებს უფლებამოსილებას და შრომის ხელშეკრულებას, რომელიც შეიცავს სამუშაოს აღწერას, ვალდებულებებს და სხვა მომენტებს (ხელფასი, შვებულება და ა.შ.)⁹¹.

ხელმძღვანელობითი საქმიანობის დაწყების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს მასთან დადებული შრომის ხელშეკრულება.

დასახელებული ხელშეკრულება არ მიეკუთვნება იმ დოკუმენტებს, რომლებიც წარდგენილი უნდა იქნენ სასამართლოში საზოგადოების რეგისტრაციისათვის. როდესაც მეწარმეთა შესახებ კანონის 5.4.3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი მიუთითებს, რომ წარმოდგენილ იქნეს დოკუმენტები ღირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს (თუკი ასეთი არსებობს) წევრების დანიშვნის შესახებ – აქ იგულისხმება დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილება ღირექტორის დანიშვნის შესახებ, რადგანაც სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ღირექტორი ნამდვილად დამ-

⁹¹ Martin Pelzer, Jermyn P. Brooks, German Law pertaining to companies with limited liability, 1987, p. 25.

ფუძნებლებმა დანიშნეს და მათი გადაწყვეტილების საფუძველზე ატარებს რეესტრში ფიზიკურ პირს ღირექტორად.

შრომის ხელშეკრულება არ წარმოადგენს სასამართლო რეგისტრაციისათვის მნიშვნელოვან დოკუმენტს, რადგანაც მასში ასახულია მხოლოდ ღირექტორსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა, ღირექტორის უფლებები და მოვალეობები, პასუხისმგებლობა და ა.შ. ასეთი დოკუმენტი მესამე პირისთვის შეიძლება ნაკლებ საინტერესო იყოს. მისთვის მთავარია, რომ პირს მინიჭებული ჰქონდეს ღირექტორის სტატუსი, ხოლო თუ ღირექტორს გარკვეული მოქმედებისათვის ესაჭიროება რომელიმე ორგანოსგან თანხმობა, ეს შეიძლება სასამართლოში არსებული წესდებიდანაც გაირკვეს.

სასამსახურო ხელშეკრულება უნდა დაიდოს საზოგადოების დაფუძნებისას. მაგრამ საზოგადოების საქმიანობის პროცესში შეიძლება შეიცვალოს ღირექტორი ახალი ღირექტორით. ასეთ შემთხვევაში პარტნიორთა კრება მასთან დებს ახალ სასამსახურო ხელშეკრულებას.

ღირექტორს ნიშნავს პარტნიორთა კრება, მაგრამ ისმის კითხვა თუ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, პარტნიორთა ხმების უმრავლესობით თუ ერთხმად?

კარგი იქნება, თუ ეს საკითხი წესდებით მოწესრიგდება, მაგრამ, თუ წესდებით არ არის მოწესრიგებული, მაშინ შპს-ს ბუნებიდან გამომდინარე, საკითხი ხმების უმრავლესობით უნდა გადაწყდეს.

მეწარმეთა შესახებ კანონი არ უთითებს ხელშეკრულების ფორმაზე, კერძოდ, ზეპირი უნდა იყოს იგი თუ წერილობითი, მაგრამ მისი სპეციფიკიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა წერილობით უნდა გაფორმდეს.

სასამსახურო ხელშეკრულებას ხელს აწერს ღირექტორობის კანდიდატი და პარტნიორთა კრების თავმჯდომარე. სასამსახურო ხელშეკრულებას არ სჭირდება ნოტარიალური დადასტურება.

სასამსახურო ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ღირექტორის მართვის უნარის გამოვლენისათვის გამოსაცდელ ვადასაც⁹². რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს საგამოცდო ვადა? საგამოცდო ვადა შეიძლება ექვს თვემდეც გაგრძელდეს. ვფიქრობ, რომ ღირექტო-

⁹² ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 410.

რისთვისაც ექვს თვემდე საგამოცდლო ვადის მიცემა აბსოლუტურად საკმარისია რათა პარტინორებმა დაინახონ მისი ხელმძღვანელობითი შესაძლებლობები.

როგორ ხდება შრომის ხელშეკრულების გაფორმება, როდესაც შპს-ის დამფუძნებელი ერთი პირია და თავადაც არის დირექტორი? საერთოდ სჭირდება კი მას სასამსახურო ხელშეკრულება?

როდესაც ერთი პირია დამფუძნებელი და თავადაც არის დირექტორი, მას აღარ ესაჭიროება სასამსახურო ხელშეკრულების გაფორმება. ასეთი დასკვნა აიხსნება იმით, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ყველა საკითხს, მაგალითად, ხელფასი, დასვენების დრო, შრომის უსაფრთხო პირობები და ა.შ. თავად იგი წყვეტს. ასევე არასწორი ხელმძღვანელობისთვის მის განთავისუფლებასაც ვერავინ შეძლებს. ამდენად, სრულიად ზედმეტია და არც შეიძლება რომ მან გაიფორმოს სასამსახურო ხელშეკრულება, როგორც საზოგადოების წარმომადგენელმა, თავის თავს მინიჭოს გარკვეული უფლებები და დააკისროს მოვალეობები. ეს ფაქტორი, შეიძლება იმის ერთ-ერთ მიზეზად მივიჩნიოთ, რომ სასამსახურო ხელშეკრულება არ მიეკუთვნება სასამართლოში სარეგისტრაციო დოკუმენტების რიცხვს.

რა იგულისხმება საზოგადოების ხელმძღვანელობაში?

საზოგადოების ხელმძღვანელობა ის პირი, რომელიც ახორციელებს ხელმძღვანელობით საქმიანობას. მეწარმეთა შესახებ კანონით 9.2 მუხლის თანახმად, ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს.

რა იგულისხმება პირდაპირ ან არაპირდაპირ მომსახურებაში?

პირდაპირი საქმიანობის გარკვევა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, რადგანაც თითქმის ნებისმიერი საქმიანობა, რომელსაც დირექტორი საზოგადოების სახელით ახორციელებს, არის პირდაპირი საქმიანობა, მაგალითად, საზოგადოების სახელით დებს ნასყიდობის (ყიდვაყიდვის) ხელშეკრულებას, იჯარის ხელშეკრულებას, თანამშრომლებთან დებს შრომის ხელშეკრულებას და ა.შ.

არაპირდაპირი საქმიანობაც გარკვეულ ფარგლებში თავსდება საზოგადოების სახელით განხორციელებულ საქმიანობაში, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ ამ დროს ყოველთვის ნათლად არ ჩანს საზოგადოებისათვის განხორციელებული მოქმედება, მაგალითად, ბათუმში

ივლისის თვეში ეწყობა უცხოელ ბიზნესმენებთან შეხვედრა, რომელიც ერთ კვირას გასტანს. თბილისში დაარსებული შპს-ის დირექტორი ჩადის ბათუმში, რათა გაიცნოს ისეთი ბიზნესმენი, რომელიც შემდგომში დაინტერესდება საწარმოში ინვესტიციების ჩადებით. ამ მიზნით მას ბათუმში უწევს ერთი კვირით გაჩერება. ყოველივე ამის გამო, დირექტორს უწევს საზოგადოების თანხების ხარჯვა.

რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის გარკვევას, უკავშირდება თუ არა დირექტორის მოქმედება ხელმძღვანელობით საქმიანობას?

საქმე ისაა, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის 9.7 მუხლიდან გამომდინარე, დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

თუ დირექტორი არ შეასრულებს ამ მოვალეობას, მაშინ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანისათვის აგებს პასუხს.

მაგალითად, შპს-ის დირექტორი საზოგადოების ავტომანქანას და მძღოლს იყენებს არა მხოლოდ საზოგადოების მიზნებისათვის (გამოცხადდეს სამსახურში, შეხედეს მომავალი ხელშეკრულების მხარეს და ა.შ), არამედ აგრეთვე იმისათვისაც, რომ თავისი ოჯახის წევრები სხვადასხვა სამუშაოზე მიიყვანოს ან დასასვენებლად გაგზავნოს. ასეთ შემთხვევებში, რა თქმა უნდა, საზოგადოების თანხები იხარჯება, რითაც საზოგადოება მატერიალურ ზარალს განიცდის. ასეთ დროს პარტნიორებს (სამეთვალყურეო საბჭოს, თუკი ასეთი არსებობს) შეუძლიათ, დირექტორს მოსთხოვონ ზარალის ანაზღაურება.

ვფიქრობ, ასევე შეიძლება დირექტორების ქმედება ჩათვალონ არაკეთილსინდისიერად, როდესაც იგი საზოგადოების მიმღე ეკონომიური მდგომარეობის მიუხედავად შეწირულობის სახით გადასცემს სხვა ორგანიზაციას დიდი ოდენობით თანხას.

ასევე არ მიგვაჩნია სწორად დირექტორის მხრიდან დიდი ოდენობით პრემიების და სხვა სახის ფულადი ჯილდოების გადაცემა თანამშრომლებისთვის იმ დროს, როდესაც საზოგადოებას ჰყავს კრედიტორები და თავად განიცდის მიმღე ფინანსურ მდგომარეობას. მით უმეტეს, თუ

პრემიების და ჯილდოების გაცემა არ არის გათვალისწინებული თანამშრომლებთან დადებული შრომის ხელშეკრულებით.

არაპირდაპირი მომსახურების დროს მნიშვნელობა არ აქვს შედეგებს, მაგალითად, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითში ღირექტორის ჩასვლას ბათუმში, შეიძლება რაიმე დადებითი შედეგი არ მოჰყვეს, მაგრამ მისი ქმედება მიმართულია საზოგადოების ინტერესებისადმი.

ამრიგად, ღირექტორმა ხელმძღვანელობითი საქმიანობა, ანუ მასზე დაკისრებული მოვალეობები კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის წინაშე შეიძლება დადგეს არა მხოლოდ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი, არამედ აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც, მაგალითად,

შპს-ის ქონების ქურდობისათვის, მითვისება-გაფლანგვისათვის, ნივთის დაზიანება-განადგურებისათვის და ა.შ. ღირექტორს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იგი საზოგადოების წარმომადგენელია, საზოგადოებას კი აქვს საკუთარი ქონება, რომელსაც ღირექტორი უნდა უფრთხილდებოდეს.

ღირექტორის მოვალეობად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე პარტნიორების მხრიდან საწესდებო კაპიტალის სრულად შეტანა. აქ გვულისხმობ შემთხვევას, როდესაც დამფუძნებლებს საზოგადოების რეგისტრაციამდე შეაქვთ შესატანის ნახევარი, ხოლო რეგისტრაციის შემდეგ უნდა შეიტანონ დარჩენილი შესატანი. საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ ღირექტორი ვალდებულია, კონტროლი გაუწიოს საზოგადოების საწესდებო კაპიტალის სრულად შევსებას.

ისმის კითხვა, *თუ ღირექტორი დაემორჩილება პარტნიორთა გადაწყვეტილებას და შეასრულებს ისეთ მითითებას, რომელიც არ შედის მათ ფუნქციებში, მაშინ წარმოშობილი ზარალისათვის აგებს თუ არა ღირექტორი პასუხს საზოგადოების წინაშე?*

ამ საკითხზე პირდაპირ პასუხს იძლევა მეწარმეთა შესახებ კანონის 9.7 მუხლის ბოლო წინადადება, კერძოდ, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად, საზოგადოების ხელმძღვანელის ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ის მოქმედებდა პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად. მაგალითად, პარტნიორთა კრებაზე გადაწყდა, რომ ღირექტორს სასწრაფოდ გაეფორმებინა ხელშეკრულება ორგანიზაციასთან და მისთვის დაემზადებინა მაგიდები.

ღირექტორმა იცოდა, რომ საზოგადოებას ამისათვის არ ჰქონდა საკმარისი ხის მასალა, ხოლო რაც გააჩნდა, ისიც დაბალი ხარისხის იყო, მაგრამ არ უნდოდა წასულიყო პარტნიორთა კრების წინააღმდეგ და დათანხმდა ხელშეკრულების გაფორმებას. მართლაც, ღირექტორმა ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულების შესრულება და კრედიტორს მიაყენა დიდი ოდენობით ზიანი. ასეთ შემთხვევაში დადგება ღირექტორის პირადი ქონებით პასუხისმგებლობის საკითხიც.

აღნიშნულ მუხლს სასამართლო პრაქტიკაც შესაბამის განმარტებას აძლევს, კერძოდ, 9.7 მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, საზოგადოების ხელმძღვანელი დამოუკიდებელი პირია. ღირექტორი არ უნდა იყოს პარტნიორის გადაწყვეტილებათა ბრმა შემსრულებელი, პირიქით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან მას არ ათავისუფლებს ის გარემოებაც, რომ იგი პარტნიორთა გადაწყვეტილების შესასრულებლად მოქმედებდა⁹³.

რა შედეგს ღირექტორის იმ პირად ქონებაში რომლითაც იგი პასუხს აგებს?

ეს კითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ღირექტორს ჰყავს მეუღლე. საქმე ისაა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლიდან გამომდინარე, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მაგალითად, საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს, რომ, რასაც ქორწინების განმავლობაში ქმარი ან ცოლი შეიძენს, ის იქნება მხოლოდ მისი საკუთრება და მეორე მეუღლეს მასზე არ ექნება თანასაკუთრების უფლება.

მაგრამ, თუ ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს, მაშინ ღირექტორი, მეუღლესთან ერთად, საერთო ქონებით აგებს პასუხს. ღირექტორს შეუძლია სარჩელის შეტანამდე ან სარჩელის განხილვის პროცესშიც გაყიდოს ან გააჩუქოს თავისი ქონება. კრედიტორი ასეთ შემთხვევაში შეიძლება მართლაც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს. ამიტომ კრედიტორს შეუძლია გაითვალისწინოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ორი მნიშვნელოვანი მუხლი, კერძოდ, მუხლი 191-ე: მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის

⁹³ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003 წ., №1, გვ. 166.

შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე მითითებას იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს საჭიროდ. მუხლი 192-ე, 1-ლი ნაწილი: განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუღებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძრვამდე.

ამრიგად, კრედიტორს შეუძლია, სარჩელის შეტანამდე შეიტანოს განცხადება სასამართლოში და მოითხოვოს მოვალის ქონებაზე ყადაღის დადება. ამის გაკეთება მას შეუძლია სასამართლო პროცესის განმავლობაშიც, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასამართლომ შეიძლება გაამართლოს დირექტორი და ყადაღის დადება მის ქონებაზე შესაძლოა მას ზიანი მიაყენოს, ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლოს უფლება აქვს, ასეთ შემთხვევაში კრედიტორს მოსთხოვოს მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

აქვთ თუ არა უფლება პარტნიორებს ნებისმიერ დროს გაანთავისუფლონ დირექტორი?

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, კერძოდ: დირექტორის კეთილსინდისიერებასა და სამეწარმეო უნარ-ჩვევებზე დამოკიდებული საწარმოს განვითარება და შესაბამისად, პარტნიორთა სამეწარმეო წარმატებები, ამიტომ დირექტორისათვის საწარმოს მართვისა და ქონების განკარგვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ, პარტნიორებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება, ნებისმიერ დროს გაანთავისუფლონ დირექტორი და ამ შემთხვევაში შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნები (იგულისხმება 1973 წელს მიღებული დღეს მოქმედი კოდექსი) არ შეიძლება გავრცელდეს⁹⁴.

ლ. ჭანტურიას მიერ გამოთქმულია საინტერესო მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს, დირექტორი დროებით ჩამოაცილოს საქმიანობას ისე, რომ იგი არ გაანთავისუფლოს

⁹⁴ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №7, გვ. 715.

თანამდებობიდან⁹. ვფიქრობ, რომ ასეთივე უფლება შეიძლება გამოყენებული იქნეს პარტნიორთა კრების მიერაც, თუ სამეთვალყურეო საბჭო არ მოქმედებს შპს-ში.

ღირექტორის განთავისუფლებასთან დაკავშირებით ისმის ერთი საინტერესო კითხვა – პარტნიორთა კრებაზე დარჩენილ უმცირესობაში მყოფ პარტნიორებს, შეუძლიათ თუ არა სარჩელით მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ, რომ სასამართლომ დაავალდებულოს პარტნიორთა უმრავლესობას, რომ გაანთავისუფლოს ღირექტორი (ან თავად გაანთავისუფლოს ღირექტორი).

ვფიქრობ, თუ საზოგადოების, ანდა პარტნიორთა ინტერესებიდან გამომდინარე შეძლებენ წარმოადგინონ მტკიცებულებები ღირექტორის არაკეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის შესახებ (მაგალითად, ზედმეტად ხარჯავს თანხებს, საბუშაოდ ღებულობს საწესდებო კაპიტალში მხოლოდ დიდი წილის მქონე პარტნიორების ახლობლებს და აძლევს მაღალ ანაზღაურებას, მატერიალურ შეღავათებს უწყსებს დიდი წილის მქონე პარტნიორებს, საზოგადოების ხარჯზე მათ უშვებს დასასვენებლად და ა.შ.), მაშინ სასამართლოს უფლება უნდა ჰქონდეს, ან თავად მიიღოს გადაწყვეტილება ღირექტორის განთავისუფლების შესახებ ან კრებას დაავალდებულოს ასეთი გადაწყვეტილების მიღება.

დ) ღირექტორი როგორც წარმომადგენელი

საერთოდ, წარმომადგენლობა ან კანონიდან გამომდინარეობს ან წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე.

ღირექტორი საზოგადოების კანონიერი წარმომადგენელია. ასეთი განცხადება მიუთითებს იმის შესახებ, რომ მას არ სჭირდება სპეციალური მინდობილობა მესამე პირების წინაშე. ღირექტორი რომ საზოგადოების წარმომადგენელია, ეს ჩანს მეწარმეთა შესახებ კანონის 9.4 მუხლიდან, რომელიც აღნიშნავს, რომ ღირექტორები საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში.

⁹ ლ. ჭანტურია, სააქციო საზოგადოების ღირექტორების კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება ქართულ სამართალში. ზემოთ დასახელებული მეორე ქართულ-გერმანული სიმპოზიუმი. 2003 წ., 5-6 ივნისი.

შეუძლია თუ არა დირექტორმა თავად შეიძინოს საზოგადოების ქონება?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლი, კერძოდ, თუ თანხმობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით დადოს გარიგება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად.

ამრიგად, თუ პარტნიორებისგან წესდებაში ან თუნდაც სასამსახურო ხელშეკრულებაში დირექტორს მინიჭებული აქვს უფლება, საზოგადოების სახელით შეიძინოს ნივთი, ანუ საზოგადოების სახელით თავის თავთან დადოს ხელშეკრულება, მაშინ დირექტორს შეუძლია ხელშეკრულების გაფორმება. მაგალითად, საზოგადოებამ გადაწყვიტა გაეიღოს კომპიუტერი, გამყიდველი იქნება საზოგადოება – წარმომადგენელი დირექტორი, ხოლო მყიდველი იქნება დირექტორი, ოღონდ როგორც ფიზიკური პირი და არა როგორც საზოგადოების დირექტორი.

საზოგადოებას შეიძლება ჰყავდეს როგორც ერთი, ასევე რამდენიმე დირექტორი. ეს საკითხი მოწესრიგებული უნდა იყოს საზოგადოების წესდებით. მეწარმეთა შესახებ კანონის 9.3 მუხლით, საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი დირექტორის მიერ საზოგადოების ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილებას, მაგრამ აგრეთვე აწესებდეს, რომ ორი დირექტორი მხოლოდ ერთობლივად შეიძლება გაუძღვეს საზოგადოებას, ანდა ყველა დირექტორი ვალდებული იყოს, ერთად გასწიონ ხელმძღვანელობა.

როდესაც საზოგადოებას რამდენიმე დირექტორი ჰყავს არ არის აუცილებელი დოკუმენტებზე ყველა დირექტორის ხელმოწერა იყოს დაფიქსირებული, საკმარისია ერთმა დირექტორმაც შეასრულოს ხელმოწერა.

სასამართლო პრაქტიკაც ამასვე იზიარებს, კერძოდ, თუ საზოგადოებას ჰყავს რამდენიმე დირექტორი, საზოგადოებასთან გარიგების დადებისათვის საკმარისია ნების გამოვლენა ერთ-ერთი დირექტორის მიმართ. საზოგადოების ინტერესების დასაცავად ასევე საკმარისია, ერთ-ერთმა დირექტორმა წარმოადგინოს საზოგადოება სასამართლოში⁹⁶.

⁹⁶ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003 წ. №1, გვ. 166.

აღნიშნული წესი არ იმოქმედებს, თუ წესდებაში ეწერება, რომ დოკუმენტს იურიდიული ძალა ენიჭება ორივე დირექტორის ხელმოწერის მომენტიდან. ასეთმა წესმა შეიძლება გარკვეული სახის სირთულეც შექმნას, მაგალითად, შეიძლება ერთ დირექტორს უნდოდეს დოკუმენტზე – ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, ხოლო მეორე უარს აცხადებდეს. ასეთ შემთხვევაში საკითხი არ გადაწყდება.

ამრიგად, როდესაც საზოგადოებას ჰყავს რამდენიმე დირექტორი, უმჯობესია, თუ პარტნიორები წესდებაში განსაზღვრავენ მათი მოქმედებისა და უფლებამოსილების ფარგლებს.

დირექტორების წარმომადგენლობითი ფუნქცია მესამე პირების წინაშე არ შეიძლება შეიზღუდოს პარტნიორთა კრების მიერ ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, თუკი ასეთი ორგანო არსებობს. მაგრამ თუ დირექტორს ესაჭიროება სხვა ორგანოსგან, მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოსგან ზოგიერთ საკითხზე გადაწყვეტილებისათვის თანხმობის მიღება, მაშინ იგი ვალდებულია, მიიღოს ეს თანხმობა. რა თქმა უნდა, სიტყვა “თანხმობა” არ ნიშნავს აუცილებლად დადებითი პასუხის გაცემას, შეიძლება სამეთვალყურეო საბჭომ უარი უთხრას დირექტორს თანხმობის გაცემაზე მაშინ იგი ვეღარ შეასრულებს მოქმედებას.

დირექტორი საზოგადოების სახელით მონაწილეობს სასამართლო პროცესებზეც. აქვე ისმის კითხვა – *სჭირდება თუ არა მას სპეციალური მინდობილობა?*

დირექტორს არ სჭირდება სპეციალური მინდობილობა, რადგანაც როგორც წარმომადგენელი იგი კანონმა აღიარა. მაგრამ იმისათვის, რათა სასამართლო დარწმუნდეს, რომ დირექტორი რეგისტრირებულია რეესტრში და ამდენად, კანონიერი წარმომადგენლის ფუნქცია აქვს მინიჭებული, საჭიროა, რომ მოითხოვოს რეესტრიდან ამონაწერი ან გადაწყვეტილება (დადგენილება) საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ, სადაც აღნიშნული იქნება დირექტორის ვინაობის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლიდან გამომდინარე, იურიდიულ პირებს შეუძლიათ, საქმე აწარმოონ სასამართლოში იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით შეუძლია ამ იურიდიული პირის სახელით იმოქმედოს.

დირექტორს, რომელსაც წესდებით და რეესტრით მინიჭებული აქვს საქმეთა წარმოების უფლებამოსილება, აღარ ესაჭიროება მინდობილობა

და იმ სპეციალური უფლებამოსილების მინიჭება რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი, კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმა, სარჩელის ცნობა, სარჩელის საგნის შეცვლა და ა.შ.

აღნიშნულ საკითხებს დირექტორი თავად წყვეტს. თუ დირექტორი თავისი ქმედებით ზარალს მიაყენებს საზოგადოებას, მაგალითად, ცნო სარჩელი და ამით მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მაშინ როდესაც მისი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, მაშინ პარტნიორთა კრებას შეუძლია არა მხოლოდ გაანთავისუფლოს დირექტორი თანამდებობიდან, არამედ აგრეთვე მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც.

თუ დირექტორი, როგორც საზოგადოების წარმომადგენელი დადებს ისეთ გარიგებას, რომლის დადების უფლებაც მას არ ჰქონდა და ეს იცოდა ხელშეკრულების მეორე მხარემ, საზოგადოებას შეუძლია ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში მიმართოს სარჩელით სასამართლოს და მოითხოვოს გარიგების ბათილობა.

თვრამეტეიანი ვადა ხანდაზმულობის ვადად არის მიჩნეული, რაც იმას ნიშნავს, რომ თვრამეტი თვის შემდეგ სასამართლოს ვეღარ მიმართავენ თავიანთი უფლებების დასაცავად. ასეთივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და ხელშეკრულების მხარე – კონტრაქენტი განზრახ მოქმედებენ ერთად რათა ზიანი მიაღვეს იმ საზოგადოებას, რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლით.

„წარმომადგენელში“ მოიაზრება არა მხოლოდ დირექტორი, არამედ აგრეთვე პროკურისტიც, სავაჭრო წარმომადგენელიც და ა.შ.

ვინ უნდა მიმართოს სასამართლოს სარჩელით დირექტორის მიერ დადებული იმ გარიგების ბათილობის მოთხოვნით, რომლის დადების უფლებაც მას არ ჰქონდა?

მეწარმეთა შესახებ კანონის 47.3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე პარტნიორთა კრებას შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება და წარმოადგინოს საზოგადოება იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს. აღნიშნული წესი მაშინაც გამოიყენება, როდესაც დირექტორი და პროკურისტი ერთად მოქმედებდნენ საზოგადოების წინააღმდეგ.

შეიძლება თუ არა ღირეკტორი იყოს პარტნიორის წარმომადგენელი?
რასი შეიძლება გამოვლინდეს ასეთი წარმომადგენლობა? საქმე ისაა, რომ ღირეკტორი არის საზოგადოების კანონიერი წარმომადგენელი, მაგრამ ეს ხელს არ უშლის გარიგების საფუძველზე იყოს საზოგადოების პარტნიორის წარმომადგენელი ამ შემთხვევაში. ასეთ დროს, ღირეკტორს შეუძლია პარტნიორის სახელით მიიღოს გადაწყვეტილება, მოიწვიოს კრება და ა.შ.

უზენაესმა სასამართლომაც თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „გ. კ-ძის მიერ მითითებულ დღის წესრიგში ჩამატებულ იქნა ერთი საკითხი, რომლის უფლებაც ღირეკტორს, როგორც საზოგადოების პარტნიორ თ. შ-აეას წარმომადგენელს, ჰქონდა. „⁹⁷“.

ე) ღირეკტორისთვის კონკურენციის აკრძალვა. *რას ნიშნავს კონკურენცია?*

საქართველოს კანონში მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ, კონკურენცია განსაზღვრულია როგორც ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედი ეკონომიკური აგენტის მეტოქეობა, რის პროცესშიც თითოეული მათგანის ქმედება ზღუდავს მეტოქის შესაძლებლობას, უპირატესობა მოიპოვოს ბაზარზე და ხელს უწყობს მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის წარმოებას.

ამავე კანონით ეკონომიკური აგენტი (მეწარმე სუბიექტი) განმარტებულია როგორც იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, განურჩევლად საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა და საქმიანობის ზასიათისა.

მეწარმეთა შესახებ კანონის 9.6 მუხლიდან გამომდინარე, ღირეკტორებს არ აქვთ უფლება, პარტნიორთა თანხმობის გარეშე მისდიონ იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან ღირეკტორის სახით.

თანხმობა შეიძლება გასცეს იმ ორგანომ, რომელიც ნიშნავს ღირეკტორს. ასეთად კი მიჩნეულია პარტნიორთა კრება, ხოლო თუ შპს-ს

⁹⁷ სუსგ სამოქალაქო საქმეზე, 2001 წ., №1, გვ. 48.

პყავს სამეთვალყურეო საბჭო, მაშინ ამ საბჭომ უნდა მისცეს თანხმობა ღირეკტორებს, რომ ისინი იყენენ ღირეკტორები ან პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები სხვა მსგავსი ტიპის საზოგადოებაშიც.

მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია 9.6 მუხლის მეორე აბზაციც, კერძოდ, თუ პარტნიორებმა (სამეთვალყურეო საბჭომ) იცოდნენ, რომ ახლად დანიშნული ღირეკტორი სხვა მსგავს საზოგადოებაშიც მუშაობდა ღირეკტორის სტატუსით, ან იყო პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი, მაგრამ მისთვის არ მოუთხოვიათ ამ საქმიანობის შეწყვეტა, მაშინ ღირეკტორს შეუძლია გააგრძელოს ღირეკტორად მუშაობა.

ამრიგად, ღირეკტორს შეიძლება აეკრძალოს კონკურენციული საქმიანობა, თუ არსებობს ორიდან ერთ-ერთი შემთხვევა მაინც, კერძოდ:

1. იგი მისდევს იმავე საქმიანობას, რასაც საზოგადოება და
2. ღებულობს მონაწილეობას მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან ღირეკტორის სახით.

რა იგულისხმება „იმავე საქმიანობაში“?

მაგალითად, შპს „უალკოჰოლო სასმელები“ ღირეკტორი იყო ვახტანგ სიგუა. აღნიშნული საზოგადოება ასხამდა მსხლისა და ატმის ლიმონათს. ვახტანგ სიგუა იყო აგრეთვე სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გურამ ბექელაძე და კომპანია სპს-ის“ პარტნიორი. ეს საზოგადოება ასხამდა ვაშლისა და ალუბლის ლიმონათს. ჩაითვლება თუ არა, რომ სიგუა მისდევდა იმავე საქმიანობას რასაც შპს „უალკოჰოლო სასმელებში“?

რა თქმა უნდა, რადგანაც ლაპარაკია, თუ რომელი უალკოჰოლო სასმელი დაიმკვიდრებს ადგილს ბაზარზე. გარდა ამისა, ღირეკტორმა შეიძლება გამოიყენოს სპს-ში მუშაობისას ის ცოდნა და კავშირები, რასაც მოიპოვებს შპს-ში.

ამრიგად, იმავე საქმიანობაში შეიძლება ვიგულისხმოთ ერთი და იგივე სახის საქმიანობა, თუნდაც განსხვავებული ხარისხის და დასახელებების.

მაგრამ ერთი და იგივე საქმიანობას ვერ ვუწოდებთ, მაგალითად, ლიმონათის ჩამოსხმას და ღვინის ჩამოსხმას.

როგორც ვხედავთ, შპს-ის დირექტორებს არ ეკრძალებათ წარმართონ სამეწარმეო საქმიანობა და დაღონ ცალკეული გარიგებები საზოგადოების საქმიანობის ფარგლებს გარეთ⁹⁸. მთავარია, დირექტორებმა კონკურენცია არ გაუწიონ იმ საზოგადოებას, რომელსაც ისინი წარმოადგენენ.

ზემოთ მოყვანილი მუხლიდან გამომდინარე ისმის ორი კითხვა, **კერძოდ:**

ა) პარტნიორებმა თანხმობა ერთხმად უნდა გამოხატონ თუ ხმების უმრავლესობით?

ბ) თანხმობა წერილობით უნდა გაიცეს თუ ზეპირად?

პირველ კითხვასთან დაკავშირებით უნდა ავლინშნოთ, რომ, თუ ეს საკითხი არ არის დარეგულირებული წესდებაში, მაშინ იქიდან გამომდინარე, რომ შპს-ისთვის დამახასიათებელია გადაწყვეტილებების მიღება ხმათა უმრავლესობით,⁹⁹ ამიტომ მიზანშეწონილია აღნიშნული საკითხიც ხმების უმრავლესობით გადაწყდეს.

რაც შეეხება მეორე კითხვას, აქ კანონი სპეციალურ ფორმაზე არ უთითებს, მაგრამ ძირითადად მაინც მოიაზრება პარტნიორთა სხდომის ოქმი, სადაც დაფიქსირდა მათი გადაწყვეტილება. შეიძლება ასევე აღნიშნული საკითხი დაფიქსირდეს დირექტორთან სასამსახურო ხელშეკრულებაშიც. უკანასკნელ შემთხვევაში, დავის არსებობისას შეიძლება გამოყენებული იქნეს მოწმეთა ჩვენებებიც ან წერილობითი მტკიცებულებები.

რა შედეგები დადგება თუ დირექტორი არ დაემორჩილება პარტნიორთა მოთხოვნას – შეწყვეტოს კონკურენციული საქმიანობა სხვა საზოგადოებაში?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ზემოთ დასახელებული 9.6 მუხლის მესამე აბზაცი. მოცემული აბზაციდან გამომდინარე, თუ დირექტორი არ დაემორჩილება პარტნიორთა მოთხოვნას, კონკურენციული საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე, მაშინ იგი ვალდებულია, პარტნიორთა გადაწყვეტილების (ხოლო თუ სამეთვალყურეო საბჭო ჰყავთ, მაშინ ამ საბჭოს

⁹⁸ ლიკა ქინქლაძე – კონკურენციის აკრძალვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების დირექტორებისათვის. დასახელებული მეორე ქართულ-გერმანული სიმპოზიუმი მასალები. 2003 წ.

⁹⁹ საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბილისი, 2000 წ., გვ. 98.

გადაწყვეტილებით) საფუძველზე უკან დააბრუნოს ამ საქმიანობით მიღებული სიკეთე, დათმოს გასამრჯელოს მიღების მოთხოვნები და აანაზღაუროს საზოგადოებისთვის მიყენებული ზარალი.

ჩაითვლება თუ არა კონკურენციად, თუ შპს-ში, რომელიც კერავს ტანსაცმელს, დაფუძნა შპს ან სხვა სახის საზოგადოება, რომელიც ასევე კერავს ტანსაცმელს და დირექტორი ორივე საზოგადოებაში ერთი და იგივე პირია?

ასეთ შემთხვევაში დირექტორის საქმიანობა არ ჩაითვლება კონკურენციად, რადგანაც მეორე საზოგადოება ითვლება შეილობილ საწარმოდ, ხოლო ასეთი საწარმო არ არის მიჩნეული კონკურენტ საწარმოდ. უფრო მეტიც, მისი დამფუძნებელი საწარმო დანტერესებულია მისი ფინანსური გაძლიერებით, რადგანაც თავად იღებს დივიდენდებს მის მიერ დაფუძნებული საწარმოდან. ამიტომ პრაქტიკაში ურჩევნიათ დამფუძნებელი საწარმოს დირექტორი იყოს დაფუძნებული შპს-ის დირექტორიც.

კონკურენციის აკრძალვა გრძელდება თუ არა საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესშიც?

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, კონკურენციის აკრძალვა მიზნად ისახავს, რომ დირექტორმა არ გამოიყენოს შეძენილი ინფორმაცია, ტექნოლოგიები, კლიენტის შეძენის გზები და სხვა მეთოდები იმ მეორე საზოგადოებაში, სადაც ის ასევე არის დირექტორი ან პარტნიორ – ხელმძღვანელი და ამით ზიანი არ მიაყენოს იმ საზოგადოებას სადაც პირი პირველად იქნა არჩეული დირექტორად.

ზიანის მიყენება აბსოლუტურად შესაძლებელია აგრეთვე ლიკვიდაციის პერიოდშიც, მით უმეტეს, თუ ლიკვიდაცია დიდხანს გრძელდება. გარდა ამისა ხომ შეიძლება რომ ლიკვიდაციის ან გაკოტრების პროცესი შეწყდეს იმ მიზეზით, რომ მონიხზოს ახალი თანხები, ინვესტიციები და საზოგადოება გადაურჩეს გაუქმებას. თუ იმ პროცესებში დირექტორის მიმართ არ იმოქმედებს კონკურენციის აკრძალვა, მაშინ შესაძლებელია, რომ ახლად გადარჩენილ საზოგადოებას გამოუჩნდეს ძლიერი კონკურენტი იმ საზოგადოების სახით, რომელშიც დირექტორი ლიკვიდაციის პროცესში დამატებით იმუშავებს ისევე დირექტორის სტატუსით.

ამიტომ ლიკვიდაციისა და გაკოტრების პროცესშიც უნდა მოქმედებდეს კონკურენციის აკრძალვის ინსტიტუტი.

თავი VII. პარტნიორთა უფლებები და მოვალეობები

§ 1. წილის გასხვისება და შექმნა

მეწარმეთა შესახებ კანონის 46.1 მუხლიდან გამომდინარე პარტნიორს უფლება აქვს, გაასხვისოს თავისი წილი. გასხვისებაში იგულისხმება წილის სხვის საკუთრებაში გადაცემა, რაც შეიძლება მოხდეს, მაგალითად, გაყიდვით, გაცვლით, გარუქებით და ა.შ.

რა არის წილი?

შპს-ის საწესდებო კაპიტალში შეტანილი უნდა იქნეს მინიმუმ 2000 ლარი ან შესაბამისი ღირებულების ქონება. იმისათვის, რომ საწესდებო კაპიტალი შეივსოს, ყოველმა დამფუძნებელმა, ხოლო შემდგომში ეს შეიძლება გააკეთოს ახლად შემოსულმა პარტნიორმაც, უნდა შეიტანოს გარკვეული ოდენობის თანხა (ან შესაბამისი ღირებულების ქონება – ნივთი, უფლება ან მოთხოვნა). ამ შენატანის მიხედვით განისაზღვრება პარტნიორის უფლება-მოვალეობები და აქედან გამომდინარე, წილიც. როგორც უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა „საზოგადოების წილად მიიჩნევა უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა, რომელიც პირს აქვს შპს-ის წევრობიდან გამომდინარე“¹⁰⁰. ეს აზრი გავრცელებულია აგრეთვე გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაშიც¹⁰¹.

პარტნიორი წილის ოდენობის შესაბამისად ღებულობს მოგებას სამეურნეო წლის ბოლოს, კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისას წილის ოდენობით განისაზღვრება პარტნიორის ხმებიც, წილის ოდენობით განისაზღვრება კრების მოწვევის მოთხოვნის უფლებაც და ა.შ.

მაგრამ არ შეიძლება პარტნიორმა ცალკე გაასხვისოს ხმის უფლება, რადგან პარტნიორობა და ხმის უფლება განუყოფელია¹⁰².

იქედან გამომდინარე, რომ უფლებები და მოვალეობები პარტნიორის საკუთრებას წარმოადგენს, მას შეუძლია იგი გაასხვისოს წილის სახით.

¹⁰⁰ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 271. აგრეთვე სუსგ სამოქალაქო საკმებზე, 2001 წ., №1, გვ. 5.

¹⁰¹ Kommentar zum GmbH Gesetz. II. Band. §.14. 1983.

¹⁰² Kommentar zum GmbH Gesetz. II. Band. §.47. 19. 1983.

წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს წილის გასხვისები-სათვის საზოგადოების ნებართვა ან პარტნიოროთა კრების გადაწყვეტი-ლება.

ამრიგად, წილის ყოველნაირ გადაცემას არ სჭირდება პარტნიოროთა ნებართვა, მაგალითად, დავალების ხელშეკრულებით (მინდობილობით) წილის გადაცემისათვის არაა საჭირო საზოგადოების ნებართვა ან პარტნიოროთა კრების გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ წილის გადაცემასთან დაკავშირებით „დავალების შესრულებისას საჭირო არაა იგივე წესების გამოყენება, რაც მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად წილის გასხვისებისთვისაა საჭირო“¹⁰³.

ვინ იგულისხმება საზოგადოების ნებართვის გამცემად?

საზოგადოების სახელით მოქმედებს დირექტორი, იგი არის მისი წარმომადგენელი და საზოგადოების ხელმძღვანელი, ამიტომ, როდესაც ვამბობთ „საზოგადოების ნებართვა“ – საზოგადოების სახელით ლაპარაკობს დირექტორი. ამდენად, საზოგადოების ნებართვის გამცემად ძირითადად დირექტორი უნდა მოვიაზროთ, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანო პარტნიოროთა კრებაა, შეიძლება ეს საკითხი კრებამაც გადაწყვიტოს. ამიტომ წესდებაში უნდა აისახოს, საზოგადოების ნებართვაში ვის მოიაზრებენ, დირექტორს თუ პარტნიორებს? პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც წესდებაში პირდაპირ არის გადატანილი კანონის 46.4 მუხლის ფორმულირება „წილის გასხვისებისათვის საჭიროა საზოგადოების ნებართვა ან პარტნიოროთა კრების გადაწყვეტილება“. რა თქმა უნდა, წესდებაში ამის ჩაწერა არასწორია და ამაზე ნოტარიუსმაც და სასამართლოს რეგისტრატორმაც უნდა მიაქციონ ყურადღება. სინამდვილეში კანონი უფლებას აძლევს დამფუძნებლებს, ამოირჩიონ ორი შესაძლებლობიდან ერთ-ერთი, კერძოდ, ან საზოგადოების ნებართვა, ანდა პარტნიოროთა კრების გადაწყვეტილება. წესდებით შესაძლებელია, რომ წილის გასხვისება დამოკიდებული იყოს ერთი პარტნიორის ნებართვაზეც¹⁰⁴.

¹⁰³ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №12. გვ. 1402.

¹⁰⁴ Kommentar zum GmbH Gesetz №15.1 – 1983,

ასევე შესაძლებელია, რომ წესდებით აიკრძალოს წილის გასხვისება გარეშე პირებზე – არაპარტნიორებზე¹⁰⁵, ანდა წილი შეიძლება გასხვისდეს მხოლოდ ისეთი პროფესიის ადამიანებზე, რომელ პროფესიასაც ფლობენ პარტნიორები. მაგალითად, სამმა სტომატოლოგმა დააფუძნა შპს, წესდებაში ჩაწერეს, რომ წილის გასხვისება შეიძლება იმ პირზე, რომელსაც სტომატოლოგის პროფესია აქვს და საზოგადოებაში იმუშავეს სტომატოლოგად. თუ პარტნიორი წილს გაასხვისებს იგი აღარ ჩაითვლება საზოგადოების პარტნიორად. პარტნიორის გასვლა საჭიროებს სავალდებულო რეგისტრაციას და პარტნიორი გასულად ჩაითვლება ცვლილების რეგისტრაციის მომენტიდან¹⁰⁶. გასული პარტნიორის ადგილს დაიკავენ ის პირი, რომელიც შეიძენს წილს, მაგრამ წილის შემძენი არ ჩაითვლება პარტნიორად, თუ იგი არ გატარდება სამეწარმეო რეესტრში, რადგანაც ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ პარტნიორის სტატუსი, მხოლოდ რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ მოიპოვება.

წილის შემძენი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. *შეიძლება თუ არა წილი შეიძინოს არასრულწლოვანმა?* არასრულწლოვანს შეუძლია შეიძინოს წილი, ოღონდ სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების გათვალისწინებით.

აღნიშნულ მუხლებს მე ადრე შევეხე და აქ მათ აღარ განვმარტავ. *რა ფორმით შეიძლება დაიდოს წილის გასხვისების ხელშეკრულება?* ამ კითხვაზე პასუხს იძლევა მეწარმეთა შესახებ კანონის 46.3 მუხლი, კერძოდ, პარტნიორის მიერ წილის დათმობა მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას. ეს წესი სავალდებულოა მხარეებისთვის და მისი შეცვლის უფლება მათ არ აქვთ. ხელშეკრულება ნოტარიულად შეიძლება დამოწმდეს ნებისმიერ ნოტარიუსთან. არ არის სავალდებულო, რომ მაინდამაინც იმ რაიონის ნოტარიუსმა დაამოწმოს, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება საზოგადოება ან ხელშეკრულების მხარე.

ნოტარიულად უნდა დამოწმდეს აგრეთვე პარტნიორის შეთანხმება იმის თაობაზე, რომ იგი იღებს ვალდებულებას, მომავალში წილის გაასხვისების შესახებ. ასეთი შეთანხმება შეიძლება დაფიქსირდეს წეს-

¹⁰⁵ იქვე.

¹⁰⁶ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წ., №9, გვ. 1596.

დებაშიც და საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგაც, ცალკე ხელშეკრულებით.

თუ მთლიანი წილის გასხვისება თავისუფლად შეიძლება მოხდეს, წილის ნაწილის გასხვისებისათვის კი უკვე აუცილებელია საზოგადოების ნებართვა, მაგალითად, თუ პარტნიორს საწესდებო კაპიტალში აქვს 30% წილი და გადაწყვეტს, გაყიდოს 15%, თანხმობა უნდა მისცეს საზოგადოებამ – დირექტორატმა¹⁰⁷. წილი შეიძლება რამდენიმე ნაწილად დაიყოს და გაიყიდოს. საზოგადოების ნებართვაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემძენის პიროვნება და თანხა, რომელიც შეესაბამება დაუნაწევრებელი შესატანის გაყოფის შედეგად წარმოშობილ თითოეულ წილს.

შეიძლება თუ არა საზოგადოების თანხმობა გაიყოს ზეპირი ფორმით?
კანონი ამაზე პირდაპირ პასუხს არ იძლევა, მაგრამ კანონის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებართვა გულისხმობს წერილობით ფორმით დაფიქსირებას.

რის საფუძველზე კეთდება ეს დავსკვნა?

კანონის 46.5 მუხლში წერია, რომ „ნებართვაში უნდა აღინიშნოს შემძენის პიროვნება და თანხა“. ამდენად, შემძენის პიროვნებისა და თანხის აღნიშვნა მხოლოდ წერილობითი ფორმით შეიძლება.

როდესაც პარტნიორის მიერ გასასხვისებელი წილის ნაწილი ფულად თანხაში გამოიხატება, იგი უნაშთოდ უნდა გაიყოს ათზე (მეწ. შეს. კან. 45. მუხ.). მაგალითად, პარტნიორს საწესდებო კაპიტალში შეტანილი ჰქონდა 1000 ლარი, რომელიც უდრიდა წილის 50%. გადაწყვიტა გაეყიდა 25% წილი, რომელიც 500 ლარს უდრის. ახალმა პარტნიორმა იყიდა წილის ნაწილი 25%, მისი შესატანი გახდება 500 ლარი, რომელიც უნაშთოდ იყოფა 10-ზე.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, თუ წესდებით სხვა წესი არ არის გათვალისწინებული, პარტნიორს შეუძლია, თავისუფლად გაასხვისოს თავისი ერთიანი წილი, მაგრამ ამ წილიდან ნაწილის გასხვისებისას აუცილებლად უნდა მიიღოს თანხმობა საზოგადოებიდან.

¹⁰⁷ Martin Peltzer/Jermyn P. Brooks – Comments on the German GmbH – Law. 1987. p.16. აგრეთვე, E nno W. Ercklentz – Modern German Corporation Law v. 2. 1979. p. 431.

წილის ნაწილის გასხვისებაც უნდა დამოწმდეს ნოტარიალურად, მაგალითად, პარტნიორმა მიჰყიდა ან აჩუქა თავისი წილის ნაწილი სხვა პირს. ხელშეკრულებაზე ხელს აწერენ მხარეები და ამოწმებს ნოტარიუსი.

თუ აღნიშნული წესი არ იქნება დაცული, მაშინ სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილით, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება.

დავუშვათ შპს დააფუძნა ერთმა პირმა. მან გადაწყვიტა წილის ნაწილის, მაგალითად, 50%-ის გაყიდვა, ვისგან უნდა მიიღოს თანხმობა? ანდა სჭირდება კი მას ვინმეს თანხმობა?

ამ შემთხვევაში თანხმობა, რომელიც ფორმალურ ხასიათს ატარებს, მაინც საჭიროა, რადგან კანონი იმპერატიულად უთითებს, რომ წილის ნაწილობრივი გასხვისება შესაძლოა მხოლოდ საზოგადოების ნებართვით. ამრიგად, გვეყავს პარტნიორი და საზოგადოება. თუ საზოგადოების დირექტორი სხვა პირია, მაშინ საკითხი შედარებით ადვილად წყდება – ნებართვაზე სხვა გვარისა და სახელის მქონე პირი აწერს ხელს, მაგრამ, თუ დამფუძნებელი თავადაც დირექტორია? ასეთ შემთხვევაში ერთი და იგივე პირი გვეყოლება ორი განსხვავებული სტატუსით – პარტნიორისა და საზოგადოების წარმომადგენლის სტატუსით. იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოება აძლევს ნებართვას, მნიშვნელობა აღარ აქვს, ვინ არის წარმომადგენელი, მთავარია, რომ დირექტორს ჰქონდეს კანონიერი წარმომადგენლის სტატუსი.

პარტნიორს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეუძლია გაასხვისოს თავისი წილი, მაგრამ შემეძინა არ შეიძლება იყოს ის საზოგადოება, რომლის პარტნიორიც არის წილის გამსხვისებელი. ამიტომ არის, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის 46.6 მუხლი მოუთითებს, რომ საზოგადოებას ეკრძალება, შეიძინოს პარტნიორის საკუთარი წილი. რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა საზოგადოებასაც არ აქვს უფლება, შეიძინოს პარტნიორის წილი. ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილ საწარმოს – საზოგადოებას შეუძლია, შეიძინოს პარტნიორის წილი, მათ შორის ინდივიდუალურ საწარმოსაც და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასაც.

აქვს თუ არა საზოგადოებას უფლება გირაოდ დაიტოვოს პარტნიორის წილი? მაგალითად, პარტნიორმა საზოგადოებისგან ისესხა თანხა, ხოლო გირაოდ შესთავაზა თავისი წილი. საზოგადოებას ამ შემთხვევაში აქვს უფლება, გირაოდ დაიტოვოს პარტნიორის წილი, რადგანაც თუ პარტნიორი ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას – დააბრუნოს სესხი, მაშინ საზოგადოებას, სამოქალაქო კოდექსის 274-ე მუხლიდან გამომდინარე უფლება აქვს, მოახდინოს გირაუნობის საგნის რეალიზაცია, „თუ ეს აუცილებელია მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად“. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილით, „მოგირავნის დაკმაყოფილება ხდება გირაუნობის საგნის გაყიდვით ან ამ საგნის შესაბამისი სხვაგვარი რეალიზაციით“.

საერთოდ, მოგირავენს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლიდან გამომდინარე, შეუძლია გირაუნობასთან დაკავშირებულ აუქციონში მიიღოს მონაწილეობა და თავად შეიძინოს გირაოს საგანი, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში საზოგადოება ვერ მიიღებს მონაწილეობას გირაოს საგნის შეძენაში, რადგან საზოგადოებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკრძალება პარტნიორის წილის შეძენა.

პირი, რომელიც წილს შეიძენს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხდება საზოგადოების პარტნიორი, თუკი იგი სამეწარმეო რეესტრში გატარდება რეგისტრაციამო.

თუ წილს ან წილის ნაწილს შეიძენს ერთ-ერთი პარტნიორი, მაშინ შეძენილი წილი და ის წილი, რომელიც პარტნიორს შეძენამდე ჰქონდა, დამოუკიდებლად იარსებებენ. მაგალითად, გოგი ლომსაძე იყო შპს-ს პარტნიორი, მისი წილი საწესდებო კაპიტალში შეადგენდა 20%. ლომსაძემ მისივე პარტნიორისგან შეიძინა მთლიანი წილი, რომელიც შეადგენდა საწესდებო კაპიტალის 10%-ს. გოგი ლომსაძეს ექნება ორი დამოუკიდებელი წილი, კერძოდ, 20% და 10%. სულ კი 30%.

რა მნიშვნელობა აქვს წილების დამოუკიდებლად არსებობას?

მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ თუ წილებს გააერთიანებს ლომსაძე, ხოლო შემდეგ ნაწილს გაასხვისებს, მან თანხმობა უნდა მიიღოს საზოგადოებისგან, მაგრამ თუ წილებს ექნება დამოუკიდებლობა, მაშინ მას აღარ დასჭირდება 10%-იანი წილის გაყიდვისათვის საზოგადოების თანხმობა. თანხმობა დასჭირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთოდ, წილის გაყიდვისათვის წესდება მოითხოვს საზოგადოების თანხმობას.

აქვს თუ არა პარტნიორს წილის უპირატესი შესყიდვის უფლება? შპს-ის პარტნიორს აქვს წილის უპირატესი შესყიდვის უფლება. ეს უფლება შეიძლება წესდებითაც იქნეს გათვალისწინებული. როგორც ლ. ჭანტურია აღნიშნავს, წილის გასხვისების შეზღუდვის გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს პარტნიორების მხრიდან წილის უპირატესი შესყიდვის უფლება¹⁰⁸. ამ აზრს იზიარებენ აგრეთვე გერმანელი იურისტებიც¹⁰⁹.

რას ნიშნავს წილის (წილის ნაწილის) უპირატესი შესყიდვის უფლება?

სამოქალაქო კოდექსის 516-ე მუხლის პირველი ნაწილით, „უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია ამ უფლების განხორციელება, თუ ვალდებული პირი მესამე პირთან დებს მოცემული ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებას“.

მაგალითად, A-მ, B-მ და C-მ დააფუძნეს შპს. გარკვეული დროის შემდეგ A-მ გადაწყვიტა თავისი წილის გაყიდვა. მაგრამ, სანამ სხვაზე გაყიდვას წილს, ჯერ თავის პარტნიორებს უნდა შესთავაზოს წილის შესყიდვა. ფასი განისაზღვრება იმ ოდენობით, რა ფარგლებშიც წილის გამყიდველ პარტნიორს შეუძლია გაყიდოს.

სამოქალაქო კოდექსის 517-ე მუხლის მე-2 ნაწილით, „უპირატესი შესყიდვის უფლება ხორციელდება ვალდებული პირისათვის შეტყობინებით. შეტყობინების მეშვეობით უფლებამოსილ პირსა და ვალდებულ პირს შორის იდება ნასყიდობის ხელშეკრულება იმ პირობებით, რომლებიც ვალდებულმა პირმა მესამე პირს შესთავაზა“.

თუ „ვალდებულ პირში“ ჩვენს შემთხვევაში მოვიაზრებთ წილის გამყიდველ პარტნიორს, მაშინ გასაგები გახდება მისი მოქმედების წესიც. უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებით, თავიდან შეიძლება აცილებული იქნეს უცხო პირის შემოყვანა პარტნიორთა რიგებში¹¹⁰. „შეტყობინება“, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, შეიძლება მოხდეს ნების-

¹⁰⁸ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 277.

¹⁰⁹ Kommentar zum GmbH – Gesetz. Begründer von Dr. Franz Scholz. 1983. §15.64. Martin Peltzer/Jermyn P. Brooks – Comments on the German GMBH – Law. 1987. p.16 Enno W. Ercklentz – Modern German Corporation Law v. 2. 1979. p.42

¹¹⁰ Kommentar zum GmbH – Gesetz. Begründer von Dr. Franz Scholz. 1983. §15.64.

მიერი ფორმით – წერილობით ან ზეპირად. მაგრამ რა თქმა უნდა უკეთესია თუ წერილობით, მაგალითად, დაზღვეული წერილით, მოხდება შეტყობინება. წილის დათმობა უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირზე ხორციელდება წერილობითი ფორმით და სანოტარო დამოწმებით.

პარტნიორთა კრებაზე დასწრება ნიშნავს თუ არა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე თანხმობას? „პარტნიორის კრებაზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ მან თანხმობა განაცხადა წილის უპირატესი შესყიდვის უფლების დათმობაზე“¹¹¹.

„პარტნიორის მიერ წილის შეძენის უპირატესი უფლების რეალიზაცია ხდება საზოგადოებაში პარტნიორის მიერ განცხადების შეტანით, რასაც შემდეგ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაც უნდა მოჰყვეს. თუ კი არ არსებობს პარტნიორის განცხადება წილის უპირატესი შეძენის უფლების გამოყენების შესახებ იგულისხმება, რომ პარტნიორი დაინტერესებული არ არის წილის შეძენით“¹¹².

§2. წილის მემკვიდრეობით გადაცემა

მემკვიდრეზე წილის გადასვლის საკითხს არეგულირებს მემკვიდრეობითი სამართალი¹¹³. თუმცა დარეგულირების საფუძველს ქმნის მეწარმეთა შესახებ კანონის 46.1 მუხლი, რომელიც უთითებს, რომ პარტნიორს შეუძლია წილის მემკვიდრეობით გადაცემა.

შეიძლება თუ არა, წესდებით პარტნიორებმა აკრძალონ წილის მემკვიდრეობით გადაცემა?

ასეთ აკრძალვას არ ექნება იურიდიული ძალა, რადგანაც კანონი იცავს არა მხოლოდ მამკვიდრებლის ინტერესებს, არამედ აგრეთვე მემკვიდრის ინტერესებსაც. ასეთი დაცვის ერთ-ერთი ელემენტია სავალდებულო წილის არსებობაც. გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებულია და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთ-

¹¹¹ სუსგ სამოქალაქო საქმეზე. 2002 წ., №8. გვ. 1313.

¹¹² იქვე, გვ. 1317.

¹¹³ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003 წ., №7. გვ. 1924.

რების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. შეიძლება წესდებით მოწესრიგდეს „მემკვიდრეების პარტნიორებად მიღების საკითხი“¹¹⁴.

პარტნიორის წილი მემკვიდრეზე შეიძლება გადავიდეს ანდერძით ან კანონით, მით უმეტეს, რომ პარტნიორის წილი მისი გარდაცვალების შემდეგ „შედის სამკვიდრო ქონებაში“¹¹⁵.

პარტნიორის გარდაცვალებისას შპს-ში წევრობა მის მემკვიდრეებზე გადადის ისეთივე მოცულობით და ოდენობით, როგორც სამკვიდროს დამტოვებელს ჰქონდა სამკვიდროს გახსნისას¹¹⁶.

საზოგადოების წესდებაში მოწესრიგებული უნდა იყოს მემკვიდრეების პარტნიორად შესვლის საკითხები. უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ წესდებაში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრეების პარტნიორად მიღების პირობები. წინასწარვე ნათლად და ცალსახად უნდა იყოს ჩამოყალიბებული გარდაცვლილი პარტნიორის ნება მისი მემკვიდრეების პარტნიორად მიღების თაობაზე. წესდება მკაფიოდ უნდა გამოხატავდეს სამკვიდროს გახსნის შემდეგ მამკვიდრებლის ნებას მემკვიდრეების პარტნიორობის თაობაზე. წესდებაში შეიძლება იყოს ისეთი განსაზღვრებები, რომ მხოლოდ გარკვეული მემკვიდრეები (განსაკუთრებული კვალიფიკაციის) ან მხოლოდ ერთი მემკვიდრე შეიძლება გახდეს პარტნიორი. მემკვიდრეთა სიმრავლის შემთვევაში წესდებამ შეიძლება დააწესოს ისიც, რომ მემკვიდრეებმა ერთ-ერთ მემკვიდრეს გადასცენ მინდობილობა, რათა მან აღასრულოს პარტნიორის უფლებები (ასეთ შემთხვევაში ზოგიერთი მემკვიდრე წილზე შეიძენს ვალდებულებით სამართლებრივ უფლებას, ანუ წილისგან მიიღებს მხოლოდ სარგებელს, ზოგი კი – სანივთო სამართლებრივს, გახდება მესაკუთრე, ექნება მისი მართვის და განკარგვის უფლება)¹¹⁷.

დაუსშვებელია წესდებაში მიეთითოს, რომ პარტნიორის გარდაცვალების შემდეგ საზოგადოებაში მისი დანაშთი წილის და მემკვიდრეების

¹¹⁴ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 274.

¹¹⁵ შ. ჩიკაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, 2000 წ., გვ. 59.

¹¹⁶ იქვე, გვ. 59.

¹¹⁷ სუსე სამოქალაქო საქმეებზე, 2003 წ., №7, გვ. 1925.

პარტნიორად მიღების საკითხი გადაწყდეს დანარჩენი პარტნიორების შეხედულებისამებრ, საზოგადოებაში წილის და პარტნიორობის მემკვიდრეობით გადაცემის საკითხი პარტნიორს თავის სიცოცხლეშივე უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული და ეს საკითხი არ უნდა იყოს სხვა პირთა, თუნდაც დანარჩენ პარტნიორთა გადასაწყვეტი¹¹⁸.

ასევე, სწორად მიმაჩნია უზენაესი სასამართლოს შეხედულება იმის თაობაზე, რომ წესდებაში დაუსვებელია მითითება, რომ გარდაცვლილი პარტნიორის წილი მიიღოს მხოლოდ ანდერძისმიერმა მემკვიდრემ და მხოლოდ იგი გახდეს საზოგადოების წევრი, ვინაიდან კანონის შესაბამისად ანდერძისმიერი მემკვიდრეობის არსებობის შემთხვევაში, სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღების უფლება გააჩნიათ კანონისმიერ მემკვიდრეებსაც (თუ იგი სათანადოდ დადგენილი წესით უღირს მემკვიდრედ არ არის ცნობილი) და მათაც გააჩნიათ პრეტენზია საზოგადოებაში პარტნიორობის თაობაზე¹¹⁹.

აღნიშნული მოსაზრება არ ნიშნავს, რომ პარტნიორს არ აქვს უფლება ანდერძში მიუთითოს პარტნიორად სასურველი პირი. ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება სამოქალაქო კოდექსის 1377-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ ანდერძით გათვალისწინებულია არა მთელი სამკვიდრო (ჩვენს შემთხვევაში ასეთია წილი, რომელიც სამკვიდროს ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ), მაშინ სავალდებულო წილი პირველ რიგში გამოიყოფა ანდერძით გაუთვალისწინებელი, ხოლო, თუ ეს საკმარისი არ იქნება – შეივსება ანდერძით გათვალისწინებული ქონებიდან. ანუ, ასეთ შემთხვევაში, სავალდებულო წილის მიმღებიც შეიძლება გახდეს პარტნიორი.

შესაძლებელია, რომ პარტნიორმა (მემკვიდრეულმა) ანდერძით წილის დიდი ნაწილი უანდერძოს ერთ შეილს, ხოლო მეორე ნაწილი მეორე შეილს. მაგალითად, როდესაც ერთია დამფუძნებელი მან შეიძლება 100%-დან 70% უანდერძოს უმცროს ვაჟს, ხოლო, დარჩენილი 30% კი უფროს ვაჟს.

¹¹⁸ იქვე, გვ. 1925.

¹¹⁹ იქვე, გვ. 1926.

აქ ისმის კითხვა, სავალდებულოა თუ არა ანდერძი დადასტურდეს ნოტარიალურად?

რამ წარმოშვა ეს კითხვა?

საქმე ისაა, რომ წილის დათმობისათვის საჭიროა ხელშეკრულების ნოტარიული დამოწმება (მეწ. შეს. კანონის 47.3 მუხლი), ხოლო ანდერძი კი შეიძლება არსებობდეს ნოტარიალური დადასტურების გარეშეც, ვგულისხმობ ე.წ. შინაურულ ანდერძს (სამ. კოდ. 1364 მუხლი).

ამიტომ, თუ შინაურულ ანდერძში მიუთითებს პარტნიორი (მამკვიდრებელი), რომ თავის წილებს აძლევს თავის შვილებს, ექნება თუ არა ასეთ ანდერძს იურიდიული ძალა? რა თქმა უნდა, ექნება რადგან ჯერ ერთი მემკვიდრეობასთან დაკავშირებით მოქმედებს სამემკვიდრეო სამართალი და მეორეც, ანდერძი ხელშეკრულება არ არის, იგი ცალმხრივი გარიგებაა. ზემოთ დასახელებული 47.3 მუხლი კი ეხება ხელშეკრულების (ჩუქების, ნასყიდობის და ა.შ.) ნოტარიულ დამოწმებას.

როგორც მეწარმეთა შესახებ კანონის 46.2 მუხლი უთითებს, „თუ პარტნიორი თავდაპირველი წილის მისამატებლად შეიძენს სხვა წილს, თითოეული წილი ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას“. აქედან გამომდინარე ისმის კითხვა:

თუ პარტნიორს რამდენიმე დამოუკიდებელი წილი აქვს საზოგადოებაში, ასევე დამოუკიდებლად გადავა წილები მემკვიდრეებზეც?

ასეთ შემთხვევაში, როგორც შ. ჩიკვაშვილი აღნიშნავს, „წილი დამოუკიდებლობას ინარჩუნებს მაშინაც, როდესაც რამდენიმე ან ყველა წილი მემკვიდრეობის გზით ერთი პირის ხელში გადადის“¹²⁰.

ვინ ითვლება კანონით მემკვიდრედ?

სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით, კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან:

პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).

ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ

¹²⁰ შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, 2000 წ., გვ. 4.

მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა დეიძლი ნათესაეების, აგრეთვე დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ.

მეორე რიგში – გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდა.

მესამე რიგში – ბებია და პაპა, ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან.

მეოთხე რიგში – ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები.

მეხუთე რიგში – ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო, თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ – მათი შვილები.

ამრიგად, ზემოთ ჩამონათვალი არის კანონით მემკვიდრეთა ფარგლები. წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას (სამ. კოდ. მუხ. 1337).

თუ პარტნიორს არ ჰყავს კანონით მემკვიდრე და არც ანდერძით მემკვიდრე, მაშინ მისი წილი შპს-ში გადადის პარტნიორებზე და ნაწილდება მათ შორის წილების შესაბამისად.

რის საფუძველზე კეთდება ასეთი დასკვნა?

სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უმკვიდრო ქონება სამეწარმეო საზოგადოებაში ან კოოპერატივში წილის, აქციის ან პაის სახით, გადადის მათ ხელში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მეწარმეთა შესახებ კანონის 46.6 მუხლიდან გამომდინარე, შპს-ს არ აქვს უფლება შეიძინოს პარტნიორის წილი.

ამიტომაც სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის მე-2 ნაწილში უნდა ვიგულისხმოთ წილის გადასვლა პარტნიორებზე. მაგრამ თუ ერთია პარტნიორი და მას მემკვიდრე არ ჰყავს, მაშინ მისი წილი გადაეცემა ხაზინას. ეს ვერ განხორციელდება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, რადგან სპს-ის პარტნიორად შეიძლება

იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. ეს წესი გასათვალისწინებელია კომანდიტურ საზოგადოებაში კომპლემენტართან დაკავშირებითაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარტნიორს შეუძლია ანდერძითაც გადასცეს თავისი წილი ნებისმიერ პირს, მათ შორის იურიდიულ პირსაც.

სამოქალაქო კოდექსმა ანდერძის ორნაირი ფორმა გაითვალისწინა, კერძოდ, ანდერძი, რომელიც შეიძლება დამოწმებულ იქნეს ნოტარიუსის მიერ და შინაურული ანდერძი, ანუ ანდერძი დაწერილი და ხელმოწერილი მამკვიდრებლის მიერ ნოტარიალური დამოწმების გარეშე.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, წილის მემკვიდრეობით გადაცემა რეგულირდება აგრეთვე სამემკვიდრეო სამართლით, ამიტომ მკითხველს შეუძლია, უფრო დაწვრილებით გაეცნოს ქართულად არსებულ შესაბამის ლიტერატურას სამემკვიდრეო სამართალში.

§ 3. მეწარმეთა შესახებ კანონიდან გამომდინარე, პარტნიორთა ძირითადი უფლებები

პარტნიორთა უფლებები ძირითადად გამომდინარეობს კანონიდან, მაგრამ დამატებით შეიძლება განსაზღვრული იყოს წესდებითაც. ამჟამად მე შევეხები კანონიდან გამომდინარე ძირითად უფლებებს. ეს უფლებებია:

1. მიიღოს ღირექტორისგან წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების ყველა პუბლიკაცია. (მუხლი 3.9);

2. შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს უშუალოდ თვითონ ან დამოუკიდებელი ექსპერტის – აუდიტორის მიერ. (მუხლი 3.9);

3. საზოგადოების ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ოღონდ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე.

4. მოითხოვოს რეესტრში რეგისტრაცია თუ განცხადება რეგისტრაციაზე შესრულებულია მეწარმეთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნათა დაცვით. (მუხლი 5.1);

5. შპს-ს საფირმო სახელად გამოიყენოს ნებისმიერი ისეთი სახელი, რომელიც სხვა შპს-ს არ ეკუთვნის (მუხლი 6.5) და არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს;

6. საზოგადოების დირექტორებს აუკრძალონ იმავე საქმიანობის განხორციელება, რასაც ახორციელებს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით. (მუხლი 9.6);

7. შექმნან საზოგადოება განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით (მუხლი 14.1);

8. გავიდეს საზოგადოებიდან (მუხლი 14.1.2.);

9. ერთი ფორმის საზოგადოება გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის საზოგადოებად წილობრივი ურთიერთობებისა და საზოგადოების საქმიანობის საგნის შენარჩუნებით (მუხლი 14.4);

10. მოახდინონ საზოგადოების შერწყმა ან მიერთება სხვა ან იმავე სახის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის საწარმოსთან (მუხლი 14.5);

11. საზოგადოება გაყონ ნატურით (მუხლი 14.6). ასევე მოახდინონ საზოგადოებიდან საწარმოს გამოყოფაც;

12. ხუთი წლის მანძილზე შეიტანოს სარჩელი საზოგადოების წინააღმდეგ (მუხლი 15.1), მაგალითად, წლიური მოგების მიღების მოთხოვნით;

13. ორი თვის მანძილზე გაასაჩივრონ პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები (მუხლი 15.2);

14. გაასხვისოს თავისი წილი ან გადასცეს მემკვიდრეობით (მუხლი 46.1);

15. მოითხოვონ კრების მოწვევა ამ კრების მიზნისა და საფუძვლების მითითებით თუ მათი წილი ერთად შეადგენს საწესდებო კაპიტალის მე-20 ნაწილს ანუ 5% (მუხლი 46.8);

16. გააკონტროლონ საზოგადოების ხელმძღვანელობა (მუხლი 46.9);

17. მოსთხოვონ დირექტორებს ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და გაეცნონ საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს (მუხლი 46.10);

18. მიმართონ სარჩელით სასამართლოს დირექტორებისგან ინფორმაციის მიუღებლობის ან წიგნებისა და ჩანაწერების გაცნობაზე უარის თქმის შემთხვევაში (მუხლი 46. 10);

19. მიიღონ წლიური გაუნაწილებელი მოგება, თუ საზოგადოების

წესდებით ანდა პარტნიორთა გადაწყვეტილებით დაშვებულია ამ თანხის განაწილება პარტნიორებს შორის (მუხლი 50);

20. მოახდინონ საზოგადოების ლიკვიდაცია;

21. მიიღონ იმ საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა, რომელსაც ითვალისწინებს მეწარმეთა შესახებ კანონის 47-ე მუხლი.

§4. მეწარმეთა შესახებ კანონიდან გამომდინარე

პარტნიორთა ძირითადი მოვალეობები

პარტნიორებს აქვთ არა მარტო უფლებები, არამედ, მოვალეობებიც. ეს მოვალეობები შემდეგში მდგომარეობს:

1. საზოგადოების დაფუძნებისას ხელი მოაწერონ საზოგადოების წესდებას (მუხლი 2.7);

2. საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეიტანონ წესდებით გათვალისწინებული შენატანი;

3. შესატანის ნახევარი შეიტანონ წესდების ხელმოწერისთანავე, თუ წესდება უფრო მეტის შეტანას არ ითვალისწინებს (მუხლი 3.5);

4. ხელი მოაწერონ საზოგადოების განცხადებას რეგისტრაციის შესახებ (მუხლი 5.2);

5. ყველა სარეგისტრაციო დოკუმენტი დაამოწმონ ნოტარიალურად (მუხლი 5.2);

6. თუ საზოგადოების შექმნის მიზნით წარმოდგენილია არასწორი მონაცემები ან დაფუძნების ხარჯების გამო საზოგადოებას ზარალი მიადგა, მაშინ სოლიდარულად გადაიხადონ შეუტანელი გადასახადები, აანაზღაურონ დაფუძნების ხარჯების გადაუხდელობით გამოწვეული, აგრეთვე ამ დროს წარმოშობილი სხვა ზარალი (მუხლი 5.3);

7. საზოგადოების გარდაქმნის შემთხვევაში გარდაქმნა მოახდინონ სამეურნეო წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში ახალი სამეურნეო წლის დასაწყისის გათვალისწინებით (მუხლი 14.4);

8. თუ გადაწყვეტენ საზოგადოების შერწყმას და ნატურით გაყოფას იგი მოახდინონ მხოლოდ წლიური ანგარიშის შედგენის დღისათვის და ამ დღიდან ექვსთვიანი უკუქცევითი ძალით (მუხლი 14.7)

9. პარტნიორი მოვალეა, წილის დათმობა დაადასტუროს ნოტარიალურად (მუხლი 46.3);

10. თუ პარტნიორი აიღებს ვალდებულებას, რომ მომავალში წილს გაასხვისებს მაშინ ასეთი შეთანხმება ნოტარიალურად უნდა დამოწმდეს. (მუხლი 46.3);

11. წილის ნაწილის გასხვისებაზე თანხმობა მიიღოს დანარჩენი პარტნიორებისგან (მუხლი 46.5);

12. თუ წესდებით განისაზღვრა პარტნიორთა მიერ, შესატანის გარდა დამატებითი შესატანის გადახდა, პარტნიორი მოვალეა, გადაიხადოს დამატებითი შესატანი თავისი წილის პროპორციულად (მუხლი 46.7).

§ 5. მეუღლეთა ურთიერთობა საზოგადოებაში წილთან დაკავშირებით

მეუღლეთა ურთიერთობა წილთან დაკავშირებით მეწარმეთა შესახებ კანონის გარდა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსითაც.

სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლით, „მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული დაქორწინება“.

აღნიშნული წესი იმის შესახებ უთითებს, რომ თუნდაც 20-30 წელი ერთად ცხოვრობდნენ, ისინი მეუღლედ ვერ ჩაითვლებიან, ანუ „ქორწინების სამართლებრივი მხარე, კერძოდ, ქალისა და მამაკაცის ცოლ-ქმრული ურთიერთობა, მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როცა სახეზეა ქორწინების სახელმწიფოებრივი რეგისტრაცია“²¹.

ამრიგად, როდესაც ვსაუბრობთ მეუღლეთა ურთიერთობაზე ერთ-ერთი მეუღლის წილთან დაკავშირებით, იგულისხმებიან მხოლოდ დაქორწინებული მეუღლეები.

წარმოადგენს თუ არა პარტნიორის წილი შპს-ში მისი მეუღლის თანასაკუთრებას?

ამ კითხვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ დროს, როდესაც ხდება იმ მეუღლეთა განქორწინება, რომელთაგან ერთ-ერთი არის შპს-ის პარტნიორი. რადგანაც მეორე მეუღლე – არაპარტნიორი, განქორ-

²¹ რ. შენგელა, საოჯახო სამართალი (კანონთა კომენტარები). 1999 წ., გვ. 87-88.

წინებისას ითხოვს წილის გაყოფას და პარტნიორად შესვლას შპს-ში. აგრეთვე, როდესაც მეუღლე – პარტნიორი ასხვისებს თავის წილს, ზოლო მეორე მეუღლე წინააღმდეგია წილის გასხვისების და ა.შ.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში¹²² მიუთითა: მეუღლეთა საერთო საკუთრებაში სხვა ქონებასთან ერთად შეიძლება იყოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში (ასევე, „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ სხვა სამეწარმეო საზოგადოებაში) ერთ-ერთი მეუღლის წილიც, რომელიც შეძენილია რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში (სსკ 1158-ე მუხლის პირველი ნაწილი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ერთ-ერთი მეუღლე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორია და წილი შეძენილია რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში, ამ წილის გასხვისება მას შეუძლია მხოლოდ მეორე მეუღლის თანხმობით¹²³.

ამრიგად, სასამართლო პრაქტიკა ჯერჯერობით თვლის, რომ პარტნიორის წილი იმ მეუღლის საკუთრებასაც წარმოადგენს, რომელიც არ არის პარტნიორი.

ჩემის აზრით, ასეთმა პრაქტიკამ შეიძლება გარკვეული სახის პრობლემები წარმოშვას როგორც სამეწარმეო, ისე საოჯახო ურთიერთობებში. რაში შეიძლება გამოვლინდეს ეს პრობლემები?

საერთო საკუთრება არ წარმოადგენს საკუთრების რაიმე ფორმას. იგი მხოლოდ იმის მაუწყებელია, რომ ქონება ერთობლივად შეიძლება ეკუთვნოდეს რამდენიმე პირს. თითოეული მათგანი იქნება ამ ქონების თანამესაკუთრე¹²⁴. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, რა უფლებებებიც ერთ თანამესაკუთრეს აქვს, იგივე უფლებები აქვს მეორე თანამესაკუთრეს, ანუ, თუ ერთს, მეუღლე – პარტნიორს უფლება აქვს, აირჩიოს დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭო, მოიწვიოს კრება, გაეცნოს საბუღალტრო დოკუმენტებს, გაყიდოს წილი ან მისი ნაწილი და ა.შ. იგივე უფლებები აქვს მეორე მესაკუთრესაც, ანუ მეუღლე – არაპარტნიორს, რადგანაც, ვიმეორებ, ისიც წილის მესაკუთრეა.

¹²² სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წ., №2, გვ. 224.

¹²³ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წ., №2, გვ. 225.

¹²⁴ ბ. ზოიძე, სანივთო სამართალი, თბილისი, 1999 წ., გვ.76.

საოჯახო ურთიერთობათა პრაქტიკაში მეუღლე – არაპარტნიორი უკვე სვამს შემდეგი სახის კითხვებს, კერძოდ:

ა) შემიძლია თუ არა მეუღლე – პარტნიორის ნაცვლად მინდობილობის გარეშე დავესწრო კრებას?

ბ) მაქვს თუ არა უფლება, შევამოწმო საბუღალტრო დოკუმენტები?

გ) შემიძლია თუ არა დირექტორის არჩევნებთან დაკავშირებით პარტნიორთა კრებაზე კენჭისყრაში მივიღო მონაწილეობა?

დ) შემიძლია თუ არა, გავყიდო წილის ის ნაწილი, რომელიც ჩემს საკუთრებად ითვლება?

ე) ჩემი მეუღლის პარტნიორები წინააღმდეგი არიან გავხდე პარტნიორი, როგორც წილზე თანამესაკუთრეს მაქვს თუ არა უფლება გავხდე პარტნიორი? და ა.შ.

უფრო დიდი პრობლემა მაშინ შეიძლება წარმოიშვას, თუ მეუღლე არაპარტნიორი დააპირებს თავისი წილის გასხვისებას ან თავისი წილის ნაწილის გასხვისებას. ასეთ შემთხვევაში მყიდველი ჰკითხავს – არის თუ არა იგი სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული. გარდა ამისა წილის ნაწილის გასხვისებისათვის პარტნიორს სჭირდება საზოგადოების თანხმობაც.

ასევე წარმოიშობა პრობლემები სხვა საზოგადოებებთან მიმართებაშიც, მაგალითად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების დროს, სადაც პასუხისმგებლობის დადგომის შემთხვევაში მთელი თავისი ქონებით პასუხს აგებს არა მხოლოდ პარტნიორი – მეუღლე თავისი წილის ფარგლებში, არამედ აგრეთვე მისი მეუღლე – არაპარტნიორიც.

ამრიგად, პრაქტიკაში დადგება ისეთი საკითხები, რომელთა მიმართაც სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება ძალიან რთული იქნება.

როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ ზემოთ დასახელებული პრობლემები?

მეწარმეთა შესახებ კანონიდან გამომდინარე, საზოგადოებაში წილზე საკუთრების უფლება მხოლოდ იმ პირს აქვს, რომელიც პარტნიორის სტატუსით არის რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში. ასეთი დასკვნა პირდაპირ გამომდინარეობს კანონის რამდენიმე მუხლიდან, რომელთაგანაც შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი: 2.5, 2.6, 2.7, 3.3 და 3.4 მუხლები, აგრეთვე მე-4, მე-5, და მე-7 მუხლები.

სამოქალაქო კოდექსის 1158-ე და 1159-ე მუხლებით, ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ საერთო საკუთრება. თუ ჩავთვლით, რომ წილიც ქონებაში შედის, მაშინ პარტნიორის მეუღლეს ითვლება წილზე თანამესაკუთრედ.

როგორც ვხედავთ, წილზე საკუთრებასთან დაკავშირებით არსებობს ნორმათა კოლიზია – ერთი კანონი უთითებს, რომ წილზე მესაკუთრედ ითვლება მხოლოდ ის პირი, რომელიც პარტნიორის სახით რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში, ხოლო მეორე კი ფაქტობრივად უთითებს, რომ პარტნიორის მეუღლეს, რომელიც არ არის რეგისტრირებული პარტნიორად, აქვს საზოგადოებაში არსებულ წილზე საკუთრების უფლება.

როდესაც ნორმათა კოლიზია არსებობს, მაშინ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 25 –ე მუხლის მე-2 პუნაქტის თანახმად, იერარქიის ერთი და იგივე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას მოქმედებს უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) აქტით დადგენილი ნორმა. ჩვენს შემთხვევაში ეს არის სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის 25 ნოემბერს, ხოლო მეწარმეთა შესახებ კანონი კი 1995 წლის 1 მარტს.

ამიტომაც ვფიქრობ, რომ ან კანონმდებლობაში უნდა შევიდეს ცვლილებები, ანდა თუ ეს არ მოხდება, მაშინ სასამართლოებს მოუწევთ დიდი მუშაობა, რომ ზემოთ დასმულ კითხვებთან დაკავშირებით პრაქტიკაში დანერგონ სამართლიანი და სწორი განმარტებები.

მაგრამ, რადგანაც ჯერჯერობით სასამართლო პრაქტიკა თვლის, რომ მეუღლეებს წილზე აქვთ თანასაკუთრების უფლება, ამიტომ დამფუძნებლებს ვურჩევთ შემდეგს:

წესდებაში ჩაწერონ, რომ დამფუძნებელმა, რომელსაც ჰყავს მეუღლე, საზოგადოების რეგისტრაციიდან ერთ – ორ თვეში წარმოადგინოს ქორწინების ხელშეკრულება, რომელშიც მეუღლე – არაპარტნიორი თავის საკუთრების უფლებას წილზე უთმობს (ჩუქნის) თავის მეუღლე – პარტნიორს. ქორწინების ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს ნოტარიალურად. ამ ხელშეკრულების ნაცვლად შეიძლება წარმოდგენილი იქნეს წილის ჩუქების ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში წილის მესაკუთრე გახდება მხოლოდ დამფუძნებელი პარტნიორი.

საჭირო იქნება თუ არა წილის ჩუქების ხელშეკრულების ნოტარიული დამოწმება?

მეწარმეთა შესახებ კანონის 46.3 მუხლით, წილის დათმობა მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას. მაგრამ ეს წესი მოქმედებს პარტნიორის სტატუსით სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულ პირზე.

ვფიქრობ, რადგანაც სასამართლო პრაქტიკამ ჩათვალა რომ წილზე მესაკუთრე არის მეუღლე – არაპარტნიორიც, ამიტომ მისგან წილის დათმობაც უნდა დამოწმდეს ნოტარიულად.

შესაძლებელია, რომ საზოგადოების რეგისტრაციამდეც, გაფორმდეს ქორწინების ხელშეკრულება, სადაც მეუღლე – არაპარტნიორი უარს იტყვის ქონების ყველა იმ სახეზე, რაც უშუალოდ უკავშირდება მეუღლის საქმიანობას. ასეთ შემთხვევაშიც სამოქალაქო კოდექსის 1174-ე მუხლიდან გამომდინარე, საქორწინო ხელშეკრულება უნდა დადასტურდეს ნოტარიულად.

§ 6. პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის წესი და საფუძვლები

პარტნიორულ ურთიერთობებში არც ისე იშვიათად დგება საკითხი პარტნიორის გარიცხვის შესახებ. ხშირად პარტნიორის გარიცხვის საფუძვლები წესდებით არ არის მოწესრიგებული, რის გამოც პარტნიორები სასამართლოში ყოველთვის ვერ აღწევენ პარტნიორის გარიცხვას. არადა, კანონი პარტნიორის გარიცხვას კაპიტალური გაერთიანების მქონე საზოგადოებიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში ითვალისწინებს, კერძოდ, მეწარმეთა შესახებ კანონის 3.5 მუხლის მე-2 აბზაცით, „თუ პარტნიორმა გაადაცილა შესატანის შეტანის ვადა, ყოველ პარტნიორს შეუძლია წერილობით მოსთხოვოს მას ამ თანხის გადახდა დამატებითი ვადის მითითებით და გააფრთხილოს იგი საზოგადოებიდან შესაძლო გარიცხვის შესახებ. დამატებითი ვადა უნდა შეადგენდეს სულ ცოტა ერთ თვეს“.

ეს ერთადერთი საფუძველი არ ნიშნავს იმას, რომ პარტნიორის გარიცხვა არ შეიძლება სხვა შემთხვევებში. პარტნიორის გარიცხვის სხვა შესაძლებლობები აღიარებულია როგორც საზოგადოებრივი იურიდიულ ლიტერატურაში¹²⁵, ასევე ქართველი მეცნიერების¹²⁶ მიერაც და ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც. მაგრამ აქვე არც ის უნდა დაივიწყოთ, რომ საზოგადოებიდან გარიცხვა ეს არ არის უბრალოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის იძულებით შეწყვეტა, იგი გარკვეულად პარტნიორის სულიერ ტკივილთანაც არის დაკავშირებული, რადგან პარტნიორი ზოგჯერ დარწმუნებულია, რომ იგი არ იმსახურებს საზოგადოებიდან გარიცხვას, ანუ უხეშად რომ ვთქვათ – საზოგადოებიდან გაგდებას. ამიტომ, როდესაც სასამართლო ლეულობს გადაწყვეტილებას პარტნიორის გარიცხვის შესახებ, მან ყოველმხრივ ყურადღებით უნდა გაანალიზოს ფაქტობრივი გარემოებები და ზნეობისა და სამართლიანობის პრინციპების საფუძველზე გამოიტანოს გადაწყვეტილება, თანაც გადაწყვეტილება ისე უნდა იყოს დასაბუთებული, რომ პარტნიორმა სრულად დაინახოს თავისი შეცდომა და იმ პარტნიორთა მდგომარეობა, რომლებიც იძულებული გახადა გაერიცხათ იგი საზოგადოებიდან.

პარტნიორის გარიცხვის საფუძველები შეიძლება იყოს გათვალისწინებული კანონით ან შეთანხმებით¹²⁷, ანდა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობით¹²⁸.

თუ შეთანხმება არ არსებობს, მაშინ „მნიშვნელოვანი საფუძველი“ გამომდინარეობს მეწარმეთა შესახებ კანონის 47.3 მუხლის „ლ“ ქვეპუნტიდან, კერძოდ, „იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას აქვს დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე დირექტორის ანდა პარტნიორის მიმართ.“

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის განმარტებით, „მნიშვნელოვან საფუძველად შეიძლება მიჩნეულ

¹²⁵ Karsten Schmidt – Gesellschaftsrecht. 2. vollig neu bearb. Und erw. Aufl. – Köln; berlin; München. 1991 გვ. 884.

¹²⁶ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი.

¹²⁷ სუსგ. სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წ., №2 გვ. 274.

¹²⁸ Karsten Schmidt – Gesellschaftsrecht. 2. vollig neu bearb. Und erw. Aufl. – Köln; berlin; München. 1991. გვ. 884.

იქნეს ისეთი გარემოება, როდესაც დანარჩენი პარტნიორები უნდობლობას უცხადებენ ერთ-ერთ პარტნიორს, იმის გამო, რომ მან დაარღვია თავისი მოვალეობები და მისი ბრალით საზოგადოებას დიდი ზიანი მიადგა“¹²⁹.

როგორც ვხედავთ, დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამოდინარე პარტნიორებს აქვთ უფლება დააყენონ პარტნიორის გარიცხვის საკითხი.

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, არ შეიძლება გაეიზიაროთ ზოგიერთი სასამართლოს შეხედულება იმის შესახებ, რომ, თუ გარიცხვის საფუძველი არ თავსდება მეწარმეთა შესახებ კანონის 3.5 მუხლში, პარტნიორს ვერ გაერიცხავთ. ასეთი აზრი გამოთქვა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომლის მიხედვით: „მოსარჩელის მიერ მითითებული 1999 წლის 2 აპრილის ოქმით გათვალისწინებული პარტნიორთა გარიცხვის საფუძველი – არაჯანსაღი დამოკიდებულება სააქციო საზოგადოებასთან“ პარტნიორების მიერ დოკუმენტაციის დამალვა და ა.შ. „მეწარმეთა შესახებ“ კანონით შპს-დან გარიცხვის საფუძველს არ წარმოადგენს. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დაიშვება მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.5. მუხლით. პარტნიორის მიერ შესატანის ვადის გადაცილების შემთხვევაში, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ქონია.“¹³⁰

როდესაც წესდებაში არ არის დაფიქსირებული გარიცხვის საფუძველი, მაშინ უკვე მთელი ტვირთი გადადის სასამართლოზე, რომელმაც უნდა განსაზღვროს პარტნიორის ქცევაში მართლა არსებობს თუ არა ისეთი ქმედებები, რომლებიც ხელს უშლიან საზოგადოების ნორმალურ მუშაობას და პარტნიორებს შორის ნდობის არსებობას.

„გარიცხვა“ თავისი ბუნებით განსხვავდება „გასვლისგან“. გასვლა ნებაყოფლობითი ხასიათისაა. პარტნიორი წერს განცხადებას დირექტორის სახელზე ან სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის სახელზე (თუ ასეთი ორგანო მოქმედებს) და გადის საზოგადოებიდან. არავის აქვს უფლება უარი უთხრას პარტნიორს გასვლაზე თუნდაც იმ მოტივით რომ გასვლას წესდება არ ითვალისწინებს. გასვლა საზოგადოებიდან პარტნიორის ელემენტარული უფლებაა. ქვინაალმდეგ შემთხვევაში შე-

¹²⁹ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წ., №2, გვ. 274.

¹³⁰ ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმის № 2-25. 25.03.2002წ.

იძლებოდა გვეთქვა, რომ უარის თქმა საზოგადოებიდან გასვლის შესახებ, ეს იქნებოდა მისი თავისუფლების შეზღუდვა, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პრინციპებს (კონსტიტუციის 39-ე მუხლი).

რაც შეეხება პარტნიორის გარიცხვას, ეს უკვე იძულებით ფორმას წარმოადგენს და პარტნიორის ნების საწინააღმდეგო ქმედებაა. ე.ი. წინააღმდეგობა იქმნება პარტნიორებსა და გასარიცხ პარტნიორს შორის. სწორედ ამიტომ არის, რომ გარიცხვის საკითხს საბოლოოდ სასამართლო წყვეტს. მაგრამ, თუ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საკითხის სასამართლოში განხილვის დამთავრებამდე ეს პარტნიორი თავის წილს გაასხვისებს, გარიცხვის საკითხი მოიხსნება.¹³¹

ამრიგად, პროცესი ასე იწყება: პარტნიორები მოიწვევენ კრებას. ამასთან ისინი ვალდებული არიან კრებაზე მოიწვიონ გასარიცხი პარტნიორიც (თუმცა შეიძლება ის არ გამოცხადდეს), მოუსმინონ მის გამამართლებელ არგუმენტებს და ისე მიიღონ გადაწყვეტილება. თუ წესდებით არ არის განსაზღვრული გადაწყვეტილების ერთხმად მიღება, მაშინ გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით. კენჭისყრაში არ მონაწილეობს გასარიცხი პარტნიორი.

მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი ეყრდნობა აგრეთვე გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებასაც იმის შესახებ, რომ „გასარიცხ პარტნიორს ამ დროს ხმის უფლება არ აქვს“¹³². ეს ბუნებრივიც არის რადგან მისი მონაწილეობა ფორმალური იქნებოდა, იგი საკუთარი თავის წინააღმდეგ ისედაც ხომ არ გამოვიდოდა.

კრების გადაწყვეტილება დაერთვება საზოგადოების სარჩელს, სადაც მოპასუხედ გასარიცხი პარტნიორი გამოდის და წარედგინება იმ რაიონის სასამართლოს, სადაც იურიდიული მისამართი აქვს საზოგადოებას.

მხოლოდ კრების გადაწყვეტილების საფუძველზე სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების რეგისტრაცია წარმოადგენს ასეთი რეგისტრაციის ბათილობის საფუძველს. ამ შეხედულებას იზიარებს სასამართლო პრაქტიკაც, მაგალითად, კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების პარტნიორი გაირიცხა საზოგადოებიდან. მისი წილი სხვა პარტნიორებმა გადაინაწილეს. ამის საფუძველზე სასამართლომ უდავო წარმოების წესით

¹³¹ ლ. ჭანტურია თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 287.

¹³² თ. ნინიძე, ლ. ჭანტურია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 287.

განახორციელა შესაბამისი ცვლილებები სამეწარმეო რეესტრში. ამასთან დაკავშირებით თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ კრებაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საზოგადოებას არ მიუმართავს სასამართლოსათვის სარჩელით პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის მოთხოვნით. ამდენად, წილების რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში საფუძველს მოკლებულია¹³³. უზენაესმა სასამართლომაც გაიზიარა ეს შეხედულება და განმარტა, რომ პირმა, რომელსაც სურს, რომ პარტნიორის გარიცხვა დაფიქსირდეს, აისახოს სამეწარმეო რეესტრში, სასამართლოს უნდა მიმართოს არა უდავო წარმოების წესით, არამედ საქმეთა განხილვის საერთო სასარჩელო წესით¹³⁴.

ამრიგად, „საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის გამო წარმოშობილ დავაში, მოსარჩელე არის საზოგადოება, ხოლო მოპასუხე – გარიცხული პირი. გარიცხვის გამო გამართულ პროცესში საზოგადოებას წარმოადგენენ ღირექტორები“¹³⁵. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელს, შემდეგ ხდება ცვლილებების რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში.

რა შეიძლება მივიჩნიოთ პარტნიორის გარიცხვის საფუძველად?

საერთოდ, ეს საკითხი შეფასებაზე და მტკიცებაზეა დამოკიდებული, ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა აქვს ზნეობის ნორმების დარღვევასაც. მაგალითად, ზუთმა პირმა დააფუძნა სასწავლებელი, ამთვან, ერთ-ერთი რომელიც ხშირად მოდის სასწავლებელში, თავისი უზნეო ქცევით (მოქმედებით, სიტყვებით) სახელს უტეხს სასწავლებელს და ცუდ გავლენას ახდენს მოსწავლე-სტუდენტებზე. ვფიქრობ, რომ ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია პარტნიორთა სარჩელის საფუძველზე გარიცხოს პარტნიორი. მით უმეტეს, თუ იგი რამდენჯერმე იქნა გაფრთხილებული პარტნიორების მხრიდან.

პარტნიორებს შორის წინააღმდეგობა ყოველთვის არ არის საფუძველი პარტნიორის გარიცხვისა. მაგალითად, თუ პარტნიორი მოითხოვს სხვა პარტნიორებისგან, ღირექტორისგან ან თანამშრომლებისგან წესრიგის

¹³³ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003 წ. №5, გვ. 1301.

¹³⁴ იქვე, გვ. 1305.

¹³⁵ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №3, გვ. 248.

და კანონის დაცვას, ეს არ არის საფუძველი მისი გარიცხვისა პარტნიორთა რიგებიდან, პირიქით მას უფრო აქვს მეტი შანსი, რომ ასეთი პარტნიორები თავად გარიცხოს საზოგადოებიდან. საილუსტრაციოდ მოვიყვან უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან რამდენიმე ძირითად ნაწილს, კერძოდ: შპს-ის პარტნიორებმა საერთო კრებაზე გარიცხეს მოპასუხე-პარტნიორი იმ მოტივით, რომ იგი მიმართავდა შინაგან საქმეთა ორგანოებს განცხადებით, სადაც ამხელდა შპს-ს თანამშრომელთა დანაშაულებრივ ქმედებებს. მოპასუხის განცხადების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ერთ-ერთ თანამშრომელს გოძეს მსჯავრი დაედო საზოგადოების ქონების დატაცებისათვის. დადგენილია ასევე, რომ მოპასუხეს დანაშაულებრივი ქმედება არ ჩაუდენია. პალატამ ყურადღება მიაქცია შპს-ის წესდებასაც, სადაც გათვალისწინებული იყო გარიცხვის საფუძველები, კერძოდ, თუ საზოგადოების წევრი არღვევს საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის და შპს-ის წესდების მოთხოვნებს (ნებისმიერი სახის მოსაკრებლების, საზოგადოების ქონების მითვისება, გაფლანგვა-განიაყების მცდელობა, სამუშაო საათებში ალკოჰოლიანი სასმელების მიღება, სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენა – დატოვება, ხელმძღვანელობის კანონიერი დავალებების შეუსრულებლობა და სხვა).

პალატამ აღნიშნა: სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებიდან ირკვევა, რომ მოპასუხის მიერ დარღვეული არ ყოფილა წესდებით გათვალისწინებული ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები პირიქით, წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნები დარღვეულ იქნა დანარჩენი პარტნიორებისა და თანამშრომლების მიერ, რაშიც მოპასუხემ ისინი ამხილა.

ამრიგად, საბოლოოდ, პალატამ არ დააკმაყოფილა სარჩელი პარტნიორის გარიცხვის შესახებ¹³⁶.

პარტნიორის გარიცხვის შემთხვევაში ხდება თუ არა მისთვის წილის ჩამორთმევა?

პარტნიორთა კრებას არ აქვს უფლება, გარიცხვის შემთხვევაშიც კი, პარტნიორს ჩამოართვას წილი. რატომ არ შეუძლია ამის გაკეთება პარტნიორთა კრებას?

საქმე ისაა, რომ წილი ეს არის პარტნიორის საკუთრება. საკუთრების

¹³⁶ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წ., №2 გვ. 264-265.

ჩამორთმევა უსასყიდლოდ, კომპენსაციის გარეშე კონსტიტუციის 21-ე მუხლის დარღვევას წარმოადგენს, კერძოდ, აღნიშნული მუხლი მოუთმებს, რომ: 1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტით კი: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით“.

ამრიგად, წილის ჩამორთმევა გარიცხული პარტნიორისთვის არ შეიძლება. სასამართლო პრაქტიკაც, ბუნებრივია, ამ ხაზს ატარებს, კერძოდ უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: პალატა იზიარებს კოლეგიის მოსაზრებას, რომ საზოგადოებიდან გარიცხვა წილის ჩამორთმევით, შესაბამისი ანაზღაურების გარეშე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს¹³⁷.

საზოგადოება ვალდებულია სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან გადასცეს მას წილის შესაბამისი კომპენსაცია.

აქვე ისმის კითხვა – რატომ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან და არა კრებაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან?

საქმე ისაა, რომ სასამართლომ შეიძლება არ დააკმაყოფილოს კრების გადაწყვეტილება, რადგან ჩათვალოს, რომ გარიცხვის საფუძვლები არ არის საკმარისი ან ვერ დაადასტურეს მტკიცებულებებით. ასეთ შემთხვევაში უკან გამოართმევენ გადაცემულ კომპენსაციას?! ამიტომ კომპენსაცია მიეცემა, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ პარტნიორი მართლაც გასარიცხია საზოგადოებიდან.

¹³⁷ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წ., №4, გვ. 598.

თავი VIII. საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

§ 1. საზოგადოების რეორგანიზაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის რეორგანიზაცია ეს არის იურიდიული პირის სტატუსის გაუქმება მისი საქმიანობის შეწყვეტის გარეშე, ე.ი. რეორგანიზაციის შემდეგ შპს უქმდება, მაგრამ მისი საქმიანობა გრძელდება გარკვეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. რეორგანიზაციას უკავშირდება სამართალ-მემკვიდრეობა, ანუ თუ იყო შპს და გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად მაშინ ის უფლებები და მოვალეობები რაც გააჩნდა შპს-ს, გადავა სააქციო საზოგადოებაზე. ეს წესი ასევე გამოიყენებოდა 1965 წლის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ურთიერთობებში¹³⁸. ამდენად, რეორგანიზაციით რომ უფლებამონაცვლეობა გადადის ახალ საზოგადოებაზე, ეს დიდიხანია ცნობილია, უბრალოდ, თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებმა მხოლოდ სუბიექტების ფორმა შეცვალა.

რეორგანიზაცია გულისხმობს სხვადასხვა ფორმებს. ამიტომ როდესაც ვინმე იტყვის, რომ მოხდა საწარმოს რეორგანიზაცია, იქვე უნდა დააზუსტოს თუ რა ფორმით განხორციელდა საწარმოს რეორგანიზაცია.

რეორგანიზაციის ფორმებია: გარდაქმნა, შერწყმა, მიერთება, ნატურით გაყოფა (დაყოფა) და გამოყოფა.

რას ნიშნავს თვითეული მათგანი?

გარდაქმნა – ამ დროს ერთი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა გარდაიქმნება, შეიცვლება სხვა ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმად, მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეიძლება გარდაიქმნას სააქციო საზოგადოებად ან კოოპერატივად ან კომანდიტურ საზოგადოებად ანდა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებად.

გარდაქმნის შესაძლებლობა მოცემულია მეწარმეთა შესახებ კანონის 14.4 მუხლში, კერძოდ: პარტნიორებს შეუძლიათ ერთი ფორმის საზოგადოება გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის საზოგადოებად წილობრივი ურთიერთობებისა და საზოგადოების საქმიანობის საგნის

¹³⁸ Комментарий к гражданскому кодексу РСФСР – М. 1982 ст. 65.

შენარჩუნებით. გარდაქმნა დაიშვება მხოლოდ სამეურნეო წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში ახალი სამეურნეო წლის დასაწყისის გათვალისწინებით.

გარდაქმნის ბალანსში შეიტანება აქტივები ძველი საბალანსო ან საბაზრო ღირებულებით.

საბაზრო ღირებულებას ამოწმებენ დამოუკიდებელი ექსპერტები. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების და კოოპერატივის გარდაქმნისათვის აუცილებელია ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად.

ამრიგად, პარტნიორებს შეუძლიათ შპს გარდაქმნან სხვა ფორმის საზოგადოებად ისე, რომ შეინარჩუნონ ის წილები რაც მათ ქონდათ შპს-ში.

მაგალითად, შპს-ში პარტნიორ ვახტანგ საღირაძეს ქონდა 400 ლარი შეტანილი, ანუ მისი წილი იყო 30%. შპს გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. ვახტანგ საღირაძეს შეიძლება სააქციო საზოგადოებაშიც ქონდეს აქციათა 30%.

თუ შპს-ის საწესდებო კაპიტალი არ იქნება საკმარისი სააქციო საზოგადოებისთვის, სადაც საწესდებო კაპიტალი მინიმუმ 15 000 ლარია, მაშინ შპს-ს პარტნიორებს მოუწევთ გაზარდონ სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი. გაზრდა შეიძლება მოხდეს დამატებითი შენატანებით, იმისდა მიხედვით თუ ვის რა წილი ქონდა შპს-ში, ანდა შესაძლებელია, რომ წილები შეიცვალოს, კერძოდ თუ საღირაძეს შპს-ში ქონდა 30%, იმის გამო რომ ვერ მიიღო მონაწილეობა სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდაში, მისი წილი შეიძლება დარჩეს ისევე 400 ლარის ფარგლებში, ანუ შეიძლება გახდეს 10-20%. გარდაქმნა შეიძლება მხოლოდ სამეურნეო წლის დამთავრებიდან ექვსი თვის განმავლობაში, ე.ი. თუ შპს-ის სამეურნეო წელი მთავრდება 2003 წლის 31 დეკემბერს, მაშინ გარდაქმნა შეიძლება 2004 წლის 1 იანვრიდან 1-ელ ივლისამდე. მაგრამ, აქვე გასათვალისწინებელია აგრეთვე, მეწარმეთა შესახებ კანონის 13.4 მუხლი, კერძოდ, საზოგადოების ხელმძღვანელმა სამეურნეო წლის დამთავრებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში უნდა შეადგინონ წლიური ანგარიშგება (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში), აგრეთვე საქმიანობის ანგარიში.

ამავე კანონის 13.2 მუხლით სამეურნეო წლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს თორმეტ თვეს.

როგორც ვხედავთ, თუ სამეურნეო წელი მთავრდება 31 დეკემბერს, სამ თვეში უნდა შედგეს მორიგი საერთო კრება, სადაც დამატებით შეიძლება განიხილონ გარდაქმნის (რეორგანიზაციის) საკითხი.

შპს რომ გარდაიქმნას სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად საჭიროა ხმების უბრალო უმრავლესობა ანუ 51%.

შპს შეიძლება გარდაიქმნას სოლიდალური პასუხისმგებლობის საზოგადოებად, კომანდიტურ საზოგადოებად და კოოპერატივად. თუ შპს გარდაიქმნება სოლიდალური პასუხისმგებლობის საზოგადოებად, მაშინ პარტნიორთა პასუხისმგებლობა განდება სოლიდალური, მთელი თავისი ქონებით. სასამართლოში მოხდება ახალი „ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის რეგისტრაცია და არა ახალი საზოგადოების დაფუძნების რეგისტრაცია“¹³⁹.

აქვე ისმის ერთი კითხვა, თუ შპს ჰყავდა კრედიტორები და ამ დროს მოხდა მისი გარდაქმნა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებად, როგორ აგებენ პასუხს კრედიტორების წინაშე, საზოგადოების ქონებით, თუ პარტნიორების პირადი ქონებით?

სპს-ის ბუნებიდან გამომდინარე, პარტნიორებმა პირადი ქონებით უნდა აგონ პასუხი.

მაგრამ, თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელსაც ყავდა კრედიტორები, გარდაიქმნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად, მაშინ კრედიტორების წინაშე, რომელიც შეიძლება დაუცველი აღმოჩნდეს, რადგანაც შპს-ს შეიძლება არ ქონდეს 2000 ლარიანი საწესდებო კაპიტალის გარდა სხვა ქონება, პასუხი უნდა აგონ როგორც სპს-ის პარტნიორებმა.

რას ეყრდნობა ასეთი დასკვნა?

საქმე იმაშია, რომ სპს-თან კრედიტორებმა იმიტომ გააფორმეს კომერციული ხელშეკრულება, რომ სპს-ის პარტნიორებს ქონდათ საკმაო ოდენობის პირადი ქონება. ამიტომ სპს-ის შპს-ად გარდაქმნამ შეიძლება კრედიტორებს ზიანი მიაყენოს. საერთოდ, უმჯობესი იქნებოდა, რეორგანიზაცია კრედიტორების გაფრთხილების გარეშე არ ხდებოდეს.

¹³⁹ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 190.

შერწყმა – შერწყმასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს მეწარმეთა შესახებ კანონის 14.5 მუხლი. ამ მუხლიდან გამომდინარე საზოგადოებებსა და ინდივიდუალურ საწარმოს შეუძლიათ გაერთიანდნენ (შერწყმა). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა. შერწყმის შესახებ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს, ერთი საზოგადოება უერთდება მეორეს თუ ორივე საზოგადოება ერთიანდება ერთ ახალ საზოგადოებად.

თუ შერწყმის დროს მოხდება გადახვევები საბალანსო ღირებულებიდან, შერწყმის ბალანსში ღირებულება უნდა დაზუსტდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებამ უნდა განსაზღვროს პარტნიორთა უფლებამოვალეობანი, თუ ისინი არ ხელმძღვანელობენ საწესდებო კაპიტალში მათი წილის პრინციპებით. საზოგადოება, რომელმაც ძველი საზოგადოება მიიერთა, ან ახლად შექმნილი საზოგადოება – წარმოადგენენ ადრინდელი საზოგადოების (საზოგადოებების) უფლებამონაცვლეს.

მოცემული წესიდან ნათლად ჩანს შემდეგი:

ა) შერწყმის დროს შპს-ში გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით. თუმცა, წესდებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ გადაწყვეტილების ერთხმად მიღებაც.

ბ) შერწყმის სუბიექტებს (მხარეებს) შორის აუცილებელია ხელშეკრულება.

ხელშეკრულებაში განსაზღვრული უნდა იყოს მომავალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, საწესდებო კაპიტალის ოდენობა თუ კაპიტალური გაერთიანების მქონე საზოგადოებას ქმნიან, პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი, თუ ისინი არ ხელმძღვანელობენ საწესდებო კაპიტალში მათი წილის პროპორციულობის პრინციპებით და ა.შ. ვფიქრობ, საზოგადოების თანამშრომლების ინტერესების გათვალისწინებისა და შრომითი უფლებების დაცვის გამოხატულება იქნება თუ ხელშეკრულებაში გაითვალისწინებენ მონაცემებს „საწარმოებში მომუშავეთა უფლებრივი მდგომარეობის

შესახებ, კერძოდ, იმის შესახებ, გააგრძელებენ თუ არა ისინი შრომით საქმიანობას ახალ საწარმოში¹⁴⁰.

შერწყმის შედეგად, ყოფილი საზოგადოება შეიძლება ფილიალადაც ჩამოყალიბდეს. აღნიშნული შემთხვევა ნათლად ჩანს სააპელაციო პალატის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, კერძოდ: სააპელაციო წესით საქმის განხილვისას სს „რელასი“ შერწყმა სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას“ და დღეისათვის იგი წარმოადგენს მის ფილიალს¹⁴¹.

რადგანაც ხდება საზოგადოებათა შერწყმა, ამიტომ ხელშეკრულებას ხელს აწერენ საზოგადოებების ხელმძღვანელები. თუ მეორე მხარე სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა მაშინ საკმარისია ერთ-ერთმა ხელმძღვანელ-პარტნიორმაც მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას, თუ მათი წესდებით არ არის გათვალისწინებული ყველა ხელმძღვანელის ხელმოწერა. ასეთივე წესი მოქმედებს, თუ მეორე მხარე არის კომანდიტური საზოგადოება, აქ ხელს აწერს ერთ-ერთი კომპლემენტარი, თუ მათი წესდებით სხვა კომპლემენტარები არ აწერენ ხელს.

გ) შერწყმის საკითხს წყვეტენ მხარეები პარტნიორთა კრებებზე. თუ მეორე მხარე სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა ან კომანდიტური საზოგადოებაა მაშინ შერწყმის საკითხი ამ საზოგადოების საერთო კრებაზე ერთხმად უნდა გადაწყდეს (კანონის 14.5 მუხლი).

შერწყმის საკითხი გადაწყდება იმ შემთხვევაში თუ კრებაზე მოიწონებენ შერწყმის ხელშეკრულების დებულებებს, პირობებს, ამის შემდეგ კი ხელმძღვანელები აწერენ ხელს. ხელშეკრულება ნოტარიალურად უნდა დადასტურდეს¹⁴².

როგორც ზემოთ დასახელებული მუხლიდან ჩანს შერწყმის ორი ფორმა არსებობს, კერძოდ: მიერთება და გაერთიანება¹⁴³. სამოქალაქო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი მიერთების და გაერთიანების სანაცვლოდ იყენებს ტერმინებს – შეერთებას და მიერთებას. არსი ორივეს ერთნაირი აქვს, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთგვარი სინო-

¹⁴⁰ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 195.

¹⁴¹ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003 წ., №7, გვ. 1807.

¹⁴² ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 194.

¹⁴³ ე. შენგელია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 50.

ნიმებიც კი არის. ადრე, 1965 წლის სამოქალაქო კოდექსში და იურადიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული იყო ტერმინები – შერწყმა და შეერთება¹⁴⁴. შინაარსობრივად ესენიც იგივე გაგებით მოიაზრებოდა. რას ნიშნავს მიერთება?

ამ დროს ერთი საზოგადოება უერთდება მეორეს. მაგალითად, შპს „თბილისს“ მიუერთდა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გიორგი კვერნაძე და კომპანია, სპს“. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება როგორც იურიდიული პირი, გაუქმდა, მაგრამ სამაგიეროდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში გაიზრდება მუშაკთა რაოდენობა და ქონება.

რას ნიშნავს გაერთიანება (შეერთება)?

ასეთ შემთხვევაში შპს და სხვა მეორე საზოგადოება გაერთიანდება ერთ ახალ საზოგადოებად.

მაგალითად, შპს „თბილისი“ და სააქციო საზოგადოება „არქიტექტორი“ გაერთიანდნენ ერთ ახალ საზოგადოებად, რომლის ორგანიზაციული ფორმა შეიძლება იყოს ისევე შპს ან სააქციო საზოგადოება. გაერთიანების შემთხვევაში უქმდება ორივე საზოგადოება, როგორც იურიდიული პირი და მათ ადგილზე კი იქმნება ახალი საზოგადოება. თუ გაერთიანებული საზოგადოებების პარტნიორები იურიდიული პირებია, მაშინ ისინი გაერთიანების შემთხვევაში ვერ შექმნიან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და კომანდიტურ საზოგადოებას.

რადგანაც მეწარმეთა შესახებ კანონის 20.2 მუხლით სპს-ს პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები, ხოლო, 34.3 მუხლით კი, კომანდიტურ საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები) შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

მაგრამ თუ გაერთიანებული საზოგადოების პარტნიორები ფიზიკური პირებია, მათ შეუძლიათ შექმნან ნებისმიერი ფორმით საზოგადოება. თუ გაერთიანებული საზოგადოებების პარტნიორებია იურიდიული და ფიზიკური პირები, მაშინ ისინი ვერ დააფუძნებენ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, მაგრამ შეუძლიათ დააფუძნონ კომანდი-

¹⁴⁴ საბჭოთა სამართლის საფუძვლები, ავტოთა კოლექტივი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977 წ. გვ. 128.

ტური საზოგადოება და იურიდიული პირები კომანდიტების სტატუსით შემოვლენ კომანდიტურ საზოგადოებაში.

4. საზოგადოებამ რომელმაც მიიერთა სხვა საზოგადოება არის ამ საზოგადოების უფლებამონაცვლე, ხოლო გაერთიანების შედეგად შექმნილი საზოგადოება არის გაერთიანებული საზოგადოებების უფლებამონაცვლე.

უფლებამონაცვლე იმას ნიშნავს, რომ რა უფლებები და მოვალეობებიც შერწყმამდე ქონდათ საზოგადოებებს ის გადავა ახლად შექმნილ საზოგადოებაზე.

შერწყმა შეიძლება მოხდეს მხოლოდ წლიური ანგარიშის შედგენის დღისათვის და ამ დღიდან ექვსი თვის მანძილზე. თუ როდის დგება წლიური ანგარიში და როდის ხდება გარდაქმნა ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. იგივე წესი მოქმედებს შერწყმის დროსაც.

წლიურ ანგარიშს ხელს აწერენს ხელმძღვანელები და უთითებენ შედგენის თარიღს.

ნატურით გაყოფა – მეწარმეთა შესახებ კანონის 14.6 მუხლის მიხედვით, საწარმო, რომლის შემადგენლობაში რამდენიმე საწარმოო ერთეულია, შეიძლება დაიყოს მის შემადგენლობაში მყოფ საწარმოებად და მათ გააგრძელონ საქმიანობა როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა – სუბიექტებმა საკუთარი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით (გაყოფა ნატურით).

შემადგენლობაში მყოფი საწარმო წარმოადგენს საწარმოო-ორგანიზაციულად განცალკავებულ ერთეულს, რომელსაც აქვს საკუთარი საქმიანობის სფერო. ნატურით გაყოფა დაიშვება საბალანსო ღირებულებით. თუ დადგინდა უფრო მაღალი ღირებულება, იგი უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. ნატურით გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ აღრინდელი პარტნიორები ნატურით გაყოფილ საწარმოში მონაწილეობდნენ სხვადასხვა წილობრივ საფუძველზე.

გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებულ ვალდებულებებზე.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ნატურით გაყოფა ერთგვარად განსხვავდება საცხოვრებელი ფართის ან მაგალითად, თანამესაკუთრებს შორის ქონების გაყოფით. უზენაესმა სასამართლომაც თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში

კანონის 14.6 მუხლთან დაკავშირებით მიუთითა, „აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს საწარმოს გაყოფას მხოლოდ საწარმოს შიგნით, კერძოდ, ისეთი წარმონაქმნების მიმართ, რომლებიც გაყოფის შემთხვევაში ორგანიზაციულად ცალკე გააგრძელებენ საქმიანობას, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები“¹⁴⁵.

საწარმოს გაყოფა, ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე წარმოადგენს საწარმოს რეორგანიზაციის ფორმას, ეს კი ხდება მაშინ, როცა საწარმო ერთდროულად საქმიანობის რამდენიმე სახეს მისდევს, რის გამოც მისი ორგანიზაციულად მართვა მეტად რთული ხდება. მითითებული ნორმის საფუძველზე საწარმოთა დაყოფის დროს ერთი საწარმო იყოფა რამოდენიმე დამოუკიდებელ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმის საწარმოდ და თავდაპირველი საწარმო წყვეტს თავის არსებობას. როგორც წესი დაყოფის შედეგად წარმოშობილი საწარმოებში ძველი საწარმოს პარტნიორები მონაწილეობენ იმავე პროცენტული ოდენობით, როგორც დაყოფილ საწარმოში¹⁴⁶.

საკორპორაციო სამართალში ნატურით გაყოფა გულისხმობს საზოგადოების შემადგენლობაში არსებულ საწარმოო ერთეულების გამოყოფას ან დაყოფას.

რა იგულისხმება საწარმოო ერთეულში? საწარმოო ერთეული, როგორც ტერმინი, გამოიყენებოდა იურიდიულ ლიტერატურაში ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე. მასში ძირითადად მოიაზრებოდა წარმომადგენლობა, ფილიალი, და სხვა არაიურიდიული სტრუქტურული ერთეულები – ფაბრიკები, ქარხნები, სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციები და ა.შ.¹⁴⁷.

ფაქტიურად, ღღესაც შეიძლება ეს ორგანიზაციები ვიგულისხმოთ საწარმოო ერთეულში.

ნატურით გაყოფისა და გამოყოფის უკეთ გაგების მიზნით მოვიყვანოთ ორ მაგალითს:

პირველი – შპს „უნივერსალი“ ახორციელებდა საამშენებლო საქმიანობას და აწარმოებდა და ჰყიდდა საამშენებლო მასალას. შპს-ის

¹⁴⁵ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003 წ., №6, გვ. 1600.

¹⁴⁶ იქვე, გვ. 1601.

¹⁴⁷ Комментарий к гражданскому кодексу РСФСР – М. 1982 – стр.41.

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით სამშენებლო მასალის წარმოება გამოეყო და ცალკე ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება „საამშენებლო მასალის“ სახით. გამოყოფილ საქმიანობის შემდეგომი განვითარების მიზნით მას გადასცეს შპს „უნივერსალის“ გარკვეული სახის ქონება. ეს არის გამოყოფა. ეს წესი, ისევე როგორც რეორგანიზაციის ზოგიერთი სხვა წესი, ახალი არ არის, იგი არსებობდა ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდეც.

მეორე – შპს „უნივერსალის“ პარტნიორებმა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს შპს-ის გაყოფა, კერძოდ, მის ადგილას შექმნილიყო ორი სააქციო საზოგადოება, სააქციო საზოგადოება „მშენებელი“ და სააქციო საზოგადოება „საშენი მასალა“. შპს-ის ქონებაც შესაბამისად გადანაწილდა, კერძოდ, ერთი ნაწილი გადაეცა ს/ს „მშენებელს“, ხოლო მეორე ნაწილი ს/ს „საშენი მასალას“. რა თქმა უნდა, გაყოფის შემთხვევაში შპს „უნივერსალი“ უქმდება.

გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს რა ფორმით შექმნიან ახალ საზოგადოებებს, მათი საფირმო სახელი, იურიდიული მისამართი, დირექტორები, პარტნიორთა წილები (აქციები) და ა.შ. ის რაც მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შპს „უნივერსალის“ პარტნიორებმა მზარი დაუჭირონ გაყოფას (ან თუნდაც გამოყოფას).

გაყოფილი ან გამოყოფილი საწარმოების ადგილას როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება შეიქმნას ახალი საწარმო ან ისინი შეურთდნენ სხვა საზოგადოებას, „ამ შემთხვევაში გაყოფის მომწესრიგებელ ნორმებთან ერთად უნდა გამოვიყენოთ შერწყმის მომწესრიგებელი ნორმებიც“¹⁴⁸.

როგორც ზემოთ გაკეთებული მცირე ანალიზი გვიჩვენებს, სიტყვა „ნატურით გაყოფა“ არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს პარტნიორების მიერ შპს-ის ქონების, მათ შორის შპს-ის საწესდებო კაპიტალის, თუნდაც მათ მიერ შეტანილის, გაყოფას ან გამოყოფას (წამოღებას), რადგანაც როგორც ადრე აღვნიშნეთ ის რაც გადაეცა შპს-ს, მის საკუთრებაა და სხვის საკუთრებას კი ველარავინ გაყოფს. მაგრამ რასაკვირველია, გამომდინარე იქედან, რომ პარტნიორთა კრება მართვის უმაღლესი ორგანოა, შეიძლება ხმის უმრავლესობით ნებისმიერ პირს აჩუქონ (მიყიდონ) საზოგადოების ქონება, ამის გაკეთება პრინციპში,

¹⁴⁸ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 198.

საზოგადოების სახელით შეუძლია ღირეპტორსაც თუ წესდებით ან კანონით ეს უფლება პარტნიორთა კრებას არ აქვს გადაცემული. მაგალითად, პარტნიორთა კრების ფუქციაში შედის უძრავი ქონების გასხვისება (გაყიდვა, გაჩუქება და ა.შ.).

როგორც 14.6 მუხლიდან ჩანს, ნატურით გაყოფა შეიძლება მოხდეს საზოგადოების საბალანსო ღირებულებით. ჩვენს შემთხვევაში შპს „უნივერსალს“ დაუშვავთ ქონდა 20 000 ლარის ქონება (დაზგადანადგარები და სხვა სახის მოწყობილობა), ამ ღირებულებით მოხდება ნატურით გაყოფაც. მაგრამ თუ სურთ, რომ ბალანსის ღირებულება გაზარდონ და ასე გადაიტანონ ახლად შექმნილ საზოგადოების ბალანსზე, მაშინ უკვე საჭიროა მოწვეული იქნეს დამოუკიდებელი ექსპერტი – აუდიტი.

მეწარმეთა შესახებ კანონის 19.3 მუხლით „დამოუკიდებელ ექსპერტად მიიჩნევა სააუდიტო საზოგადოების პირი ან აუდიტორი, რომელსაც სახელმწიფოსაგან აქვს უფლებამოსილება, შეამოწმოს საწარმოთა საბუღალტრო საქმე და ანგარიშიანობა ზოგადად და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების თანახმად. ამასთან, ეს პირი ან საზოგადოება ეკონომიკურად და პიროვნულად დამოუკიდებელი უნდა იყოს შესამოწმებელი საწარმოსაგან ან მათი თანამდებობის პირთაგან. თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ დანიშნონ ასეთი პირი ან საზოგადოება, მაშინ ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საწარმოს ადგილსამყოფლის ან შემოწმების ადგილის მიხედვით არსებული სასამართლო“.

თუ პარტნიორთა კრება გადაწყვეტს საწესდებო კაპიტალში შეიტანონ საბალანსო ღირებულებით გარკვეული სახის ქონება მაშინ მათ აღარ ესაჭიროებათ აუდიტის დასკვნა, რადგან ბალანსზე არსებული ქონება უკვე შეფასებულია და ამის მიხედვით იხდიან კიდევ გადასახადს და ა.შ. ამიტომ ხელმეორედ აუდიტის შეფასება აღარ არის საჭირო, მაგრამ თუ უნდათ, რომ ბალანსზე არსებული ნივთები გაზრდილი ღირებულებით შეიტანონ საწესდებო კაპიტალში, მაშინ უკვე სჭირდებათ აუდიტის დასკვნა.

ნატურით გაყოფის (გამოყოფის) საფუძველზე შექმნილ საწარმოებზე გადადის ის ვალდებულებებიც რაც გაყოფამდე საწარმოებს ჰქონდათ.

ნატურით გაყოფაც უნდა მოხდეს მხოლოდ წლიური ანგარიშის შედგენის დღიდან ექვსი თვის მანძილზე. ამის შემდეგ ნატურით გაყოფა არ დაიშვება.

დაბოლოს აღვნიშნავ, რომ რეორგანიზაციასთან ძალიან ბევრი საკითხი და პრობლემა არის დაკავშირებული რაც შეიძლება დარეგულირდეს თუ მიღებული იქნება კანონი რეორგანიზაციის შესახებ.

§ 2. საზოგადოების ლიკვიდაცია

საზოგადოების ლიკვიდაცია ანუ საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის გაუქმება, შეიძლება მოხდეს ნებაყოფლობით ან იძულებით.

ნებაყოფლობით ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) განსაზღვრული ვადით შექმნილი საზოგადოების ლიკვიდაცია, ვადის დადგომის გამო.

ბ) პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება (მაგალითად, იმ მოტივით, რომ აღარ სურთ რომ საზოგადოებამ გააგრძელოს სამეწარმეო საქმიანობა).

გ) იმ საქმიანობის შესრულება, რისთვისაც შექმნილი იყო საზოგადოება.

პირველ შემთხვევა ეხება 14.1 მუხლის საფუძველზე შექმნილ საწარმოს. ამ მუხლის თანახმად, „საზოგადოება შეიძლება შეიქმნას განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით“. ვადა უნდა ეწეროს წესდებაში, თუ არ წერია იგულისხმება, რომ საზოგადოება განუსაზღვრელი ვადით შეიქმნა.

ამრიგად, თუ წესდებაში ჩაწერეს, რომ შპს იქნება 2 წლის ვადით, მაშინ ორი წლის თავზე, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, უნდა მოხდეს საზოგადოების ლიკვიდაცია. თუ პარტნიორები ლიკვიდაციის თაობაზე არ მიმართავენ სასამართლოს, მაშინ იგულისხმება, რომ პარტნიორები თანახმანი არიან საზოგადოებამ გააგრძელოს საქმიანობა განუსაზღვრელი ვადით.

მეორე შემთხვევა გულისხმობს ისეთ ვითარებას, როდესაც პარტნიორებს უბრალოდ აღარ სურთ იყვნენ საზოგადოების პარტნიორები და საზოგადოებამ გააგრძელოს სამეწარმეო საქმიანობა.

ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ობიექტური, მაგალითად, საგადასახადო კანონმდებლობის გართულება, გადასახადების გაზრდა, ომიანობა, ბიზნესმენებზე ყაჩაღური თავდასხმები და ა.შ. ან სუბიექტური, როდესაც ვერც ღირექტორი და ვერც პარტნიორები ვერ ავლენენ საზოგადოების მართვის უნარს, ანდა უბრალოდ სრულიად სხვა საქმიანობით დაინტერესდნენ და აღარ უნდათ პარტნიორად ყოფნა.

მესამე შემთვევა ეხება ისეთ საზოგადოებას, რომელიც გარკვეული სახის საქმიანობის განსახორციელებლად იქმნებიან, მაგალითად, ზამთრის პერიოდში ქუჩები გაწმინდონ თოვლისგან.

როდესაც პარტნიორებს აღარ სურთ, რომ საზოგადოებამ გააგრძელოს სამეწარმეო საქმიანობა, მათმა უნდა მოიწვიონ პარტნიორთა კრება, დანიშნონ ლიკვიდატორი, რომელიც დაიწყებს საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესს.

თუ საზოგადოებას ერთი დამფუძნებელი ყავს, მისი გარდაცვალება გამოიწვევს თუ არა საზოგადოების ლიკვიდაციას?

მისი გარდაცვალება არ გამოიწვევს საზოგადოების ლიკვიდაციას თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ეს იმიტომ ხდება, რომ შპს ქონების, კაპიტალის გაერთიანებაზე შექმნილი საზოგადოებაა და არა წევრთა გაერთიანებაზე შექმნილი საზოგადოება.

ამიტომაც საზოგადოება გააგრძელებს არსებობას. მაგრამ რადგანაც წესდებაში დაფიქსირებული პირი, რომელსაც ასევე შენატანი და წილი აქვს აღნიშნული წესდებაში, აღარ არსებობს, რეგისტრაცია შეიძლება ჩაითვალოს ხარვეზად და სასამართლომ საზოგადოებას უნდა მისცეს სამი თვის ვადა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ ხარვეზი ღირექტორის მიერ არ გამოსწორდება სასამართლო მოახდენს ლიკვიდაციას. თუ მემკვიდრეები გამორჩნდებიან ისინი გაინაწილებენ წილს და გახდებიან პარტნიორები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოების ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს იძულებითაც. იძულებით ლიკვიდაციის საფუძვლები შეიძლება იყოს შემდეგი:

ა) თუ აღმოჩნდება ხარვეზი რეგისტრაციის დროს და ამ ხარვეზს სასამართლოს მითითებით არ გამოასწორებენ სამი თვის ვადაში. (მუხლი 5.8);

ბ) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა¹⁴⁹;

გ) თუ საზოგადოება ეწევა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს.

პირველ შემთხვევაზე მე უკვე ვისაუბრე ზემოთ და აქ აღარ შევხები. საინტერესო არის მეორე შემთხვევა, რომელთან დაკავშირებითაც კანონის 14.1.3 მუხლი უთითებს, რომ თუ საწარმო გადახდისუუნარო გახდება შპს-ის ღირექტორმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ საწარმოს გადახდისუუნარობის დადგომიდან დღიდან არაუგვიანეს სამი კვირისა, უნდა განაცხადოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ. ეს წესი გამოიყენება ზედავალიანების შემთხვევაშიც. არ მიიჩნევა განცხადების ბრალეულ გაჭიანურებად, თუ ზემოხსენებული პირები გაკოტრების საქმის წარმოების გახსნას ეპყრობიან კანონის 9.7 მუხლით გათვალისწინებული კეთილსინდისიერებით.

როგორც დასახელებული წესი გვიჩვენებს თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გადახდისუუნარო გახდება ღირექტორი ვალდებულია გადახდისუუნარობის დადგომის დღიდან სამი კვირის მანძილზე განაცხადოს გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ.

რას ნიშნავს „გადახდისუუნარობა“?

გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით, „მოვალის გადახდისუუნარობა სახეზეა, როდესაც მას არ შეუძლია შეასრულოს ვადამოსული გადახდის ვალდებულებები. მოვალის გადახდისუუნარობა ივარაუდება, თუ მოვალე ზოგადად შეწყვეტს ვალების გადახდას“.

„ვადამოსული“ ნიშნავს დროის იმ მონაკვეთს, როდესაც მაგალითად, მოვალემ უნდა გადაიხადოს აღებული სესხი. თუ მოვალე იხდის მხოლოდ ვალის ნაწილს, ხოლო დარჩენილი ნაწილს ვეღარ იხდის, ასეთ შემთხვევაში ივარაუდება, რომ იგი გახდა გადახდისუუნარო. სწორედ, იმ დღეს, როდესაც მოვალეს უნდა გადაეხადა, მაგალითად, თანხა, მაგრამ ვერ გადაიხადა, მეორე დღიდან იწყება უკვე სამკვირიანი ვადის ათვლა რომლის განმავლობაშიც მოვალემ უნდა განაცხადოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ. რატომ მეორე დღიდან და არა იმავე დღიდან? სამოქალაქო კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად,

¹⁴⁹ ქ. ქიქრაშვილი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაცია. ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“ 1998 წ., №1, გვ. 31.

„თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო“. ჩვენს შემთხვევაში თუ თანხა უნდა გადაეხადა 5 ოქტომბერს, მაგრამ ვეღარ გადაიხადა, მაშინ ათვლა დაიწყება 6 ოქტომბრიდან.

რასაკვირველია ღირექტორს შეუძლია განსაზღვრულ შემთხვევებში (თუნდაც 6 ოქტომბრიდან) კრედიტორს შესთავაზოს მორიგების სხვადასხვა ვარიანტები, ეცადოს ინვესტიციების მოძიებას და ა.შ. მაგრამ პრინციპში, როდესაც დაინახავს, რომ ვეღარ შესძლებს გადახდას (ფულის სახით, უცხოური ვალუტის სახით, ფასიანი ქაღალდის სახით), უნდა მოითხოვოს გაკოტრების საქმის წარმოება.

რას ნიშნავს „ზედავალიანება“?

გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონის იმავე მუხლის მე-4 ნაწილით „ზედავალიანება სახეზეა, როდესაც მოვალის ქონება (აქტივი) ვეღარ ფარავს მის ვალდებულებებს (პასივს)“.

სად უნდა განაცხადოს ღირექტორმა გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ?

საერთოდ, დასახელებული კანონის მე-3 მუხლის თანახმად, „გაკოტრების საქმეს, მიუხედავად მოვალის ქონების ღირებულებისა და კრედიტორების მოთხოვნების ოდენობისა, განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო (გაკოტრების სასამართლო) მოვალის ადგილსამყოფლის მიხედვით“.

გასათვალისწინებელია ის წესიც, რომ ამავე კანონის 6.1 მუხლიდან გამომდინარე განცხადების შეტანის უფლება აქვს, აგრეთვე კრედიტორსაც, რომელსაც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტიდან მოვალის მიმართ აქვს საფუძვლიანი ქონებრივი პრეტენზია. ასეთ შემთხვევაში „კრედიტორს ევალება მოვალის გადახდის უუნარობისა და დაევალიანების დასაბუთება თავის განცხადებაში“¹⁵⁰.

შპს-ის ღირექტორი (ღირექტორები) ვალდებულია საზოგადოებას, რომლის ღირექტორიც თავად არის, აუნაზღაუროს გადახდის უუნარობის

¹⁵⁰ თ. ლილუაშვილი, გაკოტრების საქმის წარმოება სასამართლოში, თბილისი, 1997 წ., გვ. 10. გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ იხილეთ აგრეთვე, რ. მიგრაიული – შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები, თბილისი 2004 წ. და შესავალი გაკოტრების სამართალში, თბილისი, 1999 წ.

დადგომის ან ზედავალიანების დადგენის შემდეგ გაღებული ხარჯები. გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის საზოგადოების მიმართ მოქმედებდა კეთილსინდისიერებით, კერძოდ, თუ ღირექტორები საზოგადოებაზე „ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის (კანონის 9.7 მუხლი).

არ შეიძლება საზოგადოების ლიკვიდაცია მოხდეს ლიკვიდაციის შესახებ განცხადების წარდგენისთანავე, როგორც ეს ზოგჯერ ხდება პრაქტიკაში. საქმე ისაა, რომ საზოგადოებას შეიძლება ყავდეს კრედიტორები, ამიტომ ლიკვიდაციის სწრაფად განხორციელების შემთხვევაში კრედიტორების წინაშე ჩნდება პრობლემები, კერძოდ, როგორ და ვისგან დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნები, მაშინ როდესაც საზოგადოება, ანუ მათი მოვალე უკვე აღარ არსებობს.

უნდა აგოს თუ არა პასუხი სასამართლომ თუკი იგი მოახდეს საზოგადოების ლიკვიდაციას სალიკვიდაციო პროცესების ჩატარების გარეშე?

ამ კითხვაზე, რომ პასუხი გავცეთ საჭიროა ჯერ გავაკეთოთ კანონის 14.2 მუხლის ანალიზი. ამ მუხლიდან გამომდინარე ლიკვიდაცია წარმოებს შპს-ის დირექტორის (დირექტორების) მიერ. ერთ-ერთი პარტნიორის შუამდგომლობით, თუ საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, ლიკვიდაციის განხორციელებელი პირები (ლიკვიდატორები) შეიძლება დაინიშნონ იმ სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას აქვს ადგილსამყრფელი. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია ლიკვიდატორებად დანიშნოს ის პირები, რომლებიც არ არიან დირექტორები.

როგორც ვხედავთ, ლიკვიდაციის პროცესი შეიძლება განახორციელოს საზოგადოების დირექტორმა, ანდა სასამართლოს მიერ დანიშნულმა პირმა. ასეთი პირის კანდიდატი, შეიძლება შესთავაზოს საზოგადოების პარტნიორებმა და შეიძლება თავად სასამართლომაც მოიწვიოს.

ლიკვიდატორებმა დანიშვნისთანავე უნდა შეადგინონ ბალანსი, საწარმოს საბუღალტრო წიგნებიდან ან სხვა წყაროებიდან ცნობილ კრედიტორებს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ უნდა აცნობონ სპეციალური შეტყობინებით, ხოლო უცნობ კრედიტორებსა და იმ

კრედიტორებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია, – საჯარო განცხადებით, და მოიწვიონ ისინი მათი პრეტენზიების განცხადებისთვის (კანონის მე-14.2 მუხლი).

როგორც ვხედავთ, ლიკვიდატორებმა, მათ შორის ღირეუქტორებმაც, უნდა შეადგინონ საზოგადოების ბალანსი, საზოგადოების კრედიტორებს შეატყობინონ საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის შესახებ. სპეციალური შეტყობინება შეიძლება დაზღვეული წერილით, ფაქსით და სხვა ისეთი საშუალებით, რომელსაც დავის შემთხვევაში დაადასტურებენ შეტყობინებას. თუ კრედიტორები უცნობია, ანდა ცნობილია, მაგრამ არ იციან მათი იურიდიული მისამართი ან საცხოვრებელი ადგილი, მაშინ შეტყობინების მცდელობა უნდა განახორციელონ საჯარო განცხადებით, მაგალითად, პრესით, ტელევიზიით, რადიოთი და სხვა. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ისეთ პრესაში უნდა გაკეთდეს განცხადება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება და თანაც საზოგადოებაში შედარებით პოპულარულია. როდესაც ავლნიშნავთ ტელევიზიას, აქაც მოიაზრება ტელევიზიის ისეთი არხი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება და არ შემოიფარგლება ადგილობრივი ტერიტორიით. გარდა ამისა, კარგი იქნება თუ ტელევიზიაში განცხადება გაკეთდება ღამის საათებში, კერძოდ, 7-11 საათამდე, რადგანაც იგულისხმება, რომ ადრესატები სახლში იქნებიან და უყურებენ ტელევიზორს. რაც შეეხება რადიოთი განცხადების გაკეთებას, უმჯობესი იქნება თუ განცხადება გაკეთდება შუადღეს შესვენების პერიოდში, კერძოდ, 1-4 საათამდე.

თუ კრედიტორები უცხოელები არიან? ე.ი. იციან რომელი ქვეყნიდან მაგრამ არ იციან მათი ადგილსამყოფელი, მაშინ როგორ ხდება მათთვის შეტყობინება?

ზემოთ დასახელებული წესი მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ თუ საზოგადოებას გააჩნია იმდენი ფინანსური შესაძლებლობა, რომ კრედიტორების ქვეყანაშიც შესაბამისად მოიქცნენ, რა თქმა უნდა ეს მათ ავტორიტეტზე და სახელზე დადებითად იმოქმედებს.

კანონის 14.2 მუხლის მესამე აბზაცის მიხედვით, „ლიკვიდატორები მოვალენი არიან დაამთავრონ მიმდინარე საქმეები, განახორციელონ აქტივები და შეასრულონ საზოგადოების ვალდებულებები, თუ ბალანსიდან არ გამომდინარეობს დავალიანება. დავალიანების დადგენისთანავე ისინი

მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს ამის თაობაზე, რომელმაც უნდა აღძრას საბანკოტო საქმე.

ლიკვიდატორები წარმოადგენენ საზოგადოებას ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებში, შეუძლიათ წარმართონ ამასთან დაკავშირებული პროცესები, დაამთავრონ საარბიტრაჟო საქმეები ან მორიგებით დაასრულონ დავები, ხოლო თუ საჭიროა, ჩაერთონ ახალ გარიგებებშიც. მათ შეუძლიათ, აგრეთვე თავისუფლად გაყიდონ აქტივები. გრძელვადიანი ლიკვიდაციის დროს მათ ყოველწლიურად უნდა შეადგინონ შუალედური ბალანსები. საზოგადოება პასუხს აგებს ლიკვიდატორის მიერ თავის საქმიან მოვალეობათა შესრულებისას უნებართვო მოქმედებებით მიყენებული ზიანისათვის. ლიკვიდატორების პასუხისმგებლობა განისაზღვრება 9.7 მუხლით.

თუ ლიკვიდატორებს დავალიანება არ აქვთ ანუ ისეთი ვალეები არ აქვთ, რომლის გასტუმრებაც არ შეუძლიათ, მაშინ ისინი სასამართლოს სახელზე შეადგენენ განცხადებას, მასში აღნიშნავენ, რომ დამთავრდა სალიკვიდაციო პროცესი, არ აქვთ დავალიანება და სთხოვენ ლიკვიდაციის დამთავრების რეგისტრაციას სამეწარმეო რეესტრში.

შოლოდ სამეწარმეო რეესტრში ლიკვიდაციის რეგისტრაციით წყდება საზოგადოების სტატუსი. ამ წესზე უთითებს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლი, კერძოდ, „იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ რეგისტრაციის მომენტიდან“.

ყოველივე ზემოთ გაკეთებული ანალიზიდან სჩანს, რომ სასამართლო კანონის მოთხოვნას ლიკვიდაციის ჩატარების შესახებ ყურადღებას უნდა აქცევდეს. თუ მარეგისტრირებული მოსამართლე ლიკვიდაციის ჩატარების გარეშე მაინც მოახდენს ლიკვიდაციის რეგისტრაციას, მაშინ მან სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, უნდა აგოს პასუხი, კერძოდ, თუ სახელმწიფო მოსამსახურე უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთან მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

ლიკვიდატორები წარმოადგენენ საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ მათი ცოდნა და გამოცდილება არ იქნება საკმარისი საზოგადოების ლიკვიდაციის სწორად წარმართვისათვის, სასამართლოს

შეუძლია თავისი ინიციატივით ან დამფუძნებელთა თხოვნით, შეცვალოს ლიკვიდატორები. ხოლო თუ ისინი დანიშნულია თავად პარტნიორების მიერ, მაშინ მათ შეუძლიათ შეცვალონ ისინი.

ლიკვიდატორებს აქვთ თუ არა უფლება, გაასაჩივრონ სასამართლოს ან პარტნიორთა გადაწყვეტილება მათი შეცვლის თაობაზე?

ფეიქრობ, რომ ლიკვიდატორებს ამის უფლება არ აქვთ, რადგანაც მათი საქმიანობა უშუალოდ უკავშირდება საზოგადოებას, პარტნიორებს და კრედიტორებს, ამიტომ თუ პარტნიორებს ან სასამართლოს არ მოსწონს მათ მიერ განხორციელებული ლიკვიდაციის პროცესი მათ შეუძლიათ ისინი შეცვალონ თავისუფლად. მათი შეცვლა არც შრომის კანონმდებლობას უკავშირდება და არც მათ რაიმე სხვა უფლებას არღვევს.

თავად ლიკვიდატორსაც შეუძლია ნებისმიერ დროს უარი თქვას ლიკვიდატორის სტატუსზე, მაგრამ მან ამის შესახებ გონივრულ ვადაში წინასწარ უნდა გააფრთხილოს სასამართლო ან პარტნიორები, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ დროულად მონახონ სხვა პირი, რომელიც დაინიშნება ლიკვიდატორად.

პარტნიორები, სანამ სასამართლო დანიშნავდეს, სასურველ კანდიდატურას ხმების უმრავლესობით ირჩევენ ლიკვიდატორს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იქნას ლიკვიდატორი კანდიდატის ერთხმად არჩევა. ლიკვიდატორად შეიძლება არჩეული იქნეს მხოლოდ ფიზიკური პირი. იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს ლიკვიდატორი, მართალია ეს პირდაპირ არ წერია კანონში, მაგრამ 14-ე და მე-9 მუხლების ანალიზი ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს.

იურიდიული პირი, რომ ყოფილიყო ლიკვიდატორი, მაშინ ლიკვიდაციას განახორციელებდა ამ იურიდიული პირის დირექტორი, დოკუმენტებზეც იურიდიული პირი მოაწერდა ხელს დირექტორის მეშვეობით, როგორც ეს ხდება, საერთოდ, იმ ქვეყნებში სადაც დირექტორად იურიდიული პირიც შეიძლება იყოს.

პარტნიორებმა ლიკვიდატორი უნდა გაატარონ სამეწარმეო რეესტრში თუ არა?

ლიკვიდატორების სამეწარმეო რეესტრში გატარება არ ხდება. საქმე ისაა, რომ სამეწარმეო რეესტრი ეს არის სპეციალური ფორმულარები,

რომელშიც ფიქსირდება ძირითადად კანონით გათვალისწინებული ფაქტები და მოვლენები. ლიკვიდატორების რეგისტრაციას სამეწარმეო რეესტრი არ ითვალისწინებს, ამიტომაც საჭირო არ არის, მით უმეტეს, რომ ლიკვიდატორს, თუ ის ღირეფტორი არ არის, ნიშნავს სასამართლო.

ბოლოს, როგორც ამას 14.2 მუხლის მესამე აბზაცის ბოლო წინადადება უთითებს, ლიკვიდატორების პასუხისმგებლობა განისაზღვრება 9.7 მუხლით ანუ სოლიდარულად აგებენ პასუხს კრედიტორების წინაშე.

რას ნიშნავს სოლიდარული პასუხისმგებლობა?

სოლიდარული პასუხისმგებლობა არსებობს მაშინ, როდესაც არსებობენ სოლიდარული მოვალეები ანუ რამდენიმე პირი, რომლებიც ერთად აგებენ პასუხს. სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლით, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით.

ჩვენს შემთხვევაში, სოლიდარული ვალდებულება (პასუხისმგებლობა) კანონით არის განსაზღვრული. გარდა ამისა, ლიკვიდატორების სოლიდარული პასუხისმგებლობა ნიშნავს მათ პასუხისმგებლობას მთელი თავისი პირადი ქონებით, მეუღლის ქონების გამოკლებით.

მეწარმეთა შესახებ კანონის 14.3 მუხლი ითვალისწინებს ლიკვიდირებული საზოგადოების ქონების განაწილების პროცესს და წესს, კერძოდ, მოცემული მუხლიდან გამომდინარე ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება, ცნობილი კრედიტორების არსებობის შემთხვევაში ნაწილდება მათთვის სპეციალური შეტყობინების გაგზავნიდან სამი თვის შემდეგ, ხოლო უცნობი კრედიტორების არსებობისას, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია – საჯარო განცხადებით (პუბლიკაციით) მათი მეორედ გამოძახებიდან ექვსი თვის შემდეგ. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება სასამართლომ შეიძლება გაანაწილოს აღნიშნული ვადების გასვლამდეც, თუ არსებული ვითარებიდან გამომდინარე ეს საფრთხეს არ უქმნის კრედიტორებს.

ქონებაში, სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლიდან გამომდინარე მოიაზრება, უძრავი და მოძრავი ნივთები, აგრეთვე, უფლებები და მოთხოვნები.

თუ კრედიტორები ცნობილია, მაგრამ არ აცხადებენ თავიანთ მოთხოვნებს, მაგალითად იმის გამო, რომ იმყოფებიან საზღვარგარეთ,

მაშინ მათი მოთხოვნების ღირებულება სასამართლოსგან დეკონირდება (14.3 მუხლი). აქვე ისმის კითხვა, თუ რას ნიშნავს დეკონირება?

დეკონირება ეს არის მოვალის მიერ კრედიტორისათვის გადასაცემი საგნის სასამართლოში ან ნოტარიატში შენახვა, ხოლო თუ გადასაცემა ფული ან ფასიანი ქალაღი, მაშინ მათი შეტანა ნოტარიუსის ან სასამართლოს ე.წ. სადეპოზიტო ანგარიშზე.

დეკონირება შეიძლება მოხდეს იმის გამო რომ კრედიტორი რაიმე მიზეზით აყოვნებს საგნის მიღებას, ამიტომ დეკონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე.

რამდენ ხანს ინახავს დეკონირებულ მოთხოვნას სასამართლო?

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს სამოქალაქო კოდექსის 441-ე მუხლი, კერძოდ, სასამართლო ან ნოტარიუსი შესრულების საგანს ინახავს სამ წლამდე ვადით. თუ ამ ვადის განმავლობაში კრედიტორი არ მიიღებს საგანს, ამის შესახებ ეცნობება მოვალს და მოეთხოვება ჩაბარებული საგნის უკან დაბრუნება. თუ დაბრუნებისათვის საჭირო ვადის განმავლობაში მოვალე არ მიიღებს საგანს, მაშინ იგი ჩაითვლება სახელმწიფო ქონებად.

ამრიგად, კრედიტორმა საგანი სამი წლის განმავლობაში უნდა წაიღოს და შენახვის ხარჯებიც უნდა გადაიხადოს (439 მუხლი). თუ ამ დროის მანძილზე არ წაიღებს, მაშინ სამი წლის შემდეგ სასამართლო, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დაუნიშნავს გონივრულ ვადას მოვალეს და სთხოვს, რომ იმ ვადაში წაიღოს საგანი. თუ მოვალეც აღარ წაიღებს მას, მაშინ საგანი ხდება სახელმწიფო ქონება.

თუ კრედიტორი წერილობითი ფორმით უარს განაცხადებს საგნის გატანაზე, საგნის დეკონირებიდან ნებისმიერ დროს სამი წლის მანძილზე, მაშინ მოვალეს შეუძლია მეორე დღიდანვე წაიღოს საგანი. ამის შესახებ უთითებს სამოქალაქო კოდექსის 440. 2 მუხლიც, კერძოდ, მოვალეს შეუძლია ჩაბარებული საგანი უკან დაიბრუნოს, თუ კრედიტორი უარს ამბობს მასზე.

ასეთ შემთხვევაში შენახვის ხარჯები უკვე მას ეკისრება (440.3 მუხლი).

სასამართლოსგან დეკონირდება აგრეთვე საზოგადოების სადავო ვალდებულებებისა და იმ ვალდებულებების შესაბამისი ღირებულება,

რომელთა შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა. ე.ი. არსებობს ვალდებულება რომელიც მომავალში უნდა შესრულდეს. ასეთ დროს დეპონირება მხოლოდ მაშინ მოხდება თუ საზოგადოების კრედიტორებს არ წარუდგენენ მათი მოთხოვნების შესაბამის ღირებულ გარანტიას ან საზოგადოების ქონების განაწილება არ შეჩერდება ამ ვალდებულებათა შესრულებამდე.

თუ საზოგადოების ქონების განაწილებისას წარმოიშობა დავა პარტნიორებს, შორის, ლიკვიდატორებმა უნდა შეწყვიტონ განაწილება დაეის სათანადო წესით გადაწყვეტამდე (მეწ. შეს. კან. 14.3 მუხლი).